



თანამდებობის  
სამსახურის

ბიბი

ქ ს  
ნ ა ქ ე ნ დ ა  
გ ა ნ ა მ მ გ დ ე !

ამონე გამოცემა

ბათუმი

2013



ერი თავის გმირების ცხოვრებით და მაგალითებით  
უდია სულლებულობებს, თუ მართლა მოწინა სურს და  
აგრძე არის, საცა მრი მოწინას...

## 0ლია ჭავჭავაძე

### ეძღვნება

ღირსეულ მამულიშვილს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – ვახტანგ ახვლედიანს, 2011 წლის 26 მაისის აქტიურ მონაწილესა და ამავე მოვლენების მსხვერპლს, ხელვაჩაურის რაიონის „სახალხო კრების“ ორგანიზაციის თავმჯდომარეს – ციალა სურმანიძეს, 26 მაისს დაღუპულთა და 2004-12 წლებში რეპრესირებულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოგრაფის – ქალბატონ ნანა დიასამიძეს

და „აჭარა P.S.“-ის

მთავარ რედაქტორს – ბატონ ჯემალ მეგრელიძეს.

წიგნი გამოიცა მეგობრების თანადგომით.



## რედაქტორისაგან

„ეს არ უნდა განმეორდეს!“

წიგნი, რომელმაც რეუიმი ამხილა

თენგიზ ცეცხლაშვილის ნაშრომი „ეს არ უნდა განმეორდეს“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ჟურნალისტურ გამოკვლევას, რომელმაც დეტალებში წარმოაჩინა ის დიდი დანაშაული, რომელიც ნაციონალურმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. გაივლის დრო და ეს ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ავტორმა მთელი სისრულით გამოიკვლია, იქნება მნიშვნელოვანი გაფრთხილება ყველას მიმართ, რომელიც ეცდება ხალხის სამართლიან შეუპოვრობას იარაღითა და ბოროტებით დაუცირისპირდეს. ასევე, ამ ნაშრომმა უნდა შეასრულოს მამხილებელი როლი ნაციონალური ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებისა. ნებისმიერი ჯანსაღ გონებაზე მყოფი სამართალმცოდნე, მარტო იმ ამაზრზენი ფაქტებით, რომელიც წიგნშია მოცემული, არა მარტო ტომებს შეკერავს ხელისუფლების ანტიხალხური ქმედების წინააღმდეგ, არამედ სასტიკ განაჩენსაც გამოუტანს მას. დიახ, ამ წიგნმა უნდა შეასრულოს მამხილებელი ფუნქციის როლი, თუ როგორი სიძულვილით მართავდა ნაციონალური ხელისუფლება ქვეყანას, როგორ ძულდა საკუთარი ხალხი, როგორ იმეტებდა თავისივე ხალხს სასიკვდილოდ და შეძლებ ამაზრზენი ფალსიფიკციით გონებას უბნელებდა საზოგადოებას, თუმცა ყველა ხვდებოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე. ისიც უნდა ითქვას, რომ 2011 წლის 26 მაისი 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლიანი გაგრძელებაა იმ განსხვავებით, რომ მაშინ ნაციონალებმა ვერ „მოახერხეს“ სისხლის ღვრა, თუმცა იმდენი მომწავლელი ნივთიერებები



გამოიყენეს, რომელიც შეშურდებოდა ქართველთმომულე უცხოელ დამპყრობლებსაც კი.

ყველა ის პიროვნება, რომელიც იმ დღეს დაუპირისპირდა მოძალადე ხელისუფლებას და რომლებმაც შემდეგ ტანჯვაწამების საშინელი გზა გაიარა, ვაჟკაცი და პატრიოტია, სწორედ მათ ამხილეს ნაციონალების სისხლიანი სახე და მსოფლიოს დაანახეს თუ ვინ იყვნენ ისინი. 2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც ხალხმა ნაციონალების ცხრაწლიან მმართველობას უარი უთხრა, ძირითადად განაპირობა 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე პატრიოტი ქართველების დაღვრილმა სისხლმა. სწორედ 26 მაისმა დააჩქარა ნაციონალების მმართველობის დასასრული.

თენგიზ ცეცხლაშვილმა საინტერესოდ აღწერა ის მოვლენები, რომელიც განვითარდა 26 მაისის წინა პერიოდში. განსაკუთრებით კარგადა შესწავლილი „სახალხო კრების“ მოღვაწეობა. ავტორი, აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ მოქმედებისა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა „სახალხო კრების“ ჩამოყალიბებიდან 2011 წლის 26 მაისამდე და 26 მაისსაც, სადაც ქართველთა სისხლი დაიღვარა, ამიტომაცაა მისი მონათხრობი ზუსტი და ობიექტურობით გაჯერებული. ავტორმა ყველა პიროვნებას სათანადო პატივი მიაგო, რომლებმაც საკუთარი სისხლის ფასად საზოგადოებას გაბედული არჩევნების გაკეთების საშუალება მისცა, განსაკუთრებით დასაფასებელი და გმირია ის ადამიანი, რომელიც ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე. მათ საკუთარი სიცოცხლე გაწირეს და ამით ამხილეს ის ბოროტება, ვისთანაც საქმე ჰქონდა ქართველ ხალხს, ამიტომ ისინი სამარადეამოდ დასაფასებელნი არიან და საზოგადოებაც ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს მათი გმირული საქმიანობის უკვდავსაყოფად. ვაჟკაცი არიან ისინი, რომლებიც არ შეუშიდა ტერორს, ნაციონალურ გუ-



ლაგებში გაიარა ტანჯვა-წამება და საზოგადოებაში პატივი  
ცემა და მოქრძალება დაიმსახურა. სწორედ, ყველაფერ ამ  
გაიგებს მკითხველი ონგიზ ცეცხლაშვილის ნაშრომში.

მე დაგამატებდი ერთს, ეს ნაშრომი ნამდვილად დაიკავებს თავის ღირსეულ ადგილს ქართულ პატრიოტულ ჰეროიკაში, რადგანაც მან შეასრულა უდიდესი როლი, მან გააშიშვლა რე-ჟიმი და საზოგადოებას დაანახა მისი სისხლიანი სახე, თანაც დასვა მეტად დამაფიქრებელი კითხვა, ისეთი რეჟიმი, რომელიც თავის ხალხს არ ინდობს, არ ინდობს იმ ადამიანებს, რომელ-მაც თავის დროზე იგი ხელისუფლებაში მოიყვნა და შემდეგ როდესაც დაინახა მისი ნამდვილი „სახე,” დაუპირისირდა მას და ამის გამო სასტიკად დაისაჯა, მხილებისა და გაკიცხვის ღირსია.

ის რაც 26 მაისს განახორციელა სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველი ერის წინააღმდეგ, შეშურდებოდა საქართველოს ისტორიაში ყველა სისხლისმსმელ ჯალათებს, ხელისუფლება რომელიც მთელ მსოფლიოში „დემოკრატიის“ სახელით იყო ცნობილი განახორციელა ენით აუწერელი, სადისტური და კაცომობულეობითი ქმედება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ამიტომ ეს ნაშრომი უნდა ითარგმნოს მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ერის ენაზე, რათა ყველამ დაინახოს, თუ რა ჯალათები განაგებდნენ ქვეყნას ამ ხნის განმავლობაში.

## ოთარ გოგოლიშვილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, დამსახურებული მოღვაწე.



ჭიგნი, რომელიც ჯარმოგვიდგინა პატონეა თმების ცენტრული აკადემია, უაღრესად აქტუალურია. 2011 წლის 26 მაისი იქმ ჩვენი ხალხის ცერემონიაში უმიმდინ ტრაგედია, რომელიც გააფეროვათა და უკან გადასცია 1989 წლის 9 აპრილის „ბათოლომეს დამის“ სურათები.

9 აპრილის დარბევა განხორციელდა უცხო ქვეყნის ჯარების მიერ გორგაბერიას პრანებით, ხოლო 26 მაისის დარბევა განხორციელდა ქართული კოლიციელებისა და საეცავსახურების ხელით. ე. სააკადემია გორგაბერის და როდიოლოვს ჩამორცხა 9 აპრილის სისტი და სირცევილი.


პატონი თმებიზე გითხვებელის ჭიგნე აშიშვლებს დარბევის ტრაგიკულ სურათებს თვითმხილველის თვალით. სევებთან ერთად ეს უკანონო ჯარმოგვინა ხელისუფლების მიერ დარბეული და ნაფამებ ადამიათია მორის ჩვენი მარის შვილების, მათი გაუტხებელი სულისა და თავდადების, სოციალური თანასწორობისა და დემოკრატიული ცერემონიების შესის აღღენისათვის პროცესი.

ეს ღრმად მდამას და მჯერა, რომ სულ გალე ეს ადამიანები ღირსეულად დაფასდებიან.

თმების ცენტრული აკადემია მის პატარა ჭიგნი ამ ღიღი საქმის მრთვარი პროლოგიცაა.

### **მოთა ზოიძე,**

მწერალი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, სახელმწიფო, დაკით აღმაშენებლის,  
ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, მემედ აბაშიძისა  
და გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურიატი.



ვახტანგ აზელედიანი

აჭარის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, მიუხედავად არსებული ხელისუფლების ზეწოლისა, კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ვაჟაპობა. ერთ მუშტად შეიკრა და არსებული მღვმრეობის შესახებ საკუთარი პროტესტი დააფიქსირა.

მშვიდობიანი აქცია მიმდინარეობდა აჭარის ტელევიზიას-თან, ჩვენ გვსურდა, ეს ყველაფერი ობიექტურად გაშუქებულიყო, თუმცა, პროვოკატორებმა მოახდინეს სიტუაციის არეა, რის შედეგადაც მივიღეთ დარბევა. ეს იყო სისასტიკე და მარაზმი!

ლევან ვარშალომიძე აჭარაში ვერაფერს წყვეტს, ის ბრძანებებს თბილისიდან იღებს. არავითარი კეტები ჩვენ არ გვქონდა. მე პირადად კატეგორიულად განვაცხადე: „თუ ვინმე ტელევიზიაში შეჭრას აპირებთ, ჯერ მე გადამიარეთ!“ ტელევიზიის დაკავებით შედეგს ვერ მივაღწევდით, პირიქით, თავიდანვე გონივრულ მოქმედებებზე ვიყავით ორიენტირებულნი.

მოიქცნენ არაადამიანურად. „სახალხო კრების“ ოფისში შეცვივდნენ, ძირს დაყარეს ადამიანები, სცემეს, ერთი-ერთი ფანჯრიდან გადახტა და ფეხი მოიტეხა. დაამსხვრიეს ავეჯი. დამტვრეული სკამებით უსწორდებოდნენ იქ მყოფებს.

წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით აპატიმრებდნენ ადამიანებს. დროა ეს უდირსობა დასრულდეს. ხალხი არ მოითმენს ამდენ სიმწარეს და მაინც თავისას გაიტანს, ვი-



ნაიდან ძალა ხალხშია, სიმართლე ერის მხარესაა და ერის ნება აღსრულდება!

უკვე რამდენიმე თვემ, სახალხო კრების აჭარის ორგანიზაციის წევრები: ანზორ სოლომონიძე, გოჩა მუხაშავრია, დიმიტრი ჭეიშვილი, ცოტნე ანანიძე, დავით ფარტენაძე, ხვიჩა გამარჯვებამე და ვახტანგ სიორიძე (ეს უკანასკნელი გურიის რეგიონიდანა) დაპატიმრებული არიან და განაჩენს ელოდებიან. მათ წაყენებული აქვთ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობის ბრალდება. შესაბამისად, ისინი პოლიტიკური პატიმრები არიან. სახალხო კრება არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია და მას ასეთი ამბიციები არ გააჩნია. თუმცა არც ამის აღიარება სურს ხელისუფლებას.

თამარ მეფემ, ნიკოფილიდან დარუბანდამდე გადაჭიმული სამეფოს მონარქმა, აღჭურვილმა ერთპიროვნული მართვის ყველა უფლებით, მსოფლიოში პირველმა შექმნა დარბაზი, იგივე პარლამენტი, სადაც საჯაროდ განიხილებოდა ქვეყნისათვის ყველა საჭირობოროტო საკითხი.

ეს გახლდათ თავისუფალი აზრისადმი პატივისცემის მაღალი გამოხატულება. მხოლოდ საუკუნის შემდგომ, 1215 წელს, ინგლისში, ედმონდის სააბატოში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა ქარტია“, რომელიც „თავისუფლების ქარტიად“ მოიხსენიება.

„ხელისუფლება უნდა მართავდეს ქვეყანას მაღალი ზნებისა და მორალის პრინციპებით და არა ძალის გამოყენებით“, – ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის დიდი ჩინელი მოაზროვნის კონფუცის შეგონებაა ეს.

„მე შეიძლება არ ვემზრობოდე შენს აზრებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მათი გამოთქმის უფლება არავინ წაგართვას“, – წერდა მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი მწერალი და მოაზროვნე შარლ არუე, იგივე ვოლტერი.



## პირადობები

მე შეგნებულად და მიზანმიმართულად მოვიტანე აქ  
დიდ მოაზროვნეთა გამონათქვამები. გენიოსები ყველა დროში  
თანამედროვენი არიან!

შხოლოდ თავისუფალ აზრს შეუძლია ერის, ქვეყნის, სახ-  
ელმწიფოს განვითარება. სადაც აზრთა ჭიდილია, იქ იბადება  
ჭიშმარიტებაც.

სალხი გრძნობს, ხედავს და განიცდის, რომ ქვეყანა ხე-  
ლიდან ეცლება. საუკუნეობით ჭირსა და ვარამში გამოტარე-  
ბული და დღვევანდლამდე სიმწრით მოტანილი მამული იყიდება,  
ჩანაგდება და იბარცვება ენა ქართული, ენა რუსთველის, ილ-  
იას, აკაკის, იაკობის, ვაჟას და გალაკტიონის ხელისუფლებაში  
მოსული საეჭვო წარმომავლობის ჩინოსნებისაგან უღვთოდ  
იღვევნება, ირყვნება, მცირდება, კინილება... ინტრიგება ჩასაურების,  
დასმენის, დაბეზღების, ჩაშვების, დაშინების და დევნის უსინდი-  
სო და უზნეო პოლიტიკა.

სახალხო კრება – ერთადერთი სრულიად ეროვნული  
გაერთიანება, უშიშრად და ლიდ აღუდგა წინ ხელისუფლების  
აღვირახსნილობას.

„მიეცით ადამიანებს იმდენი, რამდენიც მათ საარსებოდ  
ეყოფათ და ისინი პირუტყვებად გადაიქცევიან“, – წერდა შე-  
ქსპირი. დღეს მოსახლეობის 70% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ  
იმყოფება. როგორ არ მინდა, რომ მართალი იყოს გენიალური  
ინგლისელი დრამატურგი ჩვენთან მიმართებაში...

უკიდურესმა გაჭირვებამ და პროტესტმა გამოიყვანა ხალხი.  
მაგრამ, როცა ერი და ბერი ერთად უნდა დაგმდგარიყავით  
ქვეყნაში გამეფებული უმსგავსობის წინააღმდეგ, ბათუმშიცა  
და თბილისშიც ხალხის უმნიშვნელო რაოდენობა გამოვიდა.  
იქნებ, სახალხო კრებაა ამაში დამნაშავე? იქნებ რაღაც ვერ  
გავაკეთეთ ისე?

ვიცოდით, რომ 21–22 და 25–26 მაისის აქციებით ხე-  
ლისუფლებას ვერ გავისტუმრებდით, მაგრამ სახალხო კრება  
მაინც გამოვიდა. იმედი გვქონდა, სხვა პარტიებიც შემოგვიერთ-



დებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, არც ბათუმში და არც თბილისში არ მოხდა ასე.

ქალაქელთა დიდი ნაწილი სახლებში ჩაიკეტა და ტელე-ვიზორით სურდა სიახლის გაგება... იმ დღეებში ბათუმსა და თბილისში ქვეყნისათვის გულანთებული ვაჟკაცები და ქალბატონები გამოვიდნენ.

„გამ, იმ ქვეყნას, სადაც თთოში ყველა არ არის და ყველა-ში – თთო. სადაც „მე“ სჭარბობს „ჩვენს“, – წერდა ილია.

„უმსგავსი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“, – ისევ რუსთველს ვესესხბი.

ხალხში შიშია გამჯდარი, ეშინიათ მომავლის, რწმენა დაკარგული აქვთ. სხვა რომ მოვა, უკეთესი იქნება? – გულის კანკალით კითხულობენ იმედგაცრუებულები. ქართველს ქართველისა აღარ სჯერა. აი, რას მიაღწიეს ამათ. შიში ცუდი მეგზურია. შიშით ქვეყნას ვერ გადაარჩენ! დროა, ეს ულირსობა დასრულდეს! ხალხი არ მოითმენს ამდენ სიმწარეს და მაინც თავისას გაიტანს, ვინაიდან ძალა ხალხშია, სიმართლე ერის მხარესაა და ერის ნება აღსრულდება! ხმა ღვთისა და ხმა ერისა ერთია!

ვთხოვ, მოვუწოდებ ერსა და ეკლესიას, ჯვარი მაღლა აღვმართოთ და დავდგეთ ერთად სამშობლოს გადასარჩენად. სხვა გზა არ დაგვიტოვეს ამათ, რადგან მხოლოდ სიყვარული და თავდადება გადაარჩენს მაშელს, ენას და სარწმუნოებას.

„რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!“ ზეციური გზაა ეს. გზა, რომელიც ტაძართან აუცილებლად მიგვიყვანს.

### ვასტანგ ახვლედიან,

მწერალი, მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,

საქართველოს „სახალხო კრების“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე.



## პირულითება

მამის ნათელ ხსრვნას

საშინელი განცდაა სიცარიელე. ეს ძალზე ცუდი შეგრძნება საშინელი ტკივილით იბუდებს გულსა და სულში, მთელ არსებას ამოგაცლის, გეჩვენება თითქოს უსიცოცხლო, უაზრო ფიტულა რჩები და მხოლოდ ინსტიქტები გამოძრავებს. თითქოს მარტო ვარ და არც მთლად მარტო... რადგან შენი სურათი ისეთივე სითბოს აფრქვევს როგორიც შენ იყავი სინამდვილეში. მახსოვს, დაღლილობის მიუხედავად ყოველთვის როგორ აღფრთოვანებული გვიყვებოდი შენი ლამაზი მოგონებების შესახებ.

როდესაც შენს სურათს ვეფერები, თვალწინ მიღებას ის საზიზღარი დაავადება მისთვის ჩვეული ტემპით როგორ მიიკლავნებოდა და თანდათან იკვლევდა გზას. შენ კი ამ დროს მღეროდი, ლექსებს კითხულობდი და მოჩვენებით თუ მართლა მხნედ და ძალიან ლამაზად გამოიყურებოდი. შენ ყოველთვის მაღალი სულიერებით გამოირჩეოდი, სადაც გამოდიოდი, ყველგან სანახაობას და ზეიმს აწყობდი, სულითა და გულით ბოლომდე იხარჯებოდი და იქნებ ზედმეტადაც.

დაავადებამ თავისი გაიტანა და შენისთანა ამაყი სულის ადამიანიც კი წააქცია. ღმერთო! რა უმწეო ვართ ადამიანები.

მახსოვს, ერთხელ დილით თავი მხნედ იგრძენი და ეზოში გასეირნების სურვილი გამოთქვი. ჩვენი წინააღმდეგობის მიუხედავად გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანე. ჯიუტად დაუყვვი რა საფეხურებს, მე და დედა გამოგედევნეთ სასოწარქვეთილები, მაგრამ შენი სიმხნევით გაოცებულებმა დუმილი ვარჩიეთ.

შენი გამოჩენა ყოველთვის ნამდვილ ზეიმს ჰგავდა, ამჯერადაც ასე მოხდა, მონატრებული მეზობლები გარს შემოგესივნენ, მოგეფერნენ როგორც შეეძლოთ. მომეჩვენა რომ ბალაზიც კი გეალერსებოდა, სადაც მიაბიჯებდი. შენ შენთვის



ჩვეული სითბოთი მიუაღერსე ყველას, ასე იცოდი, ყველას  
ანუგეშებდი და ეხმარებოდი, როგორც შეგეძლო...

ღმერთს მადლობა, რომ ეს სიამოვნება არ მოგაკელით...  
ახლაც თვალწინ მიდგას როგორ ადიოდი კიბებზე, შეუსვენე-  
ბლად... მერე კი... მერე, რამდენიმე დღეში ყველაფერი წაიშ-  
ალა, დაცარიელდა ეზო, ქუჩა, განაცრისფერდა ყველაფერი,  
შენი ქალაქიც...

ღმერთო ჩემო, რამდენი რამ დამრჩა სათქმელი... სული  
ყელში მებჯინება... რას არ გავიღებდი ოღონდ 5 წუთით  
მაინც მენახე, მოგფერებოდი, გულში ჩამეკარი და მეთქვა –  
ჩემო მამიკო, ჩემო ძმაო და მეგობარო, სიცოცხლევ ჩემო, უს-  
აზღვროდ მიყვარხარ და მენატრები!!!!...

ზენაბ ახვლედიანი



2012 წლის 9 აპრილს უკვე შეუძლოდ მყოფმა „სახალხო კრების“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ ახვლედიანმა წერილობითი ფორმით მის თანაგუნდელ წევრებს გადასცა პატარა ანგარიშის ჩანაწერი სადაც კვითხულობთ:

2011 წლის 19 დეკემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს „სახალხო კრების“ კონფერენცია, სადაც მიწვეულნი იყვნენ ყველა რაიონის დელეგატები, მათ შორის აჭარის საოლქო ორგანიზაციის საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია.

კონფერენცია მიჰყავდა „სახალხო კრების“ თავმჯდომარეს, მსოფლიოში სიცოცხლეშივე ლეგენდარულ სპორტსმენსა და ეროვნულ მოღვაწეს ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს.

„სახალხო კრების“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ თვის გამოსვლაში ისაუბრა ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე, 21–23 მაისის მოვლენებზე ბათუმში, ხელისუფლების მიერ გატარებულ დამსჯელ ღონისძიებებზე საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, სამართალისათვის და სიკეთისათვის, მომავლისათვის მებრძოლ ადამიანებზე, რომლებიც დღეს საპყრობილებში უდანაშაულოდ იხდიან საჯაროს. ხაზი გაუსვა იმ ჭეშმარიტებას რომ, ჯერ ბათუმში, შემდგომ კი თბილისში გამართული მიტინგები და მათი შედეგები, „სახალხო კრების“ მონაწილეთა გმირობის ტოლფასია, უფრო მეტიც შესაძლებელი იყო არც შექმნილიყო ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნებაც“. ბუნებაში არსებობს კანონზომიერება და მას ვერსად წაუხვალ.

ჩვენ ვამაყობთ და კვლავაც იამაყებს მომავალი თაობა „სახალხო კრების“ მონაწილეთა თავდადებათა და თავგანწირვით.



„სწორედ ამ გმირული თავშეწირვის მატიანედ უნდა ჩაითვალოს მაისის მოვლენების ამსახველი პუბლიცისტური ბროშურა „სისხლიანი მაისის ექო“, რომელიც დაწერა, საკუთარი სახსრებით ააწყო, წიგნად გამოსცა და მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგა მწერალმა თენგიზ ცეცხლაშვილმა – იმ დღეების ყველა მოვლენის აქტიურმა მონაწილეობაში.

შეძლვომ ბევრი საგაზეთო წერილი დაიბეჭდა და დაიბეჭდება კვლავაც, მაგრამ თენგიზ ცეცხლაშვილის ბროშურა ცოცხალი მატიანეა იმ ავადმოსაგონარი მოვლენებისა, რაც ქვეყნის ე.წ. ხელისუფლებამ აწვნია საკუთარ ხალხს. ამ მხრივ, წიგნი პატივიმისაგები და დასაფასებელია.

კონფერენციის მონაწილენი ტაშისცემით შეეგებნენ ამ ინფორმაციას“.

წინამდებარე წიგნში ავტორი გადმოცემს თავის უკომპრომისო ბრძოლას რეჟიმების წინააღმდეგ, რომლის უშუალო მონაწილეობიც თავად გახლდათ. ნაშრომი მოგვითხრობს საზოგადოებრივი მოძრაობა „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ერთ-ერთი აქტივისტის – ბატონ თენგიზ ცეცხლაშვილის თავგადასავალს. იგი მეტად საინტერესო ისტორიული ნაშრომია. ნაწარმოების მთავარი გმირი თანმიმდევრულად აღწერს საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას, ფორმირებას, მიზნებს და ბრძოლის დეტალებს. ამასთან ერთად ნაწარმოებში აღწერილია თანამებრძოლებების, – აჭარის „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ აქტივისტთა თავგადასავლები, რომლებიც მონაწილეობდნენ 21 და 26 მაისის მოვლენებში.

„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ იდეა ითვალისწინებდა რა დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნას, მასში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა შეხედულების, იდეოლოგიის, ორიენტაციის საზოგადოებრივი წარმომადგენლები. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანს სახალხო კონსოლიდაციის გზით ხელისუფლების ცვლილება წარმოადგენდა.

## გიგანტისა

თუმცა პოლიტიკოსთა ვიწრო ჯგუფმა, სხვადასხვა აბიექტურით თუ სუბიექტური მიზეზების გამო, მოახდინა ამ სახალხო მოძრაობის იდეის მონოპოლიზირება, ხოლო ხელისუფლებამ 21 და 26 მაისს ამ მოძრაობის მიმართ უკანონოდ გამოიყენა არაპროპორციული, უსამართლო, არაადამიანური ძალა და შეეცადა სისხლში ჩაეხშო ეს მოძრაობა. საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღმოჩნდა მზად ყოფილიყო ადეკვატური ამ ტრაგედიაზე რეაგირებისათვის, რომელიც დატრიალდა ტელეკომპანია „აჭარის ტელევიზიის“ წინ და განსაკუთრებით, რესთაველის პროსპექტზე, რასაც შსხვერპლი, ასობით დაშავებული და უსამართლოდ დაპატიმრებული ადამიანი მოჰყვა.

ბუნებრივია „დიდი პოლიტიკის“ დეტალები უცნობი იყო იმ აქტივისტთა უმრავლესობისათვის, რომლებიც თავანაწილებით, გმირულად იბრძონენ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. ერთ-ერთი მათგანი კი ამ წიგნის ავტორი ბატონი თენგიზ ცეცხლაშვილი გახლდათ. ასეთი „უსახელო უფლის-ციხელები“ ქმნიდნენ და ქმნიან ჩვენი ქვეყნის საფუძვლებს. ადრეც, ახლაც და მომავალშიც მათზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის განვითარება და უკეთესი მომავალი.

თენგიზ ცეცხლაშვილმა 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ, შინაგანი პროტესტის ნიშნად დატოვა სამხედრო სამსახური, ხოლო 2011 წლის 26 მაისის სისხლიან კალოზე ის მამულის სიყვარულმა მიიყვანა, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა.

2011 წლის 21-26 მაისის მოვლენებს უკვალოდ არ ჩაულია, რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობა იყო.

### ასლან ლორთიშვანიძე,

პოლიტოლოგი, აჭარის დამოუკიდებელ ექსპერტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.



## აკტორისაგან

2011 წლის 2 დეკემბერს გაზეთ „აჭარა P. S.” – ის რედაქციაში ჩემი წიგნის „26 მაისის სისხლიანი კალო“ – ს პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოლნენ 26 მაისის სისხლიანი დამის უშუალო მონაწილენი და საზოგადო მოღვაწეები: ბატონები: შოთა ზოიძე, ვახტანგ ახვლედიანი, წიგნის რედაქტორი – ასლან ლორთქიფანიძე და აგრეთვე აჭარის ტელეკარხებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ბატონები: ასლან ლორთქიფანიძე, ვახტანგ ახვლედიანი, შოთა ზოიძე და უერნალისტი ნუგზარ ჟორდანია. მათ ილაპარაკეს წიგნის მნიშვნელობაზე, მაგრამ ამავე დროს აღნიშნეს მთავარი, რომ დროის სიმცირისა და სხვადასხვა მიზეზების გამო წიგნში ბევრი რამ სრულად არაა ასახული და მასზე შემდგომში მუშაობის გაგრძელება იყო საჭირო; ბატონმა შოთა ზოიძემ კი დასძინა, რომ ავტორმა ეს თემა თავად უნდა გახსნას და მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს უპირველესად ექსკლუზიური უფლება, როგორც ამ ტრაგედიის უშუალო მონაწილეს და ეს თემა ღრმად გააშუქოს...

ჩემი მხრიდან მე შევუდექი წიგნის გაფართოებულ ფორმატზე მუშაობას და გადავწყვიტე ჩემს მიერ გამოცემული წიგნების – „გაცრუებული იმედების“, „სასიკვდილოდ გამეტებულნის“ და „26 მაისის სისხლიანი კალოს“ ბაზაზე გამეტეთიანებია ეს ნაწარმოებები და დამატებით დამერთო მასალები 26 მაისის მონაწილეებზე გადმომეცა საზოგადოების მხრიდან იმ განცდისა და უსამართლობის გრძნობა, რაც მათ 26 მაისის სისხლიანი დამის შემდეგ განიცადეს, ხოლო ის რაც მე გადამხდა, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც იქ მყოფ, ჩემ თანამებრძოლებს გადახდათ იმ სისხლიან დამეს. მათი საშინელი თავგადასავლები აღწერილია ჩემს მიერ გამოცემულ წიგნში „ეს არ უნდა განმეორდეს!“



ეს არ უნდა გამოვიდეს!

## პირადობები

ეს არ უნდა გამოვიდეს!

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და ქართველმა ხალხმა, მთელ შეოფლიოს დასანახად, საჯაროდ დამარცხა მმართველი პარტიის სისხლიანი რეერიმი და ერთდროს „საამაყოდ ცნობილი ნაცმოძრაობა“ სანაგვეზე მოისროლა...

2003 წლიდან მოყოლებული გახლდით რა ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ მხარდამჭერი, თბილისშიც დავდიოდი მიტინგებზე. საქართველოს მოსახლეობა, გარდაუვალი სასიკეთო ცვლილებების მოლოდინში იმ დროისათვის გარეთ იყო გამოსული. გავხდი მოძრაობა „ჩვენი აჭარას“ წევრი. ხოლო 2004 წელს ამ მოვლენებს მივუძღვენი წიგნი „გიორგობიდან გიორგობამდე“, რომელიც აჭარაში „ვარდების რევოლუციას“ და აჭარაში განვითარებულ მოვლენებს ეძღვნებოდა. ეს წიგნი პირადად ჩემს შთაბეჭდილებებზე იყო აგებული და ამიტომაც მას სრულყოფილების პრეტეზია არ გააჩნდა. ვცდილობდი საფუძვლიანად წარმომეჩინა ყველა იმ ადამიანის ღვაწლი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარაში არსებული დიქტატურის დამხობაში. თუმცა ის არ გამოცემულა... რის სანაცვლოდაც 2012 წელს გამოვეცი წიგნი „ვაცრუებული იმედები“.

მინდა შემოგთავაზოთ ამ ნაშრომის მცირე ამონარიდი:

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთელი იანვარი დედაქალაქში გავატარე, სადაც ჩემს მორიგ წიგნზე ვმუშაობდი. 19 იანვრის საღამოს ტელეარხების საშუალებით გაშუქდა რა სოფელ გონიოში განვითარებული მოვლენები, როდესაც გამგეობის შენობაზე გონიოელებმა ააფრიალეს ჯვრიანი დროშა და დაარბიეს ამ აქციის მონაწილენი. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.



## გიგანტები

თბილისში ხშირად მისვამდნენ კითხვებს – რას ვაპირებდით აჭარაში, რატომ ხმას არ ვიღებდით. გვახსენებდნენ რომ შევარდნაძე წავიდა და ახლა აბაშიძის რიგიც დადგა. საპასუხოდ მათ ვპასუხობდი: რომ, აბაშიძის წასვლის დროც მალე დადგებოდა.

ჩემთვის სასიხარულო იყო სოფელ გონიოში დაწყებული მოვლენები, გონიო ხომ ჩემი აწ გარდაცვლილი ბიძისა და დიდი მეგობრის – სერგო კეუერაძის მშობლიური სოფელი გახლდათ. ამ სოფელთან ბავშვობიდანვე ვიყავი დაკავშირებული, საღაც ბევრი ნათესავი და მეგობრები მყავს. იმავე საღამოს განვაცხადე შვილებთან: – ჩემი ადგილი ბათუმში იყო და უნდა წავსულიყავი (ორთავე ვაჟი, დათო და არჩილი თავიანთი ოჯახებით თბილისში იყვნენ გადახვეწილი ლუკ-მა პურის საშოვნელად და ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ანალოგიურ დღეში დღეს ათასობით ოჯახია საქართველოში. ბათუმში სამუშაოს სად ნახავ კაცი. ფაბრიკა-ქარხნები ხომ სულმთლად დაინგრა, იქ არსებული მანქანა-დანადგარები კი ჯართად აქციეს და საზღვარგარეთ გაიტანეს.

მეორე დღესვე გავემგზავრე ბათუმში. წასვლის წინ ჩემი მეგობარი – სიონის ტაძრის მოძღვარი მამა ამირანი (ამირანაშვილი) მოვინახულე, მან გზა დამილოცა. მამა ამირანთან „ვარდების რევოლუციის“ წინა დღეებშიც დავდიოდი, მიტინგების წინ სულ მღლოცავდა, რაც კარგად მქონდა დაცდილი. ბათუმში როგორც კი ჩავედი, ჩემი დიდი ხნის მეგობარი – ახალსოფლელი არსენ სურმანიძე მოვიკითხე და გავიგე თბილისში ყოფილა გახიზნული ოჯახიანად. მივხდი რა უბედურებაც ტრიალებდა მის თავზე, რადგან ის ერთ დროს ასლან აბაშიძის ტუსაღი იყო. განსხვავებული აზრისათვის ორი წელი იჯდა ბათუმის ციხეში, შემდეგ კი იძულებით აჭარის ფარგლებიც დატოვა, რის გამოც საგრძნობლად შეერყა ჯანმრთელობა და მასთან მობილური

ტელეფონით ვცადე დაკავშირება, მაგრამ გამორთული ჰქონდა ჩასვლისთანავე გაზეთი „ბათუმელები“ შევიძინე, რადგან დანარჩენ ადგილობრივი გაზეთებიდან შედარებით მასში განსხვავებული აზრის წაკითხვა შეიძლებოდა, მართლაც ვიხილე სტატია ახალი ორგანიზაციის შექმნის თაობაზე სათაურით – „ერთიანობის დარბაზი“, რომელსაც აწ გარდაცვლილი ბატონ იოსებ ხიმშიაშვილის სურათი ჰქონდა დართული, მასში ნათქვამი იყო, რომ – „ერთიანობის დარბაზის“ მთავარი მიზანი იყო აჭარაში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადება, პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანად წარმართვა და ადგილობრივი ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლა. საინიციატივო ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ: იოსებ ხიმშიაშვილი, რამაზ სურმანიძე, ბიჭიკო დიასამიძე, რამაზ ფარტენაძე, მიხეილ მახარაძე, ზურაბ ქათამაძე, ელგუჯა მაკარაძე და სხვები.

„ერთიანობის დარბაზის“ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები აჭარის ხელისუფლების შეცვლას გარდაუვალად მიიჩნევდნენ. თავად იოსებ ხიმშიაშვილი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო და მისი აზრით, აჭარაში კვლავ გრძელდებოდა რეგიონის ერთპიროვნული მართვა, თავისუფალი სიტყვის დევნა. აჭარის ხელისუფლება ძველებურად აგრძელებდა ცენტრთან ულტიმატუმის ენაზე საუბარს და მოვლენებს არ აძლევდა რეალურ შეფასებებს. აქედან გამომდინარე გვრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ აჭარის ხელისუფლება მის გარემოცვას ინფორმაციულ ვაკუმში აყენებდა. დასაგმობი იყო საკადრო პოლიტიკა. აჭარის ხელისუფლება ვერ აკეთებდა დასკვნებს. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მათ უკან მაღალი თანამდებობის პირები იდგნენ. თეთრი ბილეთის მქონე ადამიანები ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს. ასეთი ხალხი წარმოადგენდნენ „აღორძინების“ სახეს. სტატია რომ ჩავიკითხე, გამიხარდა და თანაც მეწყინა იმ მოტივით, რომ ჯერ კიდევ



## გიგანტები

13 იანვარს ბატონი იოსები თბილისში ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლელ კარებში შემხვდა. მას თავისი გამოცემული წიგნები მოეტანა ბიბლიოთეკაში ჩასაბარებლად. ჩემი დანახვა ძალზედ გაუხარდა „შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნაო“ მითხრა. წიგნები დავაბინავეთ ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი ლევან ბერძენიშვილთან შევიდა, მასაც გადასცა ერთი ეგზემპლარი საჩუქრად და ლევანიც გამაცნო. ვიფიქრე, თუ რამეს აყალიბებდა, რატომ არ გამიზიარა მეთქი. მითუმეტეს, როდესაც ჩემი ბოლონდოროინდელი დამოკიდებულება ასლანის მიმართ იცოდა...

ოფიციალური მიერ მიეცი მეტედ აბაშიძის გამზირის 50-ში, მისვლისთანავე საყველური ვუთხარი, თუ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას აპირებდი – თბილისში რად არ მითხარი-მეთქი. მან განმიმარტა, რომ მხედველობიდან გმორჩა ამის თაობაზე ჩემთვის ეთქვა ყველაფერი, მან მითხრა ხომ დაინახე, როგორ ვჩქარობდი და შენც თავადაც დაკავებული იყავი ახალი წიგნის გამოცემის თაობაზე და გამომცემლობაში მიგეჩქარებოდა... შემდეგ ხელით მანიშნა სავარძელში დავმდჯარიყავი და თვითონაც გვერდით მოიკალათა, „ერთიანობის დარბაზის“ შიდა სამზარეულო გამაცნო და მითხრა, რომ დამფუძნებელთა კრებამ აჭარის მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალაქის ინტელიგენციის გამოხმაურებამ, მხარდაჭერამ და თანადგომამ მოლოდინს გადააჭარბაო. აქ აღბათ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი – პროფესორები: ამირან კახიძე, თამაზ ფუტკარაძე, შოთა ზოიძე, კახაბერ სურგულაძე, რამაზ სურმანიძე, დავით გვაინიძე, მიხეილ ქამადაძე, ოთარ შაინიძე, დოცენტები: ზურაბ მიქელაძე, ზებურ ავალიანი, ავთანდილ ბეჟანიძე, ოთარ ცეცხლაძე, მხატვარი ზურაბ ხაბაძე, მწერალი – ანზორ კუდა, ექიმები: მამია ზოიძე, იუსუფ კორძაია, ლექტორი ანზორ სოლომონიძე, პედაგოგები: ნანა იორაშვილი, ნაზი მიქელაძე, ბადრი პაქსაძე, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებები: ზურაბ ქათამაძე, თამაზ ცინცაძე, მიხ-



## პიპლიტიკა

ეილ მახარაძე, გურამ თურმანიძე, გია ხაბაძე, ნოდარ ირემაძე ბესიკ შაინიძე, ბადრი ღორგომელაძე, ოთარ ფუტკარაძე და სხვები. ჩვენს მოძრაობაში გაერთიანდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერები: ირაკლი (მაილო) ჯაში, თემურ თურმანიძე, ზაზა დევაძე და სხვები. მეც იმ დღიდანვე გავწევრიანდი „ერთიანობის დარბაზში“ და რიგით 82-ე წევრი გავხდი. ჩვენი აქტივობით ასეულობით წევრი გავაწევრიანეთ. ამ რიცხვმა შემდგომში დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში რვა ათასზე მეტ ადამიანს მიაღწია. დღითი დღე ვრწმუნდებოდი, რომ ადამიანებს არაფრის შიში არ ჰქონდათ, ისინი მზად იყვნენ სიცოცხლის ფასად დაეცვათ ქვეყნის ერთიანობა და ებრძოლათ აჭარაში გამეფებული რეჟიმის შესაცვლელად. შემდგომში მოძრაობა „ჩვენმა აჭარაშ“ თბილისში შეძლო ყველა ძალის გაერთიანება ერთ ოპოზიციურ მოძრაობად, სადაც სხვებთან ერთად სამოქალაქო მოძრაობა „ერთიანობის დარბაზიც“ შევიდა. ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. გაერთიანებული ოპოზიცია „ჩვენი აჭარის“ გამგეობის წევრებად არჩეული იყვნენ: ქობა ხაბაზი, ედუარდ სურმანიძე, თამაზ დიასამიძე, იოსებ ხიმშიაშვილი, ოთარ მიქელაძე, მერაბ ქიძინიძე, კახა მიქელაძე, ლევან ქამადაძე, ბეჟან გობაძე, ჯემალ ინაიშვილი, ნატო იმნაძე, ავთანდილ გადახაბაძე და არმაზ ახვლედიანი.

გამგეობას ჰყავდა დარბაზი, რომლის სპიკერი იყო პროფესორი მიხეილ მახარაძე, ხოლო ვიცესპიკერი თამაზ ცინცაძე. ამ გაერთიანებამ უდიდესი როლი შეასრულა ე.წ. რევოლუციის მომზადებაში. ამ გაერთიანების და მისი აქტივის საქმიანობის დეტალური ანალიზს აღარ გავაკეთებ, რადგან მასზე არაერთი სტატია და ნარკვევი დაიწერა.

6 მაისს აჭარის მოსახლეობა აბაშიძის 13 წლიანი დიქტატორული მმართველობის რეჟიმისაგან განთავისუფლდა. გიორგობის დღესასწაულის გარიურაჟზე მოპოვებული გამარჯვება



## გიგანტები

ხალხმა პომპეზურად იზეიმა. ცხოვრება ისევ ჩვეულებრივ კალაპოტს უბრუნდებოდა. მოიხსნა შიში, წარსულს ჩაბარდა რეჟიმის „ჩაშვებები“, მოსახლეობას მოეხსნა დაძაბულობა, ხალხი გაიხსნა ერთმანეთის მიმართ, ქიბულეთში აფეთქებულ ხიდზე ისევ აღსდგა მოძრაობა, პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობით დაინგრა ეგრეთ წოდებული ჩოლოქის „ციტადელი“. ცხოვრება ისევ ჩვეულებრივ კალაპოტს დაუბრუნდა.

აჭარაში შემდგარმა საერთო სახალხო რევოლუციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. ეს რევოლუცია თავისი მნიშვნელობით აღმატებოდა თბილისში მომხდარ ნოემბრის რევოლუციას. იგი ბევრად უფრო მძიმე პირობებში მოხდა. აჭარის მოსახლეობამ თავისი მონოლითური დარაზმულობითა და გმირული გამბედაობით ქვეყნისათვის ზიანის მომტანი, აბაშიძის სეპარატისტული რეჟიმი დაასამარა. აფეთქებულმა ხიდებმა უფრო მტკიცე ხიდები გადო აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის.

თბილისი კვლავ დაუდალავად უხდიდა მადლობას მოსკოვს აჭარული კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტაში გაწეული დახმარებისთვის. ამ ეტაპზე საქართველოში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთს ამგვარი მშვიდობიანი ჩარევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დიდ როლს ითამაშებდა, მაგრამ სამწუხაროდ სამხრეთ ოსეთში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ რუსეთი თავის პოლიტიკას არ იცვლიდა კავკასიის მიმართ და კვლავაც მის დომინანტობაზე აცხადებდა პრეტეზიას...

ჩემი თანამებრძოლების, რიგითი აქტივისტების ბათუმის ქუჩებში თავაწეული და ამაღლებული განწყობილებით სიარული ცოტა არ იყოს ნაადრევი აღმოჩნდა...

ამავე პერიოდში აჭარაში სტუდენტი ახალგაზრდობა გამაფრთხილებელ აქციას აწყობდა. გაზეთ „ბათუმელებში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „აჭარის მარცვა უნდა



განვითარების  
მინისტრი

საქართველოს მთავრობის

შეწყდეს“ – რომელიც აჭარიდან სახელმწიფო და კერძო ქონების კანონდარღვევით გატანას აპოტესტებდნენ, რადგან იყო ფაქტები ძვირად ღირებული ბილიარდის მაგიდების, 120 ცალი კომპიუტერის და სხვა ნივთების გატანის შესახებ, რომლებიც ამოღებული იქნა ასლან აბაშიძისა და სოსო გოგიტიძის ოფისებიდან. პრეზიდენტის განცხადებით ისინი სკოლებს უნდა გადასცემოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. შესაბამისად დატაცებული სუვერური იარაღებიც მუზეუმს უნდა გადასცემოდა, მაგრამ არც ეს მომხდარა.

ბათუმიდან გაყვანილი იყო დაახლოებით 100-მდე ძვირადლირებული მანქანა, რომლითაც სამხედროები თბილისის ქუჩებში დასეირნობდნენ. ეს მანქანები არც უშიშროების და არც შსს-ს ფარებში არ იყო გაჩერებული. ყველაზე მეტად შემაშფოთებული იყო ბათუმის აეროპორტის გაძარცვა. გაურკვეველ ვითარებაში წაყვანილი იყო სამგზავრო თვითმფრინავი, რისი უფლებაც არავის ჰქონდა. ასევე გაყვანილი იყო ორი ვეტმფრენი. მოეწყო გამაფრთხილებელი აქცია, რომელიც დროებითი საბჭოსაგან სათანადო ზომების გატარებას მოითხოვდა, მაგრამ ამაოდ.

დღეს, ასლან აბაშიძის ქონების გატაცებაზე ბევრს საუბრობენ, თუმცა ოფიციოზი ამ ფაქტებს უარყოფდა და აცხადებდა, რომ ყველაფერი კანონის ჩარჩოებში იყო მოქცეული“.

ამავე გაზეთში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „წავიდა მეფე – გაუმარჯოს მეფეებს“, „კმარელები კვლავ კმარას შემოძახებას არ გამორიცხავდნენ“. არც ახალი ხელისუფლების ნაბიჯებს მოჰყავდა ისინი აღფრთოვანებაში. მათი თქმით, სიტუაციით სარგებლობდა ბევრი უწიგნური და იბრძოდნენ – თანამდებობების დასაკავებლად. თუ საჭირო დარჩა ისევ შემოვძახებთ „კმარას“ ამბობდნენ ისინი. „ერთი კლანი წავიდა – მოდის 15 სხვა კლანი“. იუწყება სტატიის ავტორი ქურნალისტი – ლელა დუბაძე.



ათი დღეც არ იყო გასული როცა „ჩვენი აჭარის“ აქტივისტებმა ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. ქალაქის მერიას არაკაცურ, არასამართლებრივ გარიგებაში ადანაშაულებდა საკადრო ცვლილებების გამო. მომიტინგებების თქმით: რეაგირება არასამართლებრივი გადაწყვეტილების გამო ხდებოდა.

ასლანიშვილის წინააღმდეგ იმიტომ კი არ ვიბრძოდით, რომ ისევ იგივე რეჟიმში დავრჩენილიყავით და ისინი, ვინც თბილისში თბილად ისხდნენ, თანამდებობებზე მოსულიყვნენ, განაცხადა „ჩვენი აჭარის“ წევრმა იოსებ ბოლქვაძემ გამართულ მიტინგზე.

მალე „ჩვენი აჭარას“ აქტივისტებმა წერილით მივმართედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, გთავაზობთ წერილის ამონარიდს:

### ბატონო პრეზიდენტო

აჭარაში ვარდების რევოლუციის აქტივისტები და მონაწილენი, თქვენდამი უღრმესი პატივისცემით განსჭვალულნი, უდიდეს მადლობას მოგახსენებთ საქართველოსა და მისი უმშვენიერესი კუთხის – აჭარის, (შევარდნაძისა და აბაშიძის) კლანური, ტოტალიტარული მმართველობისაგან განთავისუფლების, საქართველოს მსოფლიო საზოგადოების თვალში იმიჯისა და ავტორიტეტის ამაღლების, ამ კუთხის უსისხლოდ საქართველოს ერთიან სივრცეში დაბრუნების გამო, მაგრამ სამწუხაროდ ახალმა ხელისუფლებამ თითქმის უცვლელად გააგრძელა აბაშიძისეული მმართველობა. თუ ადრე მხოლოდ აბაშიძე ეწეოდა კარჩაკეტილ საქმიანობას, ამჟამად დიდი თუ პატარა მოხელის კაბინეტი ჩაკეტილია და კავშირი ხალხთან ფაქტიურად გაწყვეტილია. მოხდა საზოგადოებისათვის საეჭვო და

მიუღებელი აბაშიძის კლანის ადამიანებით და ნათესავ-მეგობრებით სამინისტროების, უწყებების და საწარმო-ორგანიზაციების დაკომპლექტება.

აჭარაში ამჟამინდელი მდგომარეობის შეუფასებლობით იყო გამოწვეული ბათუმის ბაზარში არუელობა, ქალაქის ქუჩებში წარწერების გამოჩენა, „ასლან მოდი“, „მიშა წადი“. სწორედ აღნიშნულმა მდგომარეობამ გამოიწვია მოსახლეობისა და ჩვენი სამართლიანი უკმაყოფილებაც, განვაშის ზარის ამტეხი წერილები საკმაოდ მომრავლდა პრესის ფურცლებზე. საილუსტრაციოდ გაზით „რეზონანსის“ 6 და 7 სექტემბრის სტატიები – „აჭარა ახალი კრიშების ძიებაში“ და „რა რეჟიმი მყარდება პოსტასლანისტურ აჭარაში?“ იკმარებდა. გარდა ამისა არის უამრავი საგანგაშო ფაქტები, რომელთა რევიზირება და რეაგირება გადაუდებლად, სწრაფად უნდა მოხდეს, წინააღმდევ შემთხვევაში მოვლენები შეიძლება განვითარდეს არასახარბიელოდ. ჩვენის მხრივ გვრძნობდით რა ამჟამად შექმნილ მდგომარეობის მოახლოებას, წერილობით მივმართედ აჭარის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს „ჩვენი აჭარის“ აქტივისტებთან შეხვედრის თხოვნით, მაგრამ უბრალოდ ფორმალური შეხვედრაც კი ვერ მოვახერხეთ (წერილს ტექსტი თან ერთვის). ისმის კითხვა – რამ განაპირობა ყოველივე ეს, თუ არა აჭარის მკვიდრთა მიმართ უნდობლობამ? ის ადამიანები, რომლებიც არ დაქმორჩილნენ რეჟიმს, უმუშევრები ქუჩაში დადიან და არავინ სასაუბროდაც არ ღებულობს, უფრო მეტიც, თბილისიდან დაბრუნებულმა ადამიანებმა შეავსეს ძირითადი სამუშაო ადგილები, ადგილობრივი პროფესიონალი კადრები კი დარჩენ უფრადლებოდ.

საზოგადოება აშკარად გრძნობს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის უთანხმოებას. თუ ვინმე მიაღწევს საკანონმდებლო ორგანომდე, თხოვნაზე პასუხი ერთია: „ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება, ყველა პრობლე-



## გიგანტების

მურ საკითხებზე მიმართედ მთავრობას“, ხოლო მთავრობა თავისმხრივ სხვისკენ იშვერს ხელს. რეალურად არ ჩანს საქმის პატრონი, და ამ დროს ყველა სახელმწიფო ჩინოვნიკი თავის პირად საქმეს იკეთებს. ბატონო პრეზიდენტო! გთხოვთ მოგვისმინოთ, არავინ დაგარწმუნოთ, რომ ყოველივე ეს რამდენიმე განაწყენებული ან ბედის მაძიებელი კაცის შეთხული იყოს. მოგმართავთ ქვეყნის, თქვენდამი პატივისცემით გამსჭვალული ათასობით ადამიანის სახელით, იმ ადამიანებისა, რომლებიც რეჟიმის სუსტიანი დღეების დარბეულ ოფისებში გარეწრების ხელით ნაკურ-ნაკურად დაგლევილ თქენ სურათებს დიდი რუდუნებით რომ ამთელებდა და ტელევიზორში თქვენს გამოჩენისას მხერგალე ტაშით ეგებებოდა. ისინი ენდენ თქვენს სამართლებრივ კურს და ათასობით ადამიანი გააწევრიანა „ჩვენი აჭარის“ რიგებში, რითაც საქართველოს შეუნარჩუნა აჭარა ტრაგიკულ მომენტში. ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა როგორმე გამონახოთ დრო და შეგვზღვდეთ აჭარის რევოლუციის აქტივისტებს. გარწმუნებთ, უშუალო, ღია საუბარი მიმართული იქნება ქვეყნის საკეთილდღეოდ, საქართველოს ხვალინდელი ბელნიერებისათვის და არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაფუძნებული რაიმე პირად ამბიციებზე. გვენდეთ ბატონო პრეზიდენტო ჩვენი ქვეყნისა და კუთხის ჭეშმარიტ პატრიოტებს, ვინც ყოველთვის უშიშრად ვებრძოდით და კვლავაც შევებრძოლებით უწნეობასა და ქვეყნის მტრებს. თქვენი მეთაურობით სამუდამოდ დავამარცხებთ უკანონობას. ჩვენ მრავალათასიან თანამოაზრებითან ერთად მოუთმენლად ველოდებით თქვენს პასუხს, გვჯერა არ დაგვტოვებთ უყურადღებოდ. უღრმესი პატივისცემით აჭარის რევოლუციის აქტივისტები.

ამ განცხადებას ოცდაერთი აქტივისტი აწერდა ხელს: თენგიზ ცეცხლაშვილი, გურამ ხოზრევანიძე, ჯემალ მაკარაძე, ნიაზ მალაყმაძე, სერგო დუმბაძე, იოსებ მამულაძე, ლევან ხოზ-



## გიბაზითი

რევანიძე, ანზორ სოლომონიძე, გურამ სალაძე, ენვერ ქათამაძე, ილია თურმანიძე, თამაზ დავლაძე, გურამ ხიმშიაშვილი, რომან ფუტკარაძე, აწ გარდაცვლილი შუქრი ფარტენაძე, რეშიდ დიასამიძე, ნოდარ იაკობაძე, ბიძინა დუმბაძე, თამაზ გოგიძერიძე, მურმან რევაზიშვილი და ნოდარ სიხარულიძე, რომელიც მეგობრების თხოვნით პირადად ჩავიტანე და ჩავაბარე პრეზიდენტის კანცელარიაში 16.09.2004 წელს ნომრით 15679.

საკონტაქტო მისამართი ჩემი სახლის მისამართი და პირადი ტელეფონი გახლდათ, თუმცა არავინ დამკავშირებია და შეხვედრაც არ შემდგარა...

ერთიც იყო, როდესაც პასუხს მივაკითხე კანცელარიაში ერთი თვის თავზე, იქ მომუშავე ქალბატონმა თავაზიანად გამესაუბრა, ეს იყო და ეს... (წერილის ასლი პარლამენტში თამაზ დიასამიძეს დავუტოვე, მისივე თხოვნით).

ამ წერილთან დაკავშირებით 2009 წლის 7 მაისს მე და ჩემი მეგობარი აზორ სოლომონიძე მიწვეული ვიყავით „25-ე არხზე“ გადაცემა „დიალოგში“, ეს ის პერიოდია, როდესაც ხელისუფლებამ წამოიწყო ახალი კამპანია „დიალოგი ხალხთან“, პოდა მეც ამ წერილს დღის სინათლე ვანახე და მივაწოდე „25-ე არხს“, ასე რომ ჩვენ ადრეც ვთავაზობდით ხელისუფლებას დიალოგს, რის შემდგომაც მიმიწვიეს ტელეკარხზე პროგრამა „დიალოგში“ მონაწილეობის მისაღებად, მანამდე კი ინტერვიუ ჩამომართვა ამავე ტელეკარხის ჟურნალისტმა, რომელიც გაშუქდა საინფორმაციო ბლოგში, სადაც აღნიშნავდი, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის ხიდი იყო ჩატეხილი და რაც დრო გადიოდა, ის უფრო და უფრო ღრმავდებოდა, ამ შედეგის მიზეზი კი თვით ხელისუფლება იყო თავისი არააღეკვატური რეფორმების და კანონების გატარებით.

მანამდე 2004 წლის 28 თებერვალს გაზეთმა „აჭარა P.S.“-მა გამოაქვეყნა ჩემი ინტერვიუ, გთავაზობთ მოკლე ამონარიდს ამ ინტერვიუდან:



## გიბლიონისა

ურნალისტის კითხვაზე – რამ აგიძულად რომ გაწევრიანდით მოძრაობა „ჩვენს აჭარაში?” – ვუპასუხე: თუ აღრე ბატონი ასლანის სადღეგრძელოს ბათუმში ჩამოსული სხვადასხვა კუთხის შვილებთან ერთად მეც ვსვამდი და დიდ პატივს ვცემდი, მისი ბოლოდროინდელი ნაბიჯები არ მაღლევს იმის საფუძველს, რომ მისი მხარდამჭერი ვიყო. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ თავის დროზე მართლა მან შეინარჩუნა აჭარა და დაიცვა მოსალოდნელ ძალადობისაგან, მაგრამ ამჟამად მის გვერდით დგომა აღარ შეიძლება.

კითხვაზე - როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ ფეხზე დადგეს?

მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიყვარული, თორემ 20 თებერვალს რაც მოხდა, ყოველგვარ ნორმებს სცილდება, როდესაც ასლან აბაშიძის მომხრეებმა „ჩვენი აჭარის“ ოფისი დაარბიეს და მათ წევრებს ხელკეტებით გაუსწორდნენ, ვფიქრობ, აჭარაში სამარცხვინო რეჟიმის დასასრულის დასაწყისი დაიწყო. თუ ამ გზით იარა რეგიონმა, ნათესავი ნათესავს გადაეკიდება და ძმა ძმას... ერთხელ და სამუდამოდ, დროა ბოლო მოეღოს ამდენ უკანონობასა და სიმულვილს, რაც გამეფდა ქვეყანაში.

რაც შეეხება უშუალოდ ასლან აბაშიძეს, მას თავისი გარემოცვა დაღუპავს. მჯერა, ყველა საკითხი კონსტიტუციურ ჩარჩოში მოგვარდება. ერთიანობის რწმენითა და ქვეყნის სიყვარულით გახლდით რევოლუციის დღეებში თბილისში (იმ ხანად ჩემი წიგნიც იბეჭდებოდა) ბოლომდე ვესწრებოდი მიტინგებს. მინდა გითხრათ, რომ დიდ იმედებს ვამყარებ პრეზიდენტ სააკაშვილზე და ღრმად მჯერა ქვეყნის ნათელი მომავლის“.

მიუხედავად საყოველთაო შიშისა ხალხი მაინც სოლიდარობას გვიცხადებდა. მათ შორის იყვნენ სამხედროს მაღალ ჩინონები, ისინი ჩვენდამი სიმპატიას გამოხატავდნენ, მაგრამ



## პიგდიონის

არ ამჟღავნებდნენ. მიცემული ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ჩემთან შეხვედრების დროს არ ერიდებოდნენ საუბარს რეჟიმის წინააღმდეგ. გვპირდებოდნენ რომ საპარლამენტო არჩევნებზე თუ მოხდებოდა ძალისმიერი ჩარევა რეჟიმის მხრიდან, მზად იყვნენ ჩვენს გვერდით დამდგარიყვნენ. მეც აღვუთქვამდი, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობას ჩავაყენებდი საქმის ყურში.

როდესაც სიტუაცია დაიძაბა, მე არსენ სურმანიძის მეშვეობით შევხვდი „დემოკრატიული აჭარის“ ერთ-ერთ ლიდერს ბატონ ედუარდ სურმანიძეს. ეს ის პერიოდია, როდესაც აჭარიდან დედაქალაქში დაიწყო სამხედროების გადასვლა და რამდენიმე უფროსი ოფიცერი ჩემგან ელოდებოდა მითითებას (სამწუხაროდ ერთ-ერთი მათგანი, ჩემი მეზობელი, ყოფილი პოლიტპატიმარი – ბეჟან დავითაძე გახლდათ), თუ რა უნდა გაეკეთებინათ ექსტრემალურ სიტუაციაში. მათთან უკვე მქონდა სატელეფონო საუბრები, როგორც ზემოთ ავლნიშნე, მისული ვიყავი „დემოკრატიული აჭარის“ ოფისში და იქ ეს ყოველივე ედუარდ სურმანიძის არყოფნაში მერაბ ქიმინიძეს, მის უახლოეს თანამებრძოლს გავანდე.

24 აპრილს თბილისში, „ჩვენი აჭარას“ ოფისში, შუადღისას შედგა შეხვედრა ჩემსა – ბატონი ედუარდ სურმანიძეს შორის. მან გულთბილად მიმიღო, მე აუხსენი მას, რომ ბათუმელი ოფიცრები მთავრობისაგან ელოდებოდნენ მითითებებს. ყურადღებით მომისმინა, შემდეგ სათანადო მითითებაც მომცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ამის შემდგომ გამომკითხა ბათუმის ამბები, თუმცა მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მან ჩემზე მეტი იცოდა. ედუარდმა თავმდაბალი და უბრალო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, დამშვიდობებისას მან მითხრა რომ, ძალიან მალე შევხვდებოდით ერთმანეთს ბათუმში. ისე აგვსორულებოდეს ყველას ჩანაფიქრი, როგორც ბატონი ედუარდის ეს სიტყვები ასრულდა.



## პიგულიონი

ათ დღეში ბათუმი და სრულიად აჭარა მართლაც განთავისუფლდა აბაშიძის რეჟიმისაგან. ყოველივე ზემოდაღნიშნული იმიტომ გიამბეთ, რომ მეთქვა: როგორც თქვენ გჯეროდათ მოსალოდნები ცვლილებებისა, ასევე მჯეროდა მეც...

ყველას გვახსოვს როგორი ენთუზიაზმით და გულანთებული შეეგება ქართველი ხალხი სააკაშვილს, მაგრამ სულ მალე თვითონ და მისმა დამქაშებმა ყოველივე ეს ბოროტად გამოიყენეს. ხელისუფლების მხრიდან გატარებულმა კაბალურმა რეფორმებმა მოსახლეობა აიძულა პროტესტის ნიშნად გარეთ გამოსულიყო და ღიად დაეფიქტირებინა თავისი პროტესტი, რაც 2007 წლის 7 ნოემბერს მთელმა სამყარომ თვალნათლივ დაინახა. ისიც დაინახა, საქართველოს ხელისუფლების საკუთარი ხალხი – მოშიმშილები, მშვიდობიანი მომიტინგები და თავისუფალი მედია, როგორი არადამიანური მეთოდებით დაარბია, როგორ მიუშვეს გათოშილ ხალხზე წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, როგორ დაუშინეს მათ პლასტიკური ტყვიები და როგორ დასდევდნენ უმწეო მოხუცებსა და ბავშვებს, რომლებსაც ხელკეტებით უმოწყალოდ სცემდნენ. ამ ამარზენმა „სანახაობამ“ კიდევ ერთხელ გაგვახსენა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი კოშმარი, განსხვავება კი მხოლოდ ის იყო რომ, ამჟამად ეს შემზარავი ტრაგედია ქართველ ხალხს თავს დაატეხა მის მიერვე არჩეულმა და ქვეყნის მტრად გადაქცეულმა ხელისუფლებამ.

ცივილიზებულმა სამყარომ მკაცრი და სამართლიანი შეფასება მისცა საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილ ამ ვანდალურ მოქმედებას. მათ შორის, ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველოში უკანასკნელ დღეებში მიმდინარე მოვლენები არ შეესაბამება ევროატლანტიკურ ფასეულობებს.

მალე ამ მოვლენებს მოჰყვა პრეზიდენტის გადადგომა და ახალი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა, რო-



## პირულითება

მელიც ტოტალური გაყალბებით ჩატარდა. სააკაშვილი ისევ მოევლინა ქვეყანას პრეზიდენტად, რომელმაც კვლავ გააგრძელა ანტიეროვნული პოლიტიკის კურსი, ისევ აგორდა საპროტესტო აქციების ტალღა.

აქვე მინდა მკითხველს კიდევ ერთჯერ მოკლედ შევახსენო წლების მანძილზე საქართველოს მოსახლეობის მიერ განვლილი გზა და გავაცნო 2007 წელს დაფუძნებული – „ქართული აკადემიის“ მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია; სადაც ქართველი ხალხის გულისტკივილია გადმოცემული:

**ვინაიდან** უკანასკნელ წლებში საქართველოში მოშხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, განსაკუთრებით კი ხელისუფლების მიერ გატარებულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკაში მოსახლეობის ტოტალური გაღატაკება, უმუშევრობა, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალში საცემი დეგრადაცია, განათლების დონისა და ხარისხის საგრძნობი გაუარესება გამოიწვია;

**ვინაიდან** საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების ფაქტობრივი უზურპაციის პირობებში ყოველგვარ ზღვარს გასცდა ხელისუფალთა სისასტიკე, ძალმომრეობა და უპატივცემულობა კონსტიტუციის, სამართალის ელემენტარული ნორმებისა და მთლიანად საზოგადოების მიმართ;

**ვინაიდან** სახელმწიფო მოხელეთა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სისტემატური ხასიათი მიიღო მოქალაქეთა კერძო საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევა-განადგურების, ადამიანის უფლებათა დარღვევისა და თვით ადამიანთა ფიზიკური ლიკვიდაციის ფაქტებმა, რისი შედეგიცა მოსახლეობაში გაჩენილი შიშის სინდრომი და ნიჰილიზმი;

**ვინაიდან** ფაქტობრივად ერთპარტიული მმართველობის პირობებში ფართო გავრცელება პოვა მნიშნელოვან სახელმწიფო და სამუშაო თანამდებობებზე, საგანმანათლებლო, სახ-



## პიგდიონისა

ელოვნებო და სამეცნიერო დაწესებულებებში არაკვალიფიციური კადრების დანიშვნამ „რეკოლუციური დამსახურების“ მიხედვით;

**ვინაიდან** უმაღლეს ხელისუფალთა პირდაპირი წაქეზებით და მითითებით ქვეყანაში მიმდინარეობს გამოცდილი კადრების პროფესიული საქმიანობისაგან ჩამოცილების პროცესი, რამაც თანდათანობით ასაკობრივი დისკრიმინაციის სახე მიიღო;

**ვინაიდან** მეცნიერებისა და განათლების სფეროში მიმდინარე ფსევდორეფერატორმა, ერთი მხრივ, იწვევს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის გაფანტვას, საქვეყნოდ აღიარებული ქართული სამეცნიერო სკოლების, ხელოვნებისა და კულტურის კერების მოსპობას და, ამავე დროს, შეუძლებელს ხდის სპეცილისტთა ახალი, კვალიფიციური კადრების მომზადებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში;

**ვინაიდან** დაწყებითი და საშუალო სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმებში შექმნილია სრული ინფორმაციული და მსოფლმხედველობრივი ქაოსი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსებლასელებს დაკარგული აქვთ ნებისმიერი სხვა დისციპლინის შესწავლის მოტივაცია, გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებული საგნებისა, ხოლო მკვეთრად გამოხატული ტექნიკური ან სახელოვნებო ნიჭის მქონე მოზარდებს წართმეული აქვთ სპეციალიზებულ სკოლებში სწავლის საშუალება;

**ვინაიდან** დაუფიქრებლად წამოწყებული და აჩქარებული ტემპით მიმდინარე ქვეყნის ხელოვნური ვესტერნიზაციის პროცესი ეროვნულ ცნობიერებას, ტრადიციულ ფასეულობებს, ჩვენს თვითმყოფადობას სრული ნიველირებით ემუქრება,

„ქართულ აკადემიას“ თავის მოქალაქეობრივ ვალად მიაჩნია, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს წინამდებარე დოკუმენტში დეკლარირებული პრინციპები

## პირადობები

და მისთვის ხელმისაწვდომი ყველა კახონიერი საშუალებით ხელი შეუწყოს ამ პრინციპების დამკვიდრებას ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**მუხლი 1.** ქართული საზოგადოება, ქვეყნის ყველა მოქალაქე, სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და აღმსარებლობის მიუხედავად, ვალდებულია ხმას იმაღლებდეს უკანონობის, ძალადობის, ადამიანის პოლიტიკური ნიშნით დევნის, მისი ღირსების, კერძო საკუთრებისა და სიცოცხლის ხელყოფის წინააღმდეგ.

**მუხლი 2.** ქართული საზოგადოება არ უნდა ეგუებოდეს ხელისუფლების მიერ დანერგილ შერჩევით მართლმსაჯულებას, დანაშაულის შეუსაბამო სასჯელს, როდესაც სასჯელის ტკირთი არააღეკვატურად მსუბუქია მმართველ წრეებთან დაახლოებული დამნაშავისთვის და არაპროპორციულად მძიმეა დანარჩენი კატეგორიის მოქალაქეთათვის; თუ ჩვენ ევროპისა და ნატოსკენ ვისწრაფვით, მაშინ არ უნდა ვეგუებოდეთ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ყოველდღიურ, ცინიკურ ფეხქვეშ გათელვას.

**მუხლი 3.** ქართული საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს ქვეყნის კონსტიტუციის დამახინჯების, კერძოდ კი 2004 წელს მიღებული ანტიდემოკრატიული შესწორებების შედეგად ხელისუფლების შტოებს შორის გაჩენილი დისბალანსის სავალალო შედეგებს და ყველაფერს უნდა აკეთებდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. სწორედ ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპის უგულებელყოფა გახდა საქართველოში ერთპარტიული, უფრო ზუსტად, ერთპიროვნული მმართველობის ჩამოყალიბების, საკანონმდებლო ხელისუფლების პარალიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ფიქციად გადაქცევის, სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის, გაუქმებისა და მიუკერძოებული სამართალწარმოების მოშლის მიზეზი.



## პიგდიონისა

**მუხლი 4.** ქართულმა საზოგადოებამ უნდა დაიცვას თავისი მთავარი მონაპოვარი – პროფესიონალ სპეციალისტთა კადრები – ხელისუფლებაში მოკალათებული, ტრენინგებ-გავლილი, მაგრამ გაუნათლებელი პედოკრატიის წერისაგან, აბუჩად აგდებისა და შეურაცხოფისაგან. კადრების მხოლოდ პარტიული ნიშნით და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მეს-ვეურებთან შეთანხმებით შერჩევა გამორიცხავს მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის განვითარებას, ამუხრუჭებს სახ-ელმწიფოებრივ აღმშენებლობას, რყვნის ახალგაზრდობას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ერის მომავალს.

**მუხლი 5.** ქართული საზოგადოება წინ უნდა აღუდგეს მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო, სალიტერატურო და სახ-ელოვნებო კერძების მოშლას, უნივერსიტეტების ავტონომიის ფეხქვეშ გათვლვასა და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებ-ში ისეთი საგანმანათლებლო სისტემის დანერგვას, რომელიც არ იძლევა ფუნდამენტური განათლების მიღებასა და კვალიფიცი-ური დარგობრივი სპეციალისტების მომზადების საშუალებას. მით უმეტეს, რომ ხელისუფლების მიერ რეფორმად წოდებული ძალადობრივი ღონისძიებები სრულ წინაღმდეგობაშია ევროპული უნივერსიტეტების დიდ ქარტიასთან, ლისაბორნის კონვენციისა და ბოლონიის პრიცესის სხვა ფუძემდებლურ დოკუმენტებთან. ჩვენ არ უნდა დავუშვათ ქართველი ერის გადაქცევა მხოლოდ მომსახურეობის სფეროში დასაქმებულ, იაფიასიანი უცხოური საქონლის მომხმარებელ მასად, რომელსაც არ შესწევს ინტელე-ქტუალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნის უნარი. ეს ჩვენი ისტორიის დასასრული იქნება.

**მუხლი 6.** ქართული საზოგადოება გლობალიზაციის პრო-ცესის დადგებით, ყველა ხალხისა და ქვეყნისათვის სასარგე-ბლო ასპექტებს (მაგალითად, ინფორმაციის, კაპიტალისა და შრომისუნარიან ადამიანთა ნაკადების თავისუფალ გადაადგ-



## პირადობის

იღებას) მკაფიოდ უნდა განასხვავებდეს ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის მიზნებისაგან, რომელიც თავისი ბუნებით დაპირი-სპირებულია ეროვნული სახელმწიფოს ცნებასთან, ნებით თუ უნებლიერ, მიმართულია ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ და მოწოდებულია ეროვნული კულტურების, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციული კონფესიების ნიველირებისაკენ. ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის, ეს თანამედროვე დასავლურ სამყაროში მიმდინარე ერთ-ერთი ტენდენციის კონკრეტული გამოვლენაა. ქართველმა საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას ქვეყნის გადაქცევა ზემოხსენებულ ძალთა საცდელ პოლიგონად, რაც ეროვნული იდენტურობის სრული გაქრობით გვემუქრება. ჩვენ წინ უნდა აღვუდეთ ასეთ დამტკველ ტენდენციებს და გვახსოვდეს, რომ ამ ბრძოლაში მარტონი არა ვართ, რადგან მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში სულ უფრო და უფრო მეტი მოაზროვნე ადამიანი ხმამაღლა გამოიწვამს პროტესტს ამგვარი ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

**მუხლი 7.** ამავე დროს, ქართული საზოგადოება მკვე- თრად უნდა გაემიჯნოს მეორე უკიდურესობასაც და არ უნდა დაადგეს ეთნიკური, კულტურული და ეკონომიკური იზოლა- ციის გზას, რომელმაც შეიძლება აგრესიულ ნაციონალიზ- მადლე, კონფესიურ შეუწყნარებლობამდე და შეუსაუკუნეობრივ სიბნელემდე მიგვიყვანოს. ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ თანამედროვეობას, გონიერის თვალით შევაფასოთ მსოფლიო ცივილიზაციის წიაღში მიმდინარე პროცესები, ჰეშმარიტად პროგრესიული იდეები გაგარჩიოთ პროგრესის ნიღაბს ამო- ფარებული მერკანტილიზმისაგან და გზა გავუხსნათ ყველა იმ სიახლეს, რომელიც კულტურის, ზნეობისა და ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

**ხელს აწერენ საქართველოს დაწლმოსილი ადამიანები.**

თბილისი. 12 აპრილი. 2007 წელი.



## პიგადიორისა

ამ მოვლენებთან დაკავშირებით მინდა შევეხმიანო ჩემი უმფროსი მეგობრის – აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის გამოცემულ წიგნს „რეზინის ტყვიიდან საბრძოლო ტყვიამდე ერთი ნაბიჯია“, რომელიც გამოიცა 2007 ნოემბრის მოვლენების შემდგომ: მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის სკამის ხელში ჩაგდების მანით შეპყრობილი შეგნებულად ჩადგა მასონთა სამსახურში, რომლებიც წერენ, რომ „პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო მორალთან. ვისაც ძალაუფლების სათავეში ყოფნა უნდა, ცბიერიც უნდა იყოს და პირმოონეც.“

ესაა მსოფლიო შეთქმულება, რომლის მიზანია მთელი მსოფლიოს სრული დამორჩილება, რომელიც მიღწეული იქნება ყველა ცივილიზაციის მოსპობით, რასებისა და ეროვნებების ერთ მასად შერწყმით, ყველა რელიგიის დანგრევითა და ნებისმიერი ზნეობის მოშლით“.

წიგნში უხვადაა გამოყენებული მკითხველთა წერილები და შეფასებები. ჩვენი მიზანია შევახსენოთ ახალგაზრდა მმართველებს და ვუთხრათ, ნუ აპყოლიან დასავლეთ განგსტერთა ხმას და ნუ ანგრევენ მამა-პაპური ქვითკირით ნაგებნალოლივებ სამშობლოს – საქართველოს. ამერიკა მამა-პაპამ არ იცოდა სად იყო მაგრამ ბრწყინვალედ ცხოვრობდნენ და გრძნობდნენ თავს.

ზემოხსენებულ წიგნში შეტანილი საგაზეთო მასალებიდან მინდა შემოგთავაზოთ მცირედი ამონარიდები: გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 2007 წლის 19 ოქტომბრის (№36-ში) გამოქვეყნებული სტატია: ჩემი ბრალი არ არის ღმერთო!..

ვიხელმძღვანელე შეგონებით და გადავწყვიტე ვიცხოვრო სულმნათი შოთას აფორიზმით „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, შევეხიდო ქვეყნას და ვამცნო,



## პიგულიონება

რომ სამშობლო საფრთხეშია, დამიჯერეთ სიმართლისათვის  
სიკვდილი ჯობია, ამ სიტუაციაში სულის ამოხდომას!..

### იაკობ ახუაშვილი.

**ასე გაგრძელება აღარ შეიძლება – საქართველო უკვე**  
**დაემსგავსა აჩრდილთა ქვეყანას, სადაც ყველაფერი შემთხვევი-**  
**თობაზეა დამოკიდებული, დაიკარგა რეალობისა და სიამაყის**  
**შეგრძნება, სადღაც მივექანებით, ვუახლოვდებით საბედისწერო**  
**ზღვარს, საიდანაც არყოფნამდე ერთი ნაბიჯია!**

**ეროვნული თავისუფლება, რომელიც სახელმწიფოს**  
**ძლიერების პირობა უნდა ყოფილიყო. ტოტალური სისუსტის**  
**მიზეზად გვექცა!**

**დესტრუქციულმა ძალებმა სათავისოდ გამოიყენეს თავი-**  
**სუფალი პოლიტიკური სივრცე, სადაც ადგილი აღარ დარჩა**  
**ეროვნული ძალებისათვის!**

**ჩვენს ქვეყანაში დევალვაციას განიცდის ყველაფერი,**  
**უჭირუობის გარდა!**

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვიღაცას სურს  
საქართველოს გული ამოაცალოს და მის ნაცვლად ავტომა-  
ტური მართვის მექანიზმი ჩაამონტაჟოს, რომელსაც შემდეგ,  
როგორც უნდა, ისე მართავს დისტანციური პულტის მეშ-  
ვეობით!!

**ზომიერების მექანიზმი ინერგება ცხოვრების ყველა სფე-**  
**როში!**

ხელისუფლება დაემსგავსა დაფასთან გასულ მოწაფეს,  
რომელმაც გაკვეთილი არ იცის და გაფაციცებით ელო-  
დება კარნახს, როგორც გადარჩენის ერთადერთ საშველს!..

**ჩვენი ბედი იჭედება არა აქ, მშობლიურ მიწაზე, არამედ**  
**შორს, ცხრა მთას იქით, ოკეანის გადაღმა მდებარე უჩინარ**  
**სამჭედლოებში!**



თავისუფლება ფიქციად იქცა, ვინაიდან ის ორ ნაწილად გახლიჩეს – დეკლარირებულ და რეალურ თავისუფლებად – ხელისუფლებამ მთლიანად მიითვისა რეალური თავისუფლება, დეკლარირებული კი ზალხს მიუგდო სახრავი ძვალივით!

საზოგადოებას აღარაფერს ეკითხებიან – ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გააძვევს პოლიტიკური ცხოვრებიდან, ერთ დროს ეროვნულ-პოლიტიკური პროცესების მონაწილე საზოგადოება ახლა პასიური მაყურებლის მდგომარეობაშია ჩაყენებული!

ქართული სახელისუფლო ნაგებობის ფასადს დღეს დეკლარირებული ლიბერალიზმი წამოადგენს, ინტერიერს კი – არაპროგნოზირებადი ტირანია!

ხელისუფლების ხელში სინამდვილე საგანგებოდ იჩქმალება, სიყალბე კი ზარ-ზეიმით ცხადდება ერთადერთ სავალდებულო ჭეშმარიტებად!..

ზნეობრიობის უნაყოფო სივრცეში გამოიკეტნენ ადამიანები, რომლებიც ცალკე სინდისის ხმას ებრძვიან და ცალკე უკიდურეს გაჭირვებას!

ცხოვრებით უკმაყოფილო ზალხის სამართლიან ჩივილს და გულისწყრომას, ხელისუფლება კი მარტობად აღიქვამს – საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ჩინური კედელია აღმართული!

**კრიზისი საბედისწერო ნიშნებს ავლენს.**

წინასწარმეტყველის ნიჭი არ არის საჭირო იმისთვის, რომ განვჭვრიტოთ მომავალი, სადაც შესაძლოა სრული სიცარიელე გველოდებოდეს!

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ ამ აბსურდულ ვითარებაში, როცა დარღვეულია თანაფარდობა დროსა და აუცილებლობას შორის. აუცილებლობა საკმარისზე მეტია, დრო – თითქმის აღარ არის!



## პიგუირთვება

ფინალის მოლოდინი სიცოცხლის წესია და ეს ყველას უნდა გვახსოვდეს!

ამქვეყნად უსასრულო არაფერია, ყველაფერს აქვს და-საწყისი და ბოლო, რაც იწყება ის მთავრდება კიდეც!

მოვა დრო და ეს ხელისუფლებაც აღიარებს ძალაუფლების სასრულობის წესს, მაგრამ შეიძლება უკვე გვიან იყოს – არ დაგვიანოთ! სანამ ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია სამშობლოს ბედი!

ყველამ უნდა იცოდეს – საქართველო არ არის იმათი, ვინც დღეს ხელისუფლებაშია და არც იმათი, ვინც ამ ხელისუფლებასთან არ არის – საქართველო მარადიული ფენომენია ყველა დროის ქართველისთვის: ვინც იყო, არის და მომავალშიც იქნება!

დღეს ჩვენ გვჭირდება აზრი და მოქმედება!

ჩვენ არ ვეძებთ ახალ ბელადებს, საქართველოს გადარჩენა ხალხის ხელშია!..

ამიტომ! –

ამ საქვეყნო საქმის განსჯისთვის, ჩვენს რედაქციასთან არსებული სახალხო მოძრაობა „გადარჩენისათვის“, 2 ნოემბერს! საქართველოს პარლამენტის წინ მოედანზე დანიშნულ სახალხო აქციაზე, ელოდება საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის აწმყო და მომავალი, ვინც თავს მოვალედ თვლის იბრძოლოს სამშობლოს გადარჩენისთვის!..

მიხეილ სააკაშვილი არასდროს იქნება შუახნისა და ჭარმაგობის ასაკის ჭკუის. მას აქვს 6-დან 14 წლის მოზარდის გონიერივი არეალი და ასევე დარჩება.

იაპობ ახ უაშვილი

მუხათელი



**შეთქმულება საქართველოსა და  
ქართველების წინააღმდეგ**

საუბარი გვექნება ყველაზე ზღაპრულ ბოროტებაზე, რომლის მსგავსიც არ ახსოვს თვით მსოფლიო ისტორიასაც კი. საქართველოს აღგვა პირისაგან მიწისა ლამის დასასრულს უახლოვდება, მავანი ქართველი კი მშვიდად პირმოთნეობს: „ამაზე უარესი დღეები ჰქონიათ წინაპრებს, მაგრამ მაინც გადავრჩენილვართ“. ასეთ დღეებში ქართველობა არასდროს ყოფილა. დღეს, არც ქუჯი გვყავს, არც ცოტნე და არც დიდი დავითი, რომელიც წინ გაუძღვება ერს და იხსნის ქვეყანას მასონური „უხსენებლისაგან“. ანტიქრისტეს ბეჭედი ციფრით **666** მომაკვდინებლად დაუსვა ქართულ სულს, ქვეყანაში დამყარდა აპოკალიფსური მცოცავი რვაფეხას ხელისუფლება, რომლის შემადგენლობის დიდი ნაწილი ლაპარაკობს მასონ – სიონისტთა ენაზე და აზროვნებენ მათი დაუნდობელი კატეგორიების მიხედვით.

მსოფლიოს ხალხთა ყურადღება საქართველოსკენაა მოპყრობილი. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ხედავენ თუ როგორ იძირება ქვეყანა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მოკაშკაში ვარსკვლავი იყო მსოფლიო კაბადონზე და მისგან იღებდნენ მის დადებით მაგალითს დიდი თუ პატარა სახელმწიფოები. შორს რომ არ წავიდეთ, ხალხს, რომელსაც ჰყავდა მეფე ფარნაოზი, გორგასალი, დავით IV, მეფე თამარი, ერეკლე II (იგივე პატარა კახი), დაცინვაა პირველ კაცად ჰყავდეს ჩვენთა მტერთა მიერ მოყვანილი კაცი, რომელიც (გაზეთი „ჯორჯიან თამასი“) გიორგი არჩემაშვილმა იგი დაახასიათა, როგორც ამბიციური, ექსტენციური, შმაგი, ჭკუაგადასული, მოღალატე, ანგარებიანი. მწერალმა რევაზ მიშველაძემ კი „20 რჩევა პრეზიდენტს“ („მწერლის გაზეთი“ (№5 1–15 აპრილი, 2005 წ.) აღნიშნა: „ოქვენი არაეროვნულობა, უპირველეს



## პირადობის განვითარება

ყოვლისა, ქართულ მწერლობასთან დამოკიდებულებაში ჩანს. ყველაფერში გეტყობა, რომ გძულს მწერლობა და მწერალთა კავშირი. დარწმუნებულია, რომ ქვეყანა ჩაღითაა დახურული, მან არ იცის, რომ ცხვარი ცხვარია და თუ კი გაბრაზდა ცხარია. ნაადრევად მოიყვანა მისაილმა ჟამი ასეთი. ქართველი ქალი, დედაა მანდილოსანი გულიდან და მწამსიდან გამოსულ ცხრა შეკითხვაში ითხოვს პასუხს სიტყვისა და ფიცის გამტეს პრეზიდენტისაგან.

აი ისიც:

### ქართველი დედის ცხრა შეკითხვა მიხეილ საკაშვილს

1. ბატონო პრეზიდენტო, თუ ირაკლი ოქრუაშვილი ქვეყანას აქცევდა, ის ხომ თქვენს გვერდით იდგა. რატომ მაშინ არ ალაგმეთ მისი ქმედება, საინტერესოა როგორ იმუშავა მან ასეთ საასუხისმგებლო თანამდებობაზე?

ირაკლი ოქრუაშვილმა ეხლა ის ნაბიჯი გადადგა, რომელიც გმირობის ტოლფასია. ჩემს თვალში იგი მედგარი მტკიცე შუპოვარი ქართველი ვაჟკაცია. როგორც ქართველ დედას, მიყვარს ირაკლი, მას ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას ვუსურვებ.

ბატონო პრეზიდენტო! ამ კითხვებს გისვამთ არა პოლიტიკოსი, არამედ ერთი უბრალო მოკვდავი ადამიანი, ქართველი დედა:

2. გაინტერესებს როგორი საქართველო შენდება, სად იცხოვრებენ მომავალში ჩვენი შვილები და შვილიშვილები?

3. რატომ გვიკლავენ საქართველოში შვილებს და რატომ არ ხდება გამოძიება?

რა იყო ირინა ენუქიძის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი?

4. კახელმა მევენახემ რატომ დაიწყო ვაზის აჩეხვა? რაც კახეთში მოხდა შაჰ აბასმაც ვერ მოახერხა!



## გიგანტები

5. რატომ შიმშილობს ქართველი წალხი?
6. რატომ დაგვცინიან პარლამენტარები, განსაკუთრებით მაია ნადირაძე და გიგა ბოკერია პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან?
7. რატომ ითხოვენ სამსახურიდან გამოცდილ სპეციალისტებს, რატომ არა აქვს ფასი პროფესიანალიზმსა და პატიოსნებას?
8. რატომ იყიდება საქართველო?
9. რა ხდება? ქართველი დედები რატომ ისტუმრებენ ბავშვებს სანაგვეზე?

### ზარია გორგობე

2009 წელს თბილისში რეჟიმის პროტესტის ნიშნად ხალხმა საკნები დადგა, თუმცა შედეგი კვლავ ვერ მივიღეთ. ამ აქციებში აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი გახლდათ ჩართული. საკნებში ვავრცელებდით ჩემს მიერ გამოცემულ ბროშურას სახელწოდებით „ბმა“ სადაც ძირითადად შესული იყო აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის წევრების მიმართვები და ლექსები, რომელშიც გადმოცემული იყო ქართველი წალხის გულის ტკივილი და ასახავდა დღევანდელი საქართველოს გაუსამლის ყოფას.

ავტორები: ვახტანგ ახვლედიანი, ნიაზ ბოლქვაძე, მზევინარ ძირკვაძე, გულიკო გაბაიძე, ნოდარ (სპარტაკ) ვანაძე და თქვენი მონამორჩილი თ. ცეცხლაშვილი ჩვენ გამოვხატავდით გულისტკივილს ქვეყნის სევ-ბედზე და იმ აუტანელ არსებულ რეჟიმზე, რომელმაც ქართველ ერს წაართვა თავისუფლება, ტრადიციები და მომავლის რწმენა.

სახალხო კრების ინიციატორები: ჭაბუა ამირეჯიბი, ნონა გაფრინდაშვილი, რობერტ სტურუა, სოსო ცისკარიშვილი,



## პირადობები

ელიზბარ ჯაველიძე, გოგი ქავთარაძე, ლუკა კურტანიძე, ირაკლი ბათიაშვილი, მინდია სალუქვაძე... ჩვენი ქვეყნის ათასობით მოქალაქესთან, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთან ერთად 2010 წლის 29 სექტემბერს, თბილისში, სახალხო წარმომადგენლობითი კრების მოსამაშადებელ კონფერენციაზე შეიკრიბენ და საჯაროდ განაცხადეს, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ სააკადემიური წინააღმდეგ სამშობლოს გადასარჩენად. 20 ოქტომბერს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში შედგა შეხვედრა სახალხო კრების დამფუძნებლებთან, სადაც მეც ვიყავი მიპატიუებული და გავწევრანდი მათ რიგებში.

2010 წლის 19 აპრილს ბათუმში სახალხო კრების ლიდერები ჩამოვიდნენ. ილია ჭავჭავაძის ძეგლთან აჭრის სახალხო კრების წარმომადგენლებმა საზეიმო ვითარებაში დავდევით ფიცი, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოლებდით საბოლოო გამარჯვებამდე.

ფიცის დადების შემდეგ დრო ვიხელთე და სახელოვან მოჭადრაკე, ნონა გაფრინდაშვილს თავი შევახსენე. მას პირველად ბათუმში ჩამოსვლისას, ჩემი წიგნი – პოემა „გვირგვინისანი“ გადავცი საჩუქრად. ამ წიგნის გადაცემას მისთვი გამოცემის დღიდანვე ვცდილობდი, რათა როგორც ჭადრაკის სამყაროს გვირგვინოსანისთვის მიმერთვა, ის ხომ საქართველოს მრავალგზის, ხუთგზის მსოფლიო და თერთმეტიგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ, ქალი ლეგენდა... მან გამიღიმა და თაგაზიანად მიპასუხა – „თქვენი ტელეფონი მოვიძიე და თქვენთან დაკავშირება მინდოდა, კარგია რომ შემეხმიანეთ, თქვენი წიგნი ჩემი ბიბლიოთეკის ბინადარი გახდაო“. ამ სიტყვების გაგონებაზე ტანში რაღაც აუწერელმა სიხარულის სითბომ გადამიარა, შემდეგ უფრო გავთამამდი და მასთან ერთად სურათიც გადავიღე, რის შემდგომ სახალხო კრების



## გიგანტები

ოფისისაკენ გავეშურეთ, გზაზე ქალბატონები: ნათელა დუმბაძე ციალა სურმანიძე და მზევინარ ძირკვაძე შემოგვიერთდა. მე ქალბატონ ნონას ბათუმში მისი ჩამოსვლა შევახსენე ველორბოლელ აწ გარდაცვლილ – ომარ ფხაკაძესთან ერთად, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონებს ბათუმის საზოგადოება გულმხურვალედ დახვდა. „ამას რა დამავიწყებსო“ მიპასუხა ონდავ სევდიანმა... გზაში ვისაუბრეთ საჭირბოროტო თემებზე, შემდეგ მან გურულებზე ანეგდოტი გაიხსენა, რამაც ძალიან გაგვახალისა... ამასობაში ოფისაც მივაღწიეთ და ერთმანეთს დავშორდით, ის დარბაზში შევიდა, სადაც ლიდერები იმყოფებოდნენ, მე კი მოსაცდელისკენ გავეშურე, სადაც ზღვა ხალხი ირეოდა... შესული არ ვიყავი ჩემი გვარის ძახილმა მიიჰყორო ჩემი ყურადღება. ჩვენი მდივანი – ანა მიქელაძე მომიახლოვდა და მისაყველურა: სადახარო ბატონო თენგიზ, ხალხი გელოდებათო და დარბაზში შესვლა მთხოვა. მეც დაუყონებლივ შევედი, აბა რას ვიფიქრებდი, რომ სახალხო კრების ლიდერებთან წარვდგებოდი მოხსენებით... დარბაზი გადაჭიდილი იყო, როდესაც შევედი მეგობრებმა წინ დამაყენეს და ერთ ნაბიჯის მანძილზე აღმოვჩნდი მაგიდასთან გვერდით მჯდომ ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან. პირი გამიშრა, წყლის დალევა ისე არასოდეს არ მომწყურებია მეონი, იმ წამს რომ მომინდა... მასთან გვერდით წარმომადგენლობითი სახალხო კრების აჭარა-გურიის კორდინატორი – ქალბატონი მანანა სალუქევაძე იჯდა, მარჯვნივ, სავარიძელში ქალბატონი ნინა გაფრინდაშვილი იჯდა, იქვე იჯდნენ ბატონები: ელიზ-ბარ ჯაველიძე, ვახტანგ ახვლედიანი, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ შაშიაშვილი, გია ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე და ჩვენი დარბაზის წევრები, მათ წინაშე ვიდექით და კითხვებს ვპასუხობდით. ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ბატონები: გია ბურჯანაძე და ირაკლი ბათიაშვილი აქტიურობდნენ. ისინი



## პიგულიშვილი

კონკრეტიკას ითხოვდნენ ამა თუ იმ საკითხზე ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოს ირგვლივ. მათ ამომწურავი პასუხი გავეცი. ასეთ უმაღლესი რანგის აუდიტორიასთან პირველად ავღმოჩნდი პირისპირ, შინაგად ვღელავდი, თუმცა მათთან კითხაპასუხის რეჟიმში მყოფმა ეს ყოველივე ჩემდაშეუმჩნევლად დავძლიე. დაახლოებით ოცი წუთს მისმენდნენ ყურადღებით, მათ კითხვებსაც გავეცი ამომწურავი პასუხი, რის შემდეგ სამომავლო გეგმა შეიცვალა. თათბირის დამთავრების შემდეგ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ მასთან მიმიხმო, მეგობრულად გამიღმა და მითხრა – აბა შენ იცი, არ დაგვაღალატოო, მეც ჩემი მხრიდან მტკიცედ დავპირდი, რომ დანაპირებს ჩვენი გუნდი შეასრულებდა, შემდეგ დასმინა: პარლამენტში თქვენი დატოვებული წიგნი „გვირგვინისანი“ გადმომცესო და მაღლობა გადამიხადა. ამის გაგონებაზე სიხარულისაგან ხელზე ვეამბორე.

მართლაც, გამოცვლილმა გეგმამ შედეგი გამოიღო, სახალხო კრების რიგებს ასეულობით ადამიანი შემოუერთდა...

**2011 წლის 2 მაისს „სახალხო კრებამ“ სამოქმედო გაემა გამოაცხადა და მიიღო გადაწყვეტილება:**

„თბილისის, აჭარისა და გურიის სამოქალაქო წინააღმდეგ-გობის რაიონულ კომიტეტებს უნდა ეზრუნათ მხარდამჭერთა შეკრებისა და აქციის გამართვისათვის 21 მაისს თბილისში თავისუფლების მოედანზე და ბათუმში ერას მოედანზე 15 საათზე.“

21 მაისისთვის ბათუმში ელიზბარ ჯაველიძისა და თემურ შაშიაშვილის ხელმძღვანელობით თბილისიდან, სახალხო კრების ცენტრალური ოფისიდან რამოდენიმე ადამიანი ჩამოვიდა, რათა ორგანიზება გაეწიათ ბათუმში ჩასატარებელი აქციისათვის, რომელიც თბილისში დანიშნული აქციების პარალელურ რეჟიმში უნდა გამართულიყო.



ბათუმში აქცია დაიწყო დანიშნულ დროზე – 15 საათისთვის. არ ვიტყვი, რომ გადაჭრილი იყო ერას მოედანი, მაგრამ იმ დღეს ბევრი ხალხი მოვიდა, აქედან უმეტესობა რაიონებიდან გახლდათ ჩამოსული. მიტინგზე გამომსვლელები ერთმანეთს ცვლიდნენ. აქციას პათოსი არ აკლდა. მობილური ტელეფონების საშუალებით ხორციელდებოდა კავშირი თბილისის მიმდინარე აქციასთან, მას საჯაროდ ბატონი თემურ შაშიაშვილი ახორციელებდა. გამომსვლელთაგან აქტიურობდნენ: ბატონები: ელიზბარ ჯაველიძე, ვახტანგ ახვლედიანი, ნიაზ ბოლქვაძე, მურმან ლუმბაძე და ცოტნე ანანიძე და ქალბატონი მანანა წულუკიძე.

სადღაც ექვსი საათისთვის თემურ შაშიაშვილმა აქციის წევრებს აჭარის ტელევიზიასთან გადასვლა შესთავაზა, ეს მისი ასეთი გადაწყვეტილება ჩემთვის ცნობილი არ იყო. ხალხი აჰყვა ამ მოწოდებას და ბევრი მომიტინგე დაიძრა ტელევიზიისკენ. მე იქვე დავრჩი სხვებთან ერთად, რათა მიტინგზე ერას მოედანზე განლაგებული ტექნიკა და პერიმეტრის დაცვა განმეხორციელებინა დარჩენილ შეფიცულებთან ერთად, თუმცა ერთჯერ გადავედი ტელევიზიასთან, სადაც ისმოდა ერთ-ერთი გამომსლელის ხმა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ უკან დავბრუნდი. დაბრუნებულს გოჩა მუხაშავრია შემეხმიანა, რომელიც ერას მოედანზე მოსულ ადამიანებს ესაუბრებოდა – იქეთ ხომ მშვიდობაა? შემეკითხა და მეც უმაღუპასუქე – კი მეთქი და იქვე მდგომქითან დავიწყე ბაასი. ჩემი დაბრუნებიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ყვირილის ხმები შემომესმა. ტელევიზიის შხრიდან მომიტინგები მორბოდნენ ჩვენი მიმართულებით. მე და გოჩა მათკენ გავიქცით, მათ თურმე, როგორც გავიგე პოლიცია დაედევნა. მოქალაქეებს ტელევიზიის მინები ჩაუმტრევია ქვებით. შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ეს საქმე პროვოკატორების მოწყო-



ბილი ყოფილა. სიტუაცია შემდგომ დასტაბილურდა. აქციის მონაწილენი ისევ დაუბრუნდნენ ერას მოედანს და მიტინგი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. მალე გაწვიმდა და ხალხმაც იკლო. იქვე გავშალეთ ცელოფანი და თავი შევაფარეთ წვიმას. გადაუდებლად წვიმდა, მიუხედავად მიღებული ზომებისა ძალზედ დავსველდით. თავდაპირველად იქ ღამის გათენებას ვაპირებდით, მაგრამ შემდგომში მითითება მივიღეთ, რომ ოფისში დავბრუნებულიყავით და დაახლოებით თერთმეტი საათისათვის ოფისს მივაშურეთ. (ეს ყოველივე წინასწარ იყო ეტყობა გავლილი, რომ ოფისში მომხდარიყო სახალხო კრების წევრების დაპატიმრება. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ მაისის მოვლენების შემდგომ გავიგეთ ბატონ ელიზბარ ჯაველიძისაგან, რომ ერთ-ერთი „სახალხო კრების“ წევრი მოვლენილი თბილისიდან სამწუხაროდ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ყოფილა მხილებული). ჩვენს შორის იმყოფებოდნენ გურიის რეგიონის წარმომადგენლებიც. ერთი მათგანი ლანჩხუთელი – გიორგი გურგენაძე ძალზედ აქტიურობდა. ოფისში რომ მივედით ის ხალხით იყო გადატენილი. სადღაც თორმეტ საათისაკენ ანზორ სოლომონიძემ გამოაცხადა, რომ თავისუფალი ვიყავით და მეორე დღისთვის დაგვიბარა. ბათუმელებმა შინისაკენ გაგწიეთ, ხოლო რაიონებიდან ჩამოსულები დარჩნენ.

ღამის პირველის ხუთი წუთი იყო, როდესაც სახლში მიმავალს ცირკათან ჩემი ერთი ნაცნობი უურნალისტი შემხვდა და მისგან გავიგე, რომ ტელევიზიის შენობის შესასვლელთან სამართალდამცავები ოპერატიულ საქმიანობას ატარებდნენ. მე მას დავემშვიდობე და ტელევიზიის შენობისაკენ წავედი. იქ არავინ იდგა, გავცდი თუარა შენობას, იმწამსვე ანზორ სოლომონიძეს დაურეკე, ეს ყოველივე ვამცნე და გავაფრთხილე, რომ შენობა დაეცალათ. სახლში მისულმა ტელევიზიორი ჩავრთე. 25-ე არხზე ჩვენი მიტინგის სიუჟეტებს აჩვენებდნენ.



## გიგანტები

ღამის ორი საათისაკენ გოჩა მუხაშვირიამ დამირეკა და გამაგებინა – ჩვენი ბიჭები „დახვეტენო“, მე რატომდაც მომესმა დახვრიტესო, ეს ჩემს გვერდით მდგომა მეუღლემაც გაიგონა, ის მობილური ტელეფონის გვერდით აღმოჩნდა იმ წამს, მას ჩაი გამოქონდა. კარგა ხანს წელში მოხრილს თავი ხელებში მქონდა ჩაფლული. ისევ მეუღლის ხმამ გამომიყვანა მდგომარეობიდან. – ახლა რას აპირებო? მომიგო. მე ავდექი და ქალაქის ტელეფონით დავრეკე ოფისში. ის არ პასუხობდა... იმ დროს რა არ წარმომიდგა თვალ წინ... ცოტა ხნის შემდეგ ძალა მოვიკრიბე და დარეჯან დიასამიტეს დაურეკე მობილურით, ჩემს კითხვაზე სად იმყოფებოდა, მან გაბრაზებული ტონით მომიგო – მე აქა ვარ ოფისში, შენ კი საღხარო? როცა ეს გავიგე ტელეფონი გაუთიშე და იმ წამსვე გოჩას გადაურეკე. – ბიჭო ეს უბედურება ვინ შეგატყობინა მეთქი, მან მიპასუხა – „მე ბიჭების დაჭერის შესახებ გამცნე“. იმ წამსვე ხელმეორედ დარეჯანს გადაურეკე, რომელმაც შემატყობინა დაჭერილი ამხანაგების ვინაობა, მან დასძინა გოჩასაც ეძებენო, დასაჭერი სიით მისულან თურმე და მათ შორის გოჩაც ყოფილათ. იმ წამსვე ისევ გადაურეკე გოჩას და გავაფრთხილე, მეც სადმე წავალ მეთქი უთხარი ძალოვნების დასაბნევად ტელეფონში, თუმცა სახლში დავრჩი. ეტყობა ანზორ სოლომონიძემ ვერ მოასწრო ჩემი დარეკვის შემდეგ სათანადო ზომების მიღება, ან ვერ გაერკვა მოცემულ სიტუაციაში.

როგორც მეორე დღეს ოფისში გავიგე, გოჩა მეორე დღეს დაიჭირეს ქალაქში, ასევე დააპატიმრეს დავით ფარტენაძე, რომელიც თვეების მანძილზე ბატონ ვახტანგ ახვლედიანის უსაფრთხოებას იცავდა პირნათლად.

იმ დამეს რა დამაძინებდა... სახლიდან არსად არ გავსულვარ. მეორე დღეს დილიდან ოფისში რომ მივედი, ოფისი არეულ-დარეული დამხვდა და იქ მყოფნი წინა ღამის

დარბევის ეპიზოდებს იხსენებდნენ. ზოგს თავი ჰქონდა გახ-  
ეთქილი, ზოგს ჩალილავებული სახეები ჰქონდა, ზოგი სავად-  
მყოფოში იყო მოთავსებული, ზოგმაც იარაღის გასროლაზე  
შიშისაგან მეორე სართულიდან გადახტომით უშველა თავს  
და სხეულის სხვადასხვა დაზიანებები მიიღო. ამ მოსმენილით  
გაოგნებული დავრჩი. როგორც შემდგომში გავიგე, იმ და-  
მეს დაზარალებულებს სავადმყოფოში ქალბატონმა – მანანა  
სალუქვაძემ და დავით რობაქიძემ უპატრონა.

მალე ოფისში მოვიდნენ ბატონები: ვახტანგ ახვლედიანი,  
ელიზარ ჯაველიძე, თემურ შაშიაშვილი, გურიიდან ჩამოსული  
მეგობრები და სხვები. სახალხო კრების აქტივისტებთან ერ-  
თად მოვაწყეთ აქცია. მსვლელობა დავიწყეთ ილია ჭავჭავაძის  
ძეგლიდან, იქ დაჭერილების მხარდამჭერი მიტინგი გაემართედ,  
შემდეგ გადავინაცვლეთ მემედ აბაშიძის ძეგლთან და აქედან  
მოყოლებული ქალაქის ქუჩებში მოვაწყვეთ მსვლელობა. მე  
ერთ მხარდამჭერს ხუმრობით უთხარი – მეუღლემ გუშინ  
საღამოს მისაყვედურა ტელევიზორში რატომ არ ჩანდი, ხომ  
არ ემალები ხალხსო? ჰოდა დღეს უნდა ვიაქტიურო-მეთქი,  
ვიხუმრე.

იმ საღამოს ბევრი დაიჭირეს, დილისაკენ ზოგიერთი  
გაანთავისუფლეს, მაგრამ თხუთმეტი წევრი კი დატოვეს  
საპყრობილები, აქედან 23 მაისს ბათუმის სასამართლომ  
ადმინისტრაციული ორ თვიანი პატიმრობა მიუსაჯა: –  
თემურ ჭანტურიშვილს, დავით სამნიძეს, ჯამბულ შარაბიძეს,  
ემზარ ქადიძეს, მარად სოლომონიძეს, როლანდ ხოზრევანიძეს,  
ჯამბულ ფარტენაძეს და როლანდ აბულაძეს, ხოლო  
სისხლის სამართალის საქმე აღძრეს და წინასწარი ორ  
თვიანი პატიმრობა შეუფარდეს: ანზორ სოლომონიძეს, გოჩა  
მუხაშავრიას, დიმიტრი ჭეიშვილს, დავით ფარტენაძეს, ტარიელ  
ფუტკარაძეს, ხვიჩა გამარჯვებაძეს და ვახტანგ სიორიძეს.



აქციის დამთავრების შემდეგ გადაწყვდა აჭარისა და გურიის რეგიონების სახალხო კრების წევრების თბილისში გამგზავრება. ზოგი იმ დღესვე გაემგზავრა, ხოლო უმეტესი ნაწილი 23 მაისს დღის მეორე ნახევარში. მე ბატონ ნოდარ წულუკიძის მანქანით გავემგზავრე. ეს ადამიანი აჭარაში „სახალხო კრების“ დაარსებიდან ჩვენს ჭირსა და ლხინს იზიარებს 26 მაისის დამის ჩათვლით.

ბევრი მანქანა გზიდან პატრულის სამსახურმა დააბრუნა სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის იყო ისმაილ აბაშიძე, ერთ-ერთი შეფიცულთა რაზმის ხელმძღვანელი, რომელმაც დარბევის დროს ოფისში ტრამვა მიიღო, მაგრამ ამის მიუხედავად თბილისში გამგზავრებაზე უარი არ განუცხადებია. მისი მანქანა პატრულმა გზაში დააკავა და საჯარიმოზე გადაიყვანა.

ქუთაისის გასასვლელთან მანქანები ერთ კოლონად დაირაზმა და ორმოცდაათზე მეტი მანქანით ჩართული ფარებით და სიგნალებით თბილისის გზას დავადექით... აქვე დავსძენ, რომ ნოდარ ცინცაძემ და გურამ ხოზრევანიძემ თავი კარგად გაართვეს თბილისში გასამგზავრებელ ხალხის ტრანსპორტირების საკითხს.

კოლონას თავში თემურ შაშიაშვილის ავტომანქანა უძღვებოდა, მათ უკან გადამდები ჯგუფი მიჰყებოდა, ხოლო უკან ჩვენი მანქანა მიდიოდა. ავტოკოლონას ბორის მექმარიაშვილი ხელმძღვანელობდა, ის აკონტროლებდა მიმავალ მანქანებს. ბორისი ორგანიზებული ადამიანი გახლდათ და შედეგიც სახეზე გვქონდა, დედაქალაქში უპრობლემოდ ჩავედით.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა თბილისში ჩავედით. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ტელევიზიის შენობასთან მიტინგი გრძელდებოდა. მანქანიდან გადმოსულ ქალბატონი მანანა სალუქვაძე შემეგბა, უზარმაზარ სატვირთო მანქანაზე სპეციალური სცენა იყო დამონტაჟებუ-



## პილტონთვე

ლი, რომელზეც სახალხო კრების ლიდერები შენაცვლებით გამოდიოდნენ.

მე და ქალბატონი მანანა სცენაზე ავედით. მე იქ მყოფთ სახალხო კრების ლიდერებს მივესალმე. გია ბურჯანაძემ მომიტინგებს აჭარიდან ჩამოსული დელეგაციის შემოერთება აუწყა. მიტინგს აღტაცების ტალღამ გადაუარა, რაღაც საოცარი სანახაობის მოწმე გავხდი, ისმოდა შემახილები: ჩვენ ძმებს უშიშარ აჭარლებს გაუმარჯოს! ძალა ერთობაშია! ხალხი ტაშს გვიყრავდა და გვეფერებოდა...

გია ბურჯანაძემ მთხოვა მომიტინგებისთვის მიმემართა. მე მათ ტრიბუნიდან მივესალმე და ამით შემოვიფარგლე, რადგან ჩამოსულები იყო მისახედი და გავეცალე იქაურობას. სუფრასთან სადღეგრძელოებს კი არაკრაკებ, მისაყველურა ერთმა ჩემმა მეგობარმა და ახლა რა გჭირსო? მე კი ასე ვუპასუხე – სუფრასთან, ზოგი ლაპარაკობს, ზოგიც მიირთმევს და ჩემი მოსმენისთვის არავის არ სცალია-მეთქი. საზოგადოების წინაშე, როდესაც ყველა შენ შემოგეურებს თვალებში, უცებ რომ წაიბორძიკო სირცხვილია. არამაქს პოლიტიკური განცხადებების ნიჭი და გასაკვირიც მე მგონი აქ არაფერია.

გია ბურჯანაძის ახალი მოადგილე, (გენერალი უჩავა ამ დროისთვის დაპატიმრებული გახლდათ), გამაცნეს ავთო ჯოხაძე, რომელმაც ჩასულები საქმის კურსში ჩაგვაყენა, პოლოვატორების მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმისთვის მზად რომ ვყოფილიყვავთ, მიტინგი სპეცნაზელების გარე-მოცვის ქვეშ მიმდინარეობდა, ფაქტიურად ალყაში ვიყავთ.

რადგანაც ბევრ შეფიცულს გზაში პოლიციები შეექმნათ და მიტინგზე დროზე ვერ ჩამოვიდნენ. (ისინი მოგვიანებით შემოგვიერთდნენ), ამიტომ დასახმარებლად მივმართე ხელვჩაურის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარეს – ქალბატონ ციალა სურმანიძეს, მას ყოველთვის ჰყავდა სათანადო ხალხი მობი-



## პირადობის

ლიზებული, რომელიც გამოიჩინდა დიდი დისციპლინით და ახლაც მას დარაზმული შეფიცულთა რაზმი უწმვენებდა მხარს – ბატონ იაშა გვანიძის და თამაზ ხალვაშის თავკაცობით. მათ ვითარება ავუხსენი და დახმარება ვთხოვე, რათა გვერდში დაგვდომოდნენ. ჩვენ ბოლომდე ერთად ვიდექით...

იქ ორი ღამე ვიდექით ფხიზლად, ისე თვალს თუ მოატყუებდი სახელდახელოდ იქვე გამლილ პალატკებში, ან სადმე მიწაზე, სხვა საშუალება იქ არ იყო, ისიც იმ შემთხვევაში ადგილი თუ იყო.

აქ, ამ ვითარებაში ბევრი ჩვენიანი იდგა ვაჟკაცურად, ხოლო შოთა ტუღუშს, ნუგზარ კეკელიძეს, ირაკლი დარჩიას და თამაზ დანელიას კი ერთი წუთითაც არ მიუტოვებივარ. თუმცა ისეთებიც აღმოვაჩინე, საღამოობით ქალაქში რომ მიღიოდნენ ღამის გასათვად. ერთი შეფიცული თვალს დამაკლდა, მას გადაურევე, სადა ხარ-მეთქი და მან მიპასუხა – „სცენის უკან ვიმყოფებიო“. ვთხოვე ტელევიზიის მთავარ შესასვლელონ მოსულიყო, პატარა პაუზის შემდეგ მიპასუხა – „არ გეწყინოს ქალაქში ვარ ნათესავთანო“. ისე იცოცხლე, ეს ბრგე შესახედაობის ახალგაზრდა თავს დებდა ვაჟკაცობაზე... თუმცა რას იზამ, ნათქვამია „ადამიანი გასაჭირში იცნობაო“... ამ დროს ნონა გაფრინდაშვილი და სახალხო კრების სხვა ლიდერები ჩვენს გვერდით იმყოფებოდნენ და ღამეებს თეთრად ათენებდნენ.

გათენდა, მე და თამაზ დანელია იქვე ვიდექით ტრიბუნიდან ოდნავ მოშორებით, რომ ჩვენი მიმართულებით რამოდენიმე ბრგე ვაჟკაცი მოაბიჯებდა, უცებ ერთმა შორიდან გაგვიღიმა და ჩვენი მიმართულებით წამოვიდა. ეს ბადრი ბიწაძე გახლდათ. ის ჩემთან შეჩერდა, გადამკოცნა, მეგობრულად მომიკითხა, და გზა ისევ განაგრძო. მისმა ნახვამ დილიდან ბიჭებს ძალა შეგვმატა. ის ადრე გახლდათ ჩამოსული ბათუმში. მასთან კრების წევრებს, გულახდილი საუბარი

გვქონდა. პირდაპირ დავუსვით კითხვა – ლიდერები უკან ხომ არ დაიხევდნენ? – მაგრამ მან დაუყონებლივ გვიპასუხა, რომ ბოლომდე ერთად ვიქებოდით! მისი ჩამოსვლა, ჩვენი წევრის, შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთი მეთაურის – ნუგზარ ჯიჯავაძის დაკრძალვას დაემთხვა, ღმერთმა აცხონოს მისი სული, საქმიანი და ვაჟებული კაცი იყო. ბატონი ბადრი და გია ბურჯანაძე სოფელ მახინჯაურში დაკრძალვაზე იმყოფებოდნენ და ამ ოჯახს მატერიალურადაც დაეხმარნენ.

არ ვიქები მართალი, ჩვენი კუთხის შეუპოვარი და ენერგიული მანდილოსნები რომ არ მოვიჩსენიო: ციალა სურმანიძის, მზევინარ ძირკვაძის, დარევან დიასამიძის, ლია შაქარიშვილის, ლეილა სარჯველაძის, ნანული დუმბაძის, ნათელა ხარაზის და სხვების სახით, რომლებიც მიტინგს ძალას მატებდნენ.

ჩვენი ჩასვლის შემდეგ კიდევ ორი დღე ღამის განმავლობაში ველოდით, რომ საზოგადოებრივი არხი სახალხო კრების ლიდერებს ეთერს დაუთმობდა, რათა საქართველოში, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ სიმართლე გა-ჟღერებულიყო, მაგრამ ამაოდ...

25 მაისს დღის სამ საათზე მიტინგი პარლამენტისკენ დაიძრა...

კოლონას წინ ნონა გაფრინდაშვილი და ნინო ბურჯანაძე მიუძღვდათ. ნონას გადაადგილება უჭირდა, მაგრამ ის შეუპოვრად მიიწევდა წინ, რითაც გვაგულიანებდა. ეს ჩვენთვის უხმო მოწოდება იყო! ჩვენს უკან ზღვა ხალხი მოაბიჯებდა. მათთან ერთად ჩვენი კუთხის წარგზავნილები მივაბიჯებდით, უკან კი წითელი ფერის მანქანა-ტრიბუნა მოგვყვებოდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, არ მახსოვს ასეთი ბედნიერი როდის ვიყავი... როდესაც პარლამენტს უახლოვდებოდით, ვახო მითაიშვილმა შემომძახა – „ოქნგო! ნახე რამდენი ხალხი გამოვიდა გარეთ!“ ხალხის სიმრავლით გაოგნებული დავრჩი, ჩვენს უკან ზღვა ხალხი მოაბიჯებდა. როდე-



## გერმანული

## გერმანული

საც პარლამენტს მიუახლოვდით აქარის „სახალხო კრების“ რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარეს – ბატონ ვახტანგ ახ-ვლედიანს დაურეკე ბათუმში და არსებული სიტუაცია მოვახ-სენე. (ბატონმა ვახტანგმა ჩვენთან ერთად გამგზავრება ვერ შეძლო ავადმყოფობის გამო).

მიტინგზე გამომსვლელები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ჩვენი კუთხის შეიღებს: მზევინარ ძირკვაძეს, ცოტნე ანანიძეს, ნიაზ ბოლქვაძეს, მურმან დუმბაძეს და ავთანდილ დიასამიძეს მიეცათ საშუალება თავისი გულის ტკივილი გამოეთქვათ და შეკრებილ აუდიტორიამდე მიეტანათ. მათ გამოსვლებს საზოგადოება მქუჩარე ტაშით აჯილდოვებდა. მიხაროდა და ვამაყობდი, მათი თანამებრძოლი რომ ვიყავი, ზოგი მათგანი კი ჩემი მეგობარიც გახლდათ.

მიტინგის ტრიბუნა რუსთაველის გამზირის საპირისპირო მხარეს გადაიტანეს. საქართველოს „სახალხო კრების“ შეფიცულთა რაზმის მეთაურის მოადგილე, ბატონი ავთო ჯოხაძე მომიახლოვდა რამოდენიმე მხლებელთან ერთად და მთხოვა გავყოლოდი. სანამ პარლამენტის გვერდით მყოფ პირველ კლასიკურ გიმნაზიამდე მიგიდოდით, ილიას და აკაკის ძეგლთან, გზაში ჩვენმა რიგებმა იმატა. ვიდექი ძეგლთან და ჩემდა უნებლიერ მაისის დღეები გამახსენდა, როდესაც ამ ძეგლთან, ამავე სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ერთად სამახსოვრო სურათები გადავიდეთ. ამ სკოლაში ქველმოქმედების სახით ჩემი პოემები „გვირგვინოსანნი“ და „უმეფობის უამს“ მქონდა დარიგებული, რომელსაც იქაური პედაგოგები კლასგარეშე ლიტერატურად იყენებდნენ. ექვსი წლის წინ კი ერთ-ერთი მეოთხე კლასის ინიციატივით სკოლაში შეხვედრა მომიწყვეს. მაშინ ბედნიერი კაცი გახლდით... ახლა კი იქ, საქართველოს ყველა კუთხის შეფიცულთა რაზმების მეთაურები ვიყავით თავშეყრილნი და ჩვენივე მომქეთაგან თავდასხმას ველოდებოდით... იქ მისვლამდე, რაღაც საშიშროების



## პირადობის

მოახლოების უცნაური შეგრძნება დამტკიცლა... ბაჭონმა ავთომი მოკლედ შეგვახსენა ჩვენი მოვალეობანი და გაგვიძარტა, თუ რისთვის ვიდექით იქ და მოსალოდნელ დარბევისაგან როგორ უნდა დაგვეცვა აქციის მონაწილეები, მოსული იყო შეტყობინება სპეცრაზმელების მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

ჩემი ეიფორია, მოსალოდნელ შიშის სინდრომით შეიცვალა... მე მათ ათი ბრგე ვაჟუაცის გამოყვანა აღუთქვი, ვგრძნობდი, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა... თავიდანფეხამდე ქრუანტელმა დამიარა, ვერ ვხდებოდი, რა უნდა მეთქვა ჩვენ ბიჭებისთვის... ჩვენ პარლამენტისა და სკოლას შორის ჩამომავალი გზა უნდა გადაგვეკეტა, კახელებთან და თბილისის რაიონების შეფიცულებთან ერთად. საწყის პერიმეტრზე მობილიზებისათვის ნახევარი საათი მოგვცეს, ჩვენი პერიმეტრის დაცვის მეთაურად ვინმე ემზარი დაინიშნა, ორმოც წლამდე მიახლოებული, საშუალო ტანის ათლეტური აღნაგობის, სიმპატიური მამაკაცი. მას ძალზედ კეთილი სახე ჰქონდა. ჩვენ ერთმანეთის ტელეფონის ნომრები გაცვალეთ. მას პატარა შაგვრემანი ბიჭი ახლდა, სახელად ვასკა, რომელიც მისი ჩაცმულობით იაპონელ მებრძოლ „ნინძას“ მაგონებდა. ჩემებს მივაშურე. ფეხები დამბიმებული მქონდა, გადაადგილება საშინლად მიჭირდა. დავით რობაქიძის სიტყვები გამახსენდა ჩემდა უნებურად – „მიშა ისვრის და კიდევაც დახოცავს ხალხს, მისი დამქაშები კი იმიტომ ისვრიან, რომ ისინი კრიმინალები არიან და სხვა გზა არ დარჩენიათ...“

პარლამენტისკენ წავედი და ქალბატონ ციალა სურმანიძესთან მივედი, ის თავის შეფიცულებთან ერთად, როგორც ყოველთვის მობილიზებული იყო. მივედი და ძლივს ამოვილაპარაკე – ჩვენი დრო დადგა ბიჭებო, გვეძახიან მეთქი. ამ სიტყვების გაგონებაზე ერთ-ერთი მათგანი – გელა გვიანიძე წამოიჭრა და ომახიანად შესძახა, რაღას აყოვნებთ, წავედით! და ფეხზე წამომდგარ მეგობრებს წინ წაუძლვა. ის ძველი



## გიბრილი

პროფესიონალი სამხედრო იყო. ფიზიკურადაც ძლიერი აღნაგობის გახლდათ. როცა დანარჩენმა ბიჭებმა გაიგეს ჩვენი ყოფნის დისლოკაციის ადგილი, თვითონ მოვიდნენ. ემზარის განცვითრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქალბატონები: დარეჯან დიასამიძე და ნანული დუმბაძე შემოგვიერთდნენ თავისი ნებით, ხოლო ხანში შესულმა ქორეოგრაფმა „აჭარის დამსახურებულმა არტისტმა – სიმონ ფუტკარაძემ თავისი დაუინებული თხოვნით დარჩა წინა ხაზზე, (შემდეგ გავიგე, ის სასტიკად უცემიათ, საავადმყოფოში გადაუყვანიათ და დღემდე მკურნალობს ნაიარებს). ამ თავდადებული საქციელის შემყურებ, აღტაცებულმა წამოიძახა – „რა სასწაული ხალხი ყოფილხართ აჭარლები?!“ ჩემს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა ჩემს გვერდით უშიშარი გურულებიც იდგნენ, ერთი მათგანი ჩოხატაურელი გურული ახალგაზრდა გვარად სანიკიძე (სამწუხაროდ სახელი არ მახსოვს) გახლდათ.

წყალი უნდა მოეტანათ და ჩვენების სულადობის გარკვევა მთხოვეს. პოზიციაზე 37 კაცი ვიდექით, 10 კაცის სანაცვლოდ!.. ახლა ვიხსენებ იმ საამაყო და ამაღლელვებელ წუთებს და ვფიქრობ, იმ დღეს მთელი საქართველო ასე ერთ მუშტად რომ შეკრულიყო, როგორც ჩვენი კუთხის წარგზავნილები იდგნენ სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ ვაჟაცებთან ერთად – დარბევასაც ავიცილებდით და არც ჩახოცილი ხალხი გვეყოლებოდა... და რაც მთავარია ვიქებოდით სამართლიანი და გაუყალებელი არჩევნების მოლოდინში...

მიტინგზე ყოფნისას ძალას გვიორკეცებდა დაჭერილ თანამებრძოლებისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა ვიცოდით, რომ მათი ბედი ჩვენი იქ დგომით წყდებოდა.

მიტინგზე კეთდებოდა განცხადებები, გვაწვდიდენ სხვადასხვა ინფორმაციებს... ამ დროს ვიღაცამ დაიყვირა – „გრეჩიხა“ მოდისო მეც იქითკენ შევტრიალდი და ჩემს წინ ლევან გაჩეჩილაძე იდგა. ის ჩემს დანახვაზე ოდნავ შეყოვნდა

და გამიღიმა. ვკითხე – მიცანით მეთქი. – „როგორ არაო“ მომიგო, შემდეგ კი ხელი ბეჭებზე დამადო და გზა გააგრძელა თავის მხლებლებთან ერთად ოლიასა და აკაკის ძეგლისაკენ. ის ადრეც იყო მოსული მიტინგზე ტელევიზიის წინ. ბატონ ლევანს ვიცნობ 2009 წლიდან. მე და ნიაზ ბოლქვაძე – აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე თბილისში ყოფნის დროს „დაიცავი საქართველოს“ ოფიციალური მივედით, სადაც მას საქმე ჰქონდა. მეც თან მქონდა ჩემს მიერ გამოცემული პატარა წიგნი „ხმა“ რომელშიც ჩვენი კუთხის შეიღების გულის ტკივილი იყო გადმოცემული ჩემს ხმასთან ერთად. წიგნები ოფიციალური დავარიგეთ. სადღაც ორი საათი არ იყო გასული, ნიაზს დაურეკეს მობილურით და ლევან გაჩერჩილამესთან ჭავჭავაძის გამზირის 50-ში მისვლა სთხოვეს. რეზიდენციაში ერთად მივედით, სადაც დაახლოებით ერთი საათი დავყავით. მან დიდი გულისყურით მოგვისმინა და სამომავლოდ შეხვედრას შევგვიდა, თუმცა ჩვენი შეხვედრა აქ მოხდა... ამ დროისათვის კი ნიაზ ბოლქვაძე პარლამენტთან იდგა. მოგვიანებით გავიგე, იგი სასწაულად გადარჩენილა. სიცხიანს არ მიუტოვებია მიტინგი. ჯალათებს იგი სადისტურად უცემიათ.

სადღაც ათი საათისკენ ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა თბილის ცის თავზე და მაღლე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. თავიდან ფეხებამდე დავსველდით. გარკვეული პერიოდის შემდეგ თითქოს წვიმამ გადაიღო. არე-მარეს გადავხედე, ხალხის მასამ მკვეთრად იკლო... ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაწვიმდა კოკისპირულად. ხალხი ჯგუფებად აფარებდა თავს გაშლილ ცელოფნებს, რომელიც თითქმის არ შველოდათ. მიტინგი გრძელდებოდა, მაგრამ ხალხის ჩოჩქოლის გამო სმენადობა ცუდი იყო... ამასობაში წვიმამ ოდნავ გადაიღო. გაკეთდა განცხადება, ვისაც სურვილი ჰქონდა, ან ვინც შეუძლოდ გრძნობდა თავს დაეტოვებინა მიტინგი, რადგან იქ მდგომთ 9 აპრილის დამე გველოდა...



## პირადობები

ხალხმა შეძახილებით და კიუინით უარი განაცხადა! ამ დროის ათვის ჩვენს პოზიციაზე ჩოჩქოლი ატყდა. ზემოდან ჩამომავალ ქუჩაზე 50 მეტრის მოშორებით სპეციაზელები პოზიციებს იკავებდნენ... ამის დანახვაზე მივიღე გადაწყვეტილება, პოზიციიდან ქალები დამტეხოვა. დარევანთან და ნაწულისთან ჭიდილი დამჭირდა მათი იძულებით „გაძევებისათვის“.

სპეცრაზმელები ფსიქოლოგიურ შეტევაზე გადმოვიდნენ, ისინი ფარებს აბრახუნებდნენ, რასაც ჩვენი ბიჭები ჯოხების ბრახუნით პასუხობდნენ. ჩვენი მეთაური – ემზარი ცარი-ელი ხელებით იდგა მათკენ შემართული, მის უკან კი დანარჩენები. მან ამ დროისთვის სათანადო ბრძანებები გასცა, ერთ ჯგუფს საპირისპირო მიმართულებით დგომა მიუთითა, რათა რუსთაველის გამზირიდან მომავალი სპეცრაზმის შემოსვლა აღეკვეთათ... ამ დროისთვის ისევ წამოვიდა თავსხემა. ჩვენს რიგებს გამოეყო – ირაკლი დარჩია (ის ჩემი კლასელის, ცხონებული – ვაჟა დარჩიას შვილი გახლდა), დადგა შეა ქუჩაში სადაც დამრეციდან ნიაღვარი მოდიოდა – სპეციაზელების საპირისპირო. მას შევძახე, რომ უკან დაეხია, რათა წყალში არ მდგარიყო და ჩვენთან დაბრუნებულიყო, ერთი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ისევ წყალში დგომა განაგრძო. ის ეტყობა ისეთნაირად იყო დამუხტელი მოსალოდნელი შეტაკებისთვის, რომ თაგს ვერ აკონტროლებდა... მალე, რუსთაველის გამზირზე ქაშუეთის ეკლესიის მხრიდან სპეცრაზმელთა მანქანები გამოჩნდნენ. ამ დროისათვის სცენაზე ირაკლი ბათიაშვილმა მამაო ჩვენოს ლოცვა დაიწყო დანთებულ სანთლების ფონზე სხვა დანარჩენ ლიდერებთან ერთად. მე მათ უკვე ვერ ვხედავდი. ცოტა სანში რკინის დარტმის ხმასთან ერთად ჰაერში ორივე მხრიდან წყლის ჭავლმაც იფეთქა. ქაშუეთის ეკლესიის მოპირდაპირე შხარეს მდგარი პირჯვარი გადავიწერე და უფალს ჩავაბარე ჩემი და იქ მყოფი მეგობრების ბედიც...



მაღე გაზისაგან სული მეხუთებოდა. მანქანებმა შემოლექტეს რკინის კონსტრუქციის ბარიერები. წყლის და გაზის ჭავლის თეთრი კორიანტელი ტრიალებდა ჩვენს ირგვლივ. უცებ გადაშავდა იქაურობა, თთქმის ვერაფერს ვარჩევდი იმ წყვდიადში, მხედველობა ძალზედ გამიჭირდა. ჩვენ უკან დახევა დავიწყეთ, ჟივილ-კივილისა და გინების ორომტრიალი დატრიალდა... კბილებამდის შეიარაღებულ და გაწვრთნილ სპეციაზელებთან აბა რას გააწყობდი უიარაღო კაცი... მაღე ახლო მანბილიდან დავინახე, როგორ მორბოლნენ ჩემსკენ ნიღბიანი შავოსნები ხელკეტების ქნევით. უკან დახევისას ნოდარ წულუკიძეს გადავეყარე, ის რატომდაც საპირისპირო მიმართულებით მიდიოდა, ჩემს შეძახილზე – უკან დახეულიყო, ყურადღება არ მოუქცევია... რა გზა მქონდა, მეც პარლამენტის შენობას მივაშურე ერთ ჯგუფთან ერთად. აღლუმისთვის გამზადებულ ფიცარნაგის მეშვეობით პარლამენტის შენობის წინა კედელთან ავლონებით ალყაში მოქცეულნი. გზა გავაგრძელეთ პარლამენტის ცენტრალური შესასვლელისკენ. ჩემს გვერდით საშუალო ტანის ქერაომიანი ქალბატონი, დახმარებას გვევედრებოდა... მას ხელი მივაშველე და მასთან ერთად განვაგრძე სირბილი, ის ფეხებს ძლივს ათრევდა, ფეხსაცმელი გამძვრაო მითხრა, მაგრამ მაგის დრო სადღა იყო ანდა ვინ მოგაბრუნებდა, ხალხი მჭიდროდ მხარი მხარს მიბჯენილი გარბოდა... რამდენიმე ნაბიჯიც არ გვქონდა გადადგმული, რომ საპირისპირო მხრიდან ხალხის ჯგუფი შეგვეჯახა, ქალბატონი წაბორძიკდა და წაიქცა. მე წინ ხის პოდიუმზე წავიქეცი წინა ხელებით, მაგრამ უცებ წამოვდექი, იმის შიშით რომ არ გავეთელე აზვირთებულ და გაბოროტებულ ადამიანებს, და მიტინგის მიმართულებით დავიწყე სირბილი, ზიგზაგებით მივრბოდი, რათა მოქნეული ხელკეტები ამეცილებინა... იმ მომენტისთვის ვერაფერს ვერ ვგრძნობდი, მხედველობაში მაქვს ხელკეტების დარტყმები. თავი ხელებში



## გიბლიოთეკა

მქონდა ჩარგული და პირზე ცხვირსახოცი აფარებული, გაზი და ტყვიები რომ არ მომხვედროდა... მივაღწიე რა ცხრა აპრილის მემორიალს, იქიდან ჩიტაძის ქუჩისკენ პიონერთა სახლისაკენ გავიქეცი სხვებთან ერთად. არაქათი გამომელია, საცა იქნებოდა წავიქცეოდი, რომ ერთმა დალოცვილმა ადამინმა მოგვაძახა – კედელთან ახლოს იარეთ! წაქცეულებს ხალხი გადაქტელავთო! და მეც პიონერთა სახლის პერიმეტრს გავყევი სხვებთან ერთად. ოდნავ გავცდი პიონერთა სახლის შენობას, რომ ჩემს წინ ლაშა მსხილაძის სილუეტმა გაიღვა (140 კგ. ადამიანის არ დანახვა ძალზედ ძნელია იმ გასაჭირშიც კი), მან პიონერთა სახლის ბოლო ფანჯარა გამოგლიჯა და ისე გადაეშვა შიგ, მე მივაძახე ხელი მომაწოდე-მეთქი, მაგრამ რას გაიგონებდა. (მოგვიანებით გავიგე, ის დილით დაუჭერიათ). იქ გადასვლაზე რიგი დადგა, ჩემს გვერდით ქალი კიოდა და დახმარებას ითხოვდა, შავი პლაშის მოსასხამი ეცვა. მუხლებში მოვიხარე მის ასაყვანად, მაგრამ ამ დროს ვიღაც კაცის ფეხი მომხვდა თავში, დამაწვევა და ქვემოთ დამაგდო, მეორე ფეხი კი ქალის მხრებზე მოვლანდე. მან ჩვენი „დახმარებით“ შენობაში შეაღწია... ამ დროს ვიგრძენი ხელკეტების დარტყმები. წამოვდექი, ძალა მოვიკრიბე და სხვებთან ერთად გეზი თავისუფლების მეტროსკენ ავიდე, ამ დროს ჩემს გვერდით გელა გვიანიძე აღმოჩნდა. მე მას ხელმკლავი გამოვდე და იქე გვერდით მყოფ ახალგაზრდებს შევძახე – მოედნისკენ გავიქცეთ-მეთქი... ამის თქმა და წინ ხელკეტებით შეიარაღებული ნიღბიანები გადაგვეღობა, დაიწყეს უმოწყალოდ ჩვენი ცემა და გინება... სადღაც ოც კაცამდე ვიყავით დახლოებით. მიწაზე დაწოლა გვიბრძანეს, მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ უაქტის წინაშე ავლძოჩნდით... კბილებამდის შეიარაღებულ ვამპირებთან რას გააწყობდი. გინებით, ფურთხით და ხელკეტებით გვებრძოდნენ... ერთმა მათგანმა დაიძახა ჩემი მისამართით: „ეს რუსების



## პირდოშობა

აგენტია, ოცდაათი ლარი გადაუხადა ნინომ!“ – ტყულია – ვუპასუხე მე. მან ამის შემდგომ მიზანმიმართულად ამომიჩემა და დამიწყო ხელკეტით ცემა და სახეში ფურთხება. ამ დროს დაჩიქილ მდგომარეობაში მყოფი, თავში დარტყმებს მარცხნა ხელით ვიგრიებდი. ხელმა ამდენ დარტყმას ვერ გაუძლო და ძალაუნებურად ჩამომივარდა. თავის არეში ვიგრძენი ხელკეტის წვერის დარტყმები. სასოწარკვეთილი, არაადამიანური მოპყრობისაგან ღირსება შელახული და საშინლად დამცირებული ხმამაღლა ვლრიალებდი, ვიგნებოდი და ვაგნებდი ყველა იმათ, ვინაც ასე გაგვწირა და სასიკვდილოდ გაგვიმეტა, ეს ეხებოდა იმათაც, ვინც დაგვპირდა იქ მოსვლას და არ მოვიდა, ვინც იმ დღეს ჩვენთან ერთად იყო და სამარცხინოდ გვიღალატა და მიგვატოვა, ვინც ტელევიზორით, მხარ-თეძოზე წამოწოლილი ჩვენ დარბევას უყურებდა...

უცებ ხელბორკილები დაყარეს და მიწაზე დაწოლილებს დაუწყეს ზურგს უკან ხელების შეკვრა. ჩემი ჯალათი უცებ მოწყდა ადგილიდან და სადღაც გაუჩინარდა, გავიფიქრე მეშველა მეთქი, მაგრამ ამაოდ, იგი მალე კვლავ ჩემს წინ აღიმართა და ჩემსკენ მიუთითა თოფიან ნიღბიანს – „ეს-როლე ამ რუსის აგენტსო!“ – ამის გამგონემ არ ვიცოდი სად წავსულიყავი... ამ დროს გამოჩნდა ვიღაც ახოვანი ნიღბიანი. მან ხელი აღმართა ჩემს წინ მოღრიალე ჯალათთან და შეჩერება უბრძანა. შემდეგ მე მომიბრუნდა და ფეხზე ადგომა მიბრძანა. მე ნელა გაჭირებით წამოვდექი და ცემისაგან გასივებული ხელები უკან ძლივს გავიტანე, უკანა გვერდიდან ჯალათი მომიახლოვდა, ჩემზე ბორკილების დადების ჯერი იყო დამდგარი. მან ხელბორკილების დამდებ ჯალათს შეჩერება უბრძანა. შემდეგ მოგვმართა, იმყოფებოდა თუ არა ჩვენს შორის ქალი, ამ დროს ერთი პატარა აღნაგობის გოგონა აღმოჩნდა ჩემს უკან. სწრაფად წამოდგა,



## გიბლიონისა

პულოვერი და მოკლე შავი კურტკა უცა, რომელზე „TV“ ეწერა ინგლისურად. იგი ჯალათს ქართულად გამოელაპარაკა. ნიღბიანმა ქალს წასვლა უბრძანა. გზად მიმავალს ვიღაც შავოსანმა ორჯერ შემოკრა ხელგეტი, ქალმა შეჰკივლა, მაგრამ გზა ჩქარი ნაბიჯებით გააგრძელა, ისე რომ უკან არც მოუხედია. შემდეგ იმავე ნიღბიანმა მშვიდათ მიმართა ჩემს უკან მდგომ ნიღბიანს, ხელები შეხესნა ჩემს უკან მდგომი ხანში შესულ კაცისთვის. შემდეგ ჩემსკენ მობრუნდა ხელკეტით ხელები ჩამომაწევინა და უკან გამომყევითო გვიბრძანა მე და ხანში შესულ მამაკაცს. ის წინ მიგვიძლოდა. ჩიტაძის ქუჩისაკენ წავიდა, ყველას აფრთხილებდა – ხელი არ ეხლოთ ჩვენთვის. მიწა გამსკდომოდა და ჩავარდნილიყავი ის მირჩევნოდა, იქ წოლა ვინატრე, დარჩენილებთან... ჩემს აზრებში „შპიონაჟის“ ახალმა ვარიანტებმა გაიელვეს... და მომავალ წამებაზე ვიყიქობდი წინ რომ მელოდა... ასე ვიარეთ ჩიტაძის ქუჩამდე. როცა ჩიტაძეზე გავედით იქ მხოლოდ ჭავლისასროლი მანქანა იდგა, მე თვალებით მანქანებს ვეძებდი რითაც უნდა წავეყვანეთ... ახოვანმა ნიღბიანმა უცემ შეჩერდა, წინ გაგვატარა და მოულოდნელად მოგვმართა – ზემოთ წადით და რიყეთით გადადითო! ამ სიტყვების გამგონე სახტად დაგრჩი, ჯერ იმის ფიქრში ვიყავი, საბურობილებში რა მეშვეოლება მეთქი და ახლა უცემ „თავისუფლება“ მაჩუქეს... მისკენ მივბრუნდი ორი ნაბიჯი გადავდგი, ფარზე მარჯვენა ხელი მივადე და უთხარი – სახელი რა გქვიამეთქი. მან მოულოდნელად გამიღიმა და დაუფიქრებლად წარმოთქვა – კახა მქვიაო, წადით ეხლა მშვიდობიანათო, მიგვაძახა და უკან წავიდა. მისი საქციელით გაგულიანებულმა მივაძახე – იქაც ჩვენისთანა ქართველები არიან და არაფერი დაუშაოთქო.

როცა თავისუფალი აღმოგჩდი, ნაწილობრივ გავითავისე ყოველივე... ზემოთ ავედი, წვიმდა კოკისპირულად, ტაქსი და-



## პილუიოთება

ვიჭირე და დაბრკოლების გარეშე სადღაც ორისაათისათვის მივედი არჩილთან ბინაში, სადაც მისმა მეუღლემ – ინგამ მიპატრონა, გასიებული ხელი და გახეთქილი თავი შემიხვია. ჩემს ტელეფონზე გამუდმებით რეკავლნენ, ყველა ერთმანეთს კითხულობდა. იმ ღამეს ყველას დიდი ჯაფა დაგვადგა. განსაკუთრებით აქტიურობდა ქალბატონი ციალა სურმანიძე. ის იაშა გვიანიძესთან ერთად მთელი ღამის განმავლობაში თავისი რაიონის ხალხის ძებნით იყო დაკავებული...

აი ისინიც, ვინაც სისხლიანი კალო გამოიარა და რომლებმაც სამშობლოს სიყვარულისთვისა და თავისი ღირსების დასაცავად კბილებამდე შეიარაღებულ გაბოროტებულ ჯალათებს სუფთა, შიშველი ხელებით 26 მაისს თბილისში წინ აღუდგა:

**ლუკა კურტანიძე:** „მითი რეჟიმის დემოკრატიულობაზე დაინგრა!

ვინც 26 მაისს პარლამენტთან იდგა, ყველა გმირია. ხალხმა იცოდა არსებული საფრთხის შესახებ, მაგრამ ფეხი არავის მოუცვლია! სააკაშვილისგან თავს დაგვატყდა ისეთი სისასტიკე, რომელიც მომავალ თაობებს შავ ლაქად გაჰყვება.

ცხოვრებაში პირველად მოვხვდი მსგავს სისხლიან კალოზე, მეგონა, მტერი შემოვგესია და ამოწყვეტას გვიპირებდა. სპეცრაზმება შემოანგრია კედელი, მეძახდნენ, კურტანიძე, გამოდი, ვამოეთრიე...

დამიმიზნეს იარაღი, მითხრეს, ქანონს დავმორჩილებულიყავი. ისინი ვერ იმორჩილებდნენ აგრესიას. უამრავი სპეცრაზმელი წამოვიდა იერიშზე. ადგილი არ დამრჩა სხეულზე, სადაც ხელკეტის კვალი არ იგრძნობოდა. რამდენიმე ხელბორკილი დამადეს. ენით აუწერელი სისატიკით გამისწორდნენ. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ რამდენიმე სპეცრაზმელის თანადგომა რომ არა, უარესს



დამმართებდნენ! სახე რომ მთელი მაქვს, მათი დამსახურებაა და არ მინდა, იმ ადამიანებს სიკეთე დავუკარგო. თავისუფლების მოედანზე ჩამიყვანეს, სადაც დამესივნენ და გამისწორდნენ. არ ვიცი, ასეთი აგრესია რითი დავიმსახურე, მე ხომ მთელი ცხოვრება ქართველებს და საქართველოს ვემსახურე! ამ სისასტიკემ ტყვიაზე მეტად იმოქმედა. იმ შეურაცხოფამ, დაუცველობამ და ხალხის დასისხლიანებულმა, გაუბედურებულმა, უმწეო სახეებმა შემძრა. ისევ სპეცრაზმელებმა იმარჯვეს, ვიღაცის ბრძანება მოიშველის და დანარჩენებს ეუბნებოდნენ, არ შემხებოდნენ... ისინი რომ არა, ან მტკვარში მიპოვიდნენ გარდაცვლილს, ან ტყეში და ან სახურავზე! პოლიციასა და ხალხს შორის ხიდი ჩატყდა!

სამმართველოშიც ზღვარგადასული სისასტიკე ვიზილე. სისხლში ამოსვრილ ადამიანებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ისმოდა სასიკვდილოდ განწირული ადამიანების ბლავილი. ნამდვილი კოშმარი იყო. კედლის მეორე მხრიდან საშინელებები მესმოდა. ვიდრე სასამართლოში წამიყვანდნენ, ვიღაცები მოვიდნენ, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხოფა მომაყენეს... მოვიდა ერთი ახალგაზრდა, ჩამომახია ტანსაცმელი, ხელებ-შეკრულს ჯერ ერთ მხარეს გამოიღაწუნა, მერე მეორე მხარეს გამარტყა! ეს იყო ტიპიური მუწუკი, რომელსაც აგური აგურზე არ აქვს დადგებული. სხვათა დასანახად დამამცირა, დამჩაგრა, მაგრა, მერე კი სურათები გადამიღო. წარმოიდგინეთ ასეთი არსების ფსიქოლოგია! ასეთები ფსიქიატრიულში უნდა მკურნალობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ.

ხალხი ამბობდა: – გვაჩვენეთ თავგანწირვა, გვაჩვენეთ, რომ მართლა იბრძვით და გარიგებული არ ხართო. ჩვენ ეს დავანახეთ.



## პიგ-უ-იუ-თე-კა

26 მაისის ღამემ „სახალხო კრების“ წევრები უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს. რასაც ვამბობთ, ვაკეთებთ! ეს მთელმა საქართველომ ნახა. უკან არ დავიხევთ, გავძლი-ერდებით, უფრო მეტნი გავხვდებით და მჯერა, სამართალი პურს შეჭამს, დიახ, მწამს, რომ მალე გავიმარჯვებთ! 26 მაისს საკაშვილის რეჟიმი დაინგრა!“

**ცისკარ გოგიტიძე:** როდესაც მოედანზე სპეცნაზი შემოიჭრა, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, მე ტრიბუნასთან ვიდექი სადაც სახალხო კრების ლიდერები გამოდიოდნენ, ბიჭიკო ბოლქვაძესთან და ლაშა მსხილაძესთან ერთად, როდესაც ნიღბიანები ფარებით და ხელკეტების ქნევით მოგვიახლოვდნენ, მე თავისუფლების მოედნისაკენ გავიქცი სხვებთან ერთად. იმ ორომტრიალში, წყლის ჭავლისა და გაზისაგან გაბრუებულმა ჩვენი ბიჭები მხედველობიდან დავკარგე. გავრბოდი და ვფიქრობდი – ჯანდაბა ჩემს თავს, მაგრამ ირაკლი? მიტინგზე მყოფ ჩემს შვილზე – ირაკლიზე ვფიქრობდი... შვილთან ერთად მისი ბათუმელი მეგორებიც იყვნენ: ირაკლი ხინიკაძე, გოჩა სურმანიძე, მმები: ირაკლი და ბესო ფაღავები. მათზე ფიქრმა ჩემი გაჭივრება დამავიწყა. შუა მოედანზე როცა გავედი, პლასტიკური ტყვიების სეტყვა და გაზი სულს მიხუთავდა, რამოდნიმე ტყვია მომხვდა ტანზე, მაგრამ ტკივილს ვერ ვგრძნობდი, ამ დროისთვის ნინო ბურჯანაძის ესკორტთან ვიმყოფებოდი, ერთ-ერთ მანქანას ავეფარე, მაგრამ ნასროლი ტყვიებისაგან მანქანის უკანა მინა ჩაიმტვრა და მეც სხვებთან ერთად გავიქცე მარცხენა მხარეს. ერთი ჩასახვევი გავირბინე, თითქოს თავი დავაღწიე, მაგრამ ისევ მოვხვდი ტყვიების, გაზისა და წყლის ჭავლის სეტყვაში... სხვებთან ერთად შევჩერდი ერთი შენობის კარებთან, მაგრამ კარები ვერ გავალეთ თვალებში ძლივს ვიხედებოდი, ვაცნობიერებდი, რომ



## პირულითება

უნდა მებრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად... ჩემდა უნებლიერ გავიფიქრე – ნეტავ ბათუმში 21 მაისს დავეჭირე, ეს სად ვკვდები მეთქი... არადა გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ხელ-ფეხზე და გულმკერდის არეში მოხვედრილ ტყვიებს კიდევ მოხვედრილი ტყვიები დამემატა ტანზე და ძალიან ცუდათ გავხდი. ამ დროს სპეციაზმელებმა ალყა შემოგვარტყეს, ჩვენ ვცდილობდით დამალვას, მაგრამ ნიღბიანებმა დაიძახეს „გამოდით, თორემ თქვენთვის ყოველივე ცუდათ დამთავრდებაო“, გინებით „გვამკობდნენ“, ისეთი უხამსი გინების ლექსიკონი არასდროს მსმენია... ჯუმბერ შაინიძე დავინახე, როგორ წვალობდა საწყალი, მაგრამ მისვლა არ შემეძლო სპეციაზმელების გამო, თუმცა ისე ვიყავი არაქადგამოლეული რომ მის დახმარებას ნაძლვილად ვერ შევძლებდი... იქვე ახალგაზრდა ბიჭი წააქციეს და ხელკეტებით დაუწყეს ცემა, საწყალი ღრიალებდა, შველას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ, საუბედუროდ არავინ იყო მისი მშველელი... რამოდენიმე კაცმა დავმორჩილდით ბრძანებას, გავედით სპეციაზმელებთან, დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, გავიფიქრე, სადაც ვიწროა იქ გაწყდეს მეთქი... მათ მივუახლოვდი, ერთი ორი ხელკეტი შემომკრენ და ხელები შემიკრეს, გზაზე დაგვაწვინეს, როცა აზრზე მოვედი, მივხვდი, რომ ისინი სპეციაზმელები კი არა პოლიციელები იყვნენ, აღარ გვირტყადნენ. ჩემს გვერდით გიორგი კობახიძე იდგა. ერთმანეთს თვალებით დავვლაპარაკეთ. ნახევარი საათის შემდეგ დაიწყეს ასაკის მიხედვით განთავისუფლება და მეც გამიშვეს. წავედი შვილთან ბინაში ფეხით, ტანზე სამოსი სუმთლად შემოგლეჯილი მქონდა. ქალიშვილი ტირილით დამხვდა. ვეცადე დავკავშირებოდი ირაკლის და ჩემიანებს, თუმცა ამაოდ... მთელი ღამე თეთრად გავათენეთ, დილით შვილმა – ირაკლიმ დამირეკა და მამცნო, რომ ის



მეორე დღეს დაუკავშირდი თენგიზ ცეცხლაშვილს, რის შემდეგ ორთავემ მოვტენეთ ჩვენიანები და ისინი თბილისელი მეგობრების თანადგომით ბათუმისკენ გამოვამგზავრეთ...

მე უკან დასახევი გზა არ დამრჩნია! ჩემს შვილიშვილებს ვერ დავუტოვებ გაპარტაზებულ, განიავებულ და გაყიდულ ქვეყანას!

ნიაზ ბოლქვაძე, მწერალი, ფილოსოფოსი, აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე: მიტინგზე ძალიან ცუდათ ვიყავი, გავცივდი და მაღალი სიცხე მქონდა. მთხოვეს, წავსულიყავი, მაგრამ გადაწყვიტე ბოლო წუთამდე ხალხის გვერდით ვძღვარიყავი. იმ შემთხვევაში, თუ დარბევა მოხდებოდა, არ მინდოდა, განდეგილის პოზიციაში აღმოვჩენილიყავი. ტყუილია, როცა აცხადებენ, თითქოს აქციის ლიდერებმა ხალხი საფრთხის ქვეშ მოაქციეს, ხალხმა თვითონ გადაწყვიტა, რომ იქ უნდა მდგარიყვნენ და ეს შეძახილებშიც ნათლად ჩანდა. ერთი სიტყვით, ჩვენ იქ ღირსების დასაცავად ვიდექით და ქვეყანაში არსებული უსამართლობის გამო პროტესტს გამოვთქვაძლით.

25 მაისს პირველი საათის პირველ წუთებზე მიტინგის ხელმძღვანელებმა და ხალხმა ერთმანეთს და მთლიანად საქართველოს მიუკულოცეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისის დადგომა. სწორედ ამ დროს, სულ რამდენიმე წუთში შორიდან ვხედავდი, რომ შავფორმიანები ყოველი მხრიდან აღყაში გვაქცევდნენ. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, აღყაში მოქცეულ ხალხს გასაქცევი არ დაუტოვეს. ბოლო მომენტში იქ ორიდან ხუთი ათას კაცამდე ვიდექით, ძალიან ძლიერი წვიმა იყო და თბილისელები მიდიოდნენ სახლ-



## პიგდიონისა

ში ტანსაცმლის გამოსაცვლელად და ისევ დასაბრუნებლად პირველი ნიშანი იყო გაზის შაშხანები, რომლებიც ჩვენს ფეხებთან ცვივოდა. დავიწყე ხრჩობა, ვეღარ ვსუნთქავდი, ვხედავდი, როგორ გვედებოდი. ხალხი პანიკამ მოიცვა, თავის საშველად წამოსულ ხალხს გასაქცევი არსად ჰქონდა, გაზის წყლის ჭავლი მოჰყვა, წყლის ჭავლს – რეზინის ტყვიები. გაზით, წყლის და რეზინის ტყვიებით დაუძლურებულ მომიტ-ინგებს სპეციაზმელები უკვე ხელკეტებით დაერიგნენ. პრაქ-ტიკულად იქ დარბევა კი არა, აშკარა ხოცვა-ულეტა მოეწყო.

გაზით მოწამლულმა, სუნთქვაშეკრულმა განცალკევება ვცადე და პარლამენტის კიბეებზე ავედი შადრევნებთან. დავინახე, რომ დაახლოებით ოცამდე შეიარაღებული სპეციაზელი წამოვიდა ჩემსკენ და როგორც ნადირს მოამწყვდევენ კუთხე-ში, ისე მომაქციეს ალყაში, ვეღარ ვსუნთქავდი, მასხოვს, რომ დავეცი და წყლით სავსე აუზში გადავარდი... ოთხი სპეციაზელი თავზე დამადგა და ხელკეტებს გამეტებით მირტყ-ამდა, რეაქცია აღარ მქონდა, მხოლოდ აზროვნება შემრჩა და რადგან ჰაერის უკმარისობის გამო მოძრაობა აღარ შემე-ძლო, ვიფიქრე, ვკვდები მეთქი, მესმოდა მხოლოდ შეძახილები „ცოცხალია თუ მკვდარია, მიდით და გადაამტვრიეთ ხერხ-ემალშიო“. მივხვდი, რომ ყველაზე მძიმე წუთი იდგა ჩემს ცხოვრებაში, სიცოცხლეს უნდა გამოვსალმებოდი და... უფალს მივენდე... საყვედურიც კი შევბედე და ვთქვი: „ღმერთო, მე აქ ლირსებისთვის ვიდექი და რატომ მამცირებ ამ ცხოველების წინაშე მეთქი, გთხოვ უფალო, რაც შეიძლება სწრაფად მიი-ბარე ჩემი სული-მეთქი“... მოხდა სასწაული, სრულიად და-მიბრუნდა სუნთქვა და ვხედავ, რომ აღარ ვკვდები. მეორე სასწაული ის იყო, რომ გამხეცებული სპეციაზმელებისაგან ერთ-ერთმა ყურში ჩამჩურჩულა: „ცოცხალი თუ ხარო“... მეო-რე ჯერაც მკითხა – მეც დავუდასტურე... მომკიდა ხელი



და მითხრა: „მე გაგაცილებო“, წარმომაყენა და პარლამენტის შესასვლელთნ გამიყვანა, თანაც მკითხა: „აქ რას აკეთებო“... მე ვუპასუხე – მწერალი ვარ და ხალხთან ვიდექი-მეთქი. „კი მაგრამ, სხვა მწერლებიც ხომ არიან?“ მაშინ ვუპასუხე – რომ არ ვარ არც ერთი პარტიის წევრი, მე ბევრ სულით მათხოვარ მწერალს არ ვგავარ, ვისაც არ შეუძლია თავისი პოზიციის გამოხატვა. მე ხალხთან ვდგავარ იმიტომ, რომ მწერალი ხალხთან უნდა იდგეს მეთქი. ეტყობა მასში ჩემმა ნათქვამმა რაღაც სიმპათია გამოიწვია, ამასობაში პირველმა ტალღამ ჩაიარა, როგორც მივხვდი, იქ, სადაც მიმიყვანეს, დასაპატიმრებელ ხალხს კრებდნენ. ხელზე ბორკილები დამადეს, პირალმა დამაგდეს... მოგვიანებით ავტობუსით პოლიციის განყოფილებაში გადავიყვანეს და როგორც ფაშისტები ეშელონებში პრესავდნენ ხალხს, ისე შეგვყარეს ერთ პატარა ოთახში ასობით ადამიანი, სადაც ბევრს ჟანგბადის უკმარისობისა და ჭყლეტის გამო გული მისდიოდა. ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა თუ რას გვიპირებდნენ, ისეთი წარმოდგენა შეიქმნა, რომ ამ ფაშისტური მოპყრობის შემდეგ აუცილებლად თითო-თითოდ დაგვხვრებდნენ. მოკლედ, იქ რაც ვნახე, საქართველოს არ ჰგავდა... მერე გავიგე, რომ თურმე, ხალხის დიდი ნაწილი ოთახში რომ აღარ დაეტია, დილამდე თავსხმა წვიმის ქვეშ ჰყავდათ დაყენებული... თავახეთქილი, ხელ-ფეხ გადამტვრეული, მოწამლული და სასტიკად ნაცემი ხალხი ერთად ვიყავით შეყრილი.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქართველ ექიმებს, ისინი რომ არა, შედეგები კიდევ უფრო საკალალო იწნებოდა. ექიმები პირდაპირ უყვიროდნენ პოლიციელებს – მოგვეცით საშუალება, რომ ხალხს მივხედოთო. მათ იმ სიტუაციაში თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს. ჩემს შემთხვევაში, ხელბორკილი ისე მქონდა გადაჭრილი, მტევანი გამშავებოდა, რომ არა ექიმები და მათი იძულებით შეხსნილი ეს ხელ-



## პირულობები

ბორკილი, ალბათ ხელს დავკარგავდი... ექიმების მოთხოვნა იყო, რომ სასწრაფოდ საავადმყოფოში გადავეყვანე, რადგან ვიყავი გაზით მოწამლული, მაღალი სიცხით, თავზე დია ჭრილობა მქონდა, თანაც ვიყავი სრულიად სველი და ჩემი ამ მდგომარეობაში დატოვება არაფრით არ შეიძლებოდა. პოლიციამ ექიმების მოთხოვნა არ გაითვალისწინა და საავადმყოფოს ნაცვლად მეთორმეტე საკანში გამამწესეს... ამ დროს ტემპერატურა იმდენად მაღალი მქონდა, უკვე ჰალუცინაციები მეწყებოდა, მივხვდი, რომ ახლა მაინც ვეღარ დავრჩებოდი ცოცხალი, საკანში მყოფები მიხვდნენ, რომ მძიმედ ვიყავი და ჩემი იქ ყოფნა ცუდათ დასრულდებოდა. მე მათ ვუთხარი, არ ვნანობ, რომ თქვენთან ერთად ვიდექი ღირსებისათვის, კარგად იყავით მეთქი და ძირს დავეცი... საკანში მყოფებმა კარებზე ბრახუნი ატეხეს. საკანი სწრაფად გაიღო, პოლიციელებმა ახლა მაინც გამოიჩინეს ჰუმანურობა, იმწუთშივე გამომიყვანეს და სასწრაფო დახმარების ბრიგადით რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადამიყვანეს, სადაც ნამდვილად არ მომკლებია ექიმების ურადღება. დამიმუშავეს ჭრილობები, დამადეს სამი ნაკერი და იმის გამო, რომ ადგილები არ ჰქონდათ, თავიანთი მეთვალყურეობის ქვეშ სახლში მკურნალობის უფლება მომცეს.

30 მაისს ჩამოვედი ბათუმში, ამჟამადაც ექიმების ურადღების ქვეშ ვარ, ვმკურნალობ ფილტვების ანთებას, ჭრილობაც მომიშუშდა და ალბათ ერთ კვირაში სრულიად ჩავდგები ფორმაში.

ვაცხადებ! – ეს არ იყო დარბევა, რაც სხვა ცივილიზაციულ ქვეწებში ხდება. ეს იყო უფრო დაშინების მცდელობა, ვინც გადარჩებოდა – გადარჩებოდა, ვინც არა და... არავინ იქნებოდა პასუხისმგებელი. მიუხედავად ამისა, მე ისევ ვიმეორებ, რომ იქ ჩემს ხალხთან ერთად ღირსების დასაცავად ვიდექი,



## პირულითება

ღირსება კი ისეთი რამაა, წინ ვერაფერი აღუდგება. ჩვენ ეს ღირსეულად გადავიტანეთ იმიტომ, რომ არც მომავალში ვიყოთ დამონებულ-დაჩლუნგებულები. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მონიშებული კონსტიტუციური უფლებებით ყველა უსამრთლობას გავაპროტესტებ და ვიწები ჩემს ხალხთან იქ, სადაც საჭიროა. ჩვენ ხომ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ. ეს კი სხვაგვარად შეუძლებელია.

მინდა ღრმა მწუხარება გამოვთქვა დაღუპულ ადამიანთა გამო. თანავუკრძნობ იმათ, ვინც ამჟამად ციხეებში იმყოფება, ვიმედოვნებ მალე დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს. დარწმუნებული ვარ ჩვენი ხალხის ასეთი თავგანწირვა უკვალოდ არ ჩაივლის. იმ ადამიანებს კი, ვინც ამბობს, რომ იქ რა გვიდოდა, უფრო მეტად უნდა დაერიდათო, ისინი ამით უბრალოდ საკუთარ სიმხდალეს ამართლებენ, რასაც გამართლება არა აქვს. სწორედ მათ შესახებ ამბობდა ილია ჭავჭავაძე: „შენ თუ კარგი კაცობა არ შეგიძლია, სხვას მანც ნუ გაკიცხავ ამისთვისო“.

მადლობა მინდა გადავუხადო იმ თანამემამულეთ, ვინც იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ სწორად აფასებენ ჩვენს იქ ყოფნას. ეს დიდად იმედის მომცემია. ღმერთმა გისმინოს ჩემო ნიაზ – ამინ!

ბატონი ნიაზი, როგორც თავად ამბობს: „საკუთარი ქვეყნის ღირსების დასაცავად გოლგოთას გზა გაიარა“, რაშიც სრულიად ვეთანხმები – ეს გზა ყველა იქ მყოფმა ქართველმა განვლო!

რომან ჩხაიძე, ქობულეთის რაიონის „სახალხო კრების“ თავმჯდომარე: 23 მაისს „სახალხო კრების“ აჭარის რაიონულმა კომიტეტებმა, მათ შორის ქობულეთის „სახალხო კრებამ“ გაუკეთა ორგანიზება თბილისისკენ მიმავალთ, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ქართული სახელმწიფოს ბედი.



სიცოცხლის რისკის ფასად მიტინგზე ერთმანეთის გვერდით ვიდექით: დედა-შვილი – ლეილა სასარჯველაძე და მირიან ქათამაძე, გიზო გოგიტიძე, ნაზიბროლა პირველი, ჯუმბერ შავიშვილი, ლია შაქარიშვილი, დათო ხარაზი, დავით ცეცხლაძე, ნათელა ხარაზი, გელევან გოგიტიძე, შორენა გორგილაძე, ნარგიზ ბერიძე და მე, რომან ჩხაიძე.

მსვლელობის დროს ხალხი გვაცილებდა და თან გვმოძღვრავდა, ფრთხილად ვყოფილიყავით, რადგან წინ ვერაგი ხელისუფლება იყო! ისე გვლოცავდნენ, თითქოს ომში მივდიოდით რომელიმე უცხო ტომებთან საბრძოლველად.

პოლიციამ პირდაპირი ნადირობა დაიწყო ჩვენს აქტივისტებზე, რათა დავეშინებინეთ და არ წავსულიყავით დედაქალაქში მიტინგზე, რაც ნაწილობრივ კიდევაც შეძლეს, რადგან თითქმის ყველა წამსვლელს ჩამოართვეს ავტომანქანები და გადაიყვანეს საჯარიმო მოედანზე. ვინც კი გაასწრო აჭარის ტერიტორიიდან, ისინი გურიის ტერიტორიაზე დააკავეს, ნაწილი გულანთებული პატრიოტებისა მაინც ჩავიდა თბილისში სხვადასხვა საშუალებებით. თბილისში მომიტინგები ტაშითა და შეძახილებით შეგვხდნენ რაიონებიდან ჩასულებს. აქცია პირსისხლიან ჯალათებს რკალში ჰქონდათ მოქცეული და ყველა გასასვლელი კარგად იყო ჩარაზული, ჯალათების ფარები და ხელკეტები შორიდანაც ლივლივებდა, რასაც ემატებოდა საშინელი სიცივე, ქარი და კოკისპირული წვიმა, მაგრამ არც ერთ ჩვენთაგანს შიშის გრძნობა არ ჰქონია.

დარბევის დაწყებამდე მე და ჩემი ერთ-ერთი თანამებრძოლი – დათო ხარაზი პარლამენტის ცენტრალური შესასვლელის წინ 15-20 მეტრის მოშორებით ვიდექით შეიარაღებული ზონდერებისაგან. დაახლოებით, 12 საათსა და 05 წუთზე, დათო ხარაზმა მითხრა, რომ ჩვენი ქობუ-

## პირადობის

ლეთელი მანდილოსნები ქაშუეთის ეკლესიასთან არიან და მათთან მივიღეთ. იქ რომ მივედით, ისინი ვერ ვნახეთ. დავურეკეთ ლეილა სარჯველაძეს და გავიგეთ, რომ ისინი ტრიბუნის წინ იყვნენ განლაგებული. გავაფრთხილე, დარბევა სადაცაა დაიწყება და ეკლესიისკენ გადმოსულიყვნენ სასწრაფოდ, რადგანაც ჩვენ ზონდერებთან ახლოს ვიყავით და ყველაფერი კარგად ჩანდა. როდესაც სასტიკი დარბევა დაიწყო მე და დათო ხარაზი იძულებული გავხდით მომიტინგებთან, დაახლოებით 80-100 კაცთან ერთად ეკლესიასთან არსებულ საცალფეხო ბილიკისკენ გავქცეულიყავთ. ნაწილმა გაასწრო, ნაწილი კი დააბრუნეს. ლეილა სარჯველაძემ, მ.ქათამაძემ, ლია შაქარიშვილმა და დანარჩენებმა ძვლივს დააღწიეს თავი ჯალათებს და თავი შეაფარეს ქაშუეთის ეკლესიას, თუმცა ზონდერებმა იქაც ისროლეს მხუთავი გაზის ბალონები.

როგორც კი სამშვიდობოს გავედი, შევეხმიანე სარჯველაძეს, მან მიპასუხა, რომ ის იმყოფებოდა ეკლესიის ეზოში ლშაქარიშვითან და მის შვილთან ერთად, ხოლო გიზო გოგიტიძე მოგვიანებით შეუერთდა მათ, ჯუმბერ შავიშვილი კი დარბევაში მოხვდა და სასტიკად იყო ნაცემი.

მთელი დამის განმავლოაში ტელეფონზე ვესაუბრებოდი ყველა მათგანს, გარდა შავიშვილისა. დილით ადრე, ქობულეთში წამოსვლამდე ტელეფონით ყველანი მოვიკითხე, მათ პრობლემები არ ჰქონდათ და მეც მ. ცენტრალური სამსახური სხვადასტურებული იყო მომავალი გავერდნების შესახებ.

2011 წლის 26 მაისი სისხლიანი ასოებით ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რაც სამარცხვინო ლაქად გაჰყვება სააკაშვილის ხელისუფლებას, როგორც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მებრძოლ – ბოროტ ხელისუფლებას.

**მურმან ლუმბაძე,** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ემსახურე საქართ-



**გელოს“** თავმჯდომარე: როდესაც აქციის დაშლა დაიწყო სპეციაზმელებმა ე.წ. კორიდორი გააკეთეს მიტინგის სცენი-დან კინოთეატრ „რუსთაველამდე“.

კინოთეატრის დარბაზში სპეციაზმელებმა რამდენიმე გა-ზის ბალონი შემოაგდეს. თან ჰყავდათ ადამიანებზე და-გეშილი ძალლებიც. მე ერთ-ერთმა სპეციაზმელმა თავში ხელჯოხი ჩამარტყა და თავი გამიტესა. შემდეგ ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოში გადამიყვანეს. იქ არა მარტო მცემდნენ, არამედ მაწამებდნენ კიდეც. სასამართლო პროცესიც რამდენიმე წუთში ჩატარდა და ათეულობით ადა-მიანთან ერთად თელავის დროებითი დაკავების დაწესებულე-ბაში გადამიყვანეს, პოლიციელებმა თავზე ტრავმის მიყენების გარდა, რამდენჯერმე მცემეს, ხელებზე სქელძირიანი ფეხსაც-მელებით მაწამებდნენ, უამრავი ტრავმა მომაყენეს, ცხვირი გამიტეს, როდესაც პოლიციის სამმართველოში გადავყ-ავდი, ერთ-ერთმა სპეციაზმელმა მეორეს უთხრა: – „მურმან დუმბაძე საჭირო კაცია ბათუმში და არ შემოგვაკვდესო, იგი ბათუმში მეჩეთების მშენებლობას ეწინააღმდეგებაო“.

თელავში რამდენიმე ადამიანი მალევე გაათავისუფლეს, ვინაიდან ისინი საერთოდ არ ყოფილან აქციაზე და პოლ-იციელებმა შემთხვევით დააკავეს. უმეტესობა 21-25 მაისს დაკავებული ადამიანები იყვნენ.

ჩემთან ერთად საპატიმროში „სახალხო კრების“ პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი – ალექს ჩუბინიძე და ბადრი ბიწაძის ძმა – ემირ ბიწაძეც იჯდა.

პოლიტიკურ პატიმრებს თელაველი სამართალდამცავები დელიკატურად ექცეოდნენ და რაიმე შეურაცხოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საკმაოდ კარგად იქცეოდნენ თელაველი სამართალდამ-ცავები. პრობლემა არ გვქონია სამედიცინო მოსმახურებისა და ადვოკატებთან ურთიერთობის დროს.



მიუხედავად ამისა აღნიშნულ დაწესებულებაში შესაბამისი ნორმები დაცული არ იყო, მე და სხვა პატიმრებს საშუალება არ გვეძლეოდა ჰაერზე ხშირად გავსულიყავით და გვესარგებლა ჰიგიენური საშუალებებით.

თელავის იზოლატორში გატარებულმა 30 დღემ ჩემზე დღი გავლენა მოახდინა.

პოლიტიკურ საქმიანობას მომავალშიც არ შევწყვეტ!

**ნაული დუბბაძე:** 2011 წლის 25 მაისის ღამეს მე დარეკან დიასამიძესთან ერთად ვიდექი ქაშუეთის ეკლესიის მიმართულებით აჭარის შეფიცულებთან ერთად ვიცავდით პერიმეტრს, რათა პროვოკატორებს არ შეეღწიათ მიტინგზე. როდესაც გამოჩნდნენ სპეცრაზმელები, თენიზ ცეცხლაშვილმა, რომელიც აჭარის შეფიცულებს ხელმძღვანელობდა პერიმეტრის დატოვება გვთხოვა ჩვენივე უსაფრთხოების მიზნით. დასაწყისში არ დავთანხმდით, მაგრამ ის შეუვალი იყო, თავისი გაიტანა და ჩვენც ტრიბუნისკენ წავედით, დარეჯანი თვალიდან დავკარგე, კოკისპირულად წვიმდა, სულ გალუმპული და გათომილი ვიყავი. როდესაც ტრიბუნას მივუახლოვდი, სადაც ლიდერები გამოიდოდნენ, მათ დაშლისკენ მოგვიწოდეს, მაგრამ ყველამ უარი ვთქვით დაშლაზე... ცოტა ხანში ალყაში მოვექეცით, როგორც კი ჭავლის მანქანა და შეიარაღებული სპეცრაზმელები დავინახე გაქცევა დავაპირე, მაგრამ წყლის ჭავლი მომეწია და კედელს მიმახეთქა რამოდენიმე ადამიანთან ერთად, უცებ გაზის სუნმა ცუდად გამხადა, ამასობაში რეზინის ტყვეიბი დაგვაყარეს, გასაქანი არ მქონდა არსაიდან... შემდეგ ჩამოიარეს ნიღბიანებმა და ორ ახალგაზრდა ყმაწვილს თავები გაუტეხეს ხელკეტებით, ისინი ბლაოდნენ შემზარავი ხმით, შველას ითხოვდნენ, თუმცა ამაოდ... ამის შემდეგ მოვარდნენ პოლიციელები და ხელები შეუკრეს, პოლიციელებს შემფორთებულმა ვუთხარი არ შემოგაკვდნენ ბიჭები მეთქი, ისინი შემომიბრუნდნენ და მკითხეს საიდან ხარო.



## პიპლორისა

მე არ უპასუხე, რადგან ვიცოდი, რომ ჩამოსულებს სასტიკად უსწორდებოდნენ. რომ არ ვუპასუხე დამიწყო ზეღვეტით ცემა. მე წავბორძიკდი და დავეცი, შემდეგ ერთ-ერთი თავზე დამადგა და მიღრიალა: – „რატომ არ მპასუხობო“ და ცემა და გინება გააგრძელა, მალე თავი დამანება და სხვებს მიუტრიალდა. მე დრო ვიხელთე, წამოვდექი და გავიქეცი. ახალგაზრდა გოგო–ბიჭი დამედევნა, მკითხეს – მიტინგზე, ხომ არ იყავითო. მეც გაბრაზებულმა მივუგე – ესენი ვინ ყოფილან, ამდენი ჯარი და პოლიცია რომ დაგვასიეს და გვცემეს მშვიდობიანი მომიტინგები, თუ ამოდენა ძალა ჰქონდათ, რუსები გაერეკათ საქართველოდან–მეთქი... შემდეგ ორ ქალს დავედევნე, ერთი მათგანი თბილისელი აღმოჩნდა, საბურთალოს უბნიდან, რომელმაც სამშვიდობოს გამიყვანა, ის რომ არა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდა, ღმერთმა დალოცოს! გათენებამდე თავი ეკლესიას შევაფარეთ...

**ბიჭიკო ბოლქვაძე:** სანამ დარბევა დაიწყებოდა ჩემთან ერთად ცისკარ გოგიტიძე და ლაშა მსხილაძე იდგა, ხოლო როცა სპეცნაზი შემოგვესია, ხალხი აირია და ისინიც დავკარგე მხედველობიდან. გაშებული გაზის გამო მხედველობაც ჭირდა. მე ერთ ჯგუფთან ერთად ჯერ პარლამენტის შენობას მივაშურე, მერე კი კინოთეატრ „რუსთაველისკენ“ გავიქეცი ტყვიებისა და ხელკეტების ქარცეცხლში გახვეული, ვერაფერს ვგრძნობდი... კინოთეატრთან ორი ახალგაზრდა დავინახე როგორ ცდილიბდა მიწაზე დაცემულ ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის წამოყენებას. მეც იმწამსვე მივემველე მათ და ქალბატონი ნონა წამოვაყენეთ. იმ წამს თვით გადარჩენის ინსტიქტმა უკან დაიხია, რადაც არ უნდა დამჯდომოდა თუნდაც სიცოცხლის ფასად, ქალბატონი ნონა აუცილებლად სამშვიდობოს უნდა გამეყვანა... ჩვენ კონოთეატრის გვერდით ქუჩაზე ჩაუხვიეთ და გეზი სანაპიროსკენ ავიდეთ. ქუჩის კუთხეს რომ მიუახლოვდით იქ პოლიციელების კორდონი დაგვხდა. ნონა იცნეს და გაგვა-



## პირულობები

ტარეს, თუმცა ერთი გამცილებელი ჩამოგვაშორეს. გზად მი-  
მავალი წივილ-კივილის და გინების ფონზე ვხედავდი თუ  
როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ მიტინგის მონაწილეე-  
ბს. ხელბორიგილიანი, გასისხლიანებული ხალხი მიწაზე ეყარა  
თავსხმა წვიმაში... რამდენიმე მეტრში კვლავ სპეცრაზმელთა  
კორდონი გადაგვედობა წინ. ჯერ არ გვიშვებდნენ, ერთმა მათ-  
განმა სადღაც გადარეკა და მხოლოდ ამის შემდგომ გაგვა-  
ტარეს, მხოლოდ ერთი გამცილებელიც ჩამოგვაშორეს, ისიც  
დააპატიმრეს. დავრჩი მარტო ქალბატონ ნონასთან ერთად და  
გზა გავაგრძელეთ. არაადამიანური სურათის მნახველი ნონა  
გაოგნებული გახლდათ, მაგრამ თავი ვაჟკაცურად ეჭირა. მისი  
ასეთი საქციელით მეც მხნეობა მემატებოდა... 100 მეტრიც  
არ გვქონდა გავლილი, როცა წინ ახალგაზრდა გოგო-ბიჭი  
შემოგვხვდა, ისინი ნონასთან გასაუბრებას ეცადნენ, მაგრამ  
პოლიციელებმა ჩვენთან მოსვლის საშუალება არ მისცეს და  
გზიდან ჩამოგვაშორეს, ალბათ უურნალისტები იყვნენ. ცოტაც  
გავიარეთ და წინ ისევ 6 ფორმიანი გადაგვედობა და ნონას  
მიმართეს – ჩვენ გაგაცილებთო. ქალბატონმა მათ სიტყვ-  
იერი წინააღმდეგობა გაუწია – ჩემი დაცვაა! მიუგო ომახი-  
ანად. არ მოუსმინეს და მაინც ჩამომაშორეს, ხელები შემიკრეს,  
როცა გაუძალიანდი ხელკეტები დამიშინეს და ავტობუსში  
ძალით შემაგდეს სხევბთან ერთად, საიდანაც დიღმის პოლი-  
ციაში მიგვიყვანეს, იქ ტელეფონები ჩამოგვართვეს, ფიზიკურად  
გაგვისწორდნენ და კამერებში გაგვამწესეს. გამოენისას კი  
ისევ ავტობუსებში ჩაგვყარეს როგორც ნახირი და 6 საათისთ-  
ვის სამგორის მეტროსთან ჩამოგვყარეს....

მე კვლავაც არ შეურიგდები ქავყანაში არსებულ უს-  
ამართლობას და დავდგები იქ სადაც სიმართლე იქნება!  
მჯერა – რომ საქართველო კვლავ გაბრწყინდება და უფალი  
არ მიგვატოვებს!



**ჯუმბერ შაინძე:** 26 მაისს ღამის თორმეტის შემდეგ კბილებამდე შეიარაღებული სპეცნაზი დაგვესხა. წყლის ჭავლის, გაზის და პლასტიკური ტყვიების აღყაში მოგვაქციეს. იქედან გათოშილმა და გაზით დაბრუებულმა ხალხის ერთ ჯუფთან ერთად სირბილით ძლივს გავაღწიე ერთ-ერთი სახლამდე. უცებ ცისკარ გოგიტიძე დავინაზე ხელებშეკრული სხვებთან ერთად, მივხვდი ვერაფერს გავაწყობდი და მალულად ავაღწიე ამ სახლის სხვენზე, სადაც დილამდე დავყავი და ბოლოს ამის შემდგომ გავაღწიე სამშვიდობოს...

ჩვენი მოთხოვნა სამართლიანი, ღირსეული და ეროვნული ხელისუფლებაა. ვითხოვთ უკეთეს ცხოვრებას, ამიტომაც დადგა სრულიად აჭარა ფეხზე, რომ არა რეპრესიები და სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიებები, ხალხის რაოდენობა გაცილებით დიდი იქნებოდა, თუმცა, ვინც ბოლომდე მოვიდა ყველამ იბრძოლა.

ბათუმში ტელევიზიასთან მივედით და ვითხოვდით ეთერს. შემოვარდა სპეცრაზმი, დაიწყეს დარბევა, მოხდა სრული უკანონობა და ვანდალიზმი. მიუხედავად ამისა ხალხი არ გატყდა, არ დაიშალა და ბრძოლა გააგრძელდა. შევარდნენ ოფისში, დააპატიმრეს ხალხი და ცეადნენ საპროტესტო მუხტის საბოლოოდ ჩაგვლას! მაგრამ ტყუილად ცდილობენ გაგვტეხონ!... ვინც კრიტიკული იყო, იგი უფრო რადიკალური გახდა!

**ირაკლი გოგიტიძე:** ვერც ერთი არგუმენტით ვერ გაამართლებენ 26 მაისს აქციის დარბევას, ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია, ადამიანებს კლავდნენ, სცემდნენ, ჯიბეებიდან საუულეებს, ტელეფონებს აცლიდნენ, შეურაცხყოფდნენ; ეს იყო დაცინვისა და ადამიანის მორალურად, ფიზიკურად განადგურების აქცია.

დარბევა სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც ჩემს მეგობართან, ირაკლი ხინიკაძესთან ქაშუეთის ექლესიის გზით

გავედი, დაახლოებით 6 კილომეტრი ფეხით ვირბინეთ. უკან მოგვსდევდნენ. თავისუფლების ხიდთან მივარდნილი ადგილი იყო, სადაც შევაფარეთ თავი. ძალიან ბნელოდა, წვიმდა, ხეებში დავიმალეთ. ცოტა ხანში გამოჩნდა უშიშროების მანქანები, რომლებიც ტყეში ფარნებით შემოვიდნენ. რაც საჭირო იყო დაკავევებისთვის და წამებისთვის ყველაფერი ჰქონდათ. ჩვენ ღრმად ჩავწექით ბალახებში... იმდენად დაღლილები ვიყავით, რომ ჩაგვეძინა. დილით 8 საათამდე ისინი არ მოშორებიან იმ ტერიტორიას. დილით რკინიგზის სადგურზე ბილეთები ავიღეთ, სადგური სავსე იყო უშიშროების თანამშრომლებით. ასეთ უსამართლობას არც მომავალში შევეგუები...

**ცოტნე ანანიძე:** „თბილისი-მერიოტის“ მხრიდან დამხვდნენ სპეცრაზმელები, მოვიტყუე უურნალისტი ვარ და ზემოთ უნდა ავიდე-მეთქი, ცოტათი მომარტყეს მხარსა და ზურგში და უკან გამომაბრუნეს.

აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც ვიმყოფებოდით აჭარი-დან, მძიმედ იყო ნაცემი. რამდენიმე ადამიანი დაკარგული გვყავდა, ისინი მოგვიანებით ძლივს ვიპოვეთ. ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ წინასწარი დაკავების იზოლატორში არ გვიშვებდნენ, რადგან არ უნდოდათ გვენახა ადამიანები, როგორ სასტიკად ჰყავდათ ნაცემი.

**გურამ ხოზრევანიძე:** როცა სპეცრაზმი შემოვიდა, მთავ-რობის სახლის წინ ვიყავი; დარბევა რომ დაიწყო, ზემოთ წავედი, ორივე მხარე ჩაკეტილი დამხვდა, ქაშუეთის მხარეც ჩაკეტილი იყო; თავისუფლების მოედნისკენ ორი კორდონი გავიარე და მეგონა სამშვიდობოს გავაღწევდი, მაგრამ თავი-სუფლების მეტროს წინ დამხვდა სპეცრაზმელები... მიუხედა-ვად იმისა, რომ არც ჯოხი ჰქონდა არავის და არც არანაირი თავდაცვის საშუალება, ვინც იქ ვიყავით, ყველა გვცემეს. მასობრივად სცემდნენ ხალხს და იჭერდნენ; ალყაში ვიყავით



## პირადობის

## გენერაცია

მოქცეულები, არსად გასაქცევი გზა არ გვქონდა; თავში ჯერ ხელკეტები მირტყეს, შემდეგ ხელები შემიკრეს და ყვითელი ავტობუსით დიღმის სამმართველოში წამიყვანეს. იქ ყველა სართულზე ჰყავდათ დაახლოებით ორმოცი ან ორმოცდაათი ადამიანი, ბევრი დერეფანშიც ვერ დაეტია და ეზოში წვიმაში იდგა ხელბორკილით. ამ შემთხვევაში მე გამიმართლა, რადგან შენობაში გაჩერება მაინც მომიწია, ხელები შეგვიხსნეს, ადამიანები შერჩევით გაჰყავდათ და სცემდნენ. არ ვიცი, რა პრინციპით გვარჩევდნენ... რაძლენიმე კაცი იყო ძალზე აგრესიული, ვინც არ მოეწონებოდათ, სცემდნენ, ხოლო ისინი ვინც ნაკლებად აგრესიულები იყვნენ, მათ გაჩერებას და დაწყნარებას ცდილობდნენ. 20 წლის ბიჭი გაიყვანეს, შეფიცული, ჯოხით დადიოდა და ვცემოთო, მაგრამ სხვებს როგორ არჩევდნენ, არ ვიცი; უტიაშვილი რომ აცხადებს, ერთი მხრიდან გახსნილი იყო გზა გასაქცევადო, მინდა გითხრათ, რომ უტიაშვილი რომელ მხარესაც ასახელებს, იმ მხრიდან გავდიოდი და ზუსტად იქ დამიჭირეს და მცემეს; განყოფილებაში ყველას ჩამოართვეს ტელეფონი, როგორც მივხვდი, ეს იმის შიშით გააკეთეს, რომ რომელიმეს რაიმე კადრები არ გადაგვეღო, ტელეფონები დაგვიმტვრიეს, ფული არ წაურთმევიათ. დილით მოიყვანეს ავტობუსები და გვარების ამოძახებით, დაახლოებით 30 კაცი აგვიყვანეს ავტობუსში. მძღოლს უბრძანეს, ეს ხალხი მუხათვერდის სასაფლაოზე ჩამოყარეო; როგორც ჩანს არ უნდოდათ ამდენი თავგატეხილი და დასისხლიანებული ადამიანი ერთად გავეშვით. ქალაქებარეთ დაგვყარეს, თავში რეზინის ტყვია მაქვს მოხვედრილი და ძალიან ბევრი სისხლი დავკარგე.

განყოფილებაში მოიყვანეს ექიმი, რომელმაც „პერეკისით“ მომწმინდა სისხლი, სხვა არაფერი გაუკეთებია. მე რომელ სართულზეც ვიყავი, იქ ბათუმიდან არავინ მოუყვანიათ, მაგრამ



## პილურობის

მეორე დღეს ვნახე რამდენიმე – ხელებშექრული ჰყავდათ პოლიციის სამმართველოს ეზოში, მათ შენობაში შემოსვლა არ მოუწიათ, უბრალოდ ადგილი აღარ იყო შენობაში და ხელებშექრული 24 საათის განმავლობაში თავსხმა წვიმაში ჰყავდათ გაჩერებული, სასტიკად ნაცემები.

მე არ ვიყავი ნინო ბურჯანაძის აქციაზე, არ ვარ ბურჯანაძის მხარდამჭერი, არც მისი პარტიის წევრი, და ამ აქციაზე როგორც რიგითი მოქალაქე, ისე ვიდექი – ვაპროტესტებდი ამ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, მაგალითად იმას, რომ ამ ქვეყანაში სასამართლო არ არსებობს, რომ ამ ქვეყანას აქვს აბსურდული ეკონომიკური პოლიტიკა, არ გააჩნია არც ჯანდაცვის სისტემა და განათლების სისტემა ხომ საერთოდ კატასტროფაა. რაც შეეხება ხელისუფლების განცხადებას, რომ მზადდებოდა გადატრიალება, თუ ეს ინფორმაცია მართლია, მაშინ მე როგორც დაზარალებული, ვეკითხები ვანო მერაბიშვილს და სხვებს, რატომ არ მომაწოდეს ინფორმაცია და რატომ არ გამაფრთხილეს. რომ მცოდნოდა გადატრიალებას ამზადებდნენ, ამ ხალხის გვერდით ნამდვილად არ დავდგებოდი; რადგან დამიმაღლეს ინფორმაცია და არ გამაფრთხილეს წინასწარ, მე დავზარალდი...

უსამართლობას არც მომავალში შევეღუბი!

**ნოდარ ცინცაძე:** ღამით, თორმეტის შემდეგ სპეცნაზი შემოგვესია. აირია ხალხი ერთმანეთში, სპეცნაზელები მათ ხელკეტებით, წყლის ჭავლით და გაზით უსწორდებოდნენ. ხალხი დაჩეხეს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ფეხქვეშ იგდებდნენ და ისე დაუზოგავად სცემდნენ გინების, შეურაცხობის, ფურთხისა და ღრიალის ფონზე. შემდეგ ხელებშექრულები მიწაზე დაგვყარეს და ავტობუსებში შეგვყარეს პირუტყვებივით. გადაგვიყვანეს პოლიციის სამმართველოში და ღილამდე გაგვაჩერეს. იქ საშინელი ამბების მომსწრენი



გავხდით, როგორ უსწორდებოდა ქართველი უიარალო ხელებშეკრულ უმწეო ქართველს...

რაც შეეხება ბათუმის 21 მაისის მოვლენებს – ხალხის ნებას და სურვილს ხელისუფლებამ პროვოკაცია დაუპირისპირა. ტელევიზიასთან მოხდა დარბევა, თუმცა აქცია მაინც გაგრძელდა. კრების ოფისში შემოიჭრა სპეცჯგუფი. სიის მიხედვით აპატიმრებდნენ ადამიანებს, აქცენტი ხელმძღვანელობაზე ჰქონდათ გადატანილი, რადგან ფიქრობდნენ, რომ თუ უმეთაუროდ დაგვტოვებდნენ მუხტი განელდებოდა და ბრძოლა შეწყდებოდა. ხელისუფლებას გული გაუსკდა, როცა ხალხით გადაჭედილი ერას მოედანი იხილა! დიახ, ღირსეული აჭარლები მედგრად დადგნენ, დააფიქსირეს თავიანთი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია, არ შეუშინებნენ რეპრესიებს და ერთ მუშტად შეიკრნენ. არავინ აპირებს გაჩერებას, რადგან თუ ვაპატიებთ და შევარჩენთ, უარესი მოხდება. გადასახადები იმატებს და ცხოვრება ძვირდება. ვინ მოითმენს ამ უმსგავსობას? მე არ ვაპირებ!

**სიმონ ფუტკარაძე:** ჩვენს ქვეყანაში გამეფებულმა უსამართლობამ, წლების განმავლობაში ხელოვნურად განადგურებულმა სულმა, ჩემი შემოქმედების ქუჩა-ქუჩა აგებული ეროვნული ფოლკლორულ ქორეოგრაფიაზე ხელისუფლების ჩარევამ ჩემი და ჩემი შვილების სამშობლოდან ორჯერ გასახლებით დამუქრებამ და სხვა მრავალმა ტანკულმა და აწიოკებულმა სიცოცხლემ..., რომელმაც გენოციდის ზღრუბლს გადააბიჯა მაიძულა ჩვენი შელახული ღირსებისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად დავმდგარიყვავი იქ სადაც ქართველი ხალხი იდგა.

რამოდენიმე წელია ქუჩა-ქუჩა ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს, ოთხი წელია ვარ უმუშევარი და საერთოდ არ გამაკარეს არც სკოლას და არც საბავშვო ბაღს. მივაკითხე



## პირადობის

სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს, მაგრამ არ გამიწიეს არავითარი დახმარება. უკანონოდ გამომასახლეს მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელში არსებული და ჩემზე მოქირავებული ბინიდან. ჩემს ჩვიდმეტსულიან ოჯახს, საღაც შვიდი ბავშვი და ოთხი დედა, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. გონიოში წართვეს ჩვენი ხელით დამუშავებული 2860 კვემით ნაკვეთი, რომელიც დარეგისტრირებული მქონდა საჯარო რეესტრში და ზღვისპირიდან შვიდი კილომეტრით იყო დაშორებული. ოჯახში არავინ არ მუშაობს, მცირე წლოვანი ბავშვები განიცდიან შიმშილს, სიღარიბეს, ვართ გაუსაძლის და კატასტროფულ მდგომარეობაში. ყოველივე აღნიშნულმა უკანონობამ და იმან, რომ ორ ათეულზე მეტი განცხადება და საჩივარი მაქვს დაწერილი, მაგრამ სამართალი მაინც ვერ ვნახე. სასამართლომ ჩემს საჩივარზე გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება, რის გამოც იძულებული გავხდი შევერთებოდი ათასეულობით გულშემატკივარს, 2011 წლის 26 მაისის მომიტინგებს. ზემოთ აღნიშნული პრობლემების და ხელისუფლების ცალკეული პირების ზღვარგადასულმა უკანონობამ და ოჯახისათვის საარსებო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევამ იძულებული გამხადა მონაწილეობა მიმედო აღნიშნულ მიტინგში.

2011 წლის 21 მაისს ქ. ბათუმში მე შევუერთდი სახალხო კრების მიტინგს, 22 მაისს კი დედაქალაქში შევუერთდი მომიტინგებს, სადაც ფეხმოუცვლელი ვიდექი ქუჩაში და ვათენებდი დამეებს. 25 მაისს მიტინგს დიდძალი ხალხი შემოუერთდა და პარლამენტის შენობისაკენ დაიძრა დროშებით, სხვადასხვა ტრანსპარანტებითა და მოწოდებებით. გარკვეული დროის შემდეგ მეც მომცეს პრეზიდენტის ჯვარგადასმული სურათი და პირდაპირ ვიდექი მიტინგის ხელმძღვანელებთან – ტრიბუნასთან. დღის მეორე ნახევარში კი როცა ბატონმა თენგიზ ცეცხლაშვილმა ახალგაზრდები გადაიყვანა ტრიბუნის მარჯვენა მხარეს პარლამენტის ჭიშკართან, მეც გადავინაცვ-



ლე იქ, სადაც კბილებამდე შეიარაღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტი იდგა ავტომატებით, ნილბებით, რეზინის ხელკეტებითა და ფარებით.

მოულოდნელად სპეციალისტებმა მომიტინგები აღყაში მოგვაქციეს, ყველა კუთხიდან გახსნეს ცეცხლი, შემოუშვეს ცრემლსადენი მომწავლავი გაზი, ატყდა ფარებისა და რეზინის ხელკეტების შემზარავი ხმაური, ისროდნენ რეზინის ტყვიებს ყველა მიმართულებით, ისმოდა ქართველი გოგობიჭების შემზარავი ოხვრა და კვნესა. ეს ყველაფერი საოცრად გავდა გერმანელი ფაშისტების მიერ კონცლაგერში საბჭოთა პატიმრების ხოცვას და წამებას. სიტყვები არ მყოფნის, რომ ყოველივე ეს ავღწერო, ის რაც იქ ხდებოდა 26 მაისის იმ სისხლიან ღამეს. რამდენიმე სპეციაზმელმა ერთდოულად დამიწყო ცემა, აღლუმისთვის მომზადებულ ფიცარნაგზე დამდეს და გამეტებით მირტყეს თავში და სხეულზე. ბოლოს დავეცი და წაქცეულს სასიკვდილოდ მისწორდებოდნენ, წიხლებს მირტყამდნენ სახეში, თერთმეტი კბილი ჩამიმტვრიეს. ზემოდან მთელი სიმძიმით მეცემოდნენ სხეულზე, ორივე ხელით მირტყამდნენ თავში ხელკეტებს თავი გამიტეხეს, სისხლმა, რომ იფეთქა, ერთერთმა სპეციაზმელმა დაიყვირა – მგონი აღარაა ცოცხალი, კმარაო. გონება დაბინდულს დედა გამომეცხადა, შვილო აქ რა გინდაო იყვირა და გაქრა. ნახევრად მკვდარი გადამატრიალეს და პლასტმასის ხელბორკილები დამადეს, ისე გადამიჭირეს ძარღვებში სისხლი შედედდა. ძალაგამოლეული პოლიციელებს ვევედრებოდი თავში აღარ ჩაერტყათ. ამიყვანეს ავტობუსში, იატაკზე დამაგდეს და ხალხთან ერთად შინაგან საქმეთა განყოფილებაში მიმიყვანეს. ორმა პოლიციელმა კამერაში შემათრია, ცოტა ხანში შემოვიდა 4 ნილბიანი პოლიციელი და ერთი სამოქალაქო ფორმაში



## გენერაცია

ჩაცმული მოქალაქე. სისხლში ამოსვრილი ფეხით გად-  
მომატრიალეს, ალბათ შეეშინდათ იქვე არ მოვმკდარიყავი  
და ერთ-ერთმა ბრძანა საავადმყოფოში წავეყვანე და ისევ  
უკან მოვეყვანე. უგრძნობლად ჩამაგდეს სასწრაფო დახ-  
მარების მანქანაში და საავადმყოფოში მიმიყვანეს. გონზე  
რომ მოვედი, შევნიშნე საავადმყოფო სავსე იყო თეთრხა-  
ლათში ჩაცმული სპეციაზმელებით, რომლებიც ამ ნაცემ და  
გაუბედურებულ ხალხს გვითვალთვალებდნენ. უცებ ვიღა-  
ცამ წიხლი დამარტყა თავში, ექიმი ქალი, რომელიც იქვე  
იყო იკივლა: ხალხო, შვილებო, ქართველები არახართო?  
კაცს ტვინის ქსოვილები გადმოცვენილი აქვს და კლავთო?

განსაკუთრებული მადლობით მინდა მოვიხსენიო ის  
ექიმი ქალბატონი, რომელმაც ასეთი ყურაღება გამოიჩინა  
ჩემდამი. შემდეგ მიმღებში შემიყვანეს, და დაიწყეს ჭრი-  
ლობების დამუშავება. სახე დამახინჯებული მქონდა. ჩაშვე-  
ბული და დასიებული თვალებიდან ვერ ვიხედებოდი, კბი-  
ლებ ჩამტრეული, ორად გაპობილი თავი და მთელი სხე-  
ული დაღურჯებული მქონდა. ჯოჯოხეთური ტკივილები  
მაწუხებდა. სიკვდილს თვალებში უყურებდი. პოლიციელებმა  
ექიმი გააფრთხილეს გამაყუჩებული არ გაეკეთებინათ და  
ისე ამოეკერათ თავი და თან დაჩქარებით, რადგან მაღე  
უკან უნდა წავეყვანე, როცა პოლიციელები გავიდნენ, ექ-  
იმმა ჩუმად მითხრა, უთხარი რომ შემთხვევით მოხვდი იმ  
ადგილას და მომიტინგებთან არავითარი საქმე არ მქონდა,  
ალლუმს უნდა დავსწრებოდი და ეკლესიაში უნდა გამე-  
თია ღამეო. ექიმი გავიდა გარეთ და მართლაც ასე უთხრა  
პოლიციელებს, მაგრამ პოლიციელებმა არ დაუჯერეს, მაგას  
პრეზიდენტის ჯვარგადასმული სურათი ეჭირა და მიტ-  
ინგზე ტრიბუნის წინ იდგაო. ექიმს მოსთხოვეს შეევსო  
ჯანმრთელობის მდგომარეობის ფურცელი და მსუბუქი და-



## პიგადითება

ზიანებები ჩაეწერათ შიგ, მაგრამ ექიმმა ჩემს გაშვებაზე სასტიკი უარი განუცხადა სპეციაზმელებს. გადამიყვანეს პალატაში, სადაც მოსაცდელში ორი პოლიციელი მეღვა თავზე. მოვიდნენ უფროსი პოლიციელებიც და გარკვეული პერიოდი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მღანძლეს, წიხლი მკრეს, გამომაგდეს ქუჩაში და დამაგდეს. კიდევ კარგი ჩუ-მად ექიმის ტელეფონით დავურუკე ჩემს მეგობარს თენგიზ ართილაყვას, რომელიც იოსებ ბოლქვაძესთან ერთად მოვიდა, მიპოვეს ქუჩაში და მიპატრონეს.

**ავთანდილ დიასამიძე:** რამ მიგვიყვანა 2011 წლის 21-26 მაისის მიტინგამდე?

პასუხი ასეთია: ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურ – ეკონომიკურმა და სოცილურმა გარემოებებმა, ხელისუფლების არაეფექტურმა და არაეროვნულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, დემოკრატიის განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის სიტყვით და განცხადებებით ტრაბახმა, ხოლო საქმით ქვეყნაში დემოკრატიის ფაქტიურად მოსპობამ, კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების უგულებელყოფამ, უმუშევრობის, ფასებისა და გადასახადების რადიკალურად ზრდამ, ხელისუფლების მიერ იმათ მტრად მიჩნევამ, ვინც მათი მომხრე არ არის და ვისაც მათგან ოდნავ განსხვავებული აზრი აქვს, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვამ, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის იგნორირებამ, ხელისუფლების ერთი პირის ხელში უზურპაციამ, დესპოტური მმართველობის დამკვიდრებამ, „უსამართლო სამართალმა „უღირსებისათვის დაფნის გვირგვინების დადგ-მამ“, მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყნაში შექმნილმა გაუსაძლისმა ცხოვრებამ... ეს აზრი გასდევდა მთავარ მოტივად მიტინგზე ჩემს გამოსვლასაც.



## პირადობის

საქართველო არაერთი ტრაგიული მოვლენების მომსწრება და მათ რიგს შეემატა 2011 წლის 26 მაისი.

იწყებოდა 26 მაისი... იქნებოდა ღამის პირველი საათის 15-20 წუთი, როცა რამოდენიმე ასეულმა ნიღბიანმა, ფარებითა და ხელკეტებით შეიარაღებულმა სპეცნაზელებმა და პოლიციელებმა მშვიდობიანი მომიტინგები თბილისში, რუსთაველის მოედანზე პარლამენტის წინ, ალყაში მოგვაქციეს და დაუნდობლად, გაუფრთხილებლად დაგვესხნენ თავს და ლანძღვა-გინებით, ხელკეტებით, ფეხებით და ძალის დატენიკის გამოყენებით, ცრემლსადენი გაზის და წყლის ჭავლის გამოყენებით დაიწყეს მიტინგის დაშლა. შეუბრალებლად და დაუნდობლად ურტყამდნენ კველა მომიტინგებს, ვინც ხელთ მოყვებოდათ, თავებს ისე უხეთქავდნენ, როგორც საზამთროებს. დარბევის დაწყების დროს მე, სხვებთან ერთად მიტინგის ხელმძღვანელთა ტრიბუნასთან ახლოს, მოედანზე ვიდექი, იქვე იდგა ავტომანქანა „ტრაილერი“, რომელზედაც იღვნენ მიტინგის ხელმძღვანელები. ჩვენ დაახლოებით ასზე მეტმა კაცმა შევარდით აღნიშნული ავტომანქანის უკან, რომ როგორმე გადავრჩენილიყავით. მაგრამ ფაქტიურად ავტომანქანისა და მის უკანა მხარეს ხის კედელს შუა ჩიხში მოგვამწყვდიეს, სადაც წინა და უკანა მხარეს ჩვენი „დამსჯელი“ სპეცრაზმი მოგვადგა, მომიტინგები ისე მიგვამწყვდიეს, რომ ლამის ჭყლეტა მოეწყო, მაგრამ როგორდაც მოვახერხეთ თავისუფლების მოედნისკენ დაძრა, ოუმცა ამ დროს მხუთავი გაზი და წყლის ჭავლი ძლიერი ძალით მოგვასხეს, სპეცნაზმელებმა ბევრის „დასჯა“ მოასწრეს და ბევრს ადინეს სისხლი. მე გაზით მოვიწამლე, მაგრამ გალახვას გადავრჩი. მომიტინგებმა უკან მდევარ სპეცნაზელებს ძლივს შევასწარით „კინოთეატრ რუსთაველში“, სადაც სამშვიდობოს გვეგონა ჩვენი თავი, მაგრამ დაახლოებით 20 წუთის შემდეგ „კინოთეატრ



## პიგდიონისა

რუსთაველის“ დარბაზში ასეულობით ნიღბიანი და შეიარაღებული სპეცნაზელი შემოვარდა. ისინი მომიტინგებს და მიტინგის ხელმძღვანელებს გვაგინებდნენ, გვლანძღვდნენ. შემდეგ თითოეული მათგანი ზოგი ძალით, ზოგი ნებით აგვიყვანეს სცენაზე, დაგვადეს ხელბორკილები და ერთმანეთზე დაგვყარეს, ბევრი მათგანს უმოწყალოდ ურტყეს ხელკეტები. ერთი ხმის ამოღება და შელაპარაკება საკმარისი იყო, რომ მოვეკალით. იატაკზე პირჩაღმა დაგვყარეს. ჩემზე ხელბორკილის ჯერის დადების დრო რომ დადგა, ერთმა სპეცნაზელმა თქვა: ხელბორკილები, რაც წამოღებული მქონდა გამითავდა, არა მაქვს და ერთი კაცისთვის უკან ხომ ვერ დავბრუნდებიო. მაშინ იატაკზე დაწოლილს, მაღალმა და მძიმე სპეცნაზელმა ზურგზე ხელკეტი დამარტყა და ფეხით შემდგა. იგი დიდხანს მედგა თავზე. იატაკზე დაწოლილები ერთმანეთს ვეუბნებოდით ჩვენს სახელს და გვარს, რომ ცუდი შედეგის (სიკვდილის) შემთხვევაში, ვინც ცოცხალი დავრჩებოდით ოჯახისთვის შეგვეტყობინებინა ყველაფერი.

როცა ასეთ მდგომარეობაში გავიდა რამდენიმე ათეული წუთი, შემდეგ გვიბრძანეს გარეთ მწყობრში ჩამდგარი გავსულიყავით. ერთ-ერთმა სპეცნაზელმა, ვინც განკარგულებებს იძლეოდა, ბრძანება გასცა, რომ „კინოთეატრ რუსთაველიდან“ გასვლის დროს არავისზე დაერტყათ. აღნიშნულის მიუხედავად კინოთეატრიდან გამოსვლის დროს, სადაც მომდგარი იყო რამდენიმე ყვითელი ავტობუსი, ბევრ მათგანს და, მათ შორის მეც. მუშტი ისე ძლიერ დამარტყეს, რომ მევონა თავი მხრებს მოსწყდა. ცხვირიდან სისხლი ჩქეფით წამოვიდა, სახე და პიჯაკი, სისხლით შემეღება. მომიტინგეთა მიმართ გინება, ლანძღვა, მუქარა, შანტაჟი, დამცირება და ღირსების შეღაზვა გრძელდებოდა ყვითელ ავტობუსში, რომელშიც თევზებივით შეგვყარეს და მიგვიყვანეს პოლიციის თბილისის სამმართ-



## გელოსა და პროკურატურის ეზოში, სადაც გარეთ კოკისპირულ წვიმაში გაგვაჩერეს ერთ საათზე მეტ ხანს.

ეტყობა იქ მყოფი ყველა პოლიციელი არ იყო ძარღვაწყვეტილი და შერჩენოდა რაღაც ადამიანური... ასეთი იყო ის, ვინც პოლიციის სამმართველოს ეზოში ცხვირპირ სისხლიანი, ცუდ მდგომარეობაში მყოფი შემამჩნია და ჩემს ნათქვამზე, რომ გვიკვირს აქ რატომ მოგვიყვანეს, რადგან მომიტინგებს არავითარი სამართალდარღვევა არ ჩაგვიდებია მეთქი და გათავისუფლება მოვითხოვთ, მან ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა და რამდენიმე პირთან ერთად გამოგვიშვა. მეორე დღეს, მართალია, ცუდად ვიყავი, მაგრამ სასწრავოდ ბათუმში წამოვედი, ოჯახში ვიწევი რამდენიმე დღე და ვმკურნალობდი. საავადმყოფოში ვერ მივედი იმ მიზეზით, რომ არ დაწყებულიყო ჩემს მიმართ არაკანონიერი დევნა, როგორც ეს მოხდა სხვა მომიტინგების მიმართ. აქვე ავღნიშნავ, რომ 1956 წლის 6 მარტს და 1989 წლის 9 აპრილს როცა საბჭოთა ჯარებმა ქართველი მომიტინგები ძალის გამოყენებით დაარბიეს, მათ მომიტინგებს მაინც მისცეს გასაქცევი გზა... 2011 წლის 26 მაისს – ამ „ბართლომეს ღამეს“ კი საქართველოს ხელისუფლებამ, ქართულმა ძალოსნებმა მშვიდობიანი მომიტინგები „რკინის რკალში“ მოაქციეს და ერთ კაცსაც არ მისცეს გაქცევის, წასვლის საშუალება. იქვე რუსთაველის ქუჩასთან ახლოს, ლესია – უკრაინკას ქუჩაზე გაკეთებულია „1956 წლის 9 მარტს საბჭოთა რეჟიმის მიერ დახვრეტილი მშვიდობიანი მომიტინგების ხსოვნის მემორიალი“, ასევე იქვე, პარლამენტის წინ აღმართულია „1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი“. დღევანდელმა საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ კი 2011 წლის 26 მაისს მშვიდობიანი მომიტინგებისადმი სისხლიანი ანგარიშს-წორების მემორიალი თავად დაიდგა.



## გიგანტები

როგორც იურისტი ვაცხალებ: მომიტინგეთა მიერ ადგილია არ პქონია შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კონსტიტუციის, კანონის და საერთაშორისო სამართლის ნორმის რამე დარღვევას, პირიქით, მოცემულ შემთხვევაში შშვიდობიანი მომიტინგებების ძალისმიერი და უფლებამოსილების გადამეტებით დაშლა-დარბევა, მათი ღირსებებისა და უფლებების შელახვა ხელისუფლებამ წინასწარი განზრახვით მოახდინა მოქმედი კანონმდებლობისა და შეკრებებისა და მანიფესტაციების მოწყობა-ჩატარების თაობაზე საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით.

ასევე ყოვლად უსაფუძვლოდ მიმაჩნია, რომ თითქოს მომიტინგები „სახელმწიფო გადატრიელებას“ ამზადებდნენ. ეს საქართველოს ხელისუფლების ზუსტად ისეთი მეთოდია, როგორც პრუსიის იმ მთავრობისა, რომელმაც 1851 წელს დაპატიმრებათა ტალღა და კელნში სასამართლო პროცესი მოაწყო დაპატიმრებულთა „სახელმწიფო ღალატის ხასიათის მქონე შეთქმულებაში“ მონაწილეობის ბრალდებით.

შშვიდობიანი მომიტინგების მიმართ სასტიკი და სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ, იმავე დღეს – 2011 წლის 26 მაისს ქართველი ხალხის სისხლით მორწყულ მეოდანზე (რუსთაველის გამზირზე) აღლუმის ჩატარება ეს იყო თვით საქართველოს ხელისუფლების მიერ დემოკრატიის, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის და საკუთარ ხალხზე გამარჯვების ზეიმი.

**ლეილა სარჯელაძე:** 26 მაისი – დღე ამაღლებისა და დღე დაცემისა, დღე სიხარულისა და დღე ტკივილისა... რა მოხდა იმ დღეს – 26 მაისს თბილისში? როცა ერთ ხორც და ერთ სულ გადაქცეული ქართველი ხალხი აღდგა?..

მე და ჩემი ვაჟი – მირიან ქათამაძე „სახალხო კრების“ სახელით ვიმყოფებოდით თბილისში. ის არაჩვეულებრივი დღე იყო, საბრძოლო ყიფინით ვიყავით სავსე, ფანატიკურად

## პირულითება

გვჯეროდა გამარჯვების, ჩვენ ყველანი შშვიდობანი აქციის მონაწილენი ვიყავით შიშველი ხელებით ვუპირისპირდებოდით სააკაშვილის ხელისუფლებას, რა ვიცოდით, რომ ასე განწირულები და გამეტებული ვიყავით ხელისუფლების მიერ...

26 მაისი დგებოდა, გადაუღებლივ წვიმდა, მაგრამ ჩვენ არ გვციოდა, ჩემი მეგობრები ლია შაქარიშვილი და გიზო გოგიტიძე გვერდით მედგნენ და ვგრძნობდით მოახლოებულ საფრთხეს. მე მინდოდა ტრიბუნასთან ასვლა, რათა კიდევ ერთხელ გამომეხატა ჩემი გულისტკივილი, მაგრამ უკვე დრო აღარ იყო, მოდიოდნენ სიკვდილის ცელით მსახვრალნი, მაგრამ არ გვჯეროდა თუ გაგვიმეტებდნენ...

ამ საშინელ წამებში მეგობრები მირეკავდნენ, გაიქციოთო... სპეცრაზმელებმა ალყა შემოგვარტყეს, მე კი ვერ ვტოვებდი როგორც ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს და ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ასევე სახალხო კრების ლიდერებსაც.

ყველაფერი ელვის სისწრაფით ხდებოდა, უნდა გავქცეულიყავით, ჩემმა ვაჟმა ივაჟკაცა, ამიტაცა ამოდენა ქალი და ქაშუიეთის ეკლესიისკენ გამაქცია. შემდეგ კი ორი მანდილოსნის გადარჩენაც მოახერხა, მან მიგვიყვანა ქაშუეთის ეკლესიასთან, ეკლესია დაკეტილი აღმოჩნდა. ირგვლივ ბოროტება მძვინვარებდა, საბრალო ხალხი ეკლესიასთან იდგა და ელოდებოდა მოახლოებულ განსაცდელს. მე უნებურად ისტერიული ყვირილი დავიწყე და მუშტებს ვურტყამდი ჩარაზული ეკლესიის კარებს – გააღეთ! გააღეთ!-მეთქი ვყვიროდი, მაგრამ არსაიდან ხმა არ ისმოდა, უცებ ყველაფერი დაბნელდა, მხუთავი გაზი შემოაგდეს ეკლესიის შესასვლელში, გაგვიმეტეს უდანაშაულო ხალხი, უმეტესობა ქალები ვიყავით. ასეთ რამეს თვით ფაშისტებიც არ აკეთებდნენ, ისინი საკუთარ ხალხს არ წამლავდნენ და არ ხოცავდნენ.

მხუთავმა გაზმა წამაქცია, არაფერი მახსოვს, უცებ გამოვფხიზლდი, ჩემმა ვაჟმა ეკლესიის უკანა ეზოში გაგვი-



## გიგანტები

ყვანა მე და ჩემი მეგობარი ქალი. ჩვენ საკმაო დოზით შევისუნთქმეთ შხამიანი აირი. არსად გაქცევა არ შეგვეძლო, ირგვლივ რეზინის ტყვიები ზუზუნებდა. საბედნიეროდ ტყვია არ მოგხვედრია. ამ საშინელ წუთებში გიზო გოგიტიძეს მოვკარი თვალი, ამ დიდებულმა ვაჟებაცმა არ მიგვატოვა.

გადაუღებლივ წვიმდა, ამ სიტუაციაშიც შიში არ გვიპყრობდა, პანიკაში არ ჩავარდნილვართ. უცებ საიდგანაც მღვდელი გამოჩნდა, შეშინებული იყო, გამიკვირდა, ეკლესიაშიც იყო სატანა შესული, შემდეგმა მოვლენებმა ეს ფაქტი დაადასტურა.

ფიქრის დრო აღარ მრჩებოდა, ვგრძნობდი ჩემი შვილი ცუდათ იყო, (მან ყველაზე დიდი დოზით შეისუნთქა მხუთავი გაზი, ნიღაბი არ გაიკეთა).

ზალხი გადასარჩენი იყო, საჭირო იყო გონივრული მოქმედება, უცებ მოვიაზრე და მობილური ტელეფონით დავუკავშირდი ქალბატონ – ნინო ბურჯანაძის წარმომადგენელს ქალბატონ მანანა სალუქვაძეს.

გაალმასებულმა ქალბატონმა ნინომ, რადიო – ობიექტივის საშუალებით მიმართა საპატრიარქოს, რომ ეკლესია გაედოთ და ზალხი გადაერჩინათ. მართლაც ცოტა ზანში ეკლესის კარი გაიღო და ჩვენც გადარჩენილები შიგ შევედით, ეს სიტუაცია, რომ გავანალიზე, მივხდი, რომ ამით ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ჩვენი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდო, საკუთარ ზალხს დაეხმარა და არ მიატოვა განსაცდელში.

მხუთავი გაზიდან გამოფხილებულებმა შინაურების ძებნა დავიწყეთ. ეკლესია ზალხით გადაიჭედა. აქვე ხელვაჩაურის სახალხო კრების წარმომადგენლები: ციალა სურმანიძე და მზევინარ ძირკვაძე დავინახე, გამიხარდა, გავესაუბრე, გაოცებული ვიყავი მათი მხნეობით.

იმ დღეს ყველამ შიში დავძლიეთ. ბოროტებაზე გავიმარჯვეთ. ცოტა ზანში საპატრიარქოს წარმომადგენლებმა



## პილურთვა

საკვები და მინერალური წყალი მოგვიტანეს, არაფერი გვიჭამია, მხოლოდ წყალი დავლიეთ. ეკლესიაში საშინელმა სიცივემ დაისადგურა, ყველას გვციოდა, გადატანილმა სტრესმა ეს გრძნობა გაგვიორკეცა, მაგრამ რას ვიზამდით, უნდა გაგვეძლო, ჩვენი ჯგუფის წევრები ერთმანეთს ჩავეხუტეთ, რომ გავმთბარიყავით, წარმოიდგინეთ, სამი საათი კოკისპირულ წვიმაში ვიდექით, მაგრამ უფალი თავის ხალხს არ გვტოვებდა.

გამოჩნდა ჩვენი მხსნელი ქალბატონი – ჯულიეტა ახვლედიანი, რომელმაც გამთენისას მშვიდობიანად წამოგვიყვანა ეკლესიიდან, არ შეშინებია სისხლით გაუმაძღარი სვავების და მიგვიყვანა თავის სახლში, იქვე სიონთან ცხოვრობდა, გაგვათბო და დაგვაპურა, ის ეკლესიური ქალბატონი ბრძანდება, ღამით რაღაც ძალას გაუღვიძებია და ეკლესიაში მოუყვანია.

ჩვენ გადავრჩით... სისხლიანი 26 მაისი თენდებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ამაღლებული ვიყავით, რადგან 26 მაისის აღლუმი პირველად ჩვენ, მისმა უდიდებულესობამ – ქართველმა ხალხმა მივიღეთ...

მართალია ამ დღეს დავმარცხდით, მაგრამ ჩვენმა ბრძოლაშ შედეგი გამოიღო, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე ამის უტყუარი შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ 26 მაისის შედეგ ჯანმრთელობა შეგვერყა, (განსაკუთრებით ჩემს ერთადერთ ვაჟს), მაგრამ რწმენა არ დაგვიკარგავს, გვჯერა, ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდეა!

ღმერთმა გისმინოთ ქალბატონო ლეილა!

რაც შეეხება იმ ფაქტორს, „ვაი“ უურნალისტები რომ ამტკიცებენ – თითქოსდა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, მიტინგიდან წავიდა და ხალხი მიატოვაო – სრული სიცრუეა! იქ ვიმყოფებოდით მიტინგის მონაწილენი და ვხედავდით ყოველივეს თუ რა ხდებოდა. ქალბატონმა ნინომ მომიტინგებს



## პიპლორისა

გამოგვიცხადა, რომ ის პირდაპირ ეთერში იყო მიწვეული „მაესტროსთან“ საღამოს 10 საათისათვის და წავიდა. მისი მანქანების ექსკორტმა ჩემს თვალწინ ჩაიარა და მაღევე დაბრუნდა სადღაც ერთ საათში, ხოლო როდესაც მერიის თანამშრობლები ჩვენს გასაფრთხილებლად მოვიდნენ, რათა მიტინგი დაემალათ, ქალბატონი ბურჯანაძე იქ იმყოფებოდა. დაბრევა რომ დაიწყო, ხალხმა კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობას მიაშურა. ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ექსკორტი იქვე იდგა, მის ერთ-ერთ მანქანას ცისკარ გოგიტიძე ამოეფარა, როდესაც ტყვიებმა მანქანის მინა ჩატეხეს ცისკარი გაეცალა იქაურობას, თუმცა იმის დანახვა მაინც შესძლო, რომ ნინო ბურჯანაძე მიტინგის პოდიუმზე იდგა სხვა ლიდერებთან ერთად სპეცნაზელების ალყაში. შემდეგ მოგვიანებით გავიგე ერთ-ერთ სახალხო კრების წევრის – ქალბატონ ნანული დუმბაძისაგან, რომ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს წინ გადაფარებია, მისივე დაცვის წევრი, რომელსაც ძალის გამოყენებით ჩაუსვამს მანქანაში ქალბატონი ნინო. იგი თითქმის თვეზე მეტი ბათუმში იმალებოდა ახლო ნაცნობებთან, ხოლო შემდგომ ის იმულებული გამხდარა პოლიციას ჩაბარებოდა, რათა მის გამო ოჯახის წევრები ზეწოლას განიცდიდენ...

აქვე მინდა გამოამზეურო გაზეთ „ასავალ-დასავალის“ (2011 წლის №22-ში) გამოქვეყნებული ქალბატონ ნინო ბურჯანაძის სტატიის კომენტარი: – „მთელი ოჯახი რომ ამომიწყვიტონ, ვერ გამაჩერებენ! დიახ, მე მზად ვარ, სისხლის უკანასკნელ წევთამდე ვიბრძოლო. დაე, ჩემი და ჩემი შვილების სისხლი დაიღვაროს პირველი! ...სააკაშვილმა ფეხ-ქვეშ გამითელა ის, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია – ჩემი სამშობლოს სიყვარული, ჩემი სამშობლოსადსმი ერთგულება და ამას ცხვირში ამოვადენ სააკაშვილს! 30 მაისს სახალხო კრება საგანგებო განცხადებას გააკეთებს და ჩვენ გავაგებინებთ საზოგადოებას, თუ როგორ გავაგრძელებთ ბრძოლას.

ერთ რამეს კი ყველას ვპირდები: ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და ერთხელ და სამუდამოდ დაგას-რულებთ სააკაშვილის ნეობოლშევიგურ რეჟიმს!“

ეს განცხადება უურნალისტებთან შეხვედრისას გაახმოვა-ნა გამართულ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ თავისი პარტიის ოფისში, რომლის მოწმეც მე და ცისკარ გოგიტიძე გახლდით, სადაც იმ დღეებში თავს ვაფარებდით სახალხო კრების და-ნარჩენ წევრებთან ერთად...

ქალბატონმა ნინომ მისი თავდადება 26 მაისს ჩვენს თვალშინ დაამტკიცა, რომელსაც კომენტარები არ სჭირდება.

26 მაისს ჩვენ, სხვებისგან განსხვავებით, საკუთარი სი-ცოცხლის საფასურად შევებრძოლეთ სუფთა ხელებით ამ რეჟიმის უსამართლობას და ჩვენს გვერდით შეუდრეკლად იდგა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე თავისი ოჯახის წევრებთ-ან ერთად! როგორც ერთ-ერთი რიგითი ქართველი!

**ციალა სურმანიძე, ხელვაჩაურის რაიონის „სახალხო კრების“ თავმ-ჯდომარე:** 26 მაისი – ტკივილი და იმედგაცრუება.

26 მაისის ცნობილი მოვლენების აქტიური მონაწილე ხელვაჩაურის რაიონის „სახალხო კრების“ წევრებიც იყენენ.

როდესაც ქ. ბათუმში 21 მაისს ხალხმრავალი მიტინგის შემდეგ აჭარის ტელევიზიასთან მოხდა პროვოკაცია, კერძოდ, ღამით ოფისში შევარდნენ და „სახ-ალხო კრების“ წევრები დააპატიმრეს, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეპიცენტრი თბილისში უნდა გადასულიყო. მიღე-ბული იქნა გადაწყვეტილება თბილისში გასამგზავრებლად. მე როგორც ხელმძღვანელს მომზადებული მყავდა ავტო-



ციალა სურმანიძე



## გიბლიოგრაფია

მანქანები, მსურველები ბევრნი იყვნენ. შევიძინეთ ყვავილის დიდი კალათა და 4 ავტომანქანით თითქოსდა „გასვენებაში“ მივემგზავრებოდით.

გზაში არაერთი საპატრიულო პოლიცია გვაკონტროლებდა, თბილისში ღამით ჩავედით და შეუერთდით საქართველოს ტელევიზიასთან მიმდინარე მიტინგს. გათენდა 25 მაისი, მზიანი დღე იყო, აქციამ გადაინაცვლა თავისუფლების მოედანზე, დავიკავეთ რუსთაველის გამზირი. საღამოს საშინელი წვიმა წამოვიდა, მე და ჩემი ბიჭები პარლამენტის შენობის წინ ვიდექით. ღამის 12-ის ნახევარზე ჩენთან თბილისის მერიის წარმომადგენელი მოვიდა და რაღაც წერილი მოგვიტანა, კარგად რომ გაგვეგო ახლოს მივედით, იქ სადაც აქციის ლიდერები იდგნენ. ამის შემდეგ „სახალხო კრების“ ლიდერებმა მიმართეს მომიტინგებს, მოსალოდნელი დარბევის შესახებ და მოუწოდეს მომიტინგებს დაშლილიყვნენ. იქ მდგომი არცერთი ადამიანი ამ აზრს არ დაეთანხმა. გახდა ღამის 12 საათი, რაღაც ხმაური შემომესმა, ვიკითხე – რა ხმაური იყო, რაღაც ხდება მეთქი და ჩემებს უსაფრთხო ადგილზე გადასვლა შევთავაზე. 1-ის 15 წუთზე უკვე ალყაში ვიყავით გასვლა არცერთი მხრიდან არ იყო შესაძლებელი, გადავწყვიტე ბიჭები ეკლესიის ეზოში ჩამეყვანა, იქ აუარება ხალხი იყო ჩასული, დაგვიშინეს ტყვიები, გაუშვეს გაზი. ეკლესიის კარები დაკეტილი დაგვხდა (ის მხოლოდ ღამის 2 საათზე გაიღო) რუსთაველიდან კი ხალხის კივილი და საშინელი ხმაური გვესმოდა ჩვენ თვალ-წინ უმოწყალოდ ცემდნენ ადამიანებს. რუსთაველზე სისხლის გუბენი დადგა, მოდიოდა ყვითელი ავტობუსები, სადაც ხალხს ტომარასავით ყრიდნენ შიგ და მიჰყავდათ.

ეკლესიის კარების გაღების შემდეგ ბიჭებს გადავხედე და აღმოვაჩინე, რომ გელა გვიანიძე, ჯუმბერ ქამადაძე, ნუგზარ ქამადაძე, თემურ წერეთელი იქ არ იყვნენ. დავიწყეთ ტელეფონებით შეხმიანება, მაგრამ პასუხი არ იყო.



ეკლესიაში მამაოებმა შეგვიფარეს, საჭმელად რაღაცების მოიტანეს, გამოენისას რუსთაველზე სახანძრო მანქანების და მეტოვების ხმაური ისმოდა, ასსვალტს რეცხავდნენ წყლით. გამოენისას თითო-თითო გავიპარეთ, მღვდლები გვაცილებდნენ რათა არ დავეჭირეთ. გაჩერებულ ავტომანქანებთან რომ მივედით, უმოწყალოდ ნაცემი ჯუბერ ქამადაძე და გელა გვიანიძე ვიპოვეთ. სისხლი ჩამოვბანეთ, ტანსაცმელი შეუძინეთ და 26-ში შუადღის შემდეგ ორი ეკიპაჟი გამოუშვით თბილისიდან. ვეძებდით დაკარგულ ბიჭებს პოლიციაში, საავადმყოფოებში, ვრეკავლით ბატონ თენიაზ ცეცხლაშვილთან, მანანა სალუქვაძესთან და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბოლოს 27-ში საღამოს გავარკვიე, რომ ნუგზარ ქამადაძე და თემურ წერეთელი დაკავებულები იყვნენ. მათ სასამართლომ 2-თვიანი პატიმრობა მიუსავა. 28-ში შუადღისას დავტოვეთ თბილისი დარჩენილებმა. ეს იყო დაუკიწყარი კოშმარი.

მინდა დიდი მადლობა გადაუხადო ჩემს ვაჟკაც ბიჭებს: იაშა გვიანიძეს, რომან აბულაძეს, გელა გვიანიძეს, თამაზ ხალვაშს, ვაჟა სურმანიძეს, ნოდარ იაკობაძეს, ედნარ ლოლიძეს, ჯამბულ ჯაბნიძეს, მიშა ბერიძეს, ჯუმბერ ქამადაძეს, ნუგზარ ქამადაძეს, ნუგზარ მგელაძეს, მალხაზ წერეთელს, ლირსეულ ვაჟკაც ქალბატონ მზევინარ მირკვაძეს მმა ფრიდონთან ერთად, რომლებმაც თავდადება და ერთგულება გამოიჩინეს და არ შეუშინდნენ მოძალადე ჯალათებს, არ მიგვატოვეს ქალბატონები, გადაგვეფარენ და სიცოცხლე შეგვინარჩუნეს.

სამწუხაროა რომ არ აღმოჩნდა ბევრი ლირსეული ქართველი, საუბარია იმ ქართველებზე რომლებიც თბილად ისხდნენ სახლში, და იქედან ელოდებოდნენ შედეგებს, ეს იმედგაცრუება დღემდე მომყვება.

ქალბატონი ციალა სამწუხაროდ ვეღარ მოესწრო დოკუმენტური ფილმის დასრულებას, რომელიც გადაღებულია



ჩემი წიგნის „26 მაისის სისხლიანი კალოს“ მიხედვით, საღაც ისიც ერთ-ერთ ეპიზოდს აშექებდა ამ ტრაგიკულ მოვლენების ირგვლივ. ოფორტუ ყოველთვის მისთვის ჩვეული უანგარობითა და მხარში დგომით, მისი ფინანსური დახმარებით მოხდა თბილისში ჩვენი გამგზავრება და საჭირო კადრების გადაღება ფილმისთვის. რაზედაც კიდევ უდრმეს მადლობას ვუხდით მამაცს და ერთგულ მეგობარს!

ამ მოვლენების შემდეგ ქალბატონ ციალა სურმანიძეს გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია. ღმერთმა აცხონოს მისი სული. მალე იხილავს სინათლეს ჩემს მიერ დაწერილი წიგნი, რომელიც ეძღვნება უშიშარ და საქმისადმი ერთგულ ქალბატონს - ციალა სურმანიძეს სათაურით „ერთგულებისა და მამაცობის სიმბოლო“.

**ჯუბბერ შავიშვილი:** 26 მაისის სისხლიანი დამე. 2011 წლის 21 მაისს ქ. ბათუმში აჭარის ტელევიზიის წინ დაგვარბია აჭარის სპეცრაზმა, შემდეგ დამით „სახალხო რების“ ოფისში შემოიჭრნენ და დაიწყეს ცემა-ტყეპა და დაჭერები. მე პირადად იმ დამით ოფისში ფიზიკურად გამისწოდნენ, მიუხედავად ასეთი ზეწოლისა ჩვენ აღმოგვაჩნდა სულიერი სიმტკიცე შევბრძოლებოდით ტირანულ ხელისუფლებას.

23 მაისს დილით მე, ნაზიბროლა პირველი და ლეილა სარჯველაძე თავის ვაჟიშვილთან – მირიან ქათამაძესთან ერთად წავედით დაქირავებული ავტომანქანით თბილისში, მაგრამ სოფელ გრიგოლეთთან პატრულის თანამშრობლებმა ჩამოგვართვეს ავტომანქანა (არდამორჩილების გამო).

გზა განვაგრძეთ მიკრო ავტობუსით და დროულად ჩავედით თბილისში. მე პირადად იქ განმაწესეს შეფიცულთა რაზმში.

25 მაისს დამით გადაკეტეს ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი, ზუსტად ლამის პირველის თხუთმეტ წუთზე დაიწყო



## გიგანტები

სასტიკი შემოტევა, ყველა მხრიდან: გაზით, წყლის ჭავლით რეზინის ტყვიებით. უმოწყალოდ ცემდნენ ყველას სქესისა და ასაკის მიუხედავად.

მე დარბევის დროს აღმოვჩნდი კინოთეატრ „რუსთავ-ელში“, სადაც ფიზიკურად სასტიკად გამისწორდნენ, რის გამოც ჩემს ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა, იქიდან ავტობუსით გადამიყვანეს დიდუბის პოლიციაში, სადაც აუტანელ სიტუაციაში ვიმყოფებოდით, დაგვცინოდნენ, გვაფურთხებდნენ, გვაიძულებდნენ გვემდერა სიმღერა „ბელაჩაო“, დილით კი სახალხო დამცველის წარმომადგენლები მოვიდნენ და გარეთ გამოგვიყვანეს.

ამის შემდეგ დავბრუნდი ქობულეთში, სადაც გამომოძახეს პოლიციის უფროსის უფროსის მოადგილის თემურ ძოიძის დავალებით და გადამიყვანეს ბათუმის უშიშროების სამსახურში, სადაც ორი საათის განმავლობაში მკითხავდნენ. აქვე მინდა ალვანიშნო, რომ მექცეოდნენ ძალიან ლმობირად, რამაც ძალიან გამაკვირვა.

მეამაყება, ყოფილი ტირანული ხელისუფლების „გაშვებაში“ ერთ-ერთი წვლილი მეც რომ მიმიძღვის...

**გურანდა კონცელიძე:** ქედის რაიონის „სახალხო კრების“ წევრები, ჯამბული შარაბიძის ხელმძღვანელობით სრული შემადგენლობით ჩავედით ქ. ბათუმში 21 მაისის დაგეგმილ აქციაზე. ჩვენი მოთხოვნა გახლდათ, უპირველესყოვლისა საქართველოსა და ქართველი ერის სიყვარული და გამოლიანება: ასევე მოვითხოვდით საკუთარ სამშობლოში გვქონდა სრული უფლება გვეცხოვრა, როგორც საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, რათა დაცული ყოფილიყო ყველა ჩვენთაგანის ღირსება და პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად.

პირველი შეკრება გაიმართა „ერას მოედანზე“, აქ თავი მოიყარა 5000 მდე აქტივისტმა ქ. ბათუმიდან, ქობულეთი-



დან, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონებიდან იქ შეკრებილებს საშუალება მოგვეცა სიტყვით მიგვემართა საზოგადოებისთვის და ხმამაღლა გამოგვეხატა ის სატკივარი, რომელმაც გაგვაერთიანა. მეც მომეცა საშუალება, როგორც რიგით ქართველს მიმემართა სიტყვით ჩემი სამშობლოსა და ქართველი ხალხისათვის – მე ამაყი ვარ, რათა საშუალება მომეცა გაგიზიაროთ ის ტკივილი და პასუხისმგებლობა, რამაც განაპირობა ჩემი აქ მოსვლა. დღეს შეიძლება ბრძანაც დაინახოს საქართველოში არსებული სიტუაცია სადაც ფეხქვეშ არის გათელილი ის ყველა ლირსება და ლირებულება რითაც მრავალი წლის განმავლობაში ვამაყობდით ქართველი ერი, ქვეყანაში არ არსებობს მართლმსაჯულება, ადამიანის უფლებებისა და საკუთრების უფლებების დაცვა. სრული ტერორის ქვეშ უწევთ ბიზნესმენებს თავიანთი საქმიანობის წარმართვა. მთლიანი საკანონმდებლო სფერო მორგებულია მართველი გუნდის ინტერესებზე, მე და ჩემი თაობა ვალდებული ვართ დავიცვათ განადგურებისაგან სამშობლო, ჩვენი ისტორია, ოჯახი, საზოგადოება, კულტურა და ხელოვნება, ეს ჩვენი ვალია უფლისა და ერის წინაშე. ასე დავასრულე ჩემი სიტყვები. შემდგომ გადავინაცვლეთ აჭარის ტელევიზიასთან. ჩვენი მოთხოვნა გახლდათ ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან თ.ცეცხლამესთან შეხვედრა, რის გამოც მივიღეთ სასტიკი უარი და ამის შემდეგ ქვები დაგვიშინეს ეგრეთ წოდებულმა მშვიდობის მყოფელმა სამართალდამცველებმა. ასეთი სისასტიკის მოწე არ ვყოფილვარ არსად, თურმე ეს ყოფილა დასაწყისი მათი ქმედებებისა. ამინდის გაუარესებამაც ვერ მოახერხა ჩვენი ერთობის დაშლა, კვლავ შევიკრიბეთ „ერას მოედანზე“, ბატონებმა: თემურ შაშიაშვილმა, ვახტანგ ახვლედიანმა, მურმან დუმბაძემ და სხვებმა დავგმეთ ჩადენილი სისასტიკე, მაგრამ მათ ესეც არ იკმარეს და სასტიკად დაარბიეს ოფისში შეკრებილი აქტივისტები, რა-

## გიბლიოთისა

საც მოჰყვა ჯამბულ შარაბიძის, ემზარ ქადიძის და სხვების  
დაპატიმრება.

მეორე დღეს მე და ჩემი მეუღლე ზვიად დიასამიძე ჩვენს აქტივისტებთან: გურამ გათენაძესთან, ნუგზარ გათენაძესთან, მალხაზ სალაძესთან, (მათ 21 მაისს ბათუმის „სახალხო კრების“ ოფისის დარბევისას სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც წამოვიდნენ თბილის-ში), მზია საფარიძესთან, გია ნაკაშიძესთან, ემზარ ბერიძესთან და რევაზ გოგუაძესთან ერთად წავედით ქ. თბილისში, რათა გვეცნობებინა იქ შეკრებილი საზოგადოებისათვის რა ძალადობის მსხვერპლი შეიძლებოდა გავმხდარიყვით ყოველი ჩვენგანი. გზაში უკანონოდ ჩამოგვყარეს ავტომანქანებიდან, რამდენიმე კილომეტრი ფეხით ვიარეთ, მაგრამ მე და მზია საფარიძემ მაინც შევძლით დედაქალაქში ჩასვლა და მომიტ-ინგებთან გვერდით დგომა. დედაქალაქში 23 მაისს საღამოს 11 საათზე ჩავედით.

**არჩილ ცინცაძე,** ქედის რაიონის შეფიცულთა რაზმის ხელმძღვანელი: 2011 წლის 21 მაისს ბათუმში „სახალხო კრების“ დაანონსებულ აქციაზე ქედის რაინიდან ჩვენი რაიონის „სახალხო კრების“ თავმჯდომრის - ჯამბულ შარაბიძის ხელმძღვანელობით ბათუმში ჩავიყვანეთ დაახლოებით 550 ადამიანი, ხოლო აქციის შემდეგ დამით ბათუმის „სახალხო კრების“ ოფისის დარბევის შემდეგ სახალხო კრების სხვა წევრების დაპატიმრებასთან ერთად დააპატიმრეს ჯამბულ შარაბიძე და ჩვენი შეფიცულთა რაზმის უფროსის მოადგილე - ემზარ ქადიძე.

22 მაისს დილით ქ. თბილისში აქციაზე დასასწრებად ქედის რაიონიდან სხვადასხვა გზებით გავემგზავრეთ: გურამ ლომინაძე (ნაოპერაციები, ის ყავარჯინით გადაადგილდებოდა), მამა-შვილი: ნაზიმ და მამუკა ფარტენაძეები, მზია საფარიძე, ცოლ-ქმარი: გურანდა კონცელიძე და ზვიად დი-



## პიგდიტიკი

ასამიძე, მალხაზ სალაძე, რეზო გოგუაძე, ემზარ ბერიძე და ნუკრი დიასამიძე თავისი ავტომანქანით. მე და გურამ ლომინაძე, მამა-შვილთან ერთად მამუკას კუთვნილი ავტომანქანით გავემგზავრეთ, როდესაც ჩოლოქს გავცლით პატრულის ეკიპაჟმა გაგვაჩერა და წაგვიყენა ბრალდება თითქოს დაბა ჩაქვში პატრულს არ დავემორჩილეთ, თუმცა ეს იყო უდაოდ ცრუ ბრალდება, რათა ჩვენ არ ჩავსულიყავით თბილისში, არადა გზაში არავითარი პატრულის ეკიპაჟი არ მდგარა, ამ დროს ორი მსუბუქი ავტომანქანით ნიღბიანი სპეციაზმელები გვიჭრიან გზას და ჩვენს დაპატიმრებას ცდილობდნენ. იყო მცდელობა ავტომანქანის ჩამორთმევისაც. ამ შეხლა-შემოხლაში ნაზიმ ფარტენაძემ მიიღო გულის შეტევა – ინფაქტი და ის იქვე ახლომდებარე სამედიცინო პუნქტში მოვათავსეთ. მომაკვდავ მამასთან ერთად იძულებული გახდა დარჩენილიყო მისი შვილი მამუკა, ხოლო მე და ნახევრად ავადმყოფმა გურამ ლომინაძემ გზა ღამით გაგაგრძელეთ და შეუერთდით აქციას სადაც მოვინახულეთ სახალხო კრების ლიდერები და მათ მგზავრობისას ის ამბავი ვამცნე რაც თავს გადაგვხდა.

ჩვენ ვიყავით მზად სამშობლოს სიყვარულისთვის ბოლომდე დავხარჯულიყავით. 24 მაისს საღამოს სხვადასხვა ოჯახური მიზეზების გამო ნუკრი დიასამიძის ავტომანქანით ბათუმში გამოემგზავრნენ: ემზარ ბერიძე, გურანდა კონცელიძე, ზვიად დიასამიძე და მზია საფარიძე, აგრეთვე ბათუმში გამოემგზავრა ავადმყოფი გურამ ლომინაძე, რომელსაც ფიზიკურად არ შეეძლო ფეხზე დგომა, აგრეთვე უკან დაბრუნდნენ: რეზო გოგუაძე და მალხაზ სალაძე.

25-ში შუადღისას ტელევიზიის შენობიდან მომიტინვეებმა გადავინაცვლეთ რუსთაველის პროსპექტზე პარლამენტთან. ღამის 12 საათის შემდეგ კოკისპირულ თავსხმა წვიმაში მოხდა აქციის დარბევა. დარბევამდე მე სელვაჩაურის რაიონის სახალხო კრების წევრებთან ერთად ვიმყოფებოდი. დარბევის

დროს გავიღახეთ სუკელა იქ მდგომი, ხალხს გასაქცევი გზა არ დაუტოვეს, ძალოვნი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ, ხელები ყველას შეგვიკრეს და ასფალტზე დაგვარეს, შემდეგ ყვითელი ავტობუსებით გადაგვიყვანეს პოლიციის განყოფილებში, იქაც ქვცემდნენ, გვაგინებდნენ და რუსეთის აგენტებს გვეძახოდნენ. გამოენისას კი გამანთავისუფლეს სხვებთან ერთად.

**ნუგზარ ჟორდანია**, გაზეთ „აჭარა P.S.“-ის უურნალისტი: დღეს საქართველო დემოკრატიისაგან ისე შორსაა, როგორც მონღლოეთი... ვისაც არ სჯერავს, კარგად გადაავლოს თვალი იმ ფოტო და ვიდეომასალებს, სადაც 26 მაისის პერიპეტიის, სისასტიკის და მხეცობის, საკუთარი ხალხის სამაგალითოდ დასჯის პერიმეტრებია აღბეჭდილი და დასკვნა მერე გააკეთოს. თუ ესეც არაა საკმარისი – ეს უკვე სხვა მოვლენაა და მათ სხვა „ინფორმაცია“ სჭირდებათ. მე კი ამაში 2007 წლის 7 ნოემბერმაც დამარწმუნა, 21 მაისის ბათუმმაც და 26 მაისის თბილისურმა „ბელა ჩაოს“ ფონზე დათენებულმა „ბართლომეს ლამემაც“. ამ სამივე მოვლენის უშუალო მონაწილე ვიყავი, როგორც უურნალისტი ისეც ვაშუქებდი და მოვლენათა „ეპიცენტრში“ გახლდით, ვინმეს მონაყოლს ან გაგონილს კი არ ვიყვებით, არამედ თავად ვნახე, როგორი სისხლიანი სასაკლაო მოუწყვეს საკუთარ ხალხს დამოუკიდებლობის ოცი წლისთავზე. დარბევაც არის და დარბევაც, მაგრამ ის ცინიზმი, სადიზმი, სისასტიკე და არაადამიანურობა ვერც კი წარმომედგინა. იმ დღეს „კალიგულიზმის“ გამოვლინებაც დავინახე, ისიც დიქტატორი იყო და თავს დემოკრატად თვლიდა, მისთვის ადამიანის არც ღირსება არსებობდა და არც სიცოცხლე ღირდა რამედ ახირებებისა და მანიაკური სურვილების დასაკმაყოფილებლად სისხლიან სანახაობებს აწყობდა. თანაც ყოველდღე



ამას ამადლიდა ხალხს, ყველაფერ ამას თქვენივე კეთილდღეობისათვის, რომის იმპერიის დიდებისათვის და ნათელი მომავლისთვის ზრუნვით ვაკეთებო, არ გჯერათ? შეგიძლიათ გაეცნოთ კალიგულას მოღვაწეობის ქრონიკას და დარწმუნდებით თუ რა შეუძლია დაუსჯელობისა და უპასუხისმგებლობის სინდრომს...

„აჭარა P.S.”-ის გენერალური დირექტორის და მთავარი რედაქტორის – ჯემალ მეგრელიძის თანადგომით, სახალხო კრების მიერ გამოცხადებულ და დაანონსებულ 25 მაისის აქციაზე თბილისში გადაწყდა ჩემი მივლინება.

24-ში ჩავედი და ჩასვლისთანავე აღმოვჩნდი მოვლენათა ეპიცენტრში. საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ, სადაც ხალხი დილიდან იყო შეკრებილი ბევრი ძველი ნაცნობი და მეგობარი ვნახე. 25-ში შუადღემდე შევხვდი ჩემს მეგობარს და თანამოაზრეს, გამორჩეულ ჩვენებურს, საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელს, ნიაზ ბოლქვაძეს, მას აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც ვერ იყო კარგად, როცა გამოვკითხე, მითხრა რომ მთელი ღამე გაათენა, სიცხე ჰქონდა 39%, სახეზეც ეტყობოდა „გათანგულობა“. ვკითხე: თუ მიიღო რაიმე პრეპარატი, ან ექიმს თუ ეჩვენა, – არაო, მიპასუხა. ამ დღეში ნამდვილად ვერ დავტოვებდი ბ-ნ ნიაზს და სასწრაფოდ პოლიკლინიკაში ექიმთან წაყვანა შევთავაზე, მან სასტიკად იუარა, აქედან რომ წავიდე, რას იტყვიანო, მე მგონი ამ შემთხვევაში კომენტარი ზედმეტია – კაცი ფეხზე ძლივს იღვა და ღირსებას – საკუთარ ჯანმრთელობაზე მაღლა აყენებდა. აფთიაქში ავედით, თუმცა მიღებულმა წამლებმა მას სიცხე არ დაუწია. პარალელურად ჩემს უურნალისტურ საქმეებსაც ვაგვარებდი... საღამო ხანს, როცა ვთხოვე, რომ წასულიყო ახლობლებთან და ავადმყოფობა არ გაერთულებინა – არ გაჭრა, გამახსენდა, თბილისში წამოსვლისას, რედაქციაში, ჯემალ მეგრელი-



ძემ მეგობრულად, ბერი გაბრიელის საფლავზე აღებული მიწა და იქედან წამოღებული სასწაულმომქმედი ზეთის რამდენიმე წვეთი მომცა... განსაკუთრებით დაგიცავსო, ვინ იცის ასეთ დროს რა ხდებაო, ჰოდა გამახსენდა, ... ასე, 5 საათი იქნებოდა, როდესაც ნიაზს ქაშუეთის ტაძარში ლოცვა და სანთლების დანთება შევთავაზე. შევედით ავანთეთ წმინდა სანთლები, მამა-მაცხოვარს და მარიამ-ღვთისმშობელს შევევედრეთ მშვიდობა, ხსნა და სამშობლოს გადარჩენა და წარმოიდგინეთ – საოცარი სიმშვიდე, სიმხნევე და შეგრძნება დაგვეუფლა. გარეთ გამოსულმა მას ბერი გაბრიელის საფლავიდან წამოღებული ზეთიც გავუზიარე და მიწაც, უბრალოდ უბეში ჩავიყარეთ ნამცეცები და მკერდსა და შებლზე ზეთით ჯვარი გადავისახეთ... იქნებ ამ ლოცვამ და სიწმინდემ გვიხსნა, თორებ იმ რთული სიტუაციებიდან, რომელიც მე და ნიაზს ცალკ-ცალკე გადაგვხდა აბა რა გვიხსნიდა?... დიდება უფალს, რომ მისდამი მინდობილ კაცს არ გასწირავს და მშველელსაც გაუჩენს...

კოკისპირულმა წვიმამ აქციაზე მდგომნი დაგვასველა. წვიმამ თითქმის 11 საათის შემდეგ ოდნავ იკლო, მაგრამ მაინც ძლიერად წვიმდა. როცა მოვლენები ძალზე დაიძაბა და აშკარა გახდა, რომ არც მომიტინგები აპირებდნენ დაშლას და არც ხელისუფლებას სურდა დათმობა, აშკარად გამოიკვეთა დიდი საფრთხეების ალბათობაც, თუმცა ფეხის მოცვლას არავინ ცდილობდა. საშინელის მოლოდინმა დაისადგურა. ვგრძნობდი, რომ მთავარი მოვლენები აწი უნდა განვითარებულიყო და როცა ხელისუფლებისაგან მოსალაპარაკებლად მოსულების მანქანები წავიდნენ. ქვემოთ, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ქუჩას მარტო ჩავუყევი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკ-მაყოფილებლად. ამ დროს ვხედავ, ოც მეტრში, ქუჩის კვეთაში, ორივე მხრიდან გამოცვივდნენ კბილებამდე შეიარაღებული სპეციაზმელები და რამდენიმე რიგად ქუჩა გადაკეტეს. ვიღას



## გიგანტები


ახსოვდა შენი „ბუნებრივი მოთხოვნილება“, მეც მოვტრიალდი და ზემოთ ჩქარი ნაბიჯით გამოვწიე... როცა ეკლესის ქვემო გალავანს გავუსწორდი, იქვე მდგომი შავი „ჯიპიდან“ სამი კუთმაგარი, შავმაისურიანი ახალგაზრდა გადმოვიდა და – საით მიიჩქარიო შემეკითხა, ზემოთ-მეთქი... ვუპასუხე, მივხვდი რაშიც იყო საქმე... – მანქანაში ჩაჯექიო, აქ უურნალისტის პროფესია მოვიშველიე... ამ დროს, ეკლესის მხარეს, სადაც ღობე მთავრდება, ორი ტანმორჩილი ახალგაზრდა მივიდა და მათაც სხვების მსგავსად ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაზონს „მიადგნენ“. ჩემს გვერდით ერთ-ერთი მდგომი მათკენ გაემართა. მივარდა მათთან და ერთ-ერთ მათგანს ხელების ამოგრეხვა დაუწყო, როგორც ჩანს ის ყმაშვილი კარგი სპორტსმენი იყო, სავარაუდოდ, მოჭიდავე, რომლებიც ჩემი შეფასებით მომიტინგების უსაფრთხოებას იცავდნენ და როცა ხელი გაითავისუფლა, ისეთი უთავაზა და კისრულით წამოიღო მომხდური, რომ ბუჩქებს იქეთ გადააგდო, დანარჩენებიც მის საშველად გავარდნენ... ჩემი თავი ვისლა ახსოვდა, მეც დრო ვიხელთე და ასე ოციოდე მეტრით ზემოთ გავიქცი. იქ ძველებური სახლები და ეზოები იყო. პატარა ქუჩის მხრიდან კი საერთო ეზოები ჭიშკრებით დაცული. რამდენიმე შესასვლელი ჩაკეტილი აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი იყო ლია, ეტყობა ჭიშკარი არ იკეტებოდა. საერთო ეზო ღრმაც იყო და მოხვეულიც, ყველგან ჩაბნელებული, მხოლოდ ბოლოში, ერთ ადგილას ჩანდა სინათლე... შემინულ კარში არც ჩანდა, რომ ვიღაც მოძრაობდა სახლში, მე არჩევანი არც კი მქონდა, იმ წუთებში ნამდვილად არაფერზე არ ვფიქრობდი, გადარჩენის ინსტიქტი მამოძრავებდა... უცბად მივვარდი იმ კარს და დავაკაკუნე... კარი შუახნეს გადაცილებულმა მამაკაცმა გამიღო... აღარც ვიცი რა ვუთხარი, როგორც ჩანს სათქმელი მოკლედ და კონკრეტულად გამოვხატე, ისიც მიმიხვდა, რომ განსაცდელ-ში ვიყავი და შველა მჭირდებოდა, სახლში შემიშვა, შემდეგ



## პირდღიროვანი

მეუღლეს მიუბრუნდა და უთხრა: – „ხომ ხედავ კაცი გაწუწულია და ჩემი ტანისამოსი გამოუტანეთ“... მოკლედ იმ დამეს ამ დალოცვილებმა შემიკედლებს. სამიოდ წუთში, ეზოს ბოლოში, გრანიტის ქვაფენილზე ქვემოდან აძომავალი სპეცრაზმელების ჩექმების მწყობრი ბრაგუნიც მოისმა, ეს კი ტრაგედიის ბოლო ფაზის დასაწყისი გახლდათ... შემდეგ სპეცნაზელმა შემოიხედა და რომ დაინახა მაგიდასთან „საოჯახო ტანისამოსი“ მემოსა და ჩას მივირთმევდით, ეტყობა ოჯახის შინაურად აღმითქვა და კარი მოიხურა... დაახლოებით ერთ საათში ეზოში ორი ახალგაზრდა შემოვარდა, მათაც მოსდევდნენ, ისინი სულ ტალახში იყვნენ ამოსვრილნი, მასპინძელმა და მისმა ხვთისნიერმა მეუღლემ ორთავე შეიფარა, ოთახში არ შემოუყვანიათ, იქვე სათავსოში გადამალეს და ჩაი, ყველი, ჟური და ძეხვის ნაჭერი მიუტანეს, მშრალი ტანისამოსიც ჩააცვეს, მე დილით ვნახე ის ახალგაზრდები, ვნახე მათი მადლიერი და ამაყი თვალები, სადაც იკითხებოდა, რომ ტკივილს, ძალადობასა და სისასტიკეს ვერ გაეტეხა მათი სული და თანაც იმითაც იყვნენ ბეღნიერები, რომ საქართველოში ჩვენი „უნებლიე“ მასპინძლებივით სულით მაღალი ადამიანები სახლობდნენ... ჩემთვის ეს ადამიანები უძვირფასენი არიან და სანამ სული მიდგას, მათ წინაშე დავალებული ვიქნები.

26 მაისის მოვლენაზე, ამ უდიდეს „ქართულ ტრაგედიაზე“ და არ გადავაჭარბებ – უდიდეს „ქართულ სირცხვილზე“ ბევრი დაიწერა და ითქვა, გაკეთდა შეფასებებიც და დასკვნებიც, თუმცა ბევრი რამ კვლავაც გვახსენებს თავს, ხომ ხედავთ, რომ არც ჭრილობებია შეხორცებული და არც ტკივილია განელებული... თანაც თუ გულახდილები ვიქნებით, ყველაზე მეტად მაინც „სირცხვილი“ გვტკივა, მაგრამ რაც ხდება, ამასში ბრალი თითეულ ჩვენთაგანს მიუღვის, განსაკუთრებით დიდია გულგრილი, ე.წ. შემრიგებელი და მომთმენი ქართველების როლი, რადგანაც, წარმოიდგინეთ,



რომ რასაც გვიბედავენ, გვმართებენ და გვიკეთებენ, ჩვენ თავადვე ვაბედვინებთ, აბა ეს აიღონ და სხვას გაუბედონ? რას გაუბედავენ, ვინ მისცათ ამის უნარი? გაბედავენ და პასუხსაც მიიღებენ, ხოლო როცა ისე ხარ „დაჩმორებული“, როგორც თავად პირველი პირებიც ამბობენ, რომ ღირსეული პასუხის გაცემის თავი არა გაქვს – რომელ ღირსებაზეა ლაპარაკი?!... მოკლედ, სანამ თავმოყვარეობას – ღირსების იმ ხარისხში არ ავიყვანო, რომ ქვეყანა კუჭს, გაუმაძღობას, ვიღაცისკეთილდღეობას, სკამებსა და ხუშტურებს არ გადავაყოლებთ, – მანამდე არაფერი გვეშველება და უფრო მეტიც კი შეიძლება შეგვყარონ! თუმცა იქნებ ინგრეს უფალმა და 26 მაისის ტრაგედია ბოლო ქართული ტკივილი იყოს და ახალ ცნობიერებას დაუღოს სათავე, ვინ იცის... ოცნებას კაცი არ მოუკლავს... იმედს არ ვკარგავ! უფალი ჩვენთან არს, ამინ!

სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ 26 მაისის აქციაზე ერთ-ერთი დაკავებულის „პისტი“ გავრცელდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ, ანალოგიური თავგადასავალი თითქმის იქ მყოფთ ყველას თავს გადახდა... „ჯოჯონხეთია მოსაგონებლად“. „23 რიცხვიდან თბილისში აქციაში ჩავერთე, დარბევის დროს ბიჭებთან ვიყავი და მეც პლასტმასის ხელკეტი მეჭირა, როცა სპეცნაზმა შემოუგვიტია, ბიჭებმა ნელ-ნელა უკან დავიხიეთ, ჰაერში ტყვიები ზუზუნებდა, გაზი თავის საქმეს აკეთებდა, ხალხის ტალღამ სცენის უკან გამიტაცა და ლიდერების გვერდით აღმოვჩნდი, ორივე მხრიდან სპეცნაზი გვიტევდა, რუსთაველის მხარეს გზა გახსნეს და ხალხმაც იხუვდა, ნონა გაფრინდაშვილი წაიქცა, ვიღაცა მის წამოყენებას ცდილობდა, მაგრამ უკანა რიგებიდან დიდი ტალღა წამოვიდა და ქალბატონი ნონა გადათელეს, მოკლედ ყველანი შეგვრეკეს კინო რუსთაველში, სპეცნაზმა, შეგნებულად ჩვენ სხვა გზა არ დაგვიტვა. დარბაზში თავი მოვიყარეთ დაახლოებით 150 კაცმა, სადაც რაღაც ფილმი გადიოდა. ქალბატონი ნინო



## გიგანტი

სპეცნაზის მოახლოებამდე უარს აშბობდა მის მანქანში ჩაჯდომაზე, მაგრამ როცა სპეცნაზი 10 მეტრით მოუახლოვდა, დაცვამ ძალად ჩასვა.

ერთ შხარეს კარები ჩავპეტეთ, მეორე შხარე კი ღიად დარჩა დაახლოებით 15 წუთში შემოცვივდა სპეცნაზი... – გოგი ქავთარაძეს პირდაპირ სახეში ჩაარტყეს ხელკეტი, სოსო ჯაჭვლიანი და თემურ შაშიაშვილი გაიყვანეს, ლუკა კურტანიძემ მაგრად იბრძოლა, იგი სამჯერ დააგდეს ვანოს ბიჭებმა, მაგრამ ირგვლივ ყველა დაასახირა, მესამე წამოდგომაზე დაახლოებით 20 სპეცრაზმელი მივარდა და გაიყვანეს.

ადამიანების წამება პირველი რიგებიდან დაიწყო, ეკითხებოდნენ რომელი რეგიონიდან იყვნენ წარმოლგენილი და ჩამოსულებს ორმაგად სცემდნენ. ხელკეტებს პირდაპირ სახეში ურტყამდნენ. დარბაზში დაახლოებით 100 სპეცრაზმელი იმყოფებოდა, ჩემამდე დაახლოებით 15 წუთში მოაღწიეს (მეხუთე რიგში ვიჯექი), მომვარდა 2 სპეცრაზმელი და უმოწყალოდ ცემა დამიწყო, თავზე ხელები დამაკრეფინეს და საღაურობა გამომკითხეს. როცა ხელკეტი მომიღერა ერთ-ერთმა, ჯიბეში სანთელი დამინახა, ამომიღო ჯიბიდან და მითხრა – სანთლის გამო ხელს არ დაგარტყამო. გვერდით მდგომა სპეცრაზმელმა კი ჯიბეში ხელი ჩამიყო და ფული ჯიბესთან ერთად ამომგლივა (ჯიბეში 300 ლარამდე მქონდა), მიყვირა, ბურჯანაძესთან ფულს აკეთებო და უმოწყალოდ მცემა, უკანა რიგებიდან ვიღაცა შეუსვენებლივ თავში მირტყამდა სკამზე მჯდომარეს, სკამებზე გადაბიჯებით ქვემოთ წასვლა მიბრძანეს, მეორე რიგამდე ჩავედი და მიბრძანეს, რომ დარბაზი დამეტოვებინა, ხელები ჯერ კიდევ მეხუთე რიგში თეთრი პლასტმასის ხელბორკილით შემიკრეს, უკან მომდევდნენ და განუწყვეტლივ თავში და გვერდებში ხელკეტებს მირტყამდნენ, კიბეზე ჩასვლის დროს მამაო



## პიგდილითისა

ამოვიდა და სპეციაზმელს ჩემი ცემის შეწყვეტა სთხოვა სპეციაზმელმა უხეშად მიუგო – შენს საქმეს მიხედო, შემდგომ ქვემოთ ჩამიყვანეს ფოიეში და დამაჩოქეს, იატაკი გატეხილი მინით იყო დაფარული, როცა მიმათრევდნენ, ფეხ-საცმელები გამძვრა. ამ დროს მეორე მამაო მომიახლოვდა, ვთხოვე სანთელი ჯიბიდან ამოელო – მამაომ თხოვნა შემისრულა, სპეციაზმელმა მიბრძანა წამოვმდგარიყავი და აკტობუსისაკენ დავძრულიყავი, რომელიც 15 მეტრში იდგა. მე ვთხოვე, ფეხზე არ მაცვია და გვერდითი კარებიდან გავსულიყავით, ამაზე სპეციაზმელმა უმოწყალოდ მცემა, შემათრიეს ავტობუსში და ჩამაგდეს გასასვლელში.

ავტობუსში 30 კაცამდე ვიყავით, თავების ჩაღუნვა გვიბრძანეს, ეს ყველაფერი მიმდინარეობდა ადამიანების ბლავილის და სპეციაზმელების ღრიალის ფონზე, სულ დედას გვაგინებდნენ, რუსეთის აგენტებს გვიწოდებდნენ, ავტობუსი დაიძრა და დაახლოებით 20 წუთში მთავარ სამმართველო-სთან მივედით, ჩამოგვყარეს ავტობუსებიდან ცემა-ტყებით და ჩაგვამწკრივეს.

ძლიერი წვიმა იყო, ნახევარზე მეტი უფეხსაცმლოდ ან ერთი ფეხსაცმლით ვიყავით. თავის აწევის საშუალებას არ გვაძლევდნენ, იყვნენ ძლიერ დაშავებულები, სამმართველოდან პატრულის ბიჭები ამოვიდნენ. ბიჭება სთხოვეს, დაჭრილებს და მაგარ ნაცემებს დახმარებოდნენ, ზოგიერთმა ხელზე ხელბორკილების მოშვება სთხოვეს, პატრულის ბიჭები კარგად იქცეოდნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ, ბიჭებს დახმარებოდნენ, ერთი საათი კოკისპირულ წვიმაში გვამყოფეს და მერე შეგვიყვანეს შენობაში, ბიჭების დანაწილება დაიწყეს სართულების მიხედვით. მე მეხუთე სართულზე ამიყვანეს, როგორც შევნიშნე, ეს სართული ნიღბიანების სამფლობელო იყო. ამ



## პიგლიფიცია

სართულზე ამოიყვანეს მურმან დუმბაძე, უმოწყალოდ ნაცემი და ოთახში შეათრიეს, როგორც მესმოდა, მას რაღაც დოკუმენტზე ხელის მოწერას სთხოვდნენ მან კი უარი უთხრა, რამდენიმე წუთის შემდეგ მისი დასისხლიანებული სხეული გამოათრიეს. ამ დროს ჩვენ დანარჩენი პოლიციელები და სპეცრაზმელები უმოწყალოდ გვცემდნენ, ძალიან ერჩოდნენ ახალგაზრდა ბიჭებს, სამი ბიჭი ოთახში შეათრიეს, ხელკეტებზე პრეზერვატივები ჩამოაცვეს და ჩვენს თვალწინ გაუპატიურეს.

როცა ამ წერილს ვწერ, ძალიან მიჭირს ამის გახსენება, როგორ ტიროლა ვაჟკაცი ხალხი, რამდენიმე კაცი გამოგვათრიეს, ბიჭებმა ერთმანეთს გადავულაპარაკეთ, თუ ოთახისაკენ წასვლა მოგვიწევდა, ფანჯრიდან გადავმხტარიყავით, მაგრამ მეშვიდე სართულზე აგვიყვანეს. იქ 100 კაცი დაგვხდა კოლონებად დაწყობილი, ყველა უმოწყალოდ იყო ნაცემი. დაიწყეს გაცხრილვა, ვისაც სურათში ამოიცნობდნენ პირდაპირ ორი თვით აკავებდნენ, დანარჩენებს ახალგაზრდა პოლიციელები დაკავების ოქმს უდეგნდნენ. დერეფანში ახალგაზრდა პოლიციელი აქტიურობდა დაახლოებით 22-25 წლამდე, გავლა-გამოვლაზე სცემდნენ კაცებს, ამ სართულზე ერჩოდნენ ახალგაზრდებს, მაგრამ აქ გაუპატიურება არ ყოფილა, ფეხები გამიშავდა, მაგრამ შენობაში მაინც თბილოდა.

როცა გათენდა, პოლიციელები საქმარისი არ იყო და თბილისის ზღვის ტერიტორიის ახლოს მიგვიყვანეს და დაგვყარეს 20-მდე ადამიანი (ღამით ინვალიდები და 45 წელს გადაცილებულები გაუშვეს)...

ეს აჭარის რეგიონის „სახალხო კრების“ წევრების არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც სისხლიანი კალო განვლეს 26 მაისის ღამეს...



ბათუმის ორგანიზაცია: მამა-შვილი: ცისკარ და ირაკლი გოგიტიძეები, ძმები: ირაკლი და ბესო ფალავები, ნანული დუმბაძე, დარეჯან დიასამიძე, ლაშა მსხილაძე, ბორის მემარიაშვილი, დავით ლორია, არმაზ როდინაძე, შუქრი ბრუნვაძე, ირაკლი დარჩია, ვახო მითაშვილი, შოთა ჭულაშვი, ნუგზარ კეპელიძე, ავთანდილ დიასამიძე, თამაზ დანელია, სიმონ ფუტკარაძე, დავით (ხუსო) თურმანიძე, ნოდარ ცინცაძე, გურამ ხოზრევანიძე, ბიჭიკო ბოლქვაძე, ნიაზ ბოლქვაძე, ცოტნე ანანიძე, ირაკლი ხინიკაძე, თენგიზ ცეცხლაშვილი, როლანდ თურმანიძე, სიმონ მახარაძე, ლევან ჯინჭარაძე, ნოდარ წულუკიძე, თენგიზ კახიძე, იაგო ბასილაძე, მინდია ბასილაძე, ემზარ მგზავრიძე და გელევან გოგიტიძე (ყოფილი პოლიტპატიმარი).

ხულოს რაონი: ნოდარ მიქელაძე, ჯუმბერ შაინიძე და ომარ აბულაძე.

შუახევის რაიონი: ვახტანგ ზოიძე, იოსებ დავითაძე, როლანდ ქათამაძე, რობერტ დიასამიძე, გერონტი ფუტკარაძე, აბელ ფუტკარაძე, რომან ფუტკარაძე, იური ფუტკარაძე, ზურაბ ფუტკარაძე, ბეგლარ ფუტკარაძე, დავით ფუტკარაძე, ნუკრი ბერიძე, გოჩა დავითაძე, იაშა ზოიძე, რომან დავითაძე, ზვიად ბერიძე და კობა მიქელაძე

ქედის რაიონი: არჩილ ცინცაძე.

ხელვაჩაურის რაიონი: ციალა სურმანიძე, იაშა გვიანიძე, და-ძმა: მზევნარ და ფრიდონ ძირკვაძეები, რომან აბულაძე, გელა გვიანიძე, თამაზ ხალვაში, ნოდარ იაკობაძე, ერნარ დოლიძე, ჯამბულ ჯაბნიძე, მიშა ბერიძე, ჯუმბერ ქამადაძე, ნუგზარ ქამადაძე (მოიხადა 1 თვიანი პატიმრობა), ნუგზარ მგელაძე, მალხაზ წერეთელი (მოიხადა 1 თვიანი პატიმრობა), თემურ ბასილაძე (25 მაისს გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია).

## პირაკობები

**ქობულეთის რაიონი: რომან ჩხაძე, დათო ხარაზი, ჯუმბერ  
შავიშვილი, ლია შაქარიშვილი, ლეილა სარჯველაძე, მირიან  
ქათამაძე და გიზო გოგიტიძე.**

26 მაისის ღამეს „სახალხო კრების“ გვერდით ასევე  
იდგნენ „ემსახურე საქართველოს“ წევრები მურმან დუმბაძის  
ხელმძღვანელობით.

მაყვალა ცენტერებე, ნუგზარ კეპელიძე, გურამ სალაძე,  
თამაზ მაკარაძე, თენგიზ ართილაყვა, მერაბ ნაგერვაძე, თენგიზ  
ურუშაძე, ნოდარ ჩავლეიშვილი, ანზორ ჭურკვეიძე, ბადრი  
ბერიძე, ომარ თედორაძე, თამაზ ქადიძე, ნუგზარ ხავიშვილი,  
გურამ (ელდარ) გურგენაძე, გიორგი გორაძე, ავთო მიქელაძე  
და მურმან რევაზიშვილი.

აქვე მინდა აღვნიშნო ზემოხსენებულ თანამებრძოლებიდან  
რამდენიმე მათგანი გადაურჩა დარბევას სხვადსხვა მიზეზის  
გამო, ჩვენ ვთვლით რომ ისინი ჩვენს გვერდით იდგნენ,  
რადგან პარლამენტის ტერიტორიიდან გასულებმა უკან ვეღარ  
შემოაღწიეს, ჯა-ლათებს ამ დროისთვის გზა გადაკეტილი  
ჰქონდათ და ჩვენ აღყაში ვიყავით მოქცეულნი, ხოლო  
მათ ვინაც თავისი სურვილით  
მიგვატოვა ღმერთმა შეუნდოს, მათი  
განსჯა არ არის ჩემი საქმე.

განსაკუთრებული აღნივშნის  
ღირსია ხელვაჩაურის „სახალხო  
კრების“ წევრი, შეფიცული  
— გელა გვიანიძე, რომელმაც,  
როგორც ზემოთ აღვნიშნე  
თავისი გმირული საქციელით  
ჯალათებთან დაპირისპირების  
სანიმუშო მაგალითი მისცა ჩვენს  
შეფიცულებს.



გელა გვიანიძე



აქციების დროს დაკავებულ პირთა რაოდენობის შესახებ სახალხო დამცველისა და შეს სამინისტროს მონაცემები ერთ-მანეთს არ ემთხვეოდა.

ომბუდსმენის ინფორმაციით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მონიტორინგი თბილისის, იმერეთის, აჭარის, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში განახორციელეს და დაკავებულ პირთა სია შეადგინეს, რომელშიც 161 პირი ფიგურირებდა.

კერძოდ ამ დროისთვის **თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში** იმყოფებოდნენ: ღვალაძე რამაზი, გუნდიშვილი ჯემალი, შუკაკიძე დავითი.

27 მაისის მდგომარეობით, **თბილისის №2 „კაპეზეში”** მოთავსებული იყვნენ: ბერიშვილი ლევანი, ზურაშვილი შაქრი, (ზაქარია), გვიმრაძე ზაზა, ჩიგოგიძე ბაქარი, ცილიკიშვილი მიხეილი, ჩარბაძე ირაკლი, თუთარაშვილი დავითი, ცამბაია თეიმურაზი, გელაშვილი ზურაბი, მაისურაძე მიხეილი, თოდაძე კახაბერი, გურული ბორისი, ბერიშვილი გიორგი, ბესელია მამუკა, სისაური მახარე, ჩიტრეკაშვილი დავითი, აღაჯანაშვილი გიორგი, ჩიტრეკაშვილი ზურაბი, სურამელაშვილი ჯემალი, ჩიგოგიძე ბადრი, გოგუაძე ნიკოლოზი, გულუაშვილი ივანე, ბურდული მიხეილი, ჩარკვიანი ვარლამ, ხურციძე ზერო.

ასევე 27 მაისის მდგომარეობით, **რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორში** გადაყვანილები იყვნენ: ფირცხალაშვილი გიორგი, შაყულაშვილი დავითი, ბერიშვილი გიორგი, წერეთელი მალხაზი (აჭარიდან), ჭელიძე ცოტნე, გოჩიტაშვილი თორნიკე, იურინი ბორისი, მარლიშვილი მამუკა, ქიტაიშვილი ზურაბი, ხუციშვილი კახაბერი.

რაც შეეხება **გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორში**, 27 მაისისთვის არსებული ინფორმაციით მოთავსებულები იყვნენ: ლელაძე სიმონ, კეკელია გიორგი, ლაჩიშვილი

უჩა, წურწუმია პაატა, ქოჩქიანი გიორგი, ხუციშვილი მამუკა რობაქიძე ლუხუმი, სამხარაძე ნიკა, კუპრაშვილი გიგლა, ბერი-აშვილი ირაკლი.

**მარნეულში:** გოგიტიძე გედევანი, გასანოვი რამინი, გაბი-დაური მერაბი, გლურჯიძე ავთანდილი, თექოურმანიძე ონისე, ვარძელაშვილი გიორგი, ბურჯანაძე არჩილი, აბულაძე პაატა, ოგბაიძე გიორგი, ნეფარიძე გიორგი.

**ბოლნისში:** ლილებაშვილი როინი, დარასელია ელგუ-ჯა, წიკლაური პაატა, ჭანტურია გიორგი, აბაშიძე გიორგი, კვარაცხელია დემნა, ბიწაძე ელიზბარი, კეზუა მიხეილი, ბუჩუ-კური ბესიკი, იავოლსკი ალექსანდრე.

26 მაისის მდგომარეობით **კასპის დროებითი** მოთავსების იზოლატორში გადაყვანილები იყვნენ: აკოფიანი მორისი, შა-რუხია დავითი.

ასევე 26 მაისის მდგომარეობით, **მცხეთის „გაპეზეში“** იმყ-ოფებოდნენ: გიორგაძე ზვიადი, მოდრეკილაძე გიორგი, კეპუ-ტია ვარლამი, მუმლაძე კობა, მეფარიშვილი დავითი, გიორგაძე ქორა, ქამადაძე ნუგზარი (**აჭარიდან**), ნაჭებია ალიკა, გვე-ლესიანი ნუგზარი, ჯაჟვლიანი იოსები, ბუხნიკაშვილი გელა, წიკლაური ომარი, დონაძე ალექსანდრე, გურასპაშვილი ალე-ქსანდრე, ჯანიაშვილი ირაკლი.

27 მაისის მდგომარეობით, **თელავის დროებითი** მო-თავსების იზოლატორში გადაყვანილები იყვნენ: გორა ანდრეი, დუშბაძე **მურმანი (აჭარიდან)**, ჩუბინიძე ალექსანდრე, ჭიკაიძე ზურაბი, ლატარია რამაზი, ჩალაბაშვილი მამუკა, ბუაჩიძე კახა, კვინიკაძე ზურაბი, მუთოშვილი მალხაზი, ჯავახიშვილი ლაშა, კიკილაშვილი ზურაბი, ფირიაშვილი ზურაბი, სანიკიძე ნიკა, მგელაძე რეზო, მგელაძე სიმონ, ლურსმანაშვილი გია, გელხ-აური როლანდი, ღონლაძე ზურაბი, რევიშვილი გიორგი, ბიწაძე რემი, ახვლედიანი ზვიადი, ხუსკივაძე ლაშა.



27 მაისის მდგომარეობით **სილნალის** დროებით მო-  
თავსების იზოლატორში იყვნენ: ბეგიაშვილი ზურაბი, ავალიანი  
გივი, მათეშვილი მიხეილი, ჯანიბეგაშვლი უშანგი, კაპანაძე  
ჯონდო, გაგნიძე არჩილი.

**ყვარლის** კაპეზეში: წიკლაური გოჩა, იმნაძე ვლადიმერი,  
თედორაძე გოჩა, თედიაშვილი ავთანდილი, ჯავახიშვილი  
გიორგი, ბალახაძე მირიანი, ტაველიშვილი გიორგი, სოხაშვილი  
შალვა, მელქოშვილი ტარიელი, ორუჯოვი ალიოშა, თანდიაშ-  
ვილი გივი.

**ზესტაფონის** დროებითი მოთავსების იზოლატორში იყვნენ:  
მიხანაშვილი პაატა, ორმოცაძე დიმიტრი, ანგურიძე ოთარ, გოგ-  
იჩაიშვილი მიხეილ, ყორღანაშვილი ზაზა, წერეთელი ვლადი-  
მერ, ტერელაძე გიორგი.

**სამტრედის** დროებითი მოთავსების იზოლატორში იყვნენ:  
ქველაძე ბადრი, გელენიძე ბესო, ნათენაძე ზურაბ.

**ბალდათის** დროებითი მოთავსების იზოლატორში იყვნენ:  
ქველაძე როსტომ, ჩხიტუნიძე რევაზ.

**ოზურგეთის** დროებითი მოთავსების იზოლატორში იყვნენ:  
კვარაცხელია ხვიჩა, პაპუნაშვილი ელგუჯა, წაქაძე ირაკლი,  
ბუჯიაშვილი გიორგი, ბუბულაშვილი ვლადიმერი, ქურდიანი  
გივი, ხაჩიძე ზაზა, ლაგვილუა ათდიმირი.

**ჩოხატაურის** დროებითი მოთავსების იზოლატორში იყვნენ:  
გურგენიძე გიორგი, ჩუბინიძე ამირანი, გავაშელიშვილი  
გიგა, მატიაშვილი გიორგი, ონიანი ლევა, ტიტვინიძე დიმიტრი,  
კვარაცხელია ირაკლი, რიჟამაძე ავთანდილი.

**ლანჩხუთის** დროებითი მოთავსების იზოლატორში კი  
– ჩაჩინანი შზეჭაბუკი, მაყიაშვილი ზურაბი, დევნოზაშვილი  
ვეფხია, დუნდუა გიორგი, ლაშხი გოჩა, კუტალაძე ვარდენი,  
ყოლბაა გიორგი, ფლუიძე ტარიელი, მამნიაშვილი თენგიზ,  
მამნიაშვილი გელა.



## გიგანტები

ბათუმის აქციებში ფრიად აღსანიშნავია ის ფაქტორი რომ ამ პროცესებში ოჯახებით იყვნენ ჩართულები, კერძოდ: ბატონ ვახტანგ ახვლედიანი და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე, ქალბატონი ნაირა ჯიჯავაძე და ქალიშვილი ზეინაბ ახვლედიანი. ძმები: ლევან და შალვა ჯინჭარაძეები ოჯახის წევრებით, დავით ფარტენაძე თავისი შვილით, ლამარა ფურცხვანიძე თავისი ქალიშვილებით, სოფ. მახინჯაურიდან და – ძმა: ეთერი და პანტელეიმონ გოგუაძეები. ცისკარ გოგიტიძეს ოჯახის წევრები ედგა მხარში, მეუღლე მარინა მსხალაძე, შვილები: მამუკა და ირაკლი გოგიტიძეები. ნიაზ ბოლქვაძე და მისი ძმები: ზურაბი, თემური, ბადრი, ამირანი და მერაბი. ანზორ სოლომონიძე თავისი ძმით დავითით, ცოლქმარი: სვეტლანა და ანზორ კუდბეგი. ხინიკაძე ირაკლის თავისი მამა, ნიაზი ედგა მხარში. და-ძმა: მზევინარ და ფრიდონ ძირკვაძეები. ქობულეთელი დედა-შვილი: ლეილა სარჯველაძე და მირიან ქათამაძე.

შეუპოვარი ცოლქმარი: გურანდა კონცელიძე და ზვიად დაისამიძე ქედიდან, ნიკოლოზ ჯაში თბილისიდან, ჰამლეტ აბესლამიძე და სხვები...

26 მაისის სისხლიან დამეს ოფიციალური მონაცემებით არაადამიანური დარბევის შედეგად მომიტინგეთა მხრიდან დაიღუპნენ: ნიკა კვინტრაძე, სულიკო ასათიანი და ნოდარ ცხადაძე.

ჩემი თანამოაზრების სახელით ღრმა მწუხარებას უცხადებთ დაღუპული ოჯახის წევრებს.

თანაუგრძნობთ მათ, ვინც ამჟამად ციხეებში იმყოფება, ვიმედოვნებთ, რომ მათ მალე ვიზილავთ თავისუფლებს!

მკითხველს მინდა შევთავაზო 26 მაისის სისხლიანი და-მის ექო, რომელსაც აშუქებდა დამოუკიდებელი პრესა და გადავწყვიტე ზოგიერთი სტატია წიგნში შემეტანა იმ თვალ-



## პიპლიორისა

საზრისით, რომ გამოსული გაზეთი ცოცხლობს რამდენიმე დღეს, ყველაზე კარგ შემთხვევაში კი ბიძლიოთეკის არქივებში იდებს ბინას, ხოლო წიგნი მუდამ ცოცხლობს, ის ჟამთა-აღმწერელია, თაროზეა, ხელმისაწვდომია და მუდამ შენთანაა, თუმცა მანამდე მკითხველს მინდა შევთავაზო ერთგვარი ანგა-რიში, რომელიც საზოგადოებას მიაწოდა საქართველოს ახალ-გაზრდა იურისტთა ასოციაციამ: – 26 მაისის აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი.

2011 წელი.

კვლევა მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვი-თარების სააგენტოს (შიდა) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახ-ალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

## დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრ-და იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ 2011 წლის 26 მაი-სის აქციის დაშლის შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დროებითი მო-თავსების იზოლატორებში, აღმინისტრაციულ პატიმრობაშე-ფარდებული პირები იმყოფებოდნენ არასათანადო პირობებ-ში, რაც, უშუალოდ დაკავებული პირების მიმართ არასა-თანადო მოპყრობის ინდივიდუალური შემთხვევების გარდა, გამოწვეული იყო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით, რომელიც არ ითვალისწინებს შესაბამის პროცესუალურ და მატერიალურ გარანტიებს აღმინისტრაციულ პატიმრობაშე-ფარდებული პირების მიმართ. საია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკანონმდებლო ხარვეზებს სახელმწიფოს მხრიდან სათა-



გიგანტის

ნადო ყურადღება უნდა მიექცეს. 26 მაისს აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაკავებული პირების მიმართ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არასათანადო მოპყრობის ინდივიდუალური შემთხვევები კი, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ეფექტურ და ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს.

### ბოლოთქმა

როგორც ანგარიშში წარმოდგენილმა ფაქტობრივმა გარე-მოებებმა და შესაბამისმა სამართლებრივმა შეფასებებმა აჩვენა, 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს. აქციის დაშლის ოპერაცია პოლიციამ იმგვარად დაგეგმა და განახორციელა, რომ დემონსტრანტებს არ მისცა აქციის ტერიტორიის დატოვების საშუალება და მათ მიმართ მასობრივად აშკარად არაპორნორციული ძალა გამოიყენა. აქციის დაშლის პროცესი, მისი დაგეგმვისა და აღსრულების სტადიაზე, ისე განხორციელდა, რომ არ მოხდა აქციის მონაწილეებისა და, ასევე, პოლიციელების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების ეფექტური პრევენცია, რის გამოც აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირდა 5 ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი.

ადამიანის უფლებათა დარღვევების მტკიცების, ასევე, აქციის დაშლისას ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების შეფასების პროცესს ართულებდა ის გარემოება, რომ სახელმწიფომ, არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად, არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე არ გასცა საჯარო ინფორმაცია. აქციის დაშლის ოპერაციის მომზადებისა და განხორციელების პროცესთან დაკავშირებით არსებით გარემოებებზე შეს-მ არ გაასაჯაროვა ინფორმაცია. მათ შორის,



შსს-მ საიას არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, აქციის დაშლის დროს პოლიციამ დატოვა თუ არა ღია გასასვლელი აქციის მონაწილეებისთვის. ამასთან დაკავშირებით, საია შსს-ს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას სთხოვდა. შსს-მ ასევე არ გაასაჯაროვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის და ოდენობის სპეციალური საშუალებები გამოიყენა პოლიციამ აქციის დაშლის დროს.

აქციის დაშლის მოვლენებთან დაკავშირებით სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, გამოძიებაში არ გამოაქვეყნა არც ერთი არსებითი ხასიათის მტკიცებულება, რომლებიც მომხდართან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ შეკითხვებსა და ეჭვებს გაფანტავდა. მოცემულ საქმეებთან მიმართებით, რეალურად ვიღებთ სურათს, როდესაც საზოგადოებისთვის დახურული რჩება, თუ რა პირობებში და როგორ მოხდა კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და რა სარწმუნო და მყარი მტკიცებულებებით დასტურდება აღნიშნული ფაქტი. ხოლო გარემოება, რომ გამოძიება არ აკმაყოფილებს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს გამოძიების შემაჯამებელ დასკვნებთან დაკავშირებით.

აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის მასშტაბისა და ხარისხის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული ფაქტების ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიება. გამოძიების მიზანი უნდა იყოს ყველა იმ თანამდებობის პირის დასჯა, რომელიც უფლებამოსილების განხორციელების დროს გასცდა მისი კომპეტენციის ფარგლებს ან ბოროტად გამოიიყენა იგი. ასევე, საია მიიჩნევს, რომ შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაგეგმეს აქციის დაშლის ოპერაცია და ხელმძღვანელობდნენ მის აღსრულებას.



პოლიცია აქციის მონაწილეების მიმართ იყენებდა აშკარად არაპროპორციულ ძალას მაშინ, როდესაც ისინი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და სამართალ-დამცავებს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ. აღნიშნული ფაქტები აქციის დაშლის ოპერაციის დროს მასობრივად დაფიქსირდა და მას პრაქტიკის ხასიათი ჰქონდა. მეტიც, უკვე დაკავებული დემონსტრანტების მიმართ პოლიციის სამმართველოსა და შემდგომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაფიქსირდა არაადამიანური მოპყრობის სერიოზული შემთხვევები. ყველა ფაქტი სახელმწიფოს მხრიდან დროულ და სათანადო გამოძიებას მოითხოვს, თუმცა, სახელმწიფოს რეაგირება 2011 წლის 26 მაისს და მასთან კავშირში ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე იყო არაადეკვატური და უსამართლო. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ დროისთვის შსს-ს არც ერთი თანამშრომლის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. ამ მიმართებით, შსს შემოიფარგლა მხოლოდ მისი რამდენიმე თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებით, რაც არაადეკვატური და არასაკმარისი რეაგირებაა სახელმწიფოს მხრიდან. აღსანიშნავია, რომ საის მიმართვისა და ამ საკითხზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მოუხდავად, შსს-მ არ გაასაჯაროვა ინფორმაცია იმის თაობაზე, კონკრეტულად რომელ დარღვევებთან დაკავშირებით დაეკისრათ შსს-ს აღნიშნულ თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობა და კონკრეტულად ვინ იყვნენ ეს თანამშრომლები.

სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პირების დასჯა მნიშვნელოვანია საზოგადოების წინაშე სახელმწიფოს ანგარიშ-ვალდებულებისთვის და ხელს შეუწყობს პოლიციის მხრიდან მომავალში ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკების პრე-



ვენციას. თუმცა, ეფექტური გამოძიების ეს მოთხოვნა, მოცე-  
მულ შემთხვევაში, არ განხორციელდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საია მიიჩნევს, რომ მომავალ-  
ში ადამიანის უფლებათა მსგავსი დარღვევების პრევენციის  
მიზნით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ზოგ-  
ადი წასიათის ღონისძიებების (მათ შორის, საკანონმდებლო,  
ადმინისტრაციული წასიათის ზომების) განხორციელება. ამ  
მიმართებით, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს პოლიციის  
მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების პირობებისა  
და წესის, ადმინისტრაციული პატიმრებისთვის სათანადო  
პროცესუალური გარანტიებისა და პატიმრობის პირობების  
რეგულირების საკითხები, რომელთა მნიშვნელობა და სიმწ-  
ვავე განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა 26 მაისს და მას-  
თან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევების შეფასების  
დროს.

საია იმდოგნებს, რომ ანგარიშში წარმოდგენილ სამარ-  
თლებრივ შეფასებებს სახელმწიფო მომავალში გაითვალ-  
ისწინებს მსგავსი ოპერაციების დაგეგმვისა და განხორ-  
ციელების დროს და პრაქტიკისა და კანონმდებლობის რეგუ-  
ლირებას მოახდენს ისე, რომ მინიმიზებული იყოს პოლიციის  
მიერ ძალის გამოყენების პროცესში სიცოცხლისა და ჯანმრ-  
თელობის დაზიანების რისკები.

აქციის დაშლის დროს და მას შემდეგ, აქციის მონაწილეე-  
ბის მიმართ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის  
ფაქტები მოითხოვს სათანადო და ეფექტურ გამოძიებას.  
უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტებზე საია კიდევ  
ერთხელ მიმართავს პროკურატურას და სთხოვს ეფექტური  
გამოძიების ჩატარებას. ამ კუთხით, საია მზადაა, (შესაბამისი  
პირების ინტერესების გათვალისწინებით) პროკურატურა-  
ში წარადგინოს ყველას ის ფაქტობრივი გარემოება და



მტკიცებულებითი ხასიათის მქონე ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მას გააჩნია.

ახლა კი მივყვეთ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს. **ჯემალ მეგრელიძე**, გაზეთ „აჭარა P.S.“-ის მთავარი რედაქტორი – 2011 წელი ჩვენს ობიექტივში: რამდენიმე დღეც და პლანეტას 2012 წელი დაეუფლება, ასეთ დროს ადამიანი თვალს ავლებს მიმავალი წლის მოვლენებს, რათა კარგად დაგეგმოს ახალი წლის საქმიანობა... თუმცა, ქვეყნაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლის პრეზიდენტიც მიხეილ სააკაშვილია, ძალზე ძნელია გააკეთო რაიმეს პროგნოზი, გინდ პოლიტიკური და გინდ ეკონომიკური...

ახალი 2012 საარჩევნო წელია და კოჭებშივე ეტყობა, რომ პოლიტიკურად ძალიან ცხელი წელი იქნება, ვნახოთ, რას გვიტოვებს მიმავალი – 2011 და რას უნდა ველოდოთ ახლისაგან?!

ვერ დავთარავთ და დასაწყისშივე გამოვუტყდებით მყითხველს, რომ პრაქტიკულად დასაბეჭდად გამზადებულ წინამდებარე წერილზე დიდი გავლენა მოახდინა ტელეიმედის ეთერში გასულმა „სპეციალურმა რეპორტაჟმა“ და „რუსთავი 2“-ის „პოსტსკრიპტუმმა“, რომელთა „ბოლო“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში თუ როგორი მეთოდებით ცდილობს ხელისუფლება და მისი პიარმანქანა საზოგადოებას დაავიწყოს ყველა ტრაგიკული მოვლენა, რაც თავისი ხელდასხმით მოხდა საქართველოში, მართლისმთქმელი ქვეყნაში მოვლენილ საშინელებებად მოაჩვენოს და ის, ვინც დღეს მიშას ჭკუაზეა, აღმაშენებლად დახატოს...

მურტალის მეთოდები კი დაუძველდა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს მართლა სჯერა, რომ ჩვენ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო და ბედნიერ ქვეყნაში ვცხოვრობთ, რომ ჩვენზე „მაგარი“ ხელისუფლება არავის ჰყ-



ავს, რომ ასათლარიანი პენსია და სიღატაკის ზღვარს მყოფი პენსიონერები სააკაშვილის მუდმივი ზრუნვის საგანია, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ხალხის დასაქმებისთვის მუშებად, მიმტანებად, დამლაგებლებად... რომ საქართველო დემოკრატიის ოაზისია, რომ რუსეთში ქვეყანა იქცევა და ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით უსწორდება ხალხს, რომ ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება და არც მომზდარა... და კიდევ უამრავი „რომ“...

და მაინც... რა იყო 2011 წლის მთავარი მოვლენა? თუ ვინმე გვეტყვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი 26 მაისს პუტინისაგან რაიმეთი განსხვავდებოდა, კი ბატონო, მაგრამ რა ვუყოთ იმ ათიათასობით ნაცემ-ნაგვერებ ადამიანს, რომლებმაც არა ერთხელ გამოიარეს მიშაეთის ჯოჯოხეთი და მხოლოდ იმისათვის დაისაჯნენ, რეალურად „ქრონიკასა“ თუ „კურიერში“ დახატული ცხოვრება რომ უნდათ? რისთვის დაპატიმრეს ფოტოგრაფები, საიდან აგორდა ბათუმური ჭორი პრეზიდენტის „შერატონული“ ვნებების შესახებ, რა უთხრა თბილისში ჩამოსულმა სარკოზიმ სააკაშვილს, რატომ ჩავარდა ამერიკული სიმინდის პროგრამა, რატომ დუმს სიმართლის თქმის დროს ქართული მედია, რატომ ჰყავთ პატიმრობაში 21 მაისის ბათუმური აქციის მონაწილე ბიჭები, რატომ დადის თემიდა თვალახვეული ამ ქვეყანაში, რატომ გაპყვირის ხმის ჩახლეჩამდე ჩარეცხილადწოდებული თვალსაჩინო ქართული ინტელიგენცია, რატომ არ ესმის ხელისუფლებას ხალხის ხმა, რატომ უჭირს სოფელს და გლეხს, რატომ მივუმატეთ დაკარგულ ტერიტორიებს კიდევ ახალი, რატომ ენატრებათ „ბელნიერი“ ქვეყნის „ბელნიერ“ შვილებს პური, რატომ კარგავენ ოჯახებს გადამთიელი ბანკირების მევალე ქართველები, რატომ გარბიან ქართველები საზღვარგარეთ სხვათა მოჯამაგირეებად, რატომ კლავენ ქართველებს დღისით, მზისით, რატომ



## პირულობები

იხარჯება მიღლიონბით ხალხის ფული უაზრო სანახაობებში როცა ქართული ოჯახების 95 პროცენტის მაცივარი ცარი-ელია, როდემდე უნდა ვიცხოვოთ ილუზიებით, რატომ ინა-თლება ყველა რუსეთის აგენტად, ვინც მიშასგან განსხვავებით ქართულად აზროვნებს? აი, კითხვების არასრული ჩამონათვა-ლი, რომელსაც პასუხვაუცემლად გვიტოვებს მიმავალი წელი და რომელიც დარწმუნებული ვართ ყველა საღად მოაზროვნე ქართველს ბოლმად გაჩრია ყელში...

დავიწყეთ ბოჩელით და ვამთავრებთ ხულიოთი, ვიხი-ლეთ ენრიკე და ვინ იცის, რამდენი მიღლიონი გადავყარეთ წყალში (დიახ, წყალში, რადგან შარშანდელი ახალი წლის თქეშში საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები მოთ-მინებით იდგნენ ღია ცის ქვეშ და მათ ამ ადგილას მიმ-რეკველებს ჯიშსა და ჯილაგს უგინებდნენ...), სამაგიეროდ გავაგდეთ გენიოსი რობიკო სტურუა, გავაგდეთ იმიტომ, რომ ვიღაცას ტაში ვერ დაუკრა... ვცემეთ ნონა გაფრინ-დაშვილი, ლუკა კურტანიძე, ბევრ პოლიტიკურ ლიდერს იმისთვის, რომ ბეჭნიერი საქართველო უნდა, სულ რუსეთის აგენტები ვეძახეთ...

2011 წელი გვიტოვებს დიდი ქართველების: ოტია იოსე-ლიანის, რამაზ ჩხიტვაძისა და ოთარ რამიშვილის ამქვეყნიდან წასვლის ტკივილს... საქართველოში სარკოზისა და „ნატო“ გენერალური მდივნის სტუმრობის „ბეჭნიერებას“...

2011 წელი ალბათ მაინც ყველაზე მწარედ მიშას და მის გუნდს დაახსომდება, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ქართულ პოლიტიკაში ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვი-ლის უეცარი შემოჭრა, გაშიშვლდა ყველა და ყველაფერი, ეწ. ოპოზიციაც, მედიაც და რა თქმა უნდა, ხელისუფლებაც... ბევრს დაერღვა სიმშვიდე, ბევრმა კი დაიწყო „ქართული ოცნება“, ზოგს ბიძინას იდეები მოსწონს, ზოგს ფული, ზო-



გისთვის ეს კაცი მესიაა, ზოგისთვის კი საზარელი უჩჩნელდა რომელიც ყველასა და ყველაფრის გადაყლაპვას აპირებს... მოკლედ დაბნეული ხელისუფლების მთავარი გზა ისევ რუსეთისკენ მიდის, როგორც ყველა განსხვავებულად მოაზროვნე, ბიძინა ივანიშვილიც რუსეთის აგენტად მოინათლა და როცა ბათუმში სულ რაღაც ორასი პალმის ჩუქებისათვის არაბ შეიხს – ნახაიან მაბარაჟ ალ აბდალ ნახაიანის სახელობის ქუჩა გაიხსნა, სამების ტაძრის აღმშენებელ მეცენატს საქართველოს მოქალაქეობაც კი ჩამოართვეს...

დავასრულებთ იმით, რითაც დავიწყეთ, გაძლიერდა ქართული პიარმანქანის შემოქმედება, რასაც „ყურადღების მიღმა არ რჩება“ წლის არც ერთი მოვლენა, არც ბინლადენის სიკვდილი, არც კადაფისა და ხოსე მუბარაქის სასტიკი დასჯა, არც – ამერიკა-იაპონია-თურქეთის ტრაგედიები, არც რუსული ვწებათაღელვა, კადრებში დათა თუთაშხიასავით ხშირად ელავს კონტექსტებიდან ამოგლეჯილი ივანიშვილის კომენტარები, „მაღალპროფესიულ“ დონეზე გაკეთებული შედარებები, რითაც უკვე ნაცადი მეთოდებით ცდილობებს დაარწმუნონ საზოგადოება როგორ სჯობს მიშა ბიძინას, როგორ პატივს სცემენ მას საერთაშორისო სარბიელზე და როგორ მიიწვეს ჩვენი ქვეყანა „ნატოსა“ თუ ევროკავშირისაკენ... დიახ, ქართულ სატელევიზიო სივრცეში ნამდვილი საინფორმაციო ომია გაჩაღებული, მაგრამ არავის ახსენდება, რომ ეს კარგად „მოხარშული“ მეთოდები ხალხის გულს დიდი ხანია აღარ ეკარება და მამულის, ენისა და სარწმუნოების დაკარგვის რეალობის წინაშე მდგომი საზოგადოება ამას აღარ „ჭამს“, მას ხვალინდელ ევროპასა თუ ამერიკას ქართულად ოცნება ურჩევნია და ამ ოცნების დიდი ნაწილი მართლა გაბრწყინებული ივერიაა და არა სააკაშვილისეული „პოტიომკინის სოფელი“...

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჯურნალისტმა – ჯაბა ხუბუამ, სისხლიან დამეს მიუმღვნა სტატია – „26 მაისის



## პირადულობები

**ძალუმი:** ნაციონალ-სააკაშისტთა ხროვამ კიდევ ერთხელ იზეიმა ქართველების ხოცვა-უდეტა, კიდევ ერთხელ იჭყუმპა-ლავა ქართველების სისხლის გუბეში და კიდევ ერთხელ გამართა სატანური როკვა ქართველების ცხედრებზე. ნაციო-ნალ-სააკაშისტთა ხროვამ 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ძალუმი ჩაატარა!

დღას, ძალუმი და არა აღლუმი!

როცა ქართველების სისხლის დასალევად დაგეშილი ორ-ფეხა ძალუები საკუთარ თანამომექებს რკინის ხელკეტებითა და წისლებით ცემაში ამოხდიან სულს, როცა გაძაღლებული ცხოვრების გამო პროტესტის გამოსათქმელად ქუჩაში გამო-სულ მშვიდობიან ხალხს ფორმიანი და სამხრეებიანი ძალუ-ები ტყვედ აიყვანენ და გაუპატიურებით დაემუქრებიან, როცა ამ ძალუების მიერ დარბეული და მოკლული ქართველების სისხლით მოირწყვება და ცხედრებით მოიფინება დედაქალაქ-ის მთავარი ქუჩა, რამდენიმე საათში კი ამავე ქუჩაზე საზეიმო მარშით ჩასავლელად ჯარს გამოიყვანს მიწაზე მფორთხავი „მთავარსარდალი“ და სადღესასწაულო ღონისძიებებს გამარ-თავს, სწორედ ეს არის ძალუმი!

დღას, 2011 წლის 26 მაისს ქართველების სისხლით და-ნაყრებულმა სააკაშვილმა სიამაყით ჩაიბარა ძალუმი! მისივე ძალუების მიერ დაღვრილ ქართველების სისხლს, რომელის სუნიც ასდიოდა იმ დღეს რუსთაველის გამზირსა და მთელ საქართველოს, მეძაღლუმე მთავარსარდლისათვის ოდნავადაც არ შეუხრია წარბი!

2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ, როცა ნაციონალ-სააკაშისტთა ხროვამ რუსთაველის გამზირზე კონცერტით იზეიმა საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტის და-კარგვა და ცხინვალში ქართველების ჩახოცვა, ნამდვილად აღარ მეგონა, ამაზე ამაზრზენი და შემაძრწუნებელი რამის ჩადენა თუ იყო შესაძლებელი!



როგორც ჩანს, ქართველების სიძულვილი სააკაშვილსად და მის ხროვას იმდენად აქვთ გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ ადამიანის გონება უძლურია, გასწვდეს იმას, რისი გაკეთება შეუძლია ამ ქართველთყლაპია რეჟიმს საკუთარი ძალაუფლების გადასარჩენად და საქართველოს საბოლოოდ და-საჩინქებლად!

დიახ, როგორც ჩანს, 26 მაისის ძაღლუმი კიდევ არ არის ის პიკი, რომელსაც ნაციონალ-სააკაშვისტთა ხროვის უღმერ-თოებამ და კაცომოძულეობამ შეიძლება მიაღწიოს!

და მაინც, ყველაზე სამარცხვინო, შემზარავი და გულისამ-რევი არის ის, რომ 26 მაისს სააკაშვილის ორფეხა ძაღლუმის მიერ ქართველების სისხლით მორწყულ მიწაზე საზეიმო მარშით ჩაიარა ქართულმა ჯარმა და ძალუმი ჩააბარა იმ მთავარსარდალს, რომელსაც არცერთი ღირსეული, თავმოყვარე და სამშობლოს პატრიოტი ჯარისკაცი გამარჯობასაც არ ეტყვის!

2011 წლის 26 მაისს ძაღლუმზე გამოსვლით ქართულმა ჯარმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ ის არის არა თავისუფალი ადამიანებისაგან შემდგარი ინსტიტუტი, რომელმაც სამ-შობლოს უსაფრთხოება უნდა დაიცვას, არამედ სააკაშვილის მონებისაგან დაკომპლექტებული წარმონაქმნი, რომელიც მზად არის, ორ დღეში სამარცხვინოდ წააგოს ომი, სამაგიეროდ კი, მიწაზე მფორთხავი მთავარსარდლის ფეხის ერთ დაბაკუნებაზე გამოვიდეს და ქართველების ცხედრებზე მარშით გაიაროს.

ჯარი, რომელმაც ის ვერ შეძლო, რომ უარი ეთქვა 26 მაისის ძაღლუმზე გამოსვლისა და საკუთარი თანამომეუბის ცხედრებზე გავლაზე, ომს ვერასოდეს მოიგებს. ჯარისკაცი, რომელსაც სააკაშვილის და ბაზო ახალაიასი ეშინის, ვერა-სოდეს შეძლებს, მომხდურს ვაჟკაცურად დაუხვდეს და სამ-შობლოს მტერი უკუაქციოს!



ასეთი ჯარი, სამწუხაროდ, მხოლოდ ძალლუმებზე გამო-  
საყვანად თუ გამოდგება!“

ეს სტატია ქართველი კაცის გულის ტკივილს გამოხატ-  
ავს და არანაირ კომენტარს არ ექვემდებარება!

1989 წლის სისხლიან 9 აპრილის ღამეს კი პირიქით  
მოხდა, გადამთიელი, როდესაც მუსრს ავლებდა ქართველ მო-  
სახლეობას, მაშინ ქართველმა ძალოვნებმა ბევრი ქართველის  
სიცოცხლე გადაარჩინა...

„...ამავ დროს სოსო ჯაჭვლიანი მცხეთის იზო-  
ლატორში შიმშილობს და 53-ე დაბადების დღეს საა-  
კაშვილის დილეგში ხვდება! ცნობილი ქართველი მკლავ-  
ჭიდელი, რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი  
ნაციონალ-სააკაშისტთა ხროვამ 2011 წლის 26 მაისს,  
ქართველთა ფიზიკური განადგურების სპეცოპერაციისას  
დააკავა და ჯიბის სასამართლომ პოლიციისათვის წი-  
ნააღმდეგობის გაწევის ბრალდებით ადმინისტრაციული  
სასჯელი – ერთოვანი პატიმრობა მიუსაჯა. დაპატიმ-  
რებისა და მცხეთის წინასწარი დაკავების იზოლატორში  
მოთავსებისთანავე სოსო ჯაჭვლიანმა პროტესტის ნიშნად  
შიმშილობა გამოაცხადა.“

ჭაბუა ამირეჯიბი, მწერალი, „სახალხო კრების“ საპატიო  
თავმჯდომარე: ჩვენი ერის იღბალმა ინება საქართველოში  
ბრწყინვალე მოღვაწის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოვლინე-  
ბა. ჩემი ღრმა რწმენით, სახელდობრ მისი წინამძღოლობით  
მოხდება საქართველოს ხენა უბირი თანამედროვეობისაგან  
და ისეთი ვითარების ჩამოყალიბება, როგორიც ღმერთსა და  
ადამიანურ გონიერებას განუზრახავს.

ქართველებო, ხელიდან არ გაუშვათ ღვთისგან ბოძებული  
შესაძლებლობა ნაოცნებარი მომავლისათვის ბრძოლაში ახა-  
ლი ისტორიული გამარჯვებისა.



**ნონა გაფრინდაშვილი:** ზმამაღლა ვაცხადებ: დღეს დიქტატურაა საქართველოში! ყველას, უკლებლივ ყველას, საკუთარი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. დაიმახსოვრონ ჩემი ნათქვამი!

21 მაისს 30 ათაზე მეტი ადამიანი გამოვიდა აქციაზე და სამჯერ მეტი იქნებოდა, რომ არა ის სამდლიანი ტერორი, 18-დან 21-მდე რომ მოაწყო ზელისუფლებამ. მასობრივად აპატიმ-რებლენენ ჩვენს მომხრეებსა და აქტივისტებს, ზოგს თითო-თითოდ ზვდებოდნენ და ისე აჟყვადათ, ზოგს სახლებში უგარდებოდნენ, ავტობუსებსა და სამგზავრო „მარშრუტებს“ აჩერებდნენ გზებზე... 1937 წელი გაგვახსენა იმან, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება აკეთებს! ქვეყნის გადარჩენისთვის კი არა, სკამის შენარჩუნებისათვის იბრძიან და ძალიან მალე დადგება დრო, როცა დამოუკიდებელი და თავისუფალი, ობიექტური სასამართლო ყველას სათანადოდ მიუწვდოვს! სად იყო ოპოზიცია მაშინ, ჩვენს მომხრეებს რომ აპატიმრებდნენ და ოჯახებში უგარდებოდნენ? ახლა ადვილია საუბარი და ყველაფრის ჩვენთვის გადმობრალება, მაგრამ ნურას უკაცრავად, ბატონებო! ყველაშ ხმა გაიკმინდა მაშინ და ნურც ახლა იქნებიან დიდ გულზე!

**დაიმახსოვრეთ:** მე ვერავის ვაპატიებ 26 მაისის დამეს ჩადენილ ბარბაროსობასა და სადამსჯელო სპეციალისტებისას!

ამდენი შეურაცხოფის გადაყლაცხას არავინ აპირებს! ჩვენ არ ვჩერდებით! ბრძოლას ვაგრძელებთ და სრულიად საქართველომ უნდა გამოიღვიძოს, ფეხზე უნდა დადგეს და ერთად უნდა დავამარცხოთ ამ სისხლისმსმელებისა და ვანდალების ხელისუფლება!

**ელიზბარ ჯაველიძე:** 26 მაისის ავბედით დამეს რუსთაველის გამზირზე იდგნენ ქართველი პატრიოტები, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ – დაღუპვის პირას მყოფი სამშობლოს გადარჩენა!

## პირადობება

მიხეილ სააკაშვილი მოიქცა როგორც ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი!

ჩვენ დღეს გვყავს გონჯი, ღმერთისა და რწმენის მკვლელი, საქართველოს ეროვნულობისა და ტრადიციების გამანადგურებელი ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი და ეგრეთ წოდებული ხელისუფლება!

ამ არსებას საქართველო და ქართველი ხალხი რომ სბულს, 26 მაისის უმაწყალო დარბევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა! შეიძლება, ზოგ-ზოგიერთს გაზვიადებული ეგრძნა ჩემი შეფასებები ამ რეჟიმის თავკაცთა მიმართ, მაგრამ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე გამოჩენილმა სისახტიკემ, ალბათ, ბევრ ურწმუნო თომას აუხილა თვალი: სააკაშვილი და მისი ბანდა მიზანმიმართულად კლავენ საქართველოს!

ამ სახალხო გამოსვლებმა ნათლად გამოაჩინა, ვინ არის ქართველი ერის ღირსებისთვის მებრძოლი და ვინ – ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ რეჟიმთან შეკრული მანქურთი!

მიუხედავად რეპრესიებისა, მიუხედავად ათასევეარი პროპაგანდისტული სიბინძურისა, ჩვენ, ქართველ პატრიოტებს, ეს რეჟიმი ვერ შეგვაშინებს და ჩვენ, სამშობლოს გათავისუფლებისთვის ბრძოლაზე ხელს ვერავინ აგვაღებინებს! ხალხო, არ შედრეთ, ჩვენ აუცილებლად ვიზებიმებთ ამ მანქურთებისგან საქართველოს გათავისუფლების უბედნიერეს დღეს!

**ირაკლი ბათიაშვილი:** 2011 წლის 26 მაისი ძალიან მნიშვნელოვანი დღე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის. მე ვფიქრობ, ეს იყო პოლიტიკური გარდატეხის დღე „ბართლომეს დამე“, რომელიც სააკაშვილმა საკუთარ ხალხს მოუწყო. ეს არ იყო საკუთარი ხალხის დასჯისა და გაწირვის ოპერაცია და ამით სააკაშვილმა საკუთარი თავი დაისამარა. ეს იყო ამ რეჟიმის პოლიტიკური დასა-



## პიბლიკობა

მარებაც. ეს იყო დიდი პოლიტიკური გაბრძოლება ამ ავად-მყოფური, ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ამდენი წნის განმავლობაში მყარად იდგა ფეხზე და ვერაფერი დავაკელით, მაგრამ სწორედ 26 მაისი აღმოჩნდა ის დღე, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმი საფუძლიანად შეარყია და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ პროცესს ადამიანები ემსხვერპლნენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უსამართლო, მოძალადე და დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველთვის მძიმე შედეგები ახლდა. ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმები სხვანაირად არ მიდიან. მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ისეთ ავტორიტარულ რეჟიმს, როგორიც სააკაშვილის რეჟიმია, მისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე.

ხომ ხედავთ, სირიაში, იემენში ხალხს არბევენ, მაგრამ ისევ გამოდიან, უფრო მეტი შემართებით. ასე იქნება ჩვენთანაც.

როგორც არ უნდა დაიმშვიდოს თავი ხელისუფლებამ, მან კარგად იცის, რომ 26 მაისის შემდეგ წელშია გატეხილი. მათ კარგად იციან, რომ ხალხში მრისხანების ტალღაა აზვირთებული. აღმფოთებული ხალხის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მე მომსწრე და მონაწილე ვარ 1989 წლის აპრილის და მაშინ ისე დავშავდი, რომ მიცვალებულებს შორის მიპოვეს. მართალია, მამინ დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით დიდი იყო, მაგრამ როდიონოვსაც კი არ გაუკეთებია ის, რომ ხალხისათვის გასაქცევი არ დაეტოვებინა. მაშინ საბჭოთა ჯარი რუსთაველზე მხოლოდ ერთი მხრიდან შემოვიდა, მაშინდელი ლენინის მოედნის, დღევანდელი თავისუფლების მოედნის მხრიდან, ყველა დანარჩენი შემოსასვლელ-გასასვლელი ღია იყო, რათა ხალხს უკანდასახევი, გასაქცევი ჰქონდა. 26 მაისს კი,



ზიან მარცხნიდან მარჯვნივ; ნაიღე აბულაძე, ავთანდილ დიასამიძე, ვანო პაპუნიძე,

ვახტანგ ახვლედაიანი ნაზ ბოლქვაძე,  
იოსებ წულუკიძე და ოქრიზ ცეცხლაშვილი.

დგანან მარცხნიდა მარჯვნივ; ნუგზარ უორდანია, შოთა ზოიძე, რომან ჩხაიძე,  
გოული ჯაყელი, ცისკარ გოგიტიძე, ნანული ლუმბაძე,  
გურამ ხოზრევანიძე და ბიჭიკო ბოლქვაძე.

13 აპრილი 2012 წელი.



2011 წლის 2 დეკემბერი, „26 მაისს სისხლიან კალოს“ წიგნის პრეზენტაცია.  
(მარცხნიდან მარჯვნივ) მწერლები: შოთა ზოიძე, ვახტანგ ახვლედაიანი,  
ოქრიზ ცეცხლაშვილი (წიგნის ავტორი) და პოლიტოლოგი ასლან  
ლორთქიფანიძე (წიგნის რედაქტორი).

02 დეკემბერი 2011 წელი.



დიმიტრი ჭეიშვილი



ცოტნე ანანიძე



დავით ფარტენაძე



ანზორ სოლომონიძე



ხეიჩა გამარჯვებაძე



გოჩა მუხაშვილია

**21-26 მაისის მოვლენების შედაგად აღმინისტრაციულ  
სასჯელ მისჯილები:**



თემურ ჭანტურიშვილი



დავიდ სამნიძე



ჯამბულ შარაბიძე



როლანდ ხოზრევანიძე



ემზარ ქადიძე



როლანდ აბულაძე



მურმან ღუშბაძე



მალხაზ წერეთელი



ნუგზარ ქამადაძე



ჯამბულ ფარტენაძე



მარად სოლომონიძე



ბატონი ბიძინა ივანიშვილი აჭარის ორგანიზაციის „სახალხო კრების“ წევრებთან ერთად. მარცხნიდან მარჯვნივ: როლანდ ხოზრუვანიძე, დავით სამნიძე, ცისკარ გოგიტიძე, ბიძინა ივანიშვილი, ლაშა მსხილაძე და ბიჭიკო ბოლქვაძე.

5 აგვისტო 2012 წელი. ხელო.



„სახალხო კრების“ წევრები. მარცხნიდან მარჯვნივ: ცისკარ გოგიტიძე, დავით სამნიძე, თენგიზ ცეცხლაშვილი, ვახტანგ ბლაგიძე, თენგიზ კახიძე, ლურმიშვან (ლურუ) ხოზრუვანიძე და ლაშა მსხილაძე.

უკან დგანან: მარცხნიდან მარჯვნივ: ბესო ფალავა და ნოდარ ცინცაძე.

27 სექტემბერი 2012 წელი. ბათუმი.



მარცხნიდან მარჯვნივ:  
იაშა გვიანიძე, ნუგზარ ქორდანა, ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ბურჯანაძე,  
ციალა სურმანიძე და თენგიზ ცეცხლაშვილი.  
23 მაისი 2012 წელი.



მარცხნიდან მარჯვნივ: ვახტანგ აბულაძე, ნიაზ ბოლქვაძე, იაკობ ახუაშვილი,  
თენეზიზ ცეცხლაშვილი და ირაკლი (ბაილო) ჯაში.  
2009 წელი. ბათუმი.



გაზეთ „აჭარა P.S“- ის უკრნალისტები. მარცხნიდან მარჯვნივ: სულხან შესხიძე,  
ნაირა ქობულაძე, ინეზა კეკელიძე, ნინო კვირიკაძე, ჯემალ მერელიძე,  
თამილა წითელაძე, ნატო ბერია და გულო კალანდაძე.



(ზიან მარცხნიდან მარჯვნივ). ვახტანგ მელუა, ტარიელ ბუჟლუაშვილი,  
გიორგი კაკაბაძე და გივი მიქელაძე. დგანან მარცხნიდან მარჯვნივ).  
გურამ ზოზრევანიძე, თამაზ სუხუნი, ნოდარ სიხარულიძე, თამაზ ზოიძე,  
ილია ცხადაძე, ნუგზარ ჯინჭარაძე, გოჩა სეანაძე და თამაზ დვალაძე.  
ბათუმი, ივლისი 2004 წელი.



პირველი რიგი – (მარცხნიდან მარჯვნივ). ენვერ ქათამაძე, გურამ თურმანიძე,  
მიხეილ მახარაძე, თენგიზ ცეცხლაშვილი, ბიჭიორ დიასამიძე, რამაზ სურმანიძე,  
ოოსებ წიმშააშვილი, ამირინ მამულაძე, ზაზა დევაძე

და გურამ ბარათაშვილი.

მეორე რიგი – (მარცხნიდან მარჯვნივ). ზურაბ აბულაძე, რომან ფუტკარაძე,  
შაქრი ფუტკარაძე, სერგო ღუბაძე, ბადრი პაგსაძე, გურამ საგინაძე,  
ოოსებ კორძაია, ზაური ბარამიძე, ზაალ ბარათაშვილი და შუქრი ფარტენაძე.  
მესამე რიგი – (მარცხნიდან მარჯვნივ). ბესარიონ შაინიძე, ღურსუნ (რეშიდ)  
დიასამიძე, ბიძინა ღუმბაძე, რამაზ გობაძე, ჯამბულ წიმშააშვილი, ნოდარ ირემაძე,  
ზებურ იაკობაძე, მინდია ცინცაძე და გიორგი პატარაძე.

ბათუმი, 27 ოქტომბერი 2004 წელი.



თბილისი. 27 მაისი 2012 წელი. „ქართული ოცნების“ აქცია.



ჭუთაისი. 29 სექტემბერი 2012 წელი. „ქართული ოცნების“ აქცია. აჭარის ორგანიზაციის „სახალხო კრების“ ოპერატორი – ზაზა გვარიშვილი და თენგიზ ცეცხლაშვილი.



## გერმანული ენა

სააკაშვილის სპეციალის აქციის მონაცილეები ყველა შერი-დან ალყაში მოაქცია. სწორედ ამიტომ, ეს იყო არა აქციის დაშლის სპეციალის, არამედ განსაკუთრებულად სასტიკი ანგარიშს სწორება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა და დიქტატორს დაუპირისპირდა. სააკაშვილს სა-კუთარი ხალხის სისხლი სწყუროდა და მიიღო კიდეც 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს, მაგრამ იმავდროულად მიიღო თავისი პოლიტიკური სამარე!

ცოცხალი რომ ვარ, უფალს უნდა ვუმადლოდე. პირადად მე წინასწარ ვიყავი გაფრთხილებული, რომ დარბევის დროს გან-საკუთრებული და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვიქებოლი, როგორც მთავარი სამიზნე. როდესაც დავინახე, რომ სპეციაზმი გვიახლოვდებოდა, თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ ხალხის მასაში ჩავსულიყავი, შეფიცულებთან, ამიტომ დარბევის მომენტში მოვლენათა ეპიცენტრში აღმოვჩნდი. სპეციაზმი თოხივე მხრიდან ალყა შემოგვარტყა, ერთი მხრიდან წყლის ჭავლი მოდიოდა, მეორე მხრიდან – გაზი, ხელკეტები, ტყვიები... ხალხი იძულებული გახდა, კინოთეატრ „რუსთაველში“ შესულიყო. მათთან ერთად ვიყავით მეც და ჩემი ცოლისმმაც – თამაზ ფანჩულიძე. სპეციაზმი იქაც შემოგვევა, თან გაზიც შემოუშვეს. ხალხის სასტიკად უსწორდებოდნენ. მე, ჩემი ცოლისმმა და კიდევ რამდენიმე მომიტინგე კინოთეატრის სახურავზე ავედით, იქიდან გვერდით შენობის სახურავზე გადავედით. სპეციაზმი ფეხდავებ მოვდევდა და აქვარად ეტყობოდათ, რომ განსა-კუთრებით მე მეძებდნენ. ისმოდა მათი გადაძახილები – ბა-თიაშვილი სად არის! ბათიაშვილი სად არის! მოვდევდნენ და თან გვესროდნენ. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მესროდნენ ცეცხლსასროლი იარაღიდან! პირდაპირ ვაცხადებ, რომ ჩემი არათუ დაჭერა, არამედ ლიკვიდაცია ჰქონდათ დავალებული. საბეჭნიეროდ, სიბნელეში მათ დავუსხლტი ხელიდან და რომე-



## პირადობის

ლილაც შენობის სხვენს შევაფარე თავი. ცუდ ძღვომარეობაში ვიყვავი, ნაცემი და გაზის ზემოქმედების ქვეშ 15 საათის განმავლობაში იქ ვიმალებოდი. ისე ძალიან ცუდად გავხდი, აღარც კი მახსოვს, როგორ ჩამომიყვანეს სხვენიდან. შემდეგ აქციის ერთ-ერთ მონაწილესთან სახლში, ოქმქაზე აღმოვჩნდი. ეს უკვე 26 მაისს, გვიან საღმოს...

გია ბურჯანაძე, მსახიობი: სააკაშვილის რეჟიმში 26 მაისს, გამთენისას, განსაკუთრებული სისასტიკის სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა. დღას, ეს არ იყო მიტინგის დაშლა – ეს გახლდათ მიზანმიმართული საღამსჯელო სპეცოპერაცია! მთელმა მსოფლიომ ნახა, როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ სპეცრაზმელები მშვიდობიან მომიტინგებებს, როგორი დაუწიდობლობით აწამებდნენ ხალხს! მაგრამ ეს ვანდალიზმი რუსთაველის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაციით არ დასრულებულა. დღემდე მიმდინარეობს ჩვენი მომხრეებისა და „შეფიცულების“ დაპატიმრება! ხალხს სახლში უვარდებიან – თითო ადამიანს 8-10 კაციანი ჯგუფები ესხმიან თავს და გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ! ეს მთელი საქართველოს მასშტაბით ხდება!

ჩვენ შევხვდით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და მე პირდაპირ ვკითხე: იქნებ ამიხსნათ, რაც მსოფლიომ ეგვიპტელ ხალხს დემოკრატიისთვის ბრძოლად ჩაუთვალა, იგივე ქართველი ხალხისთვის რატომ არის დანაშაული?

ამ ეტაპზე ხელისუფლების მიერ დატერორებული, დაპატიმრებული თუ გატაცებული ჩვენი მომხრეების ბედით ვართ დაინტერესებული! დანარჩენი ხალხზეა დამოკიდებული!

ამ რეჟიმთან შეგუება საქართველოს დაღუპვას ნიშნავს! პირადად მე საქართველოს დაღუპვას არასოდეს შევეგუება!

გოგი ქავთარაძე, რეჟისორი: სააკაშვილის რეჟიმი ყველას ყელში ამოუვიდა. არც უსაფრთხოება და არც მო-



## პირადობის

მავლის იმედი... აი, ასეთი სიტუაციაა და, მერწმუნეთ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება! ქალბატონმა ნინომ ერთ-ერთმა იგრძნო ამ იდეის სიკარგე! სახალხო კრება საქვეყნო საქმეს აკეთებს და არა რომელიმე პარტიის! ზალხი აგრესიულადაა განწყობილი! ისინი კონკრეტიკას ითხოვენ. ბუნტი თუ არა, დიდი მღელვარება იქნება. მღელვარებიდან ბუნტამდე კი ერთი ნაბიჯია!

**რეზო ესაძე:** 77 წლის გახლავართ. რაც გავჩნდი, მას შემდეგ ვესწრაფი იმ საქართველოს, რომელსაც გრძნობ, ეფ-ერები და რომელიც ხელიდან გაგირბის.

**თამაზ წიგწივაძე:** „ლიტერატურული საქართველოს“ მთა-ვარი რედაქტორი: ამ სულელმა კაცმა მთელი საქართველო ორჯერ უკვე მოატყუა და თავი პრეზიდენტად აგვარჩევინა და ახლა, თუ მესამედაც „გვაჭამა“, გიურ ის კი არა, მთელი ქართველი ზალხი გამოვდივართ!

უბედურებას, რომელშიც ახლა მოვხვდი, ვერ წარმოვიდ-გენდი. ასე გაბეჩავებული, დამფრთხალი, შეშინებული ქართვე-ლი კაცი ვერ წარმომიდგენია. მიდით ოჯახებში და შეხედეთ იმ სასოწარკვეთილ, მშიერ, განწირულ ადამიანებს, რომელთა მოგონებაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაჯდე და სული მოითქვა.

ეს მთავრობა ვერასოდეს შეძლებს ერთმანეთის მოძულე ერად გვაქციოს! მეტიც: ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათ-ვის, რომ ეს ვერ შეძლონ, ვერ დაჩაგრონ ქართველი ზალხი და ვერ იძატონონ. საქართველო უნდა გადარჩეს. არა გვაქვს ძილის, ჭამის, მოსვენების უფლება, ვიდრე ლალ, თავისუფალ საქართველოს არ ვინილავთ!

26 მაისი იყო უბედურება. საკუთარი თვალით ვიხ-ილე აპოკალიფსი, რომელიც მხოლოდ წამიკითხავს. ნანახმა ყოველგვარს გადააჭარბა.



მე მრცხვენია, რომ იმ დამის შემდეგ ცოცხალი ვარ! მე ვნახე ჩემი ხალხის უბედურება, დამატირებელი და სულის-შემძრელი. არ მეგონა ამ შემაძრწუნებელ დღეებს თუ მოვესწრებოდი. დავდივარ ქუჩებში, როგორც მოღალატედ შერაცხული, თუმცა, არ გავჩერდები. გაჩერება ნიშნავს უარის თქმას იმ ყველაფერზე, რაც დღემდე მიკეთებია! რასაც ვაკეთებდი, ჩემი ქვეყნისთვის და ხალხისთვის მინდოდა.

ეს მთავრობა ასცდა ჭეშმარიტებას.

**მიშა, დაანებე ამ ქვეყნას თავი! შეეშვი ამ საქართველოს!**  
**წადი და დაგვასვენე!**

**რობერტ სტურუა,** რეჟისორი: ხელისუფლება სირაქლემა-სავით ოსტატურად მალაგს „სიცრუის ქვიშაში“ თავს! ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, მამაჩემმა იცოდა ასეთი გამოთქმა: პოლუდეგენერატ. მთლიანი დეგენერატი კი არ არის, ნახევრად დეგენერატიაო. ეს უნიჭოები მთლიანი დეგენერატები კი არ არიან, ნახევრად დეგენერატები არიან. ჩვენ ვართ ნახევარდეგენერატების ხელში!

**რეზო ამაშუკელი,** პოეტი: სააკაშვილს უნდოდა, რომ ხალხი ქუჩაში გამოსულიყო, რათა შემდეგ დარეოდა მათ, ქართველების სისხლი დაეღვარა და დაელია! გაიგეთ, ხალხო, ეს არის სადისტი, რომელსაც ქართველების სისხლი სწურია და ვერ გაძლა ქართველების სისხლით. დიახ, სააკაშვილთან შედარებით კადაფიც კი შვლის ნუკრია!

**მოვა დრო და ყველას მოეკითხება!** აბსოლუტურად ყველას! არავის ეგონოს, რომ ქვეყნის დაქცევა და გაუბედურება ვინმეს შერჩება! ხალხი აუცილებლად იხუვლებს და მისი რისხვის გეშინოდეთ, თქვე საცოდავ დღეზე გაჩენილებო!

ყველა ქართველმა გავიღოთ ას-ასი გრამი სისხლი, შევაგროვოთ დიდ კასრში, დავუდგათ წინ ამ შიზოფრენიკს და ხვრიპოს ყოველდღე, იქნებ გაძლეს ქართველების სისხლით!



## პისლიტოვა

გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი: 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის დარბევასა და ამ მიტინგის დარბევას შორის მხოლოდ ერთ განსხვავებას ვხედავ – მაშინ სხვები გვირტყამდნენ, ახლა ჩვენები გვირტყამენ! პირველი დარბევა ამ ხელისუფლებამ 2007 წელსაც ხომ მოუწყო ხალხს, ხომ დაგვანახა, რისი ჩადენა შეეძლო, მაგრამ ეს დარბევა ჩემთვის ყველაზე აღმაშფოთებელი იყო! ახლა ისე უხარისხ, თითქოს მტერზე გაიმარჯვეს, ისეთი ბედნიერები არიან ამ „წარმატებით“, ვეღარ მაღავენ აღტაცებას. მსგავსი სიმხეცე ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს: როგორ ყრიდნენ ასფალტზე ბორკილდადებულ ადამიანებს, ან დატყვევებულებს როგორ ურტყამდნენ. შემძრა იმ სცენამ, როცა დავინახე, შვიდი შეიარაღებული პოლიციელი ბაგშვის როგორ მიადგა და როგორ დაუწყო ხელკეტით დაუნდობლად ცემა. ვერ წარმომიდგენია, საქართველოში ასეთი მხეცობის ჩადენა ვინმეს თუ შეეძლო.

საკუთარ ხალხისადმი ასეთი დაუნდობლობისა და სიძულვილის გამოვლინება შეიძლებოდა?

**ირინა სარიშვილი:** ეს იყო არა დარბევა ან აქციის დაშლა, არამედ გამიზნულად სამაგალითო სადამსჯელო ოპერაცია, რომელიც საზოგადოების დათრგუნვასაც ისახავდა მიზნად, ამ აქციის იდეის დისკრედიტაციასაც და რა თქმა უნდა, ზოგადად რევოლუციური გზის იდეის დისკრედიტაციასაც!

არ გვეშინა! მერწმუნეთ, ახლა სწორედ ეს ორი სიტყვა – „არ გვეშინა!“ უნდა იქცეს საზოგადოების მთავარ სლოგანად ამ რეჟიმის ჯალათებთან ბრძოლისას!

**ზურა მანჯავიძე,** მომღერალი: ეს არის მოდერნიზებული ფაშიზმი, ბოლშევიზმი და ყველა უბედურება ერთად.

ნაძირალები, 30 კაცი ერთ წაქცეულს რომ ურტყამს. მათზე, როგორც ადამიანებზე, ვერ ვილაპარაკებ. ეს რეჟიმიც



არ არის, რეჟიმს აქვს რაღაც მიმართულება, გეგმა, ეს არის მარიონეტიზმისა და შეზოფრენის ნაზავი.

ანტიქრისტემ მოაწყო ეს ღამე და მეორე დღეს ანტი-ქრისტებმა იზეიმეს. გამიხარდა, პატრიარქი რომ არ მივიდა ამ ამბის შემდეგ. თუკი შეიძლებოდა რაიმე კარგი მომხდარიყო, ეს იყო.

სააკაშვილს აშკარად ეტყობოდა სახეზე გამწარება.

უნდოდა, ბედნიერად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ არ იყო ბედნიერი! ქართველის სისხლზე ეგ ბედნიერებას ვერ ეღირსება!

**გურამ ფირცხალავა**, მსახიობი: ასეთი შემზარავი, კოშმარული ვანდალური რამ მხოლოდ კინოში მინახავს. მსგავსი ხოცვა-ულეტა, დაუნდობლობა, არაკაცობა, უსინდისობა და არაადამიანურობა ვერასოდეს წარმომედგინა. ამას მტერი არ გააკეთებს! ეს კაცომოძულე, უსულგულო, უსისხლო, უსულო, ჭირიანი მთავრობა სასწრაფოდ უნდა გაქრეს, წაშავდეს, მოშორდეს აქაურობას!

სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს, მამულისათვის თავის შეწირვა უდიდესი პატივია. ისინი სახალხო გმირები არიან. ასეთმა ვაჟკაცებმა მოიტანეს დღემდე ეს ქვეყანა. ვენაცვალე ყველას, ვინც იქ იდგა. ვეფერები იმ ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც დაატყვევეს და საპყრობილები გამოკეტეს.

სააკაშვილო, ახლა მაინც გადადექი, წადი რა, თავი დაგვანებე, გაასწარი ხალხის რისხეას!

ბოლომდე ვიბრძოლებთ, ისევ გამოვა ხალხი. ახლა გაჩერება დანაშაულია. რა იარღიყებიც უნდა მოგვაწებონ, რა ჭორიც უნდა დაგვიყარონ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ!

გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი: ეს სადმე წამსვლელს ჰგავს საკუთარი



## პირუითობება

ნებით? გიუივით დარბის აღმა-დაღმა. საკაფეილი არსად წასვლას არ აპირებს. საკმარისია, 100 000 კაცი გამოვიდეს ქუჩაში და დააფიქსიროს, რომ ისინი არ შეეგუებიან არჩევნების გაყალბებას და არსებული რეჟიმის შენარჩუნებას, დამერწმუნეთ, მეორე დღესვე სიტუაცია იქნება შეცვლილი და შესაძლებელი იქნება არჩევნების მოგებაც და არსებული რეჟიმის დამთავრებაც. მაგრამ თუ გულხელდაკრეფილები დაველოდებით და ვითამაშებთ იმ თამაშის წესებით, რომელსაც ხელისუფლება გვიდგენს, რომელ არჩევნებზე ვსაუბრობთ?

**ზაზა პაპუაშვილი**, მსახიობი: 6 მაისს ისეთი რამ მოხდა, ვეკითხები ყველას – როგორ ხართ მშვიდად, ხალხნო? შიში და ნიპილიზმი კი არა, ერთ მუშტად შეკვრაა ახლა საჭირო! მეტი არაფერი! დაახ, ყველას ვეკითხები – 26 მაისის შემდეგ როგორ გძინავთ მშვიდად?

მე სხვა ჯიშის კაცი ვარ, განგებამ სხვა ზნეობით დამაჯილდოვა, ალბათ... არავის აღმზრდელი არა ვარ, მაგრამ დრო მოვიდა და იმ ორდენებსაც თავზე დააღუნავენ, 26 მაისს დიდის ამბით რომ დაიკიდეს!

მთავრობას გარიგებული და მორჩილი ოპოზიცია სჭირდება და ასეთი რომ არ აღმოჩნდა ბურჯანაძე, იმიტომაც ჩაახშვეს სისხლში 26 მაისის ღამე! კანონი კი არ იყო 26-ში დარღვეული, რეჟიმის „წითელი ზოლი“ იყო დარღვეული და ამიტომ მოუწყვეს ხალხს „ბართლომეს ღამე!“ არ შეიძლება ნინო ბურჯანაძისკენ ხელის ასე გაშვერა! არავის არავინ არ მიუტოვებია! ყველანი ერთ მდგომარეობაში ვიყავით, ერთ გამოკეტილ, ალყადარტყმულ მოედანზე ვიყავით, შენც ძალიან კარგად იცი ეს!

დღილით თვალის გახელა აღარ მინდა და როცა ვაზელ, ვნანობ, რატომ გავახილე-მეთქი... დაღლილი ვიღვიძებ, თითქოს მთელი ღამე ვტიროდი... ვიმეორებ: არავის არავინ მიუტოვე-



**ბიბლიოგრაფია**

ბია! დიახ, ყველა ბოლომდე იდგა იქ! არავის ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ეს ასე იყო!

ლეროტმა დაგლოცოს და გაგიმარჯოს მაგ სიმართლისთვის ჩემო ზაზა!

**კახა კუპავა, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი: პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ გენერალ როდიონოვს არ უკადრებია ის, რაც იკადრა სააკაშვილმა! 1989 წლის 9 აპრილს, როცა ქართველებს საბჭოთა ჯარი არბევდა, ხალხისთვის გასაქცევი დერეფანი იყო დატოვებული, სააკაშვილმა კი ესეც არ გააკეთა!**

სააკაშვილის შინდისფერ მქონელებს პირდაპირ ჰქონდათ დავალებული მიტინგის უკლებლივ ყველა მონაწილის ცემა და წამება!

მორალური თვალსაზრისით, მინდა ვთქვა, რომ, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა, ეს არის წმინდა წყლის ფაშიზმი! ჩვენ უნდა დავიწყოთ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის მსხვრევა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხის სიმტკიცის წყალობით ამას აუცილებლად მოვახერხებთ!

გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: ეს რა მანქურთები და კაცისჭამიები გამოზარდეს ამ არაკაცებმა, ამ ფარჩაკებმა! პრემიების გულისათვის ხალხს სისხლში ახრჩობდნენ! ხვალ რესებმა რომ უთხრან, ქართველებს გადაუარეთო, გადაუვლიან! რუსი არ ჰყავთ სათავეში მერაბიშვილის სახით?

ნამდვილი ქართველი კაცები ისინი იყვნენ, ვინც იქ, იმ წვიმასა და უბედურებაში პარლამენტის წინ იდგნენ და ამ კაციჭამიებს არ შეუშინდნენ! ვენაცვალე მათ კაცობას, ვენაცვალე მათ ქართველობას!

სააკაშვილი სიცოცხლეს დაამთავრებს საგიუეთში, მისი გარემოცვა კი დაამთავრებს ციხეში, ამას ლაპარაკი არ უნდა! მთელი ცხოვრება მოუწევთ ციხეში ჯდომა ქართული სისხ-

ლის იმ თითეული წვეთისთვის, რომელიც 26 მაისს დაღვა-  
რეს! ეს რა კადრებს ვნახულობ, მიწაზე დაგდებული მხცო-  
ვანი ქართველი კაცები საკუთარ სისხლში რომ იხრჩობიან!  
ეს რას ხედავს ჩემი თვალები!

ესენი არიან არაკაცები, მანქურთები! მაგათ ქართველ ერ-  
თან და საქართველოსთან არაფერი აკავშირებთ!

თემო გოცაძე, მხატვარი: წინა დამის დარბევა რომ ნახე  
შენ – რეჯებ ყორდანიავ, მამაშენის გვარს რომ ატარებ, რა  
ორდენს იყიდებ? ან შენ, ტარიელ ჭანტურიავ, დიდო პოეტო,  
როგორ კადრულობ ამას?!

ამ სიტუაციაში ერთადერთი ვინც არ მივიდა რეზო გა-  
ბრიაძე აღმოჩნდა, ამბობენ, ავად იყოო. შეიძლება, არც იყო,  
მაგრამ ეს დახმარებაც, ალბათ, ღმერთისაგან იყო ნაბოძები იქ  
რომ არ მისულიყო. არ შეიძლება, სისხლიანი ჯილდოების  
მიღება სისხლიანი რეჟიმისაგან! არ შეიძლება!

ფაქტია, „სუხიშვილებმა“ არ იცეკვეს!

არსებობს ორი ვარიანტი: პირველი, ან თვითონ მიხვდნენ,  
ან ურჩიეს, რომ ცეკვა არ შეიძლებოდა და მეორე: „სუხიშ-  
ვილებმა“ თვითონ თქვეს უარი, მაგრამ ცხადია, რომ თვითონ  
ანსაბლში იყო განწყობა, რომ არ ეცეკვათ და, როგორც თქვეს,  
ილიკოც ასე ფიქრობდა და ეს მართალია.

კახი კალაძე, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპი-  
ტანი: არ შეიძლება, 21-ე საუკუნის საქართველო ერთ ნაბიჯს  
ევროკავშირისაკენ დგამდეს და ორი ნაბიჯით უქან მიღიოდეს  
ავტოკრატიისა და დიქტატურისაკენ. არასოდეს არ უნდა  
დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფო მოხელენი არიან ხალხის  
მიერ დაქირავებულნი და სამართალდამცავებსაც ჩვენივე გა-  
დასახადებიდან აქვთ ხელფასები.

მე, ერთი რიგითი ქართველი, მივმართავ საქართველოს  
ეკლესიის წმინდა სინოდს, საქართველოს მეგობარ ქვეყანათა



დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ვთხოვ, რომ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით დააყენონ საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საკითხი, ობიექტურად გამოიძიონ 26 მაისის ტრაგედიის დამაშავეთა ვინაობა და ხელი შეუშალონ მასობრივ რეპრესიებს, რაც საქართველოს დემოკრატიულ იმიჯს აშკარად ჩრდილს აყენებს.

აქვე გამოვთქვამ სურვილს, რომ საქართველოს ხელისუფლებას და სამართალდამცავ ორგანოებს ეყოფათ გონიერება და აღნიშნული სისხლიანი აქცია აღარასოდეს განმეორდება, ისევე, როგორც არ განმეორდება ადამიანთა გაუგებარი მიზეზებით მასობრივი დაპატიმრება.

**სალომე ზურაბიშვილი**, მბიმე დღეები დაუდგა საქართველოს, სამარცხვინო დღეები! როცა მთელ მსოფლიოში დემოკრატიის ტალღა მოდის, ჩვენთან პირიქით, საბჭოთა ტოტალიტარიზმის სუნი ბრუნდება! რაც მოხდა 26 მაისს რუსთაველზე, ერის შეურაცხოფა! არაფერი რომ ვთქვა იმ ადამიანებზე, ვინც დღეს, იმ ადგილას მედლები აიღეს!

მინდა შევახსენო ყველას, ყველაფერი ახლა იწყება, ამათ რომ ჰგონიათ, დამთავრდა!

**ლევან გაჩეჩილაძე**, „ქართული პარტიის“ წევრი: ყველა-ფერი მინახავს ამ ცხოვრებაში, მაგრამ ის, რაც 26 მაისის ღამეს მოხდა, იყო ქართველი ხალხის ჩაძალლების ოპერაცია“. ზონდირებული იყო სპეცდანიშნულების რაზმი. ეს იყო სასაკლაო, სადაც ადამიანებს ამოსუნთქვის საშუალება არ დაუტოვეს, ეს იყო ტირანიის გამოვლინება საქართველოში. მსგავსი ღამის მნახველი არ ვარ. ადამიანებს ანახეს საკუთარი სიკვდილი. ეს იყო გამიზნული იმისათვის, რომ ვიღაცებისთვის ჭკუა ესწავლებინათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათ არ გამოუვათ!



## პიპლობითი

**ნუკრი ქანთარია, „ქართული აკადემიის“ წევრი, რეჟისორი**  
ეს არის სისხლსმოწყურებული ხელისუფლების ანგარიშს-  
წორება განსხვავებული აზრის მქონე ხალხზე. დარწმუნებუ-  
ლი ვარ, რომ ამის გამო ქართველი ხალხი ერთიანად მიუზ-  
ღავს ხელისუფლებას. ეს არის ვანდალური აქტი, რომელიც  
ჩვენი ხელისუფლების ბუნებაში დევს.

**სოსო ცისკარიშვილი, პოლიტოლოგი:** ჩვენ მოწმენი გავხ-  
დით სისხლიანი კარნავალისა, რომელიც დადგმული და შეს-  
რულებული იყო დღევანდელი ხელისუფლების მიერ. ეს მე-  
ტყველებს მის პოლიტიკურ გემოვნებასა და ზნეობის სტან-  
დარტებზე.

ეს იყო პოლიტიკური შურისძიება და საკმაოდ კაცომო-  
ბულე ფორმებით. ეს რომ არა, ხელისუფლება ვერ მიიღებ-  
და იმ ვამპირულ სიამოვნებას, რომელიც აღლუმის დროს  
სახეზე პქონდათ აღბეჭდილი ხელისუფლების მაღალჩინოს-  
ნებს.

**სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის გენერ-  
ალური მდოვანი:** ისეთი არაპროგნოზირებადი და გაუწონას-  
წორებელი პრეზიდენტის ხელში, როგორიც სააკაშვილია,  
გამორიცხული არაფერია. თუ ნინო ბურჯანაძე მართლაც  
დააკავეს, მას სოლიდარობას გამოვუცხადებ.

**ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენ-  
ტი:** არცეთი ხელისუფლება სისხლისღვრის ფასად არ ღირს.  
როცა ასეთ სიტუაციაში ვიყავი, მე გადავდექი, თუმცა, სააკაშ-  
ვილი ბოლომდე მივა და თანამდებობას არ დატოვებს.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტარი:** სააკაშვილი  
პოლიტიკური ნადირია. ეს არის განსაკუთრებული ინსტიქტე-  
ბით მოქმედი ნადირი, რომელსაც დღემდე ვერავინ გამოგლიჯა  
ძვალი პირიდან.

**გიორგი ცაგარეიშვილი, პარლამენტარი:** უამრავი დარბევ-  
ის მსხვერპლი ვარ, მაგრამ რაც მოხდა 26 მაისს, მსგავსი



არაფერი მინახავს. 4 ათასი სპეციაზმელი იყო გამოყვანილი 1 500 მომიტინგის წინააღმდეგ.

**დომა ჯაანი,** მსახიობი: ბოლომდე ვიდექი მიტინგზე და მანც არ მჯეროდა ნინო ბურჯანაძის. არც მისი პარტიის წევრი ვარ და არც სახალხო კრების. გაერთიანებული ვარ ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობაში და „დაიცავი სასაქართველოში“. ეხლა კი ვამბობ, რომ ნინო ბურჯანაძე არის გენდალური ქართველი ქალი. ეს ქალი მუ ლომივით გვედგა გვერდით. ესაა ჩემთვის ყველაზე პატივსაცემი ადამიანი ერისათვის, საჯაროდ ვუხდი ბოდიშს, რადგან მანამდე სხვა აზრი მქონდა მის მიმართ. ბოდიშს ვიხდი მის წინაშე და ღმერთის წინაშეც.

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ 9 აპრილს გენერალი როდიონოვი ამათთან შედარებით ჰუმანურად მოიქცა, რადგან მისმა ჯალათებმაც კი ხალხს გასასვლელი დაუტოვეს!!

26 მაისს ქართველი ხალხი საკაშვილს არასოდეს აპატიებს!

26 მაისის დარბევით ისეთი ხალხიც კი აღშფოთდა, მანამდე მიშას დავით აღმაშენებლად რომ მიიჩნევდა! 26 მაისის დარბევამ, და ამ უსასტიკესმა რეპრესიებმა ხალხში კიდევ უფრო გაზარდა საპროტესტო მუხტი! რომ ვნახეთ ამ დარბევისა და ცილისმწამებლურ პროპაგანდის მიუხედავად, რამდენი ადამიანი გამოვიდა რუსთაველის გამზირზე 28 მაისს? ეს უკვე „წითელი ბარათია“ სააკაშვილის რეჟიმისთვის!

პირდაპირ ვაცხადებ: ქუჩაში გამოსვლაა საჭირო! ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა ასეთ რაღაცებს ვერ სჩადიოდნენ! ნაციონალებმა იმათაც კი გადააჭარბეს!

**გივი ბერიკაშვილი,** მსახიობი: როგორც მსახიობმა, არ შემიძლია, პატივი ვცე ისეთ კაცს, რომელიც ერთხელ მანც არ შემოაღებს თეატრის კარს და ერთ სპექტაკლს არ ნახავს. ხელისუფლებას „ქეთო და კოტეს“ გარდა, მგონი, არაფერი აქვს ნანახი.



## პირულობის

შევარდნაძე მოღილდა ხშირად თეატრში, სპექტაკლის მერე გვხვდებოდა, იყო მოკითხვა, ერთმანეთის მოფერება, ამათ არაფერი აინტერესებთ, გარდა იმისა, რომ დიდხანს იყვნენ სავარძლებში მოკალათებულნი.

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, ვერ ნახეთ, კადაფის რა უყვეს? ვინც ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ წავა, მას მართლა უნდა ეშინოდეს ხალხის რისხევის, რადგან ყველა ცოდვა, რაც ჩაიდინა, ერთ მშვენიერ დღეს ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება!

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერისა და პარლამენტის ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის სამდივნოს ყოფილმა ხელმძღვანელმა, იურისტმა – ზურაბ ჯიბლაშვილმა „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, შევარდნაძის დროინდელი უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი – ნიკა ლალიაშვილი გაუგონარ ცინიზმსა და კაცომობულეობაში ამხილა.

ჯიბლაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და ის მიმწერა წარმოადგინა, რომელიც მას 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი მომიტინგების დარბევიდან და დახოცვიდან მეორე დღეს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საშუალებით ჰქონდა „ქდმ“-ის ერთ-ერთ ლიდერ ნიკა ლალიაშვილთან.

ზურაბ ჯიბლაშვილის მიერ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ „ქდმ“-ის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა ლალიაშვილი არამარტო მიესალმება 26 მაისის დამეს სააკაშვილის ჯალათების მიერ მშვიდობიან მომიტინგებთან უსასტიკეს ანგარიშსწორებას და უდანაშაულო ადამიანების დახოცვას, არამედ ამბობს, რომ თვითონაც იმავეს გააკეთებდა, ოღონდ უფრო მძიმე ფორმებით.

ეს განცხადება კომენტარს არ საჭიროებს, მითუმეტეს, რომ ეს განცხადება გააკეთა ერთ-ერთმა ოპოზიციური პარ-



ტის ლიდერმა... მე კი ჩემი მხრიდან დავძენდი, რომ ამ პარტიის რიგები 2010 წელს აჭარის რეგიონის „ქდმ“ წევრებმა მამა-შვილმა: ცისკარ და ორაკლი გოგიტიძეებმა დატოვეს...

**თემური შაშიაშვილი**, პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი და სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი – ბატონი თემური იგონებს: რეზინის ტყვიები და გაზის კაფსულები პირველად სწორედ მიტინგის სცენას ესროლეს. ბოლოს სცენაზე ვიდექით: მსოფლიო ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი, ქართული ჩოგბურთის კორიფე ალექსანდრე მეტრეველი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მკლავჭიდელი სოსო ჯაჭვლიანი, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე.

მე არ მახსოვს, როგორ ჩამოვედი თუ ჩამოვვარდი სცენიდან! ადამიანები რომ გარბოლენ, მოვყევი ჰყლეტა-ში და ორმოცდაათზე მეტი კაცი დავეცით ერთ ადგილას. წაქცეულებს სპეცრაზმა, პირდაპირი მნიშვნელობით, გადაგვიარა. ალყაში ვიყავით მოქცეულნი და ერთადერთი გასასვლელი იყო კინოთეატრ „რუსთაველისაკენ“, რომლის კარებიც ღია იყო. ეტყობა, ის კარებიც სპეციალურად დატოვეს გაღებული, რომ ხალხი შესულიყო და მერე ყველა ერთად ეცემათ. შევედით კინოთეატრ „რუსთაველში“ და იქ ვნახე გოგი ქავთარაძე, ლუკა კურტანიძე, დიმა ჯაანი, სოსო ჯაჭვლიანი. მთელი კინოთეატრი სავსე იყო პატრიოტი ადამიანებით.

წარმოიდგინეთ ხელისუფლებამ ხალხისთვის 26 მაისის მილოცვა დაიწყო დარბევით. ჩვენ არ ვაპირებდით აღლუმის ჩაშლას. ჩვენ ვამბობდით, რომ არ გვინდა ტანკი, არ გვინდა სამხედრო ტექნიკა და ხალხმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნოს რუსთაველზე სეირნო-



ბით. აი, ეს გვინდოდა ჩვენ და ამიტომ დაგვარბიეს და გადაგვიარეს!

მთელი ქართველი ერის შეურაცხოფა იყო ის, რომ 2008 წლის 10 აგვისტოს თვითმფრინავის ხმით შეშინებული პრეზიდენტი გორგი მიწაზე ფორთხავდა, მაგრამ ქართველი ხალხის ორჯერ მეტი შეურაცხოფა იყო ის, რომ ამ მშიშარა, მიწაზე მფორთხავმა პრეზიდენტმა 2011 წლის 26 მაისს სამხედრო აღლუმი ჩაიბარა!

საქართველო დღეს ეწირება ერთი კაცის სკამს და ამ ერთი კაცის მონად აქციეს მთელი ჯარი და პოლიცია. დიახ, მე 26 მაისს ვხედავდი პრეზიდენტის მონებს, რომლებიც ებრძოდნენ თავისუფალ ადამიანებს.

მე ვიცოდი, რომ სააკაშვილი ქართველთმომტკლე იყო, მაგრამ 26 მაისს ჩვენ ვნახეთ კაცთმომტკლე, მიზანთროპი სააკაშვილი!

მოკლედ, შევედით კინოთეატრ „რუსთაველის“ ჩაბნელებულ დარბაზში და ცოტა ხანში სპეცრაზმიც შემოვარდა. მსგავსი გინება, მსგავსი შეურაცხყოფა, როგორსაც ისინი გვაყენებდნენ, მე არასდროს მსმენია. ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოებს გვიწოდებდნენ, ანდა ამგვარი დედის გინება თუ არსებობდა, ვერც წარმომედგინა. არცერთ ქვეყანას არ ვუსურვებდი, რომ ერთი პოლიციელი მაინც ჰყავდეს ასეთი!

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ კინოთეატრში შემოვარდნილი სპეცრაზმელების მხოლოდ ათი პროცენტი იქცეოდა ასე სასტიკად და არადმიანურად, დანარჩენი 90 პროცენტი კი, დარწმუნებული ვარ, ჩვენ თანაგვიგრძნობდა.

თქვენ პუტინებოო, ასე გვეძახოდნენ, ამათ ხომ პუტინი ელანდებათ სუსველას, არადა პუტინის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით, სააკაშვილი ანადგურებს საქართველოს!

პირდაპირ ვამბობ ამას, ბინ ლადენი მკვდარია და დღეს მსოფლიოში ნომერ პირველი ტერორისტი არის სააკაშვილი,



## პიგდიონისა

ოღონდ ბინ ლადენი თავის რელიგიას და თავის ხალხს  
იცავდა, სააკაშვილი კი თავის ხალხს ებრძვის და სპობს!

საკუთარი ხელით გაითხარა პოლიტიკური სამარე. ახლა  
ამ სამარეში მისი ჩასვენების პროცესია ბოლომდე მისაყვანი  
და ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ!

სააკაშვილმა განაცხადა, რაც 26 მაისს მოხდა, ეს იყო  
ქართული სახელმწიფოს პასუხი რუსული „ფეხსბეს“ გეგმე-  
ბზე, ანუ „სახალხო კრების“ ლიდერებს რუსეთის დავალებით  
სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში გვა-  
დანაშაულებენ...

ეს არის დიდი სიცრუის ნიაღვარი, რომელიც წლებია, ამ  
ხელისუფლებისაგან მოედინება! სააკაშვილმა საქართველოს  
ყველა სტრატეგიული სიძლიდრე რუსეთს მიჰყდა და რაში  
აინტერესებს რუსეთს სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა?  
რაში აწყობს საქართველოში ტყვიის გავარდნა? პირიქით,  
აქ რომ ტყვია გავარდეს ან ბომბი ჩამოვარდეს, ეს, პირველ  
რიგში, სწორედ რუსეთს არ აწყობს!, იმიტომ, რომ ყველა  
სტრატეგიული ობიექტი რუსეთისაა და ტყვიის გავარდნის  
შემთხვევაში, ისევ რუსეთის კუთვნილი ობიექტები უნდა და-  
ზიანდეს. დღეს სწორედ რუსეთი ცდილობს, რომ საქართ-  
ველოში ტყვია არ გავარდეს!

ეს გათახსირებული სააკაშვილი კიდევ სხვას აბრალებს  
რუსეთთან კავშირს? რამ დააბნელა ქართველობის გონება?

ამერიკის ელჩის განცხადებაზე, რომელიც მან აქციის  
დარბავამდე რამდენიმე საათით ადრე გააკეთა, სააკაშვილს  
მწვანე შუქი აუნოო, რათა მშვიდობიანი მომიტინგები დაე-  
რბია? საინტერესოა ამერიკის ელჩის არ ჰქონდა სწორი ინ-  
ფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ვაპირებდით ჩვენ?!

ვეკითხები ბატონ ბასს: ამერიკის პრეზიდენტს შიშისაგან  
მიწაზე რომ ეფორთხა, ამერიკელები მისცემდნენ მას აღლუ-  
მის ჩატარების საშუალებას?



## პირულობის

რით ვერ გაიგეს ჯონ ბასმა და ამერიკის ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა, რომ სააკაშვილმა გაანადგურა ამერიკის ავტორიტეტი საქართველოში? 26 მაისს ავღანეთში კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, აი, რისთვის სჭირდება ამერიკას სააკაშვილი. თქვენი ინტერესებისთვის ქართველი ხალხის სისხლს რომ ღვრის, ამის გამო გიყვართ სააკაშვილი, ამერიკელები?

ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ ავღანეთში ყველაზე მეტი ჯარისკაცი ამ პატარა საქართველოს ჰყავს გაგზავნილი. ვეკითხები ამერიკის ელჩს: თქვენ დემოკრატია გინდათ საქართველოში თუ ქართველი ბიჭები გჭირდებათ საზარბაზნე ხორცად?

პირდაპირ ვაცხადებ, ვინც ქართველ ხალხს დაეხმარება იმაში, რომ გათავისუფლდეს ამ კაცთმოძულე პრეზიდენტისა-გან, ის იქნება ქართველი ხალხის ერთგული მეგობარი! დიახ, ვინც უნდა იყოს, ამერიკა, ევროპა თუ რუსეთი, ვინც დაგვეხმარება ამ ქართველი ხალხის მტრის მოშორებაში, მხოლოდ ის იქნება საქართველოს მეგობარი!

მე არ მჯერა, რომ ყველაფერი ამის მონაწილე ვიყავი და ყველაფერს საკუთარი თვალით ვუყურებდი. დიახ, საკუთარი ყურით ვისმენდი, პოლიციელი რომ იძახდა, წაიყვანეთ და იხ-მარეთ ეს კაცებიო!

ოთხი კაცი მირტყამდა! ხელებშეკრულს მატარებდნენ აქეთ-იქით! გვეკითხებოდნენ: შენი შვილები როგორ არიან, შენი ბიჭი როგორ არის, შენი გოგო როგორ არისო? – მიყვიროდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ოჯახიც საფრთხის ქვეშ იყო. ერთი პოლიციელი თვალზე მეცა, უნდა ამოგთხაროო. ყურზე წამავლო ხელით, უნდა მოგამროთ! მე მსგავსი სისასტიკე, მსგავსი ზიზღი ადამიანების მიმართ არ მინახავს.



ერთ-ერთმა, რომელიც ნიღბის გარეშე დადიოდა და, როგორც ჩანდა, მათი ზემდგომი იყო, სპეციალურებს ჩემზე მიუთითა და უთხრა, ამ კაცს არ დაარტყათო. ამას როგორ არ დაგარტყათო და მაშინვე დამიშინეს ხელკეტები.

ხელები შეკრული მქონდა, ხუთი კაცი მომვარდა და ხელები შემიკრეს. გუანტანამოს ციხეში ამის მსგავსი სისასტიკე რომ მოხდეს, მთელი ამერიკა ფეხზე დადგება! რუსული ტელეარხის „ენტევეს“ მიერ ნაქები ქართული პოლიცია სჩადიოდა ამ ვანდალიზმს!

ყველაზე დიდი უბედურება რა არის, იცით? ოპოზიციონერები ამბობდნენ, გუბაზ სანიკიძემაც კი თქვა, თუ ხელისუფლება მიტინგს დაარბევს, შეიძლება, თბილისში რუსული ტანკები შემოვიდნენ. სად არის, ბატონებო, რუსული ტანკები? რატომ ტყუოდით? რატომ იდექით ხელისუფლების მხარეს?

სანამ თემურ შაშიაშვილი რუსეთის ან ამერიკის ინტერესებს არ მოემსახუროს, მანამდე იყავით თქვენ კარგად!

ბოკერია, თარგამაძე, გიგი წერეთელი და დარჩიაშვილი არიან საქართველოს პატრიოტები და რეზო ესაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ლუკა კურტანიძე, გია ბურჯანაძე არიან საქართველოს მტრები? სამარცხვინო არ არის ამის ლაპარაკი? ტრაგედია არ არის ეს?

მე არ მინდა, რომ პატრიარქმა ნახოს 26 მაისის დაბევის კადრები, თორებ მისი გული ვერ გაუბლებს ამას! მინდა, რომ პატრიარქმა იცოცხლოს დიდხანს!

რეზო გაბრიაძეს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა საკაშვილის სისხლიან ჯილდოზე – ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენზე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რეზო გაბრიაძე დიდი ქართველი და დიდი შემოქმედია!

ამის შემდეგ, რაც 26 მაისს მოხდა, ინტელიგენციის რომელიმე წარმომადგენელი თუ დადგება სააკაშვილის გვერდით და რამე კარგს იტყვის მასზე, იქნება მონა და მეტი არაფერი!

როცა რობერტ სტურუას, ოთარ იოსელიანს, ჭაბუა ამირეჯიაბს, მერაბ ბერძენიშვილს, ნონა გაფრინდაშვილს ამ ხელისუფლებასთან და ამ პრეზიდენტთან სერიოზული პრეტენზიები აქვთ, ქართველო კაცო, შენ ვისკენ იფურები? თუ თუთბერიძისკენ?

საშინლად ვიყავი დაბეჭილი, თავი გატეხილი მქონდა და როცა კინოთეატრის შენობიდან გამოვყავდით, დავინახე, როგორ ჰყავდათ გაკოჭილი ერთი ქალბატონი და ერთმა პოლიციელმა უთხრა მეორეს, დაუბახე ბიჭებს, ეს ქალი გავაუპატიუროთო. ყურებს არ ვუკერებდი. თუ არ ვცდები, ეს ქალბატონი იყო ადა მარშანია.

შემდეგ გონება დავკარგე და როცა აზრზე მოვედი, თვალი როცა გავახილე, დაგდებული ვიყავი გრიგოლ აბაშიძის ქუჩაზე, ეკლესიის წინ. მაშინვე დავურეკე ნინო ბურჯანაძეს და ვუთხარი, ხალხი იღუპება, ხალხი უნდა გადავარჩინოთ, სასწრაფოდ სადმე პრესკონფერენცია უნდა ჩავატაროთ-მეთქი. ნინომ მითხრა, სახალხო კრების ოფისში, ცაგარელის ქუჩაზე შევიკრიბოთ.

მევიბრის მანქანით დაახლოებით დამის 4 საათზე მივედი კრების ოფისში. სანამ სხვები მოვიდოდნენ, ოფისში შემოვარდა სპეცრაზმი, პროკურატურისა და პოლიციის წარმომადგენლები. ერთ-ერთმა მითხრა, დედაქემს ისე უყვარსართ, სახლში ვინმემ თქვენზე ცუდი რომ თქვას, არ შეგვარჩენს, ასეთი გამოცდილი კაცი ხართ, ოპოზიციაში რა გინდათ, სააკაშვილის გვერდით დადექითო! – მე ვუთხარი, რასაც ახლა თქვენ მეუბნებით, ამას ჯერ კიდევ ათი წლის წინათ შევარდნაძე მეხვეწებოდა, მაგრამ მე არაქართული განწყობის ადამიანებთან არასოდეს დავდგები-მეთქი!



## გიგანტები

პირდაპირ შემიძლია თქმა, რომ საქართველო უკვე აღარ არის ის ქვეყანა, რაც 26 მაისამდე იყო და ეს უკვე დიდი გამარჯვებაა, ხომ ნახეთ 28 მაისს რამდენი ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში! ეს ნიშავს იმას, რომ ხალხმა შიში გადალახა! დიახ, ქართველ ხალხს აღარ ეშინია სააკაშვილის სპეციაზმების და ზონდერბრიგადების, ქართველი ხალხი მზად არის, საკადრისი პასუხი მიუზღოს ამ ხელისუფლებას იმისათვის, რაც მან 26 მაისს ჩაიდინა და ქართველი ხალხი ამ ხელისუფლებას აუცილებლად ჩააწერს იმ პოლიტიკურ სამარეში, რომელიც საკაშვილმა 26 მაისს საკუთარი ხელით გაითხარა!

სახალხო კრების საბჭოს წევრები უახლოეს დღეებში შევიკრიბებით და აუცილებლად გავაცნობთ საზოგადოებას ჩვენ გეგმებს, იმას, თუ როგორ გავაგრძელებთ ბრძოლას საქმის ბოლომდე მისაყვანად!“

აქვე მინდა რუსეთის საკითხზე გავამახვილო ყურადღება, რომ ამტკიცებენ და არასწორ პროპაგანდას ეწევიან პრეზიდენტი და მისი დამქაშები რუსეთთან მიმართებაში, თითქოსდა რუსეთი აწყობს ტერაქტებს, გადატრიალებებს და აძლევს მითითებებს ქართველ ოპოზიციონერებს, არის სიცრუე და ხალხის გაბითურება. ფაქტია, ისიც, რომ ამას ხელს უწყობს ტელეარხების უმეტესობა, რომლებიც ხელისუფლების მიერ იმართებიან და შესაბამისად, საზოგადოებას არაობიექტურ ინფორმაციას აწვდიან, ეს კი განსაკუთრებით რაონების მოსახლეობაზე ახდენს დიდ გავლენას... და ამას ყოველივეს ხშირ შემთხვევაში გაიძახიან დიდი ილიას სურათის ფონზე, არადა ილია ჭავჭავაძემ რუსეთთან საქართველოს შექრთების 100 წლისთავს შემდეგი სიტყვები მიუძღვნა:

.... „დამშვიდედა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომი-



## გენერაცია

სა და ბრძოლისაგან, დაღუმდა უღერა წმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენ ცოლშვილებზე, გაპქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ბუგავდა ჩვენს მამა პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს. გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო შემაძრწუნებელ სახსოვრადლაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა და სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაოს სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ გადაექცა თავდადებულ შვილებს,... ის დღეა და ის დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“.

### იღია ჭავჭავაძე

მე ასე ვიტყოდი, რომ მეზობელ ქვეყანას და მითუმეტეს როგორიც რუსეთია, „რქებით“ არ უნდა დაეტაკოს კაცი, და ისეთი პოლიტიკა უნდა აწარმოო მასთან, რომ შენი ქვეყნისა და ხალხისათვის მომგებიანი იყოს...

საერთოდ ვისურვებდი ნეიტრალურ სახელმწიფოში ცხოვრებას!

რუსეთთან მიმართებაში ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ გაზით „ასავალ დასავალის“ (2011 წ. 22-ში) უურნალისტის კითხვაზე: ხელისუფლება რუსული სცენარით სახელმწიფო გა-დატრიალების მცდელობას რომ გაბრალებთ, ამაზე რას იტყვით? – უპასუხა: „მერედა სად არის ეს რუსული სცენარი? როგორ გგონიათ, ჩვენი მოქმედებები პუტინთან რომ ყოფილიყო შეთანხმებული, დღეს სააკაშვილი ხეზე არ იქნებოდა ჩამოკიდებული? ანდა „გრუ-ს“ სპეცრაზმთან რამე შეთანხმება რომ გვქონოდა, ეს სპეცრაზმი სააკაშვილის გაწვრთნილ ბიჭებს ნამდვილად მოაწრიებდა რუსთაველის გამზირზე მოსვლას!“



## გიგანტები

....საერთოდ, არ მინდა, იმ ვათ ოპოზიციონერებზე ლაპარაკი, რომლებიც ფაშისტების მსგავსად, ხალხს კატეგორიულად ყოფენ. დიახ, ირაკლი ალასანიამ საჯაროდ გამოაჩინა, რომ იგი არის სააკაშვილის გოშია! – ირაკლი ალასანიამ აქციების დაწყების პირველ დღესვე განაცხადა, რომ, თუ რამე მოხდებოდა, პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა ხელისუფლებასაც და „სახალხო კრებასაც“. ეს იყო სპეცსამსახურის თანამშრომლის კომენტარი. დახ, ირაკლი ალასანია არის სპეცსამსახურის თანამშრომელი.

28 მაისს კი, როცა ხალხი ქუჩაში გამოვიდა იმის გასაპროტესტებლად, რაც 26 მაისს ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლებამ, ირაკლი ალასანიამ განაცხადა, აი, დღეს აქციაზე ხარისხიანი ხალხი მოვიდაო! ეს ფაშისტური განცხადებაა. დიახ, ფაშისტები მეტს კი არაფერს აკეთებდნენ, ადამიანებს ყოფილენ არიელებად და პლებეებად. ყოჩალ დემოკრატ ალასანიას!

მე ვამაყობ იმით, რომ ისეთ „უხარისხო“ ქართველებთან ერთად ვდგავარ, როგორებიც არიან ემირ ბურჯანაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ლუკა კურტანიძე, ელიზბარ ჯაველიძე, გია ბურჯანაძე, რეზო ესაძე, გოგი ქავთარაძე, ირაკლი ბათიაშვილი და საერთოდ ყველა ის ადამიანი, ვინც 26 მაისს იდგა ბოლომდე და ვაჟქაცურად იბრძოდა!

ირაკლი ალასანია კი იდგეს ისეთი „ხარისხიანი“ ქართველების გვერდით, როგორებიც სააკაშვილი და ბოკერია არიან!

რაც შეეხება ოქრუაშვილს, მან თავიდან ბოლომდე სააკაშვილის თამაში ითამაშა!

ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს აქციის მონაწილეებს ამტყუნებს, ნებსით თუ უნებლიერ, ამართლებს ჯალათებს! არცერთი იქ მდგომი ადამიანი არ აპირებდა უკან დაზევას და

## პიგდიონი

ყველა გვთხოვდა ერთადერთ რამეს, რამდენიც ვართ, იმდენმა ვიბრძოლოთ, იქნებ ჩვენმა თავგანწირვამ დანარჩენი საქართველო გამოაფხიზლოსო და უსინდისოა ყველა, ვინც ამ ადამიანებს ცილს დასწამებს და გაამტყუნებს!

ლევან გაჩეჩილაძის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ვთლი, რომ ლევან გაჩეჩილაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა საკუთარი ხალხის გვერდით დადგა! ალასანიაც თუ მოვა ოდეს გონს, თავს დაანებებს სპეცსამსახურბთან თანამშრომლობას და ხელისუფლების დაკვეთების შესრულებას, ცუდი არ იქნება და მასაც ექნება უფლება, საკუთარი ხალხის გვერდით დადგეს!

გუშინ წაიკითხე ბატონი ლადო პაპავას ინტერვიუ, რომელიც ბურჯანაძის შეცდომებზე საუბრობს. ნინო ბურჯანაძის პასუხი ასეთია: მე ჩემი შეცდომების გამოსასწორებლად ბოლო სამი წელია სისხლის უკანასკნელ წვეთმდე ვიბრძი! მე სასწორზე დაგდე ჩემი ოჯახის კეთილდღეობა, ჩემი შვილების, ჩემი ქმრის უსაფრთხოება, ჩემი მხცოვანი მშობლების უსაფრთხოება! ჩემი მაზლი დღეს ნაცემ-ნაბეგვი ზის ციხეში! ჩემი მაზლიშვილი, ობოლი ბავშვი, 19 წლის ელიზარ ბიწაძე კი ციხეშია ნაცემ-ნაბეგვი! ვურჩევ ბატონ ლადო პაპავას, როცა ჩემზე ლაპარაკობს, შეეცალოს, რომ ობიექტური იყოს, იმიტომ, რომ ლადო პაპავასგან ნინო ბურჯანაძეს ნამდვილად არ ეკუთვნის ამ ტიპის წამოძახებები! ამოვიდა ყელში ყველასგან ჭკუის სწავლება!

26 მაისს მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. დიახ, ვერცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ იფიქრებდა იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე ქართველი სპეცრაზმი და ხელისუფლება მიტინგის დაშლის ოპერაციას დაგეგმავდა იმაზე უფრო სასტიკად, ვიდრე ეს 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა სპეცრაზმა და გენერალმა



როდიონოვმა გააკეთა. მე ამას ვაცხადებ სრული პასუხ-ისმგებლობით!

სააკაშვილს ეზიზღება საქართველო და ქართველი ხალხი. მას მხოლოდ საკუთარი მონები უყვარს, ყველა დანარჩენი კი სააკაშვილისთვის არის ჩარეცხილი და მოღალატე, რომელიც ფიზიკურად და მორალურად უნდა გაანადგუროს!

26 მაისს რაც მოხდა, ეს არ იყო მიტინგის დაშლა, ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია ქართველი ხალხის წინააღმდეგ! ვითომ ოპოზიციონერებმა რამდენიც უნდა იძახონ, ლიდერებმა ხალხი რატომ არ დაშალეს და რატომ მიატოვესო, ეს არის სრული დემაგოგია და ცილისწამება. ჩვენ არაერთხელ გა-გაფრთხილეთ მომიტინგები, რომ მოსალოდნელი იყო დარბევა, თუმცა, ვიცოდით ჩვენი თანამებრძოლების განწყობა. ვიცოდით, რომ ისინი მზად იყვნენ, თავგანწირვით დანარჩენი საქართ-ველოსთვის შეუპოვარი ბრძოლის მაგალითი ერთად გვეჩვენებინა, იმ იმედით, რომ ეს მაგალითი ქუდზე კაცს გამოიყვანდა. ყველა ადამიანმა, ვინც იქ ვიდექით, ვიცოდით, რისთვის ვიბრ-ძოდით და ყველა მზად ვიყავით დარბევისათვის, თუმცა, არავის გვეგონა, რომ ხელისუფლება სასიკვდილოდ გაგვიძეტებდა!

ახლა ხელისუფლება ცდილობს, რომ მსხვერპლი გამოიყანოს ჯალათად და ჯალათი – მსხვერპლად. სააკაშვილი ძალიან კარგად მიხვდა, რომ ისეთი ადამიანები დაარბია, რომ-ლებსაც უკან ვერ დაახევინებს!

სააკაშვილმა იცის, რომ მე ფიზიკურად ვერ გამანადგურებს, რადგან ეს მისთვის კიდევ უფრო მეტი თავსატეხის მომტანი იქნება. ამიტომ უნდა, რომ პოლიტიკურად და მორალურად გამანადგუროს, მაგრამ არ გამოუვა! შავი ფურცლებით, სა-მარცხვინო ფურცლებით სააკაშვილი შევა საქართველოს ის-ტორიაში და არა ნინო ბურჯანაძე, იმოტომ, რომ მე ჩემი ხალხის წინაშე მართალი ვარ!

## პიგდიონი

მე დღეს სასიკვდილოდაც მზად ვარ, იმიტომ, რომ მე არ მინდა ისეთი საქართველო, სადაც სპეცრაზმი გაუბატიურებით ემუქრება კაცებს და ქალებს! მე არ მინდა ისეთი საქართველო, სადაც ლუკა კურტანიძეს ოცი სპეცრაზმელი ერთად სცემს! დიახ, მზად ვარ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლო! დაუ, ჩემი და ჩემი შვილების სისხლი დაიღვაროს პირველი, რაღაც მე არ მინდა, ჩემი შვილები ცხოვრობდნენ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც პოლიციის ნაცვლად 21-ე საუკუნეში ჰყავს გესტაპო და ჰყავს ქვეყნის მოღალატე, სისხლის სამართლის დამნაშავე პრეზიდენტი!

ერთ რამეს კი ყველას ვპირდები: ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და ერთხელ და სამუდამოდ დავასრულებთ სააკაშვილის ნეობოლშევიგურ რეჟიმს!

ვიბრძოლებ! – ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული ხელისუფლებისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად!

დასასრულს არ შემიძლია გვერდი აუარო ალენ დალენ სის (ის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მესამე დირექტორი გახლდათ), უგრეთ წოდებულ დოქტრინას, ის როგორც დოკუმენტი, არ გამოქვეყნებულა და არც მისი ორიგინალი არსებობს. ყველაზე ახლოს ამ დოკუმენტთან არის 1948 წლის აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მოხსენება, რომელიც ამერიკის თავდაცვის მინისტრ – ჯეიმს ფორჯესტოლის მოთხოვნით გაკეთდა. ამ თემას ბევრი საგაზეთო სტატია მიეძღვნა, ხოლო სააკაშვილის რეჟიმის მიერ მართლმადიდებელ ეკლესიაზე მიტანილი იერიშის შემხედვარე, კიდევ უფრო იმძლავრა ეჭვმა, რომ „ვარდოსნები“ უცხოეთიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებენ!

დალესის გეგმა გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყანაში მარიონეტული ხელისუფლების დასმასა და ეთნიკური სიძულვილის გაღრმავებას (სახელმწიფოს წარმომქმნელი ერებისადმი მცირე ერების სიძულვილის გაღვივებას). საქართველოს



## გიგანტის



ბოლო 20 წლის ისტორია, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები შეიძლება ამ ჭრილში განვიხილოთ. დალესის გეგმის თანახმად, მთავარი სამიზნე ხალხის ეთნიკური და მსოფლიშეგნების ცენტრებია (მწერლობა, უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და ეკლესია). ამიტომაც მწერალთა კავშირი დაშალეს. ეს იმიტომ იყო აუცილებელი, რომ სწორედ ჩვენი მწერლობაა ქართული ეთნიკური ცნობიერების მატარებელი. თუ ერში მყარი ერთობაა, არის ეროვნული იდეალები და ჰყავთ ავტორიტეტები, ისეთი ერის მართვა ძალზე რთულია. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ეროვნული ცნობიერების დაშლა. ეს კი სწორედ ეროვნული ცნობიერების ბურჯების გამოცლით ხდება. მათი ამოცანა ეროვნული ცნობიერების დანგრევაა.

ალენ დალესმა მასონთა საერთაშორისო საბჭოს მონდიალ-ისტური ორგანიზაციის ერთ-ერთ თავყრილობაზე განაცხადა: „საბჭოთა კავშირში ჩვენ დავთესავთ ქაოსს, შეუმჩნევლად შევცვლით ზნეობრივ ფასეულობებს და ვაძმულებთ მოსახლეობას, ირწმუნოს ყალბი ფასეულობები. თანამოაზრებსა და თანაშემწებს მოვძებნით ხელმძღვანელობაში. ეპიზოდურად, ერთმანეთის მიყოლებით, გავათამაშებთ გრანდიზული მასშტაბის ტრაგედიებს, რომელთაც ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის დაღუპვა, მისი თვით შეგრძნების შეუცევა-დობა და საბოლოოდ გაქრობა, მისი ეკონომიკის სტაგნაცია და განადგურება მოჰყება.

ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვძირევავთ სოციალურ არსეს, (ერთ-ერთი ცოცხალი მაგალითი სახეზეა – რობერტ სტურუას განთავისუფლება დაკავებულ თანამდებობიდან). ამ თემასთან დაკავშირებით მინდა მკითხველს შევთაზო მსახიობ პაატა ბარათაშვილის ინტერვიუს მოკლე ამონარიდი გაზეთ „ასავალ დასავალიდან“ – „რუსთაველის



## გიგანტისა

თეატრის სცენა ექსპერიმენტების ჩატარების ადგილად იქცა უსუსურზე „უსუსური „ქეთო და კოტეს“ შემდეგ სრული უხა-ამსობა - „შემეხე“ წარმოადგინეს. პაატა ბარათაშვილი გმობს რუსთაველის თატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილ სპექტაკლს „შემეხე“, რომელიც დაიღვა ბრიტანელი საბჭოს ხელშეწყობითა და დაფინანსებით: – ვერ ხდავთ, რომ საქა-რთველოს პირველ პირად დასახელებული ადამიანი თვითონ არის გარყვნილი? რაც ხდება მეფის კარზე, ის ხდება მთელ ქვეყნაში. თუ გარყვნილობაა, ქვეყნაც იმ მორევში იძირება, თუ ზეობაა, ზეიმობს ზეობა. დღეს გარყვნილება პიკშია და ამ სცენაზეც ეს ხდება, ამიტომ გაუშვეს რობერტ სტურუა, იცოდნენ, რომ ამას ვერ აიტანდა. ეს სპექტაკლი დაიღვა ბრი-ტანეთის საბჭოს მხარდაჭერით. დიახ, ასეთ რამეს აფინანსებენ. ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობებში უცხოელები ფულს არ იხდიან. იციან, ვინც ვართ, ამიტომაც გვებრძვიან, ელჩებსა და დიპლომატებს რომ აგზავნიან, განა იმათ არ იციან, სად მო-დიან? ძალიან კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენი ისტორიაც და რელიგიაც, ამიტომ იწყებენ ეკლესიის ნურევას, მართლმადიდე-ბლობაზე შეტევას და იელოველთა გაძლიერებას. ამაში მთავ-რობა ეხმარება. ...რაც ხდება ამ ახალდადგმულ სპექტაკლში, რომელიც ეხება სკოლის მოწაფეთა ფოფის და ამათგან ერთი მთლიანად იხდის შუა სცენაზე, ეს არის უბედურება! ჩვენი მაცოცხლებელი ჩვენი კულტურა და ტრადიციაა, არ მივცეთ ამის განადგურების უფლება, უისტორიო მარტო ცხოველია, თუ დავივიწყეთ ჩვენი ფესტები, მაშინ ვინ ვართ, რით განვხსვადებ-ით ველური ტომისაგან? მინდა, ახალგაზრდებს მივმართო, ჩემი შვილის თანატოლებს: ნუ მივლენ ამ სპექტაკლზე, ამის უკან რა იმალება, იმაზე დაფიქრდნებ!”

ეს ფაქტი კიდევ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმი-სა, რომ „ვარდოსნების“ ხელში ქვეყნა – უფსკრულში მი-



ექანება...), შემოქმედებით ინტელიგენციას დაუკარგავ ხალისს გამოიკვლიონ და ზუსტად ასახონ მასების სიღრმეში მიმდინარე პროცესები. ლიტერატურა, თეატრი, კინო, პრესა ასახავენ და განადიდებენ ადამიანთა ქვენა გრძნობებს. ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძალადობის, ღალატის, ბეზღობის კულტს...

პატიოსნებასა და წესიერებას ისე გავამასხარავებთ, რომ ისინი აღარავის დასჭირდება და წარსულის გადმონაშთად იქცევიან. შეუმჩნევლად დავინერგავთ თავხედობას, მატყუარობას, ლოთობას, ნარკომანიას, ცხოველურ შიშს ერთმანეთის მიმართ... ყოველივე ამას ჩვენ დაგნერგავთ მოხერხებულად და დაფარულად, ისე, რომ ცოტანი თუ მიხვდებიან, რა ხდება. ვინც მიხვდება, ჩავაყენებთ უმწეო მდგომარეობაში, გავხდით სასაცილოს, ცილს დავწამებთ, ნაძირლად და საზოგადოების მტრად გამოვაცხადებთ“...

ალენ დალესის მიერ საბჭოთა კავშირისთვის გამოწერილი ეს „რეცეპტი“ სრულად მოქმედებს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველოსთვისაც. ეს, როგორც იტყვიან, უნივერსალური გეგმაა ქვეყნის დასაკაბალებლად და ხალხის დასამონებლად!

თუმცა, ალენ დალესი მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად შექმნილი გეგმის მხოლოდ ერთ-ერთი ავტორთაგანია. ეს გეგმა ალენ დალესამდე ბევრად ადრე დაიწერა. მაგალითად, 1869 წელს ბერლინში გამოიცა ჯონ რეტკლიფის წიგნი „ბლარიცი“, რომელშიც აღწერილია მასონთა პრაღის კონგრესის მასალები. ნახეთ, რას ამბობს ამ კონგრესზე ერთ-ერთი მაღალი იერარქიის მასონი: „ჩვენი უდავო მტერი იყო და არის ქრისტიანული ეკლესია. ამიტომ, მთელი ძალისწმევით უნდა ვეცადოთ, იქ დავნერგოთ თავისუფალი აზროვნების



იდეა, სკეპტიციზმი, განხეთქილება და სექტანტიზმი. უნდა გამოვიწვიოთ სხვადასხვა სახის უსიამოგნებები ქრისტიანული მიმდინარეობის შტოებს შორის. ლოგიკური თანმიმდევრობით დავიწყოთ სასულიერო წოდებებისგან. გამოვაცხადოთ ღია ომი მათ მიმართ. უნდა გამოვიწვიოთ უნდობლობა, ქილვა და დაცინვა. მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გვყავლეს მათი პირადი ცხოვრება და გამოვააშკარაოთ პირადი ცხოვრების სკანდალები.

ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე გამართლებული იარაღი სასკოლო სწავლება იყო. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ხელში ჩავიგდოთ ახალგაზრდა თაობის სწავლის ხელმძღვანელობა, რადგან ახალგაზრდა ადგილად ფეთქებადია და მათი ენერგია ჩვენს რელიგიურ უნდა გადავიყვანოთ. ქრისტიანული სკოლის საგნების სიიდან ღვთისმეტყველება უნდა ამოვილოთ... რელიგიური სწავლება ოჯახის პირობებში გადაინაცვლებს და რადგანაც ყველას არც ამის დრო და არც საშუალება არ ექნება, რელიგიური სული დაიწყებს დაცემას და საბოლოოდ, საერთოდ გაქრება“.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დირექტივა, რომელიც რეტკლიფის წიგნშია აღწერილი: „თუკი ოქრო კაცობრიობის უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა, მაშინ მეორე, ეჭვგარეშე – პრესაა. განა პრესის გარეშე რაიმე მნიშვნელობა აქვს აქ, ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და რჩევებს?! ჩვენს მიზანს სრულად მაშინ მივაღწეოთ, როცა პრესა ჩვენს ხელში აღმოჩნდება, რომლებიც ჩამოაყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს. ამ გზით ჩვენ ნელ-ნელა ჩამოვიშორებთ, შევავიწროვებთ ქრისტიანებს და მთელ შსოფლიოს ვუკარნახებთ იმას, თუ რისი უნდა სჯეროდეს და სწამდეთ, რას უნდა სწყევლიდნენ და პატივს რას უნდა სცემდნენ. პირველი დარტყმა აქამდე გაუხრწნელ, წმიდათაწმიდა – ოჯახურ



## გიგანტების

საწყისს უნდა მივაყენოთ. ის როგორმე დაშლა-გახლეჩამდე უნდა მივიყვანოთ. ძირფესვიანად ამოვატრიალოთ ის, რისიც დღემდე სწამთ ქრისტიანებს. სანაცვლოდ ამისა, აღვზარდოთ სხვადასხვა ვწებებით გატაცებული არმა. თამამად გამოუცხადოთ ლია ომი ყველაფერ იმას, რისაც სწამთ და ეთაყვანებიან ჩვენი მტრები – ქრისტიანები. ჩვენს საკუთარ საქმეში ვიყოთ კონსერვატორები, ხოლო ქრისტიანებში ავალორძინოთ რეფორმატორული სული, შემდეგ კი ამ რეფორმებს ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მიმართულება მივცეთ...“

ზოგი ოპოზიციონერობით ემსახურება მამონას, ზოგი – ფუნჯით, ზოგი – კალმით, ზოგიც – ტაშ-ფანდურითა და მანჭვა-გრეხით!

მათი მიზანი – საქართველოს დაკაბალება და დამონება!

ამათ კარგად იკიან, რომ საზოგადოების გაკონტროლებისთვის ეკლესია უმთავრესი ძალა. ეკლესიიდან მოდის ის ნათელი, რაც ადამიანს ზნეობრივს ხდის. ზნეობრივ ადამიანს კი ვერც ერთ სქემაში ვერ ჩასვამ. ამიტომაც ამკვიდრებენ უზნეობასა და ლაფს ასხამენ ავტორიტეტებს. ავტორიტეტი არ უნდა არსებობდეს, რადგან ის საზოგადოების თვითრეგულაციის მექანიზმია. უავტორიტეტოდ ხალხი ვერ გაერთიანდება, ერთიან აზრს ვერ გამოიმუშავებს და ვერც კონსოლიდირებულად იმოქმედებს. ამიტომაც მიზანმიმართულად ანადგურებენ ავტორიტეტებს ზოგიერთი მედიასაშულების მეშვეობით.

საანთორმაციო საშუალებები საზოგადოების გარყვნისთვის ყველა ხერხს მიმართავს. თუ ბავშვება არ ისწავლა მოწიწება, პატივისცემა და თავშეკავება, თუ ბავშვობიდანვე უყურა ავტორიტეტების შეურაცხოფას, ის ადამიანად ვეღარ ჩამოყალიბდება. ის იქნება ინფორმაციულ-ბიოლოგიური არსება, რომელიც სრულ მართვას ექვემდებარება. ასეთ ადამიანებს



## გიგანტები

ზომბებს, სულმოპარულებს უწოდებნ. სრულად არის ჩართული მომავალი თაობის გარევნის პროგრამა. როგორ შეძლება პიროვნებას ავითარებდეს ადამიანის უპატივცემულობა, ტყეუილი, მაგრებრობა? სახარებაში წერია: – „ვაი მას, ვისი პირიდნაც საცდური გამოდის, რომ იცოდნენ, რა ელოდებათ, ურჩევნიათ, თავიანთი ხელით დაიკიდონ ლოდი და დაინთქან უფსკრულთა შინა ზღვისასაო“. ადამიანები ადვილად რომ მართონ, მათში სოლიდარობის განცდას კლავენ. არ უნდათ, რომ ხალხში თანაგრძობა და თანაგანცდა არსებობდეს. ხელისუფლებაში ისეთი ხალხია, ვინც საკუთარ თავს ქართული კულტურის ორგანულ ნაწილად არ განიხილავს და ძალაუფლებას შურისძიების იარაღად იყენებს.

ამ ვითარებას შევადარებდი ანტილოპების ჯოგზე ლომების შეტევას. როდესაც მტაცებელი ანტოლოპას მოიხელოთებს, მისი თანამომქმები მხოლოდ კუნტრუშობენ და ვერ აცნობიერებენ, ხვალ თავადაც რომ მოელით მტაცებლის კლანჭებში სულის დალევა. არ უნდა გადავიქცეთ ჩლიქოსნებად!.. სხვა გამოსავალი არ არის, უნდა დავჭკვიანდეთ, უნდა ვიფიქროთ, სოლიდარობის განცდა არ უნდა დავკარგოთ და ამ სისტემას ერთობით დავუპირისპირდეთ!“.

აბა ვინ იფიქრებდა ცხრა საუკუნის შემდგომ, ოცდამეერთე ცივილიზებულ და დემოკრატიული რეფორმების საუკუნეში რუის-ურბნისის კრების ჩატარების აუცილებლობაზე საჯაროდ ალაპარიკებულიყო ერი, როგორც ეს საჭირო იყო დავით აღმაშენებლის მეფობის დროს.

სწორედ დღესაა საჭირო საქართველოში რუის-ურბნის კრების ჩატარება!

დღეს გამოჩნდა შანსი ქვეყნის გადარჩენისა ბატონი – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართულობით, რომელსაც მიესალმება „სახალხო კრების“ თითოეული წარმომადგენელი.



## პირადობის გიგანტები

ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა გავაკეთოდ გონივრული არჩევანი რომელიც წაადგება საქართველოს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს თუ გაგვიყალეს არჩევნები და სხვა გზა არ დაგვიტოვეს, მაშინ ჩვენი ხმა ჩვენვე უნდა დავიცვათ კონსტიტუციით მონიჭებული უფლებების გამოყენებით!...

რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილის ნაბიჯის გადადგმას ქართულ პოლიტიკაში, ჩემი ღრმა რწმენით რა თქმა უნდა განაპირობა 26 მაისის სისხლიანმა დამემ.

ჯერ კიდევ გასული წლის მაისის თვის ბოლოს გაზეთ „საერთო გაზეთში“ კომენტარი გააკეთა – **შალვა ხაჭაპურიძემ**, „კანონი და სამართლიანობის“ ლიდერმა: სადაც მან აღნიშნა, რომ დაგეგმილია ბიძინა ივანიშვილის ჯერ სახელის გატეხვა, მერე ბიზნესის წარმევა და ბოლოს მისი ფიზიკური განადგურება. ეს გეგმა გიგა ბოკერიას კაბინეტში დაიწერა არც ისე დიდი ხნის წინ.

ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილისთვის ნომერ პირველი საფრთხეა. ამიტომაც უნდა ბიძინა ივანიშვილის მოშორება, იგი ხომ პატრიოტია და პატრიოტისაგან რეალურ საფრთხეს ხედავინ.

ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა და აკეთებს, მსოფლიოში არცერთ სხვა პოლიტიკოსს, გარდა ჰიტლერისა, არ გაუკეთებდა.

**ბიძინა ივანიშვილი:** ჩშირად ისმის საყვედურები, რომ დაბალი აქტიურობაა ჩვენი გუნდიდან, პირადად ჩემზე მოდის ეს საყვედურები. მინდა დავაწყინარო ყველა და ავუჩსნა, რომ ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი გააზრებული და დაგეგმილი მაქვს. ყველაფერი იქნება დროულად და კარგად მთელ საქართველოსთვის. იყავით წყნარად, დინჯად და დაელოდეთ.

ნუ შეეცდებით პარალელები გააკეთოთ იმ კაცზე, რომელიც ისტერიულად დარბის, ოღონდ უფრო აქტიურ ფორ-



## პირადულობები

მაში, რათა შექმნას ფასადური შეხედულებები, რომ აღმშენებელია და რომ საქართველოში ყველაფერს აკეთებს, ქვეყნის ასაღორძინებლად, სინამდვილეში დღეს ქვეყანაში კეთდება იმის მეათედი, რაც უნდა კეთდებოდეს და იმას, რაც კეთდება, ისე გააწვდიან, თითქოს თვითონ იყვნენ ამ ყველაფრის გამკეთებელი.

მართებულად მიმაჩნია საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ საპრეზენტაციო კონფერენციაზე, საზოგადოებრივი მოძრაობის გამგეობის თავმჯდომარის – ბიძინა ივანიშვილის მოხსენების მოკლე ამონარიდის ფრაგმენტები გავაცნო მკითხველს: – „საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ იქმნება როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა, რათა განხორციელდეს საზოგადოების კონტროლი და გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე.“

....მოძრაობა შექმნის რეგიონალურ სტუქტურებს, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებისათვის საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რათა დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხალხი დაუჭერს მხარს“.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ანალოგიური მოთხოვნებს აყენებდა „სახალხო კრებაც“ და ჩემი თანამოაზრების სახელით და როგორც „სახალხო კრების“ რიგითი წევრი უერთდები ამ მოთხოვნებს...

„ძვირასო თანამემამულენო, დადგა ახალი 2012 წელი, რომელიც თითეული ჩვენი თანამოქალაქისათვის იქნება პრობლემების დაძლევის, განვითარების, ქვეყნის სწორი მიმართულებით სვლის და გაჩენილი იმედის განხორციელების წელიწადი.



## გიბბირითება

ყველამ ერთად უნდა ჩავაბაროთ წარსულს ხელისუფლების მიერ დანერგილი უიმედობა, ნიკილიზმი, უპასუხისმგებლობა, ჩვენი სამშობლო ერთად უნდა ვაქციოთ ღირსულ სახელმწიფოდ, რომელიც ზრუნავს ადამიანზე და მის თავისუფლებაზე.

მხოლოდ ჩვენი შრომით, კეთილსინდისიერებითა და ურთიერმხარდაჭერით მივაღწევთ წარმატებას.

ამ რწმენით გილოცავთ ახალ, 2012 წელს! ვულოცავ საქართველოს ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნების და აღმსარებლობისა, ვულოცავ მათ, ვინც მოელ მსოფლიოში მიმოფანტულან და სახლში დაბრუნებაზე ოცნებობენ. ვულოცავ აფხაზ და ოს ძმებს. ვულოცავ ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში მხარს უჭერდა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს.

2012 წელი იქნება ქართული ოცნების ასრულების წელიწადი.

გილოცავთ!“

ღმერთმა გისმინოთ ბატონო ბიძინა! მინდა დავიჯერო ამ სიტყვების, მაგრამ თუ სათავეში ეროვნული ხელისუფლება არ მოვიდა, და თუ ამ ხელისუფალს მსგავსი ხელისუფალი ჩაენაცვლა, დაიღუპა მაშინ მამა-პაპათა მიერ მოტანილი, ნაგოგმანები და სისხლის ფასად დღემდე შემორჩენილი საქართველო....

(ისე ყოველივე კარგი აგსრულებოდეთ, როგორც ამ დანაპირებმა გაამართლა).

ახლა მინდა მივყვე მოვლენებს და დაუთმო ადგილი სისხლიანი მაისის შემდგომ ბათუმში განვითარებულ მოვლენებს და მკითხველს მოკლედ გავაცნო დაჭერილი „სახალხო კრების“ წევრების სასამართლო დარბაზში განვითარებული

## პირდღირთვა

მოვლენები და „აჭარა P.S.“-ში გამოქვეყნებული სტატია „სკანდალი სასამართლოში“ მოვიშველიო, სადაც მოსამართლე – ოქურ გოგოხიამ ადვოკატი 10 დღით დააპატიმრა.

,,28 ივლისი, 12 საათი. 21 მაისის აქციის მონაწილეების (ექვსი ბრალდებული) სასამართლო მოსმენა. მოსამართლე ვერა დოლიძე. მოსმენა იწყება საათნახევრის დაგვიანებით. 38 გრადუს სიცხეში ბრალდებულების ახლობლები, სიცხის-აგან გათანგული დაახლოებით 50 მოქალაქე, აპროტესტებს პროცესის დაგვიანებით დაწყებას. ვერა დოლიძის თანაშემწერითხვების არ პასუხობს, რატომ აგვიანებს მოსამართლე პროცესზე, ანუ კანონს რატომ არღვევს.

2:30 წუთზე ყვირილის ხმა მთელ სასამართლოში ის-მოდა. ხმაური 2-3 წუთს გაგრძელდა. სტუდენტის ცოტნე ანანიძის სასამართლო პროცესი, მეორე სართულზე მიმდინარეობდა, რომელსაც ასევე 21 მაისის აქციაში მონაწილეობისთვის ედებოდა ბრალი.

ვერა დოლიძემ ადვოკატი რამინ პაპიძე ჯერ დააჯარიმა, შემდეგ კი დარბაზიდან გააძევა. ამ საქმეზე მოსამართლემ ის მთლიანობაში 3100 ლარით დააჯარიმა.

პაპიძის გაძევების შემდეგ მოქალაქეებმა და ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს. დარბაზში მხოლოდ ორი ადვოკატი დარჩა.

16:30 წუთზე რამინ პაპიძემ შესაძლო პატიმრობის შესახებ მიიღო შეტყობინა სასამართლოდან.

19:30 წუთზე პროცესი დაიწყო. დარბაზში იმყოფებოდა ბათუმში მოქმედი თითქმის ყველა ცნობილი ად-



რამინ პაპიძე



ვოკატი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარებელი არ გაიზიარა ადვოკატის არც ერთი შუამდგომლობა. მათ შორის არც აუდიოჩანაწერის გაკეთების საშუალება მისცა ადვოკატებს (იმავე მოთხოვნას იყენებენ 21 მაისის აქციის მონაწილეთა ადვოკატები, რადგან ამტკიცებენ, რომ სასამართლო ოქმებს აყალბებდა. ჩანაწერის გაკეთებას ვერა დოლიძეც კატეგორიულად ეწინააღმდეგება) თემურ გოგოხიამ პაპიძის 10 დღით დაპატიმრება ბრძანა.

პაპიძის ადვოკატის, **ირაკლი შავაძის** თქმით, პაპიძეს დაკავების მიზნით სპეცსამსახურის 30-მდე თანამშრომელი მთელი დღე ეძებდა.

რამინ პაპიძემ 25-ე არხის გადაცემა „დიალოგში“ მისვლა მოახერხა და პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ ის უკანონოდ დააპატიმრეს, რადგან უნდოდათ 21 მაისის აქციის მონაწილეთა საქმეს ჩამოეშორებინათ, მას სდევნიან როგორც ადვოკატს და ამას პროკურატურა და სასამართლო ერთად აკეთებს.

პაპიძემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ აპირებს საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტას. „თბილისში გადავდივარ. თუ იქაც გაგრძელდა ჩემი დევნა, მაშინ ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას მივიღებ“ განაცხადა გადაცემის დასრულების შემდეგ, დამის 12 საათზე პაპიძე მივიდა ეგრეთ წოდებული უშიშროების შენობაში, სადაც ის პოლიციის ესკორტმა მიაცილა.

პაპიძე დაციის პოლიციამ შენობაში არ შეუშვა. დაახლოებით 20 წუთში კი „უშიშროებასთან“ გამოცხადდა ორი პოლიციელი (ერთ-ერთი მათგანი 21 მაისს აქციის დარბევაში მონაწილეობდა) და პაპიძე იქვე დააკავეს. იგი 10 დღიანი პატიმრობიდან დამის 12 საათზე გაანთავისუფლეს. ადვოკატთა ასოციაციამ სოლიდარობის და პრო-



საქართველოს განვითარების  
მინისტრი

ტესტის ნიშნად, უშიშროების შენობასთან, ანუ იქ, სადაც 10-დღიანი საპატიმრო სასჯელი მოიხადა ადვოკატმა, საპროტესტო აქცია გამართეს. საგანგებოდ აქციაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და ადვოკატი ეკა ბესელია.

რამინ პაპიძე 5 დღის განმავლობაში მშრალად შიმშილობდა. მისი ადვოკატის ირაკლი შავაძის თქმით, დაკავებულმა მე-5 დღეს დაიწყო წყლის მიღება. შავაძის ინფორმაციით, „მოშიმშილე კაცის კვალიბაზე“ რამინ პაპიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

რამინ პაპიძე 28 ივლისს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თემურ გოგოხიას ბრძანებით დააპატიმრეს, ადვოკატი პოლიციაში საკუთარი ფეხით მივიდა. კონფლიქტი ადვოკატსა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვერა დოლიძეს შორის 28 ივლისამდე ბევრად ადრე დაიწყო. მოსამართლე ვერა დოლიძემ რამინ პაპიძე 21 მაისის აქციის მონაწილეთა საქმეზე (პაპიძე აქციის მონაწილეთა ინტერესებს იცავდა) მთლიანობაში 3 ათასი ლარით დააჯარიმა. უზენაესი სასამართლოს განცხადებით, პაპიძის დაკავებას წინ უსწრებდა მოსამართლე დოლიძის მიმართ უცენზურო მიმართვა“.

თბილისიდან პროცესებზე ხშირად ჩამოდიოდნენ სახალხო კრების ლიდერები ბატონები: ელიზარ ჯაველიძე, თემურ შაშიაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, სასამართლო პროცესს სისტემატურად ერთაიგივე ხალხი ესწრებოდა, რაც ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმაც აღნიშნა: – „აქ მარტო ერთაიგივე სახეებს ვხედავ“, ბრძანა ბატონმა ირაკლიმ.

სასამართლო პროცესებს ესწრებოდა ქალბატონი მანანა სალუქვაძე, რომელიც სახალხო კრების სახელით შეძლები-



სამებრ დაჭერილ ბიჭებს მზრუნველობას არ აკლებდა. ამ პროცესებს ესწრებოდა აგრეთვე – ქალბატონი ეკა ბე-სელია, რომელმაც პროცესზე მოსამართლე მიკერძოებაში დაადანაშაულა, რისთვისაც ის დარბაზიდან გააძევეს, პრო-ტესტის ნიშნათ მასთან ერთად მეც დავტოვე იმ დღეს დარბაზი. რაც შეეხება ბიჭებს, ისინი მედვრად იდგნენ და მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფნენ. „სახ-ალხო კრების“ აქტივისტები ვესწრებოდით რა პროცე-სებს, ამით ვცდილობდით მათ გამხნევებას, რადგან მეტის გაკეთება სამწუხაროდ არ შეგვეძლო, თუმცა, გარეთ ვინც ვიყავით გადაწყვეტილი გვქონდა სოლიდარობის ნიშნად აქციები გაგვემართა სასამართლოს წინ, რის შესახებაც მე პირადად ჩავაყენე საქმის კურსში ბატონი თემურ შაშიაშ-ვილი, რომელმაც მხარი დაგვიჭირა და საამისოდ პლაკატ-იც გაკეთდა პოლიპატიმრების წარწერით, მაგრამ ზოგი-ერთი პატიმრის ნათესავმა ამის საშუალება არ მოგვცა იმის შიშით რომ საქმე არ გაგვეფუჭებინა. მე და ცისკარ გოგიტიძემ ობიექტივის უურნალისტს – მერაბ ჭიქაშვილს ვაცნობეთ ყოველივე.

თავისუფლებაში მყოფი „სახალხო კრების“ წევრები ვამაყობთ ჩვენი დაპატიმრებული მეგობრების შეუგალობით და გამოჩენილი ნებისყოფით, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ისინი პოლიტპატიმრები არიან და ვიმედოვნებთ, რომ მათ მალე ვიზილავთ თავისუფლებს.

ჩვენ, „სახალხო კრების“ უმეტესმა ნაწილმა, რო-გორც თითქმის მთლიანმა საქართველომ მხარი დაუჭირეთ „ნაცების“ მოსვლას სათავეში, მაგრამ, როგორც კი დავინახ-ეთ და ვიგრძენით სათავეშივე, რომ მათი ხალხზე მიცემული პირობა არ სრულდებოდა. ჩვენ არ დავმალულვართ და არ მივტმასწივართ მათ იმ ადამიანებივით, რომლებმაც ხელი

მოითხეს ხალხის გაუბედურების სარჯზე, გამოვედით ქუჩაში და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით ჩვენი პროტესტი დავაფიქსირეთ მმართველი მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც 26 მაისის მოვლენების მონაწილენი, უკლებლივ ვიყავით სამართალდამცავებთან დაკითხვებზე გამოძახებულები, იქ გამომძიებლის კითხვაზე: რატომ ვიყავით ამ მთავრობის უკმაყოფილო და რატომ ვაპროტესტებდით მათ „მოლვაწეობას“, ვუპასუხე: იმას რატომ არ კითხულობთ, ვინც სათავეში ეს ხალხი მოიყვანა რატომ არიან ეხლა მათი წინააღმდეგი-თქო?!“

იძულებული გავხდი ჩამომეთვალა მთელი რიგი მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებანი, რის შემდეგაც გამომძიებლებმა დუმილი არჩიეს და ორსაათნახევრის შემდეგ გამომიშვეს.

აქვე მინდა გავიხსენო აწ გარდაცვლილი ჩემი მეგობარი: **რამინ აბულაძე**, ნიჭიერი და ცნობილი ჟურნალისტი, რომელიც გამოირჩეოდა დახვეწილობით, გემოვნებითა და სიფაქიზით, პქონდა წრფელი გული და ახასიათებდა ლამაზი იუმორი, მისი სტატიები ფარდას ხდიდა და აშიშვლებდა მანკიერი ხელისუფლების ბოროტმოქმედებას და ამხელდა მათთან მიტმასნილ „მყვირალა“ ჟურნალისტებს. ის უთანა-გრძნობდა „ფორუმელებს“, მხარში ედგა „სახალხო კრებას“. იგი ამ რეჟიმის უსამართლობას ემსხვერპლა, რადგან ნერვიულობისაგან შეერყა ჯანმრთელობა, დეპრესიაში ჩავარდნილი მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, გულმა ვეღარ გაუძლო ამდენ სისასტიკეს... რამი-



რამინ აბულაძე



## პიგდიონისა

ნი ჩემი მეგობრის – ვახტანგ აბულაძის ნათესავი გახლ-დათ, რაც შეეხება ვატანგის ის 2007 და 2009 წლებში თბილისში საპროტესტო აქციების უშუალო მონაწილე იყო, ისიც „ოორუმელთა“ მხარდამჭერია.

აქვე მინდა კიდევ ერთხელ უთანაგრძნო ყველა იმათ ოჯახის წევრებს, ვინც ამ რეჟიმმა შეიწირა.

2011 წლის ზაფხული და თითქმის შემოდგომა სასამართლო დარბაზებში გავატარეთ. ჩვენ ბიჭებს ორ-ორი წელი მიუსაჯეს. ამის შემდგომ ჩვენი დღეები და თვეები უღიმდღამოდ გადოდნენ, ვგულისხმობ „სახალხო კრების“ წევრებს, ვგულისხმობ იმათ, რომლებიც ყოველ დღიურად დადიოდა ოფისში და კერას არ აცივებდა, სამწუხაროდ ხელზე ჩამოსათვლელნი დავრჩით იმ დროს..., მართალი არ ვიქნები რომ არ ვახსენო და არ გამოვყო: ცისკარ გოგიტიძის, გურამ ხოზრევანიძის, ნოდარ ცინცაძის, ლაშა მსხილაძის, ზაზა გვარიშვილის, ირაკლი ხინიგაძის, ისმაილ აბაშიძის, მამუკა გოგიტიძის, ვახო მითაიშვილის, ვაჟა დარახველიძის, ლამარა ფურცელვანიძის, ენერგიული და დაუღალავი ნანული დუმბაძის, დარეჯან დიასამიძის გვარები და სახელები, სამწუხაროა რომ ამ პერიოდში ქალბატონი ციალა სურმანიძე ავადმყოფობდა, ხოლო ადმინისტრაციული სასჯელის მოხდის შემდგომ მათ რიცხვებს შემოუერთდნენ: დავით სამნიძე, როლანდ თერმანიძე და თემურ ჭანტურიშვილი, რაიონებიდან ხშრად გვსტუმრობდა რომან ჩხაიძე, ნოდარ მიქელაძე, ჯუმბერ შაინიძე, იაშა გვიანიძე, თუ რომელიმე ჩვენ წევრს ვერ ვიხსენებ უნებლიერ მათ წინასწარ ბოდიშს ვუხდი.

რასაკვირველია დადიოდა ბატონი ვახტანგ ახვლედიანი თავისი მეგობრების: იზიკ გაგულაშვილთან და ედიბ აბაშიძესთან ერთად. ბატონი ვახტანგი ხშირად თავს შეუძლოდ

## გრძნობდა და ამის გამო ოფიციში ვერ ახერხებდა წშირად მოსვლას...

ოქტომბრის თვეში კი პოლიტიკის არენაზე ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, რამაც საქართველოს „სახალხო კრების“ წევრებს დიდი იმედი შეგვმატა საქართველოში გამეფებულ ტირანიასთან ბრძოლაში.

26 მაისის მონაცილები როგორც ზემოთ აღნიშნე ვიყა-  
ვით დაბარებული პოლიციაში მოწმის სტატუსით, ამის შემდ-  
გომ მაისის მოვლენებზე უამბე „სახალხო კრების“ დარბაზის  
წევრს – პოლიტოლოგს, აჭარის დამოუკიდებელ ექსპერტთა  
კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ ასლან ლორთქ-  
იფანიძეს, რომელმაც მირჩია ეს ყოველივე წიგნად დამეწერა,  
რაც გავაკეთე კიდეც და გამოვეცი წიგნი „სასიკვდილოდ  
გამეტებულნი“, რომელშიც გადმოცემული იყო ჩემს თავს  
გადამხდარი ისტორია სისხლიანი მაისის ღამეს, ამით აღარ  
დავკმაყოფილდი, რადგან სწორედ რომ ვთქვა სისხლიანი ღა-  
მის მონაცილე ბიჭების „გულისწყრომა“ დავიმსახურე, რის  
შემდგომაც მათ მომაწოდეს რა მასალები, გამოვეცი „26  
მაისის სისხლიანი კალო“, რომლის პრეზენტაცია გაიმართა  
2011 წლის 2 დეკემბერს გაზეთ „აჭარა P.S.“-ის რედაქციაში,  
რომლის ინიციატორი ბატონი ამირან კილურაძე გახლდათ.  
პრეზენტაციას ესწრებოდნენ 26 მაისის სისხლიანი ღამის  
უშუალო მონაცილენი და საზოგადო მოღვაწეები: შოთა ზოიძე,  
აწ გარდაცვლილი ვახტანგ ახვლედიანი, წიგნის რედაქტორი  
– ასლან ლორთქიფანიძე და აგრეთვე აჭარის ტელეარხებისა  
და მასმედიის წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ბატონები: ასლან  
ლორთქიფანიძე, ვახტანგ ახვლედიანი, შოთა ზოიძე და უურ-  
ნალისტი ნუგზარ უორდანია. მათ ილაპარაკეს წიგნის მნიშ-  
ვნელობაზე, მაგრამ რაც მთავარია აღნიშნეს, რომ დროის



## გიგანტები

სიმცირის და სხვა მიზეზების გამო წიგნში ბევრი რამ აღბათ სრულად არაა ასახული და მასზე შემდგომში მუშაობის გაგრძელება იყო საჭირო; შოთა ზოძემ კი დაამატა, რომ ავტორმა ეს თემა თავად უნდა გახსნას და მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს უპირველესად ექსკლუზიური უფლება, რომ ეს თემა ღრმად გააშუქოს...

ჩემი მხრიდან მე გადავწყვიტე ჩემს მიერ გამოცემული წიგნების: „სასიკვდილოდ გამეტებულნის“ და „26 მაისის სისხლიანი კალოს“ ბაზაზე გამეერთიანებია ეს ნაწარმოებები და დამატებით დამერთო მასალები 26 მაისის მონაწილეებზე, გადმომეცა აგრეთვე საზოგადოების მხრიდან იმ განცდისა და უსამართლობის შესახებ, რაც მათ 26 მაისის სისხლიან დამეს განიცადეს, მას მოჰყვა კიდევ ერთი წიგნი – „სისხლიანი მაისის ექმ“, ხოლო შემდგომ ამ თემაზე დავწერე „ვარდების რევოლუციის ანატომია“ პატარა პოემის სახით, ყველა ეს ნაწარმოებები განვათავსე ჩემს ფეისბუქზე, რომელსაც ჩემი მეგობრები იზიარებდნენ, განსაკუთრებით ამ მხრივ გამოირჩეოდა ცისკარ გოგიტიძე. როდესაც პირველი წიგნი განვათავსე, ცისკარს უთხარი: ახლა თუ უნდათ დაგვიჭირონ-მეთქი, წიგნზე მუშაობისას მისგან კონსულტაციებს ვღებულობდი, რაიმე რომ არ გამომრჩეოდა..., ხოლო შემდგომ უერნალისტმა ნატო გოგელიამ 2011 წლის 19 ნოემბრის გაზეთ „გურია ნიუს“-ში მოათავსა ჩემი წიგნის ვრცელი ვერსია, რაზედაც დიდ მაღლობას შევწირავ.

დიდი ქართველის, ერისკაცის – ვახტანგ ახვლედიანის გარდაცვალების ამბავი 26 მაისს ღვთისშობლის ტაძარში გავიგე, სადაც „სახალხო კრების“ წევრებთან, ერთი წლის წინათ 26 მაისის სისხლიანი კალო გამოვიარეთ და თანამოაზრეთ დაღუპულთა პანაშვიდს ვიხდიდთ...

ბატონ ვახტანგ ახვლედიანს: პოეტს, მწერალს, მხატვარს და საზოგადო მოღვაწეს ვინ არ იცნობს საქართველოში და

## გიგანტები

არა მარტო საქართველოში, მისი ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე. ის 72 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. სამგლოვიარო ცერემონიალი ბათუმის ღვთისმობლის საკათედრო ტაძარში გაიმართა. ვახტანგ ახლე-დიანი 31 კრებულისა და 2 ოომანის ავტორია. მისი პოეზია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იქმნებოდა. მწერალი და საზოგადო მოღვაწე ღირსების ორდენის კავალერი, აკაკი წერეთლისა და ტბელ აბუსერიძის პრემიების ლაურეატი და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახლდათ. ახლე-დიანი „სახალხო კრების“ დარსებიდან აჭარის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა და აქტიურად მონაწილეობდა 2011 წლის 21-26 მაისის საპროტესტო აქციებში.

მისი პიროვნება ახლოს გავიცანი 2010 წლის მარტის თვეში, როდესაც ის კენჭს იყრიდა მაჟორიტარ დეპუტა-ტად ოპოზიციის მხრიდან ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში, მან მთხოვა სათავეში ჩავდგომოდი მის საარჩევ-ნო კომპანიას, რაზედაც თანხმობა განვუცხადე.

იქიდან მოყოლებული დაიწყო ჩვენი მჭიდრო ურთ-იერობა. თუმცა მან მალე მოხსნა თავისი კანდიდატურა არჩევნებიდან და მეც მაშინვე ავიკარი ჩემი გუდანაბადი, რადგან მომავალი არჩევნების სამართლიანობაში ორივეს ეჭვი შეგვეპარა...

იმავე წლის ოქტომბრის თვის დღეები იდგა. აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოსულს, მემედ აბაშიძის გამზირზე მიმავალს ბატონი ვახტანგ ახვ-ლედიანი შემომხვდა. გულთბილი მისალმების შემდეგ მისაყ-ვედურა – რატომ არ ჩანხარ ამ ბოლო დროს, ხომ მშვი-დობაო? – მშვიდობაა, ვუპასუხე ბატონ ვახტანგს, ამჟამად სახლში ვზიგარ და წიგნზე ვმუშაობ მეთქი. საქმიანობა მომიწონა და შემდეგ დასძინა – ჩემო მეგობარო „სახალხო



**კრება“ დაფუძნდა დედაქალაქში, მალე ბათუმშიც დაფუძნდება და მინდა რომ გვერდით მყავდე, გამიღიმა მისთვის ჩვეული ღიმილით და დამემშვიდობა.**

და ჩვენ ისევ ერთად ავლონჩნდით სხვა უამრავ პატრიოტთან ერთად, რათა ხმა აგვემალლებინა ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ, თუმცა ეს თემა შორს წაგვიყვნს, ამის შესახებ მე უკვე გამოვეცი სამი წიგნი: „სასიკვდილოდ გამეტებულნი“, „26 მაისის სისხლიანი კალო“ და „სისხლიანი მაისის ექი“, რომელიც ტირაჟის სიმცირის გამო „აჭარა P.S.“-ის რედაქციამ რამოდენიმე ნომერში გააშუქა...

ძნელია წარსულში ილაპარაკო ისეთ ადამიანზე, როგორიც ბატონი ვახტანგ ახვლედიანი ბრძანდებოდა. ის უფალს მრავალმხრივი ნიჭით ყავდა დაჯილდოებული. უჭრიდა კალამი: პროზა, პოეზია, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ავტობიოგრაფიული ჩანახატები, ყველაფერი ეს მისი სტიქია გახლდათ. როცა კალამს გადადებდა, ხელში ფუნჯი ეჭირა და ხატავდა, ხატავდა ბრწყინვალედ, მის სურათებს არა ერთი პერსონალური გამოფენა დაუმშვენებია, ასევე, დიდ პროფესიონალურ დონეზე ასრულებდა კლასიკურ რომანსებს, გახლდათ განუმეორებელი თამადა, კაცს მოლხენას შეარგებდა...

აქვე ისიც მინდა დავძინო, რომ ბატონი ვახტანგი ხშირად შეხვედრისას უკმაყოფილებას გამოხატავდა მწერლებზე და ეძღუროდა ინტელეგენციის დიდ ნაწილს, რომლებიც შეგუებულნი იყვნენ საქართველოში გამეფებულ მოვლენებს და თავის აზრს არ გამოხატავდნენ...

ბატონი ვახტანგ ახვლედიანის მწერლობის სიღიადეს ნამდვილად ვერ გადმოგცემთ და ამას ვერც მოვახერხებ, მაგრამ მან თავისი ჩანაფიქრი წიგნების სახით დაგვიტოვა, მასზე იმდენი რამ დაიწერა მისი მეგობრების შერიდან, რომ



## პირადობის

სათქმელიც არა დამრჩა რა, მხოლოდ ერთ რამეს დაგსძენ ის გამოირჩეოდა სიღრმისეული წვდომით, შეეძლო ათეული წლებით ადრე გამოეცნო და ეწინასწარმეტყველა ყოველივე მოსალოდნელი მოვლენა, რაც აისახა კიდეც მის მიერ 1982 წელს კომუნისტური პერიოდის წლებში გამოცემულ წიგნში „ძახილი“, რომელიც გამოცემის დღიდან გახდა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი. ამ რთულ ნაწარმოებში მისტიკურ ფერებში წარმოჩნდილი მხატვრული სახეები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან უფრო აქტუალური გახდა.

მახსოვს ვასული წლის 21 მაისის „სახალხო კრების“ ოფიციალური დარბევის, მისი წევრების დაპატიმრების შემდგომ, როგორ შევიკრიბეთ დარჩენილი წევრები მეორე დღესვე და ქალაქში პროტესტის ნიშნად მსვლელობა მოვაწყვეთ. ის თავისი უშიშარი, მგზნებარე გამოსვლით და რაინდული ქცევით ყველასათვის მაგალითის მიმცემი იყო. უფლება არა მაქვს არ აღვნიშნო, რომ ბატონი ვახტანგი საპროტესტო აქციებში ოჯახის წევრებთან: ქალბატონ ნაირა ჯიჯავაძესთან და ქალიშვილთან – ზეინაბ ახვლედიანთან ერთად იყო ჩართული, ხოლო უმფროსი ქალიშვილი – ხათუნა ახლედიანი აქციებში მცირე წლოვანი ბავშვის გამო ხშირად ვერ მონაწილეობდა, მაგრამ მის გვერდით ყოველთვის იდგნენ თავისი განუყრელი მეგობრები: იზეპ გაგულაშვილი და ედიბ აბაშიძე.

ვახტანგ ახვლედიანთან ხშირი სატელეფონო საუბრები მქონდა. 2012 წლის მარტის შუა რიცხვები იდგა. ის ძალზედ ცუდათ გახლდათ. დამირეკა და მასთან სახლში მისვლა მთხოვა, როგორც მებახდა ხოლმე საჭირბოროტო საქმეებზე. დამიჯდა და მამა-შვილურად დამარიგა, ბევრ რამეზე თვალი ამიხილა, შემდგომ კი მითხრა: ჩემს თავს



ვატყობ დიდი დრო აღარ დამრჩენია, ამის შესახებ იზექმა-  
და ედიბმა იციან და ეცადე ასლან კაკაბაძესთან არ წამო-  
ქცდეს ჩემი ამბავიო, რადგან ინერვიულებსო... ის ყველას  
უფრთხილდებოდა, ძალზე ნერვიულობდა დავით ფარტენა-  
ძის დაპატიმრების გამო, რომელიც მას მუდამ მხარში ედგა  
და მის უსაფრთხოებას პირნათლად იცავდა. თავის თავს  
ვერ პატიობდა იმას, რომ მას სამი შვილი დარჩა და ვერ  
შველოდა...

მისი გარდაცვალების შემდგომ მივხდი, რომ ჩემს ადგილზე  
მყოფ ადამიანს, ხელში კალამი უნდა აეღო და მის შესახებ  
წიგნი დაეწერა... დასაფლავების შემდგომ ვახტანგის წიგნების  
კითხვას ისევ დავუბრუნდი, რომ მისი ხმა გამეცოცხლებინა  
და მისთვის მესმინა. გადავშალე წიგნი „ძახილი“, რომელიც  
მან მისახსოვრა და მის წარწერას ჩაუღრმავდი, მკრეხელო-  
ბაში ნუ ჩამითვლის მკითხველი ამის გამომზეურებას, რადგან  
ამან უფრო განმიმტკიცა ის აზრი, რომ მას კალმით უნდა  
მოვფერებოდი. – „თენგიზ ცეცხლაშვილს, სიკეთითა და გუ-  
ლისხმიერებით გამორჩეულს, ქვეყნის სამსახურში უკომპო-  
მისო პიროვნებას, ლიტერატურულ თანამომებს, გულწრფელად  
და ძმურად. ვახტანგ ახვლედიანი 08.08.2011 წ.“

ეს მისი სიტყვები ჩემდამი სავიზიტო ბარათად აღვიქვი,  
ყოველივე იმის შემდგომ რაც 26 მაისის სისხლიანი კალო  
განვლე (იქ აჭარის რეგიონის „შეფიცულებს“ ვხემდღვან-  
ელობდი).... „სახალხო კრების“ წევრებს, ვინც ეს საშინელე-  
ბა გამოვიარეთ, გაგვიათასმაგლა ამ რეჟიმისადმი წინააღმდე-  
გობის პროტესტის მუხტი...

აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით გამართულ მიტინგ-  
ზე, სახარელ სიცივესა და კოკისპირულ წვიმაში როდესაც  
გამოვიდა ვახტანგ ახვლედიანი თავისი მგზნებარე სიტყვით,  
რომელსაც მქუხარე ჭაში მოყვა (მას ხმა ჩახლეჩილი ჰქონ-



და და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა), როდესაც მიტინგს ტოვებდა, მივმართე: ბატონო ვახტანგ რატომ გვანერვიულებთ-მეთქი, მან სევდა გარეული ღიმილით გამიღიმა და მიპასუხა: სადაც ვიწროა იქ გაწყვდესო! და იქაურობას გასცილდა, როგორც მერე გავიგე, ის მანქანით მოუყვანიათ მიტინგზე, მისივე დაუინებული თხოვნით. აბა ვახტანგს ვინ დააკავებდა, მითუმეტეს თუ რაიმეს აიხირებდა. ის ყოველთვის შემართული იყო, მის გვერდით დგომა საპატიო გახლდათ, ამას ბევრი მომავალში გაიგებს, თუ რას ნიშნავს ავტორიტეტული და მართალი კაცის გვერდით დგომა! ის ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ იმ ზოგიერთ არაკაცზე, რომლებიც ბინბურ ენებს ხლართავდნენ კუთხის მიმართ, ყოველივეს პატიობდა, მომავლის იმედით იყო აღსავსე, რომ ერთ დღეს ისინი გონს მოეგებოდნენ. ის სულგრძელი და მიმტევებელი ადამიანი გახლდათ და მეც იგივეს მომიწოდებდა, როდესაც განრიცხებული ვიყავი, შემახსენებდა: – ქრისტიანი კაცი ზარ და შენდობა უნდა იცოდეო...

ვახტანგს ყოველთვის ჰქონდა იმის შიში, რომ ამ რეჟიმის ჩანაცვლება არ მომხდარიყო და რომ სათავეში ეროვნული სულისკვეთების მთავრობა უნდა მოსულიყო, თორემ საქართველო დაიღუპება ამ უღმერთოების ხელშიო – ამბობდა იგი. ამ თემაზე მას არაერთხელ უსაუბრია „სახალხო კრების“ წევრებთან.

არ მინდა წინასწარი პროგნოზი გავაკეთო, მაგრამ თუ დაიწყო ჩაძირული ნავიდან ვაი პოლიტიკოსების გადმოსხლომა აქეთა ნავში და მათი სახელების „გმირებად“ შერაცხა, ეს დამღუპველი იქნება საქართველოსთვის.

მინდა მასზე საუბარი მანვე დაასრულოს თავისი ლექსით, რომელიც გაზეო „ასავალ-დასავალმა“ (№41-ში) 2008 წლის 19 ოქტომბერს გამოაქვეყნა:



## გაფრთხილება!

რაც რომ ადრე მითქვამს,  
კვლავაც იმას ვიცავ,  
რაც იყავით, ის ხართ,  
არ იცვლებით, მიშა.

მატიანეს ერის  
გააკვრვებ განა,  
მაგრამ არ გვინახავს  
დარღი ამისთანა.

ვისი ხოში გმართავთ -  
„ლობია“ თუ „ქრიშა“ -  
ლაბირინთებს ხლართავს  
და ქვეყანას თიშავს?!

ერის წყლული როგორ  
არ გაჩნდებათ წყლულად -  
ხმა წმინდისა ეშმამ  
როგორ შეგაძულათ.

უფლის არ გაქვთ კრძალვა,  
აღარაფერს მალავთ,  
ექლესიებს ანგრევთ,  
სიწმინდეებს ბლალავთ.

უგუნურნო, ხანჯალს  
თავისთავზე ლესავთ -  
გულბოროტად ებრძვით  
მწერლობას და პრესას.



ვისით ფიქრობთ ტვინით,  
ვისით დაზვალთ ნებით,  
თავისუფალ სიტყვას  
ტყვიით ემუქრებით.

გვაქვს ისეთი ყოფა,  
არყოფნაა ყოფნა,  
ერთი ჭირი გვთოფრავს  
ქალაქად და სოფლად.

გვაშთობს ხუნტა შავი,  
უბეთური, ხარბი,  
უბედური ხალხი  
სამშობლოდან გარბის.

ზეცას სწვდება გმირთა  
საფლავების გმინვა -  
გადამთიელს ვუთმობთ  
აფხაზეთს და ცხინვალს!

როგორ მოხდა მაინც,  
ვფიქრობ შინ და გარეთ,  
ასე ერთად თავი  
რა გზით მოიყარეთ?

ქვეყანაში ცოდვის  
დგას ვაი და უში,  
რისხვა გელით ერის,  
ვერ გიშველით ბუში.



მოვა დრო და ცოდვილთ

არ მიგიღებთ, მიშა,

მშობლიური ზეცა,

მშობლიური მიწა!

ბატონი ვახტანგი საარჩევნო კამპანიაშიც ჩავრთე მისი ლექსით – რომელსაც ჩემი ლექსიც დაფურთხე და ვავრცელებდი სააგიტაციო ფურცლების სახით, საქართველოს ტერიტორიაზე, მაგალითისთვის დავძენ რომ ის „ქართული ოცნების“ ლიდერებსაც გადავეცი პირადათ: ქალბატონ ეკა ბეჟელიას და ბატონ გუბაზ სანიკიძეს, ხოლო ამ უკანასკნელის ხელით კი ბატონ ბიძინა ივანიშვილს ქობულეთში გამართული მიტინგის შევლელობის დროს, ჩემი ამხანაგი – ოლიმპიური ჩემპიონი – ვახტანგ ბლაგიძე კი, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში და ჩვენთან ერთად აქციებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, ის აქტიურად მეხმარებოდა დასავლეთ საქართველოში ლექსების გავრცელებაშიც. აი ისინიც:

### საით მივექანებით?

აღარ ვიცი, ღმერთმანი სადაური ქარებით,  
ასეთი გამწარებით საით მივექანებით?..

ვერ გავიგე, უფალო, ჯინის რომელ ბოთლებით  
გამოყარე ოხრებად ჭკუს ეს კოლოფები.

რა ისეთი ცოდვის წილ, ისევ შენ გეკითხები,  
აღარ მყოფნის სიტყვები, ვართ საცდელი ვირთხები?

ვაი, ჩვენო მამულო, ნაფერებო გორებო,  
უჯიშოთა ხოშებით იყიდებით გროშებად.



დაილეწა, დაიმსხვრა ის მცირედზე მცირედიც,  
ერთიანი სამკვიდროს გადარჩენის იმედი...

ცხადია თუ ზღაპარი, იყო და აღარ არის  
საქართველო დავითის, რუსთველის და თამარის.

იყო და აღარ არის, წილი შორით ყრილია,  
საქართველო აკაკის, ვაჟასი და ილიას.

იყო და აღარ არის ნიჭი მაღლის ლოცვისა,  
საქართველო – ბალადა ვეფხვისა და მოყმისა,

თავმოჭრა და სირცხვილი წინაპართა ძვლებთანა,  
საქართველო – დევნილი, მათხოვარი ქვეყანა.

მარქვი, დიდო უფალო, სადაური ქარებით,  
– ასეთი გამწარებით საით მივექანებით?!

### გახტანდ ახვლედიანი

**თქვენი წმით შემოგვიერთდით!**

როცა ქუჩაში ქართველი კაცი  
მამა-პაპათა ღირსებას იცავს,  
არ გვაქვს უფლება არ დავდგეთ ერთად  
მაშინ მტარვალი თავს ვერ დაიცავს!  
სხვისი წყალობის შემყურე  
დრო რახანია გავიდა  
როდემდე უნდა ვითმინოთ  
ძმებო! მათი დრო წავიდა!  
ტომარა ფქვილად, ოც ლარად



არ შეირცხვინოთ სახელი,  
თქვენი წმით შემოგვიერთდით,  
ჩვენთან ერთად თქვით სათქმელი!  
ერთიან საქართველოსთვის  
ბედნიერ დღისთვისთვის ვიბრძოლოთ!  
ვინც სამათხოვროდ გაგვწირა  
არის ეშმაკის სიმბოლო!

\*\*\*

ერი ასეთ ხვედრს ვეღარ აიტანს!  
თავის სიმართლეს მაინც გაიტანს!  
და ამ ბრძოლაში ჩვენ საქართველოს  
ღმერთმა იმედი ნუ მოუშალოს!  
თუმც საქართველო ბევრჯერ ყოფილა  
განსაკდელის უამს უფსკრულს მავალი,  
წინაპრების კვალს არ დაგვაშორებს,  
არ გაგვიმეტებს ღმერთი მაღალი!  
მჯერა, რომ კვლავაც ავლორძინდებით!  
ჩვენი უკუსვლა დროებითა,  
გორგასალის და თამარის მოდგმას  
გადაშენება არ უწერია!  
აღმაშენებლის, მეფე ბრწყინვალის  
ერთიანობას ავუბათ მხარი!  
და ვინც მათ საქმეს დღეს დაივიწყებს  
შთამომავალთან ექნებათ ბრალი!



\*\*\*

ერთი მიზნის მისაღწევად  
გვმართებს დიდი ნებისყოფა,  
არ დავუშვათ ძმათა ხოცვა  
სისხლის ღვრა და ძალადობა!  
არ დავუშვათ ბაზალეთი,  
ავიცილოთ უფლის რისხვა,  
თვითმარქვია ხელისუფალი  
არ დავუთმოთ ჩვენი მიწა!  
შედეგს მალე გამოიღებს  
მმებო ჩვენი ერთად დგომა!  
ღრო დადგება ამ სიმტკიცეს  
დაგვიფასებს ჩვენი მოდგმა!

### თმებიზ ცაცხლაშვილი

ბატონ ვახტანგ ზე სალაპარაკოს რა გამომიღევს, გასახსენებელი ბევრი მაქვს, თუმცა ამაზე მერე, როდესაც მე მასთან ერთად სხვა განზომილებაში და სხვა წიგნის ფურცლებზე აღმოვჩნდები, სადაც იუმორიც იქნება და სევდა ნარევი მოგონებანიც, რაზეც გვისაუბრია და რაც დაგვრჩა კიდევ გასაკეთებელი.

ვახტანგ ახვლედიანის გარდაცვალების შემდგომ აჭარის რეგიონალური „სახალხო კრების“ თაგმჯდომარედ არჩეული იქნა დარბაზის სრული მხარდაჭერით ბატონი ცისკარ გოგიტიძე. აგვისტოს თვეში აჭარის რეგიონალური „სახალხო კრების“ წევრები ჩავერთედ კარს მომდგარი 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სამზადისში კოალიცია „ქართული ოცნებასთან“ ერთად, ჩვენ მათთან გავერთიანდით და მათ ოფისში გამოვეყყო სამუშაო ადგილი.

ცისკარ გოგიტიძე, ლაშა შეხილაძე და ბიჭიკო ბოლქვაძე აქტიურად ჩაერთო საერთო სამზადისში. მათ „სახალხო



## პიპლორისა

კრების“ რიგებში ბევრი ახალი წევრი გაართიანეს და შეძლეს უმოკლეს დროში ძველი წევრების მობილიზაცია. აჭარის ტერიტორიაზე არჩევნების სამზადისში „სახალხო კრების“ 500 წევრამდე იყო ჩართული.

1 ოქტომბრის არჩევნებს წინ უძღვდა „ქართული ოცნების“ ლიდერის – ბატონ ბიძინა ივანიშვილის საჯარო მიტინგები რიგ ქალაქებში და ჩვენც ჩვენი მხრიდან „სახალხო კრების“ წევრები აქტიურად ვიყავით ჩართული ამ მარათონში, მინდა ავღნიშნო 5 აგვისტოს გამართული მიტინგი, რომელსაც მრავალი ათასი ბათუმელი დაესწრო. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა ხალხი არ დაშლილა, აჭარა ბედნიერი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფერმენტით, რაც თვით ბატონმა ბიძინამც არაერთხელ აღნიშნა შემდგომ მის გამოსვლებშიც.

მიტინგზე ძალზე ემოციურად და ამაღლვებლად ბატონი კავ მნელაძე გამოვიდა.

მანამდე ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხულოს რაიონს სტუმრობდა, მას სხვებთან ერთად ახლდნენ ჩვენი „სახალხო კრების“ წევრებიც: ცისკარ გოგიტიძე, ბიჭიკო ბოლქვაძე, ლაშა მსხილაძე, დავით სამნიძე და როლანდ ხოზრევანიძე. მათთან საქმიანი და გულთბილი საუბარიც გაუმართავს. როგორც შემდგომში მეგობრებმა გადმომცეს, ისინი განცვიფრებული დარჩნენ ბატონი ბიძინას უბრალოებით და უშუალო კომუნიკაცელურობით, მან მათთან ერთად სამახსოვრო სურათებიც გადაიღო. (სამწუხაროდ იქ არ ვიმყოფებოდი ოჯახური პრობლემების გამო, უფროსი ვაჟი – დავითი საგზაო ავარიაში მოხვდა. ბატონ ბიძინასთვის წიგნის „გულანთებულუ აჭარის“ გადაცემას ვაპირებდი, თუმცა ეს წიგნი შემდგომში ბატონი გუბაზ სანიკიძის მეშვეობით გადავეცი ქობულეთში გამართულ მიტინგზე). აქ ჩვენი მეგობარი გურამ ხოზრევანიძე არ იმყოფებოდა ერთი „უბრალო“ მიზეზის გამო, ის



## პიგდიონისა

ჩვენ საერთო მეგობარს „სახალხო კრების“ წევრს, ლეგენდარულ მოჭიდავეს – ლუკა კრტანიძეს საარჩევნო კამპანიაში ეხმარებოდა ლაგოდეხში, სადაც გურამი ცხოვრობს. აქვე უნდა ავლიშნო რომ გურამი მართალი და უშიშარი პიროვნებაა.

22 სექტემბერს მიტინგზე ქალაქ ზუგდიდში გავიმგზავრეთ. ბიჭიკო ბოლქვაძესთან და ცისკარ გოგიტიძის შვილთან – მამუკასთან ერთად. – ზაურ ბოლქვაძის მანქანით მოვიხდა და მგზავრობა. გზად მიმავალთ მანქანები ტრანსპარანტებით, „ქართული ოცნების“ დროშებით და ჩართული სიგნალებით გვიერთდებოდა, ხალხი გზადაგზა კოლონას შეძახილებით ესალმებოდა, იმ უამს ჩვენ გულებს დიდი სიხარული დაეპატრონა, რასაც ყველაზე მეტად ზაურ ბოლქვაძე გამოხატავდა. ის მართალია ემოციურად მართავდა ავტო-მანქანას, სიგნალიც გადაეწვა, მაგრამ მთელი ხმით გზაზე გამოფენილ ხალხს მაინც ესალმებოდა...

უამრავი, ზღვა მანქანა შეგროვდა, ჩვენ ერთ-ერთ ეზოსთან ძლივს მოვახერხეთ მანქის გაჩერება და მიტიგის მოედნისკენ გავემართედ ჩვენი წევრების შესახვედრად. მე და ბიჭიკო ბოლქვაძე ერთად მივდიოდით. მოედანზე სადაც მიტინგი ტარდებოდა შემოლობილი იყო ტრიბუნასთან მისასვლელი, შიგნით როგორმე შევაღწიეთ და იქ, დიდი ხნის უნახავი მეგობრები გნახეთ, კერძოდ, ბიჭიკო თავისი ჯარის მეგობარს, ცნობილ მსახიობს, კინორეჟისორს და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერეს მკლავჭიდელ – სოსო ჯაჭვლიანს შეხვდა და მეც გამაცნო, ხოლო ისევ ბიჭიკომ (საქართველოში ერთ დროს ცნობილი მოჭიდავე გახლდათ), ჩემს სტუდენტობის მეგობარს, წარსულში ლეგენდარულ მოჭიდავეს, ორგზის ოლიმპიური თამაშების, ხუთგზის მსოფლიოს, მრავალგზის



ზუგდიდი. 22 სექტემბერი  
2012 წელი. „ქართული  
ოცნების“ აქცია.

სტუდენტობის მეგობრები:  
ლევან თელიშვილი და  
თენგიზ ცეცხლაშვილი.

ევროპის და ყოფილი საბჭოთა  
კავშირის ჩემპიონს ლევან თელი-  
აშვილს მოჰკრა თვალი და და-  
მანახა, მეც დაუყონებლივ მისკნ  
გავემართე, ისე ვეღარ გამოიყ-  
ურებოდა ჯანზე... მართალი რომ  
ვთქვა ძლივს ვიცანი. მან კი  
უცებ მიცნო, გამიღიმა და მეც  
გადავისვიე, ერთმანეთი მოვიკითხ-  
ეთ, შემდეგ კი ზაური ბოლქვაძემ  
ორთავეს სამახსოვრო სურათი  
გადავვიღო და ასე დავშორდით,  
როგორც შემდგომ გავიგე, შვი-  
ლის დაღუპვის შემდგომ მას  
ჯამრთელობა ძალზედ შერყევია.  
მას აფხაზეთის ომში მოუკლეს  
შვილი. შვილმა მის ხელებში

დალია სული, რასაც ძლიერ განიცდიდა...

შემაღლებულ ტრიბუნასთან უკან სახელდახელოდ  
გადახურული ბრეზენტის კარავი იდგა, იქიდან ყველასათ-  
ვის ცნობილი სახეები კაზი კალაძე და მურთაზ ხურუილა-  
ვა წარსულში ლეგენდარული ფეხბურთელები იყურებოდა,  
მათთან პირისპირ აღვმოვჩნდი და ხელის ჩამორთმევით  
მივესალმე მათ. პირმომღიმარე კალაძემ და მე უნებლი-  
ეთ ერთმანეთი გადავკოცნეთ დიდი ხნის უნახავი მეგო-  
ბრებივით. იქვე დავინახე ირაკლი (მაილო) ჯაში, აჭარის  
რეგიონული პარტიის „მრეწველობა გადაარჩენს საქართ-  
ველოს“ თავმჯდომარე, ის თავის თანაგუნდელებთან ერთად  
იდგა. მათში მხოლოდ ბატონები: გოგი თოფაძე და ზურაბ  
ტყემალაძე შევიცანი, მივეღი მათთან და მივესალმე. მიკ-

ერძოებაში ნუ ჩამითვლის მკითხველი, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო ბატონ – ირაკლი (მაილო) ჯაშის დამსახურება საზოგადოების წინაშე. მისი საქველმოქმედო საქმიანობისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის, რაც არაერთხელ აღინიშნა საზოგადოების მხრიდან, რაც აგრეთვე აღნიშნულია სათანადო დიპლომებითა და სამახსოვრო საჩუქრებით. არის კარგი თამადა და თამამად ვიტყოდი, ის ამ ხელოვნებას საკმაოდ კარგად ფლობს, უყვარს ლექსები, არის მზრუნველი მამა და ბაბუა, არის აჭარის ავტონომირი რესპუბლიკის დეპუტატი. 28 ოქტომბერს ჩაქვში ოფიციალურად გაიხსნა რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელსაც საქართველოს პრემიერმინისტრი ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ბათუმ-ლაზეთის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი სხვა სასულიერო პირები, დიპლომატიური კორპუსის, მედიისა და მესამე სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ – ასაკით უხუცესი დეპუტატი ირაკლი (მაილო) ჯაში უძღვებოდა უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომას, რომელმაც ხმის დამთვლელი დროებითი კომისია და ასევე დროებითი სამანდატო კომისია აირჩია...

დარწმუნებული ვარ მისი ხასიათიდან გამომდინარე ის თავის შესაძლებლობებს ხალხის სამსახურში გახარჯავს და ღირსეულად გაართმევს თავს ამ მეტად საპასუხიმგებლო მისიას.

დაუბრუნდები მიტინგს, შემდეგ გამოჩნდა მანქანების ექსკორდი, რომლებიც წელი უკუსვლით ტრიბუნის უკანაშარეს უახლოვდებოდა, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ხალხის ოვაციებმა იმატა და გამოჩნდა ხალხისთვის უკვე საყვარელი და სიცოცხლეშივე ლეგენდათ ქცეული მამა-შვილი ივანიშვილე-



## გიბბიონისა

ბი. მათ იქვე ჩვენს წინ ჩაიარეს, ბერა პირდაპირ ახალგაზრდებთან მიიჭრა, მეც იქვე ვიდექი და სხვებთან ერთად მეც ჩამომართვა ხელი, ხოლო ზაური ბოლქვაძემ ეს ყოველივე გადაიღო ტელეფონით. მიტინგი ერთ საათამდე გაგრძელდა, მიტინგმა დიდი აღმავლობით ჩაიარა, მისი სულის და გულის ჩამდგმელი რასაკვირველია ბიძინა ივანიშვილი გახლდათ...

საქვეყნოდ გამოაშვარავებული ცნობილი სამარცხვინო საციხო მოვლების გამო – ბერა ივანიშვილს იმ დღეს არ უმდერია.

ახლა კი მინდა მკითხველს, კიდევ ერთჯერ დიდი ბოდი-ში მოვუხადო არასასიამოვნო ფაქტის შეხსენებისთვის და მინდა გავაცნო გაზეთ „საქართველოს რესუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც მოამზადა თამარ შაიშმელაშვილმა: „ეს კადრები მომაწოდა ირმა ინაშვილმა, რომელსაც შეს მაღალჩინოსნები წარუდგნენ ვანო მერაბიშვილის დავალებით“...

ეკა ბერიძის გადაცემა მე-9 არხის „მთავარი კითხვის პირდაპირ“ ეთერში უურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ ბრიუსელიდან სკანდალური ფაქტები დაგვიდო. ფრანგული ასოციაცია „უურნალისტები უურნალისტებისათვის“ ერთერთმა დამფუძნებელმა და ფრანგული რალიო კეშ-ს კორესპონდენტმა (ეთზკუთთყპუ) განაცხადა, რომ კიდევ 1,5-სათიანი ჩანაწერი არსებობს, რომელიც 2010-2012 წლებში საქართველოს ციხეებში მომხდარ პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ასახავს. მისივე თქმით, ყველა ვიდეომასალა პირადად შს მინისტრ ბაჩო ახალაია-სთან მიღიოდა.

– გიორგი, უნდა გქონდათ შეხვედრები ევროპარლამენტში, სადაც ასევე უნდა წარგედვინათ პატიმრების წამების ვიდეომასალა, რომელიც პირადად თქვენი და ჩვენი არხის

წყალობით გახდა საჯარო. თუ გქონდათ უკვე შეხვედრები და როგორია რეზონანსი ევროპარლამენტში.

— ეს შეხვედრები უკვე სამი თვის განმავლობაში მაქვს ევროპარლამენტში, საერთოდ ევროსტრუქტურებში, ევროსაბჭოში, წამების კომიტეტში, ევროკომისიაში... ამ სამი თვის განმავლობაში ეს ვიდეო იხილა ძალიან ბევრმა ევროჩინოვნიკმა, ევროდეპუტატმა, ევროსაბჭოს წარმომადგენელმა, წამების კომისიის წარმომადგენელმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და შოკისმომგვრელი რეაქციებია. მეტ-საც გეტყვით, როდესაც მე და ბედუკაქე ვიყავით მუჟინექსის კაბინეტში, კაბინეტის უფროსმა, ქალბატონმა ურუმოვამ ამ კადრებს ბოლომდე ვერ უყურა და თქვა, რომ 8 წლის განმავლობაში მუშაობდა წამების კომიტეტში და მსგავსი რამ არ უნახავს. იგი ამბობს, რომ აქამდე აბუ-გრეიბის ფოტო-სურათები ჰქონდათ და აქ არის ვიდეო — ეს საშინელებაა. პირველად ქალბატონმა ურუმოვამ უწოდა ამ ყველაფერს ახალი აბუ-გრეიბი.

დღესაც იყო შეხვედრები. მე შევხვდი ბატონ ვისოცკის, ევროდეპუტატ სპაისბერმანს — ევროპარლამენტის ადამიანის უფლებების კომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც კარგად იცნობს საქართველოში არსებულ სიტუაციას და რეაქციები ძალიან მწვავეა... იმის მიუხედავად, რომ ბატონ დიმიტროვს ერთხელ ევროკავშირის სირცხვილიც კი ვუწოდე ქალბატონ ეშტონთან, დღეს მან ძალზე აღეკვატური განცხადება გააკეთა. იგი ვალდებული იყო, ეს განცხადება გაეკეთებინა.

ვიცი, რომ ბატონი შტეფან ფულე ძალიან გამწარებულია ამ ყველაფერზე... ასეთი რეაქციებია, ეკა. რეაქციები კიდევ იქნება, რადგან ორშაბათს მაქვს შეხვედრები წამების კომიტეტში, მუჟინექსის კაბინეტში, ეს შეხვედრები გრძელდება და მანამ გაგრძელდება, სანამ ყველაფერი ისე არ იქნება,



როგორც საჭიროა. ერთი რამ უნდა აღვნიშნო – იმ ვიდეოს გამოშეურებას არ ვაპირებდი მანამ, სანამ ბეღუკაძის ოჯახი საქართველოში იმყოფებოდა. ამას არავითარი საერთო არ აქვს არც არჩევნებთან, არც ოპოზიციასთან.

– თქვენი ლაპარაკიდან გავიგე ის, რომ ევროსტრუქტურებში ჩვენზე ადრე ნახეს ეს კადრები, ანუ ისინი უფრო ადრე გაეცნენ ამ ინფორმაციას.

– დიახ, ჩვენზე ადრე გაეცნენ – ჩვენზე ადრე ნახეს. ეს აბსოლუტური სიმართლეა. გახსოვთ, გუშინ მე დავურებუ თქვენი არხის დირექტორს, მას შემდეგ, რაც ვნახეთ მთავრობის შემოთავაზებული სისაძაგლე, და ვუთხარი: ეს ასე არ არის, მე მაქვს სულ სხვა ინფორმაცია, სულ სხვა კადრები, რომლებიც სულ სხვა რამეს ცხადყოფს. ზუსტად ასახავს იმას, რომ სწორედ ციხის უფროსობა და მაღალჩინოსნები აწამებენ პატიმრებს, და არა ვიღაც საცოდავი ციხის ზედამხედველი. ალბათ, გახსოვთ, ნათია ლაზაშვილმა პირდაპირი ეთერით განაცხადა, რომ პირდაპირი ეთერით მოდის კადრები, რომლებსაც ჩვენი კორექსპონდენტი გიორგი ფოფუხაძე აგორებს ბრიუსელიდან, ანუ მე-9 არხს და საქართველოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა კადრებს ვინახავდი ამ სამი თვის განმავლობაში.

– მოდით, კოდევ ერთხელ მოგვიყენით, ეს კადრები თქვენს ხელთ როგორ აღმოჩნდა.

– როცა ეს კადრები ჩემამდე მოვიდა, ასეთი ტაქტიკა გვქონდა, არ გვეთქვა ყველაფერი. ახლა ვამბობ, რომ ეს კადრები მომაწოდა ქალბატონმა ირმა ინაშვილმა, რომელსაც დაუკავშირდნენ შსს მაღალჩინოსნები და წარუდგნენ, ვანო მერაბიშვილის დავალებით, და მათ გადასცეს ეს ვიდეომასალა. უთხრეს, რომ ადამიანი, ვინც ეს კადრები გადაიღო, უკვე გასულია ბრიუსელში. ეს ხდება მაისის ბოლოს, ან ივნისის დასაწყისში, ზუსტად არ მახსოვს. ირმა ჩამოვიდა და

ეს კადრები მომიტანა. აქედან მხოლოდ 10 წუთის გადაღებული ვნახეთ. ჩვენ გვაქვს საათნახევრიანი კასეტა, სადაც გადაღებულია 2010-1012 წლის ვიდეომასალა წამებისა და გაუპატიურების ფაქტებზე.

შემდგომ მე თავად მაღალჩინოსანი დამიკავშირდა. ჩვენ უკრნალისტები ვართ და მის სახელსა და გვარს მანამ არ დაგვასახელებთ, სანამ საჭიროება და ჩვენი ტაქტიკა არ მოითხოვს. მან მითხრა, რომ ბატონ ბედუკაძეს შევხვედროდი. ვკითხე — რატომ მე. მან მითხრა, რომ ძალიან ცნობილი უკრნალისტი ვარ, ვმუშაობ ეგროსტრუქტურებში და რადიოფრანსისთვის. მაშინ მე-9 არხისითვის არ ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, მე ვნახე ბედუკაძე. მან მომიყვა და მანახა კადრები, რამაც კველა მოლოდინს გადააჭარბა.

ეკა, მე და შენ ერთმანეთს „იბერვიზიიდან“ ვიცნობთ. ომებშიც ერთად ვიყავით. აფხაზეთიც და ოსეთიც ერთად გამოვიარეთ და ვიცით, რაც ხდებოდა. ძალადობაც გვინახავს, სისხლიც და მკვლელობაც, მაგრამ დამიჯერებ — ორი კვირის განმავლობაში დეპრესიაში ვიყავი, რაც ვნახე, იმის გამო. ახლა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინეთ, სამი თვის განმავლობაში, ყოველ დღე ევროჩინოვნიკებს ამ კადრებს უუტრიალებდი და კადრ-კადრ ვუხსნიდი, აქ რა იყო წარმოდგენილი. ეს ჩემთვის ძალზე დამთრგულები იყო.

— გიორგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ბედუკაძეს საქართველოში კავშირი აქვს მაღალჩინოსნებთან და მარტო არ მოქმედებს ბრიუსელში და ვანო მერაბიშვილის ინტერესი იყო ამ კადრების გავრცელება — ასეა?!

— არ ვიცი, ეს კადრები ვისი ინტერესი იყო. ვამბობ იმას, რაც მითხვეს. როგორც უურნალისტს, დამაინტერესა ვიდეოზე გადაღებულმა. იმის უკან რა დგას, ალარ არის საინტერესო.



მე რატომ დამაინტერესა – შენც იცი და მეც. 2 წლის განმავლობაში თომას ჰამერბერგი ლაპარაკობდა გლოდანის ციხეზე და ამის დამამტკიცებელი საბუთი არ გვქონდა. და ეს ჩვენ მივიღეთ. ეს იყო ჩვენთვის მთავარი ამოსავალი წერტილი. მე ეს ევროსტრუქტურისთვის უნდა მენახებინა, იმ ხალხისთვის მეჩვენებინა, ვისაც ზემოქმედების ბერკეტები აქვს, ვისაც ამ ყველაფრის შეჩერება შეუძლია საქართველოში.

– რაც შეეხება თავად ბედუკაძეს, როგორ მოხვდა ბრიუ-სელში და რატომ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებო-ბიდან.

– არა, ბედუკაძე არ გაუთავისუფლებიათ. როგორც თავად ამბობს, მან დაწერა განცხადება წამოსვლის შესახებ. ბედუკა-ძე სხვათა შორის, ამბობს, რომ ის მონაწილეობდა ამ წამებაში, მაგრამ ის იყო სისტემის მსხვერპლი და ვალდებული იყო, ეს ეკეთებინა. მან თქვა, რომ მას მისცეს ვიდეოკამერა ციხის დირექტორის დავალებით და მას უნდა გადაელო ყველაფერი. მან გაუძლო ძალიან დიდი ხანი, ერთ მშენებელ დღეს მან თქვა, რომ დადგა მომენტი, როცა უკვე აღარ შეუძლი, ამის კეთება უკვე აღარ შეიძლებოდა. ჩვენ ბედუკაძე 3 თვის განმავლობაში ვაცხოვრეთ ჩემ მეგობართან – მერაბ ბლადაძესთან. ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით, და ერთად ვიყოვდით ყველაფერს. ახლა ის, რომ ბედუკაძემ მილიონები აიღო... რა სისულელეა, მერაბის სახლში ცხოვრობდა, ჩვენს კმაყოფაზე იყო.

– ანუ ამ წამების დროს ბედუკაძე ოპერატორის ფუნქ-ციას ასრულებდა. მას ევალებოდა გადაღება.

– დიახ, დიახ, დიახ. მას ევალებოდა გადაღება. ბედუკაძე რასაც ამბობს, აბსოლუტურად მჯერა. ბოლო ვიდეოში, რო-მელიც დაატრიალა შალვა რამიშვილმა, პირდაპირ ჩანს, როცა პრეზიდენტი ცრუობს, რომ ვიღაცები ზეგავლენის ქვეშ პატიმ-რებს აწამებდნენ. რა სისულელეა. იქ ჩანს ადამიანი თვალ-



ნათლივ – ეს არის ციხის უფროსის მოადგილე, რომელიც პირადად სცემს. ამის მერე პრეზიდენტს რა აქვს სალაპარაკო. ბედუკაძე ამბობს, რომ მის მიერ გადაღებული ყველა ვიდეო მიღიოდა ბაჩო ახალაიასთან, დღეს „ფაინენშალ ტაიშს“ მისცა ბედუკაძემ ინტერვიუ და იქ თქვა, რომ ყველა ეს ვიდეო მიღიოდა ბაჩო ახალაიასთან. ციხის უფროსი ამ ვიდეოებს იღებდა და ანახვებდა – აი, ნახეთ, როგორ კარგად ვმუშაობთ.

– ეს დავალება თვითონ ბაჩო ახალაიასგან მიღიოდა, რომ ასე უნდა მოქცეოდნენ პატიმრებს და ასე გაეტეხათ ისინი ფსიქოლოგიურად.

– დიახ, დიახ, ბედუკაძე პირდაპირ ხელს ადებს ბაჩო ახალაიას. და ის ამბობს, რომ 2005 წლიდან მოყოლებული ვიღრე დღემდე ბაჩო ახალაიას კლანი მართავს ციხეებს.

– წელან დაიწყეთ ამაზე ლაპარაკი და ახლა დავკონკრეტ-დეთ. რატომ გავრცელდა ვიდეო ახლა, რადგან ძალიან ბევრი ამას სწორედ არჩევნების წინა პერიოდის კონტექსტში განიხილავს.

– ეს არის აბსოლუტურად მტკნარი სიცრუე. მე ორი ინფორმაცია მაქვს. ერთი – ეს გავიდა ჩვენი შიდა წრიდან, გაუონა და მთავრობის ყურამდე მივიდა. მე აღარ ვლაპარაკობ თოხ ადამიანზე, ვინც ამ საკითხზე ვმუშაობდით. ვიღაცებმა ეს ყველაფერი იცოდნენ და მეორე მომენტი – ერთ-ერთმა ევროდებუტატმა მითხრა, რომ დაიბარა საქართველოს ელჩი ევროსტრუქტურებში და ანახა ეს ვიდეო. მე ევროდებუტატს დავუტოვე ეს ვიდეო. ჩვენს შორის ასეთი საუბარი შედგა – ამ ქალბატონს არ დავასახელებ, იგი არის ფრანგი მწვანეების წარმომადგენელი, დაიბარა საქართველოს ელჩი და უთხრა – ეს ხდება საქართველოს ციხეებში. ჩვენი მთავრობა ხომ იცით, როგორ შეიცხადებს, როგორ გეკაღრებათ, ჩვენთან კარგად არის ყველაფერით: იმ კომისიამ დაამტკიცა, ამ კომისიამ



## გიგანტები

დაამტკიცა, გათვლებით ყველაზე უსაფრთხო ქეყანა ვართოდა ამ ქალბატონმა ამოიღო და ვიდეო დაუდო და უთხრა – ეს რა არის, ამაზე პასუხი გამეცითო. ელჩი გამოვიდა, დარეკა მიშა სააკაშვილთან, მოაწყვეს ის სპექტაკლი, რა სპექტაკლიც მოეწყო გუშინ და მე იძულებული ვიყავი, ეს კონტრშეტევა გამეეკეთებინა: მე გუშინ თქვენი არხის დირექტორს დავურეკე. თავად თქვენ ხომ საქმის კურსში არ იყავით. მე დავრეკე.

– ნამდვილად არ ვიყავით საქმის კურსში. პირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელდა ოფიციალურად ერთ-ერთი შედარებით რბილად წოდებული ვიდეო. გიორგი, არ ფიქრობთ, რომ ქართული საზოგადოება იყო ღირსი, რომ უფრო ადრე სცოლნოდა ამ ვიდეოების შესახებ. რატომ არ გავრცელდა ისინი უფრო ადრე.

– ერთადერთი რამის გამო, ეკა. დღემდე ვერ მომინელებია, რომ ეს ვიდეო გავუშვი. ამით ბედუკაძის ოჯახი დავაყენე დიდი დარტყმის ქვეშ. ბედუკაძის ოჯახი დღეს მმევალია. შეგიძლიათ დაურეკოთ ადამიანის უფლებათა ევროკომისარი-ატში ქალბატონ მარტინოს სახელით ურუმოვას, და სტრასბურგში დარეკოთ წამების კომიტეტში და ჰკითხოთ, რა გითხრათ გიორგი ფოფხაძემ. მანამ, სანამ ბედუკაძის ოჯახი საქართველოდან არ გამოვიდოდა, ვიდეო არ უნდა გასულიყო. ამ ყველაფერს ეს ადამიანები დაგიდასტურებენ. ძალიან მაღალი დონის ჩინონებზე ვლაპარაკობ. მე ამიტომ არ ვახმაურებდი ამ ვიდეოს, მცირებულოვანი ბავშვები ჰყავს ბედუკაძეს და არაადამიანი უნდა ვყოფილიყავი, რომ ეს გამე-კეთებინა, ხომ. ეს შეიძლებოდა ჩვენ დეკემბერში გაგვეპთებინა, თუ ოჯახი გამოვიდოდა ივნისში, ან აგვისტოში... მაგრამ ჩვენ წამოგვაგეს, იძულებული გაგვხადეს, რომ ამ ნაბიჯზე წავსულიყავით“.


ეს ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს...

ახსანიშვილია, რომ მერაბ ბლადაძე ქობულეთელია. ბრიუსელში ის ემიგრანტთა უფლებადამცველია და ამავე დროს ჩემი თანამებრძოლების მეგობარიც გახლავთ.

მინდა უღრმესი მაღლობა გადაუხადო მედია-კავშირი ობიექტების გმირ უურნალისტურ კოლექტივს – ბატონ დავით-თარხან მოურავის თავკაცობით, ეროვნულ საქმეს ემსახურებიან, მათი ძალისხმევა რომ არა ნამდვილად გაუჭირდებოდა საქართველოს მოსახლეობას რეჟიმთან გამკლავება, მათ ერთ მუშტად შეკრეს თავისი გადაცემებით და გამართული მიტინგებით საქართველო და საზღვარგარეთ გარიყელი ქართველები რეჟიმთან საბრძოლველად, საქართველო არასოდეს დაივიწყებს უშიშარ რაინდ უურნალისტებს, სწორედაც ასეთი შემართების ხალხი უნდა მოვიდეს ქართველი მოსახლეების წინამდვრად, რომელთაც ქართული სისხლი უჩქეფთ ძარღვებში. აფერუმ მათ ვაჟკაცობასა და შეუპოვრობას!

ვარ ბედნიერი რომ მათთან ერთად მომიწია მიტინგებზე დასწრება, ხოლო ზოგიერთ მათგანს კიდევაც ვიცნობ.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ „სახალხო კრების“ ერთეული ლიდერის ბატონ ირაკლი ბათიაშვილის კომენტარი ამ ფაქტთან დაკავშირებით: „გუშინ რაც ვნახეთ და რაც წლების განმავლობაში პენიტენციარულ სისტემაში ხდებოდა, ამის თავი არის სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალიაების კლანი, ადეიშვილი, მათ შექმნეს ეს სისტემა და ყველამ პასუხი უნდა აგოს. 1 ოქტომბერს ყველანი პასუხს აგებენ ხალხის წინაშე და მერე სამათლიანი სასამართლოს წინაშე. მინისტრი გადადგა, მაგრამ ამ შემთხვევაში მინისტრი არ არის ის ფიგურა, რომელიც რეალურად მართავდა ამ სამინისტროს. მართავდა ახალია, შინაგან საქმეთა მინისტრი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და თავად სააკაშვილი. მათ შექმნეს ასეთი სისტემა ამ ქვეყა-



ნაში და მივიღეთ ის, რაც ვნახეთ. თავი და თავი კი სააკაშვილია. ეს არის რეალობა“.

ამ ფაქტს სტუდენტთა საყოველთაო მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. მრავალათასიანი მიტინგები და შევლელობები გაიმართა, რომელსაც მხარი აუბა საღვდელოებამ და საზოგადოების მრავალათასიანმა აუდიტორიამ, რასაც მოჰყვა რეჟიმის საერთობი რყევა, ამ ნაბიჯმა კიდევ ერთი მყარი ნაბიჯით მიუახლოვა გამარჯვების გზაზე დამდგარი საქართველოს მოსახლეობა მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, რათა დაგვებრუნებია წართმეული საქართველო უღირსთა ხროვისაგან. ამ მოვლენების შემდგომ სააკაშვილი იძულებული გახდა ეღიარებინა დაშვებული შეცდომები და მან ძალოვანი მინისტრები გადააყენა.

ახლა მივუბრუნდეთ განვითარებულ მოვლენებს.

შემდეგი მიტინგი გაიმართა 29 სექტემბერს თბილისში და ქუთაისში, რომელსაც კარზე მომდგარი საპარლამენტო არჩევნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მომავალისთვის...

ამჟამად გია ცხოიძის მანქანაში ავლმოჩნდი ამ რეჟიმის დაუმინებელ მტერთან ქალბატონ – ლამარა ფურცეგანიძესთან, მის შვილიშვილ – 12 წლის, ბათუმის 2 საჯარო სკოლის 7 კლასელ მოსწავლე – მარიამ ხალვაშთან ერთად, მას ლურჯი ფერის „ქართული ოცნების“ მაისური ეცვა. მან დაჟანებული თხოვნის შედეგად იძულა ბებიამისი რომ, ჩვენთან ერთად წამოსულიყო. ჩვენი ეკიპაჟის წევრები იყვნენ: ბათუმელი აფხაზი – თემურ აშბა და ზაზა გვარიშვილი, რომელიც ვიდიოთი იღებდა ჩვენ მსვლელობას, აქვე უნდა ითქვას რომ, ზაზა ბოლო თვეების მანძილზე ხშირად იღებდა ვიდიოთი აჭარის რეგიუნალური ორგანიზაციის „სახალხო კრების“ მოღვაწეობას.



## პიგდიონიერება

აქც ცისკარ გოგიტიძის და ლაშა შეხილაძის კარგი ორგანიზატორობით ჩატარდა ჩვენი მოზაურობა, ხოლო ენერგიული ღამა ქუთაისშიც მრავალათასიან შეკრებილ მრევლს უწევდა ორგანიზატორობას.

მიტინგზე, მოედნისკენ მიმავალს ზღვა ხალხში აკადემიკოს, ბატონ – ვანო პაპუნიძეს, აჭარის რეგიონალური „სახალხო კრების“ დარბაზის წევრს და მის ახლობელ – ფრიდონ ბრეგვაძეს დავემგზავრე, საუბარში გართულებს ერთი ხანშიშესული მამაკაცი ჩაგვერთო საუბარში, უფრო სწორედ მე მომმართა და გამახსენა ზუგდიდის აქციის დაშლის შედგომ ხალხის მჭიდრო მასაში მომავალს იქვე სახლის სახურავიდან როგორ მიზანმიმართულად გამოგვიწიეს რკინის მიღლის გადანაჭერი, რომელიც მე და ზაურ ბოლქვაძეს სასწაულად აქციდა და იქვე სასწრაფო დახმარების მანქანის კოპორტზე დაეცა. მან იმხელა ხმა გამოსცა, რომ ჩვენს ირგვლივ ხალხი გაოგნებული დარჩა. ეს შემახსენა უცხო მამაკაცმა, რომელიც სამტრედიელი აღმოჩნდა. რაც შეეხება ფრიდონ ბრეგვაძეს ვიცნობ 2005 წლიდან, ის ანტიკორუფციული საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის აჭარის რეგიონს ხელმძღვანელობდა და მეც მათთან ვიყავი, სადაც მათი გაზეთის „კორუფციის“ რედაქტორი გახლდით, ეს ცენტრი რამოდენიმე თვეში დაიხურა. ფრიდონთან დაკავშირებით ერთი მისი ნაამბობი მახსენდება, რომელიც მომიყვაპირად საუბარში: ერთხელ თბილისში მტკვრის სანაპიროზე მიმავალს ქალის ხმა შემოესმა, რომელიც მტკვარში იხჩიბოდა და შველას ითხოვდა, ფრიდონს არც კი უფიქრია, მტკვარში ხიდიდან გადაეშვა და ქალბატონი გადაარჩინა. ის ორი შვილის დედა, 22 წლის ასიე გასპარიანი აღმოჩნდა. მერე ოდნავ ღიმილით დასძინა „ბედი არ გინდა, სომხებს ვერ ვეგუებოდი და სომხი შემრჩა ხელშიო“...



სომეხი ქალბატონი ერევნის მაცხოვრებელი ყოფილ ფრიდონი მასთან დაუპატიჟია და ათი დღე არნახული პატივი უცია მისთვის, ფრიდონი მის მშობლებს შვილად მიუღიათ...

მიტინგზე ზღვა ხალხში თვალი მოვკარით ხანში შესულ ქალბატონს, რომელიც ხელში ჯოხით ნელი ნაბიჯით მიღიოდა, მას შავი ოცნების მაისური ეცვა, რომელსაც ამოტვირფული პქნონდა კალაბის გვარი, რაც მიგვანიშნებდა რომ ის სამტრედიელი გახლდათ და სიამაყის გრძნობით მიაბიჯებდა. ერთმა ჩვენთაგანმა მაისური მოიწონა და გულდაწყვეტილი წარმოთქვა, ახლა რომ მქონოდა მაისური დუმბაბის გვარით ნამდვილად გაუცვლიდიო... ერთმა ჩვენთაგანმა არც აცივა და არც აცხელა და უპასუხა, კი მაგრამ შედალოცვილო იმ მოხუცს არ ეკითხები გაგიცლიდა თუ არა მაისურსო?..

ქუთაისის მიტინგი თბილისის მიტინგთან სინქრონულად მიმდინარეობდა, უფრო გასაგებად ჩვენ უყურებდით ცენტრალურ მოედანზე დამონტაჟებული მონიტორით თბილისში გამომსვლელებს, იქ კი ზღვა ხალხი იყო შეკრებილი, იმ დღეს დასამარდა „ნაციონალების“ ძლევამოსილი მოძრაობა მთელი მსოფლიოს თვალში. ბათუმში ჩამოსვლისთანავე ეს ამბავი ჩვენმა ეკიპაჟმა თითო ჭიქით ავღნიშნეთ...

ფარნავაზ მეფის ქუჩის 41-ში, (თანაც როვორი დამთხვევაა ბედის ირონიით გამოწვეული, პოლიტიკური კოალიციის „ქართული ოცნების“ მინიჭებულ ნომერს დაემთხვა), სადაც პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისი იყო განთავსებული დღედაღამ ხალხმრავლობა იყო. ოფისში ვის არ ნახავდა კაცი, მთელი ქალაქი და მთლიანად აჭარის რეგიონი მოძრაობდა აქ, იყვნენ ქალაქის ცნობადი სახეები: შოთა ზოიძე, თამაზ ცინცაძე, ამირან მამულაძე, კაკო ძნელაძე, თამაზ გოგიტიძე, ჯუმბერ კობალაძე, ავთანდილ ბურკაძე და რაც მთავარია ახალგაზრდობა იყო მობილიზებული. ბოლიშს



## პიგლიფონია

უხდი ყველა იმათ ვინც გარკვეული მიზეზების გამო ვერ დავასახელე მათი ვინაობის არ ცოდნის გამო.

არ მინდა იმ ინტრიგებზე და უთანხმოებებზე გავამახ-ვილო ყურადღება, რასაც აჭარაში ჰქონდა იმ დროს ადგილი, რომელიც მასშედის ფურცლებზე და მედიის საშუალებებით შუქლებოდა, მაგრამ საბოლოო ბრძოლის წინ ყველა ერთად გაერთიანდა და ერთ მუშტად შეიკრა... რაც მთავარი ფაქ-ტორი გახლდათ რეჟიმთან ბრძოლაში გამარჯვებისთვის!

აქვე აღვნიშნავ რომ, ძალზე აქტიურობდნენ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის „სახალხო კრების“ წევრები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული 2012 წლის 1 ოქ-ტომბირის საპარლამენტო არჩევნებში და ასრულებდნენ სხ-ვადსხვა მისიას პოლიტიკური კრალიცია „ქართული ოც-ნების“ დასახმარებლად, კერძოდ: ციალა სურმანიძე, ლამარა ფურცხვანიძე, ნანა ფუტკარაძე, მზევინარ ძირკვაძე, დარეჯან ლიასამიძე, მანანა წულუკიძე, მანანა მელაძე, გულო გაბაიძე, ნათია სურმანიძე, ნანული ლუმბაძე, ლეილა სარჯველაძე, ნაზიბროლა პირკველი, თამილა მაკარაძე, ირმა ჩხილევაძე, ცის-კარ გოგიტიძე, ბიჭიკო ბოლქვაძე, ლაშა მსხილაძე, დავით სამნიძე, რომან ჩხაიძე, ნოდარ ცინცაძე, სერგო წერეთელი, როლანდ თურმანიძე, ზაზა გვარიშვილი, ირაკლი ზინიკაძე, ირაკლი გოგიტიძე, ბესო ფალავა, ირაკლი ფალავა, მამუკა გოგიტიძე, ისმაილ აბაშიძე, ვახტანგ ზოიძე, ჯუმბერ შაინ-იძე, ნოდარ მიქელაძე, როლანდ ხოზრევანიძე, გურამ ხოზ-რევანიძე, ზაზა ცერცვაძე, გელა სამნიძე, სიმონ ფუტკარაძე, ნოდარ ვანაძე, იაშა გვიანიძე, ედიბ აბაშიძე, იზიკ გაგულაშ-ვილი, ომარ თურმანიძე, ბესიკ თურმანიძე, ნიაზ ზინიკაძე, პამლეტ აბესლამიძე, ხოლო რაც შეეხება მალხაზ წერე-თელს, რომელიც 26 მაისის მონაწილე იყო, დააკავეს და ერთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს რუსთავში, სადაც ყოველ



## გიგანტები

დილით ისმენდა სიმღერას „მიშა მაგარია“, აქტიურობით გამოირჩეოდნენ აგრეთვე: როლანდ დიასამიძე, გიორგი კახიძე, შოთა ცინცაძე, მირიან სამნიძე, როინ სამნიძე, როლანდ ხოზრევანიძე, ომარ აბულაზე, ზვიად ზოიძე, თეიმურაზ დავითაძე, გრიშა დავითაძე, თენგიზ კახიძე, სოსო შერვაშიძე, დავით ლორია, ირაკლი დარჩია, თემურ შავაძე, ტარიელ ჯოჯუა, შოთა ტუღუში, ნუგზარ კეკელიძე, უჩა მელქეთესიანი, ბესიკ გამარჯვობაძე, ლაშა ცეცხლაძე, ლურმიშხან (დურუ) ხოზრევანიძე, ირაკლი მიქელაძე და ხუთასამდე „სახალხო კრების“ სხვა აქტივისტი. (სია შედგენილია აჭარის რეგიონული ორგანიზაციის „სახალხო კრების“ ხელმძღვანელის ცისკარ გოგიტიძის მიერ).

არჩევნებში აქტიურად იყვნენ ჩართული ბატონ ვახტანგ ახვლედიანის ქალიშვილები: ხათუნა და ზეინაბ ახვლედიანები.

აქვე აღსანიშნავია „სახალხო კრების“ უხუცესი წევრის – ბატონ დურსუნ ზოიძის ჩართულობა საარჩევნო პერიოდში, მიუხედავად ავადმყოფობისა ის თავის უბანში აქტიურად განაგობდა აგიტაციას „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

„ემსახურე საქართველოს“ ლიდერმა, ამჟამად უკვე ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა – ბატონმა მურმან დუმბაძემ საჯაროდ აღნიშნა „სახალხო კრების“ აქტიური ჩართულობა საარჩევნო კომპანიაში, და მათ მადლობა გადაუხადა.

„ემსახურე საქართველოს“ წევრებიდან ძალზედ აქტიურობდნენ და მურმან დუმბაძეს მხარში ედგნენ ჩემთვის ნაცნობი მისი ერთგული და განუყრელი თანამებრძოლები: ქალბატონი მედეა ვასაძე, ბატონები: ავთანდილ ბერიძე, ხოლო გურამ სალაძე, ნუგზარ კეკელიძე, თამაზ მაკარაძე და სხვები სისხლიანი 26 მაისის მონაწილენი იყვნენ. თამაზ ხუხუნი კი 2007–09 წლების გაფიცვერში მონაწილეობდა. აქვე

ავლნიშნავდი რომ ბათუმის ოფისის პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ უსაფრთხოებას პირნათლად ემსახურებოდნენ ამ სამსახურის უფროსი – დავით დუმბაძე, მისი თანაშემწებელი: არმენ კარაპეტიანი და დავით გათენაძე.

1 ოქტომბერს „სახალხო კრების“ წევრები შევიკრიბეთ ოფისთან და მიმაგრებულ საარჩევნო უბნებზე გავნაწილდით, მანამდე კი დილა ადრიან მე და ჩემმა უმცროსმა ვაჟმა – არჩილმა ამ დღისთვის თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა პატარა ქალიშვილთან – მარიამთან ერთად დილაადრიან ჩვენს საარჩევნო უბანში მივედით და ხმა მივეცით იმ იმედით, რომ მომავალში ბედნიერ და გაბრწყინებულ საქართველოს ვიზილავდით..

მე ერთ-ერთ ეკიპაჟის ხელმძღვანელად ვიყავი დანიშნული, ჩვენი მძღოლი – დურმიშნან (დურუ) ხოზრევანიძე იყო, იგი მეტად ენერგიულად სხარტი გონების პიროვნება აღმოჩნდა. შუადღით ოფისში დაგვიანებით ჩამოვიდა დამკვირვებელთა ნიშნები, რომლებიც უნდა გადაცემოდა: ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებს. მათი სამკერდე ნიშნები შტაბიდან უნდა წაეღოთ ავთანდილ ბერიძეს, ოთარ მახარაძეს და ბიჭიკო ბოლქვაძეს. მათ ალეა შემოარტყეს სამართალდამცემლებმა სამკერდე ნიშნის წასართმევად და ისინი დაკავებულნი იქნენ ადგილზე, სწორედ ამ სიტუაციას შეესწრო ჩვენი მძღოლი დურმიშნან ხოზრევანიძე. არეულობაში მას საიდუმლოდ გადაეცა ეს ნიშნები, რომელმაც მოახერხა ამ ნიშნების დანიშნულ ადგილზე ჩატანა. ბიჭიკო ბოლქვაძე და ოთარ მახარაძე რამოდენიმე საათის შემდგომ გაანთავისუფლეს ადვოკატ მელეა ვასაძის ჩარევის შემდგომ, ხოლო ავთანდილ ბერიძე კი განთავისუფლდა რამოდენიმე დღის შემდგომ, რომ არა არჩევნებში გამარჯვება ის ნამდვილად სააკაშვილის კიდევ ერთი მძევალი გაზდებოდა.



## გიბლიონთა

ავთანდილ ბერიძე და ბიჭიკო ბოლქვაძე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი – ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი ადამიანები არიან. ისინი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ და სიკვდილს არაერთხელ ჩახედეს თვალებში, მაგრამ უფალმა ისინი ცოცხლად სწორედ ამ დღისთვის გადაარჩინა, რათა უფსკრულთან მდგარი საქართველო გადაერჩინათ ამ რეჟიმისაგან, რათქმა უნდა დანარჩენ გულანთებულ ქართველებთან ერთად. აფერუმ მათ ვაჟაცობას.

უბნებზე მორიგეობის დროს, კერძოდ: 72-ე უბანზე სადაც რამოდენიმე ეკიპაჟით ვმორიგეობდით „სახალხო კრების“ წევრები ლაშა მსხილაძის ხელმძღვანელობით. მოხდა ინციდენტი. სადღაც ღამის ორი საათისკენ უბნიდან დამალვით ცდილობდა გაპარვას ერთ-ერთი დამკვირვებელი და სკოლის ეზოს უკანა (უბანი სკოლაში იყო განთავსებული) გასასვლელიდან აპირებდა წასვლას, მაგრამ აქ იქვე მდგომი ახალგაზრდები ამ უბნის გარე დამკვირვებლები იყვნენ, რომლებმაც დააკავეს იმ მიზნით რომ ხმების გაყალბება არ დაეშვათ. ის აღმოჩნდა ნაც.მოძრაობის წევრი, რომელმაც ბოლიში მოიხადა სახალხოდ და განაცხადა „ვცდებოდი რომ ამათ უჭერდი მხარსო“... ეს ახალგაზრდები ჩემი შვილიშვილების მეგობრები აღმოჩნდნენ – მმები: ელიზბარ და ელნარ ცინცაძები და გიორგი ფარტენაძე. აქვე დაგვირეკეს და გვამცნეს რომ სააკაშვილმა სახალხოდ გამოაცხადა ნაც.მოძრაობის დამარცხება არჩევნებში, ჩვენ ეკიპაჟები დავძარით ოფისისკენ სადაც დიდი თავშეყრა ხდებოდა, მალე ავტომანქანებით აფრიალებული დროშებითა და სიგნალებით ქალაქის ქუჩები დავლაშქრეთ, გახარებული ხალხი გარეთ იყო გამოსული, რომლებიც ხელების ქნევით და შეძახილებით გვეგებებოდა. ეფორიაში მყოფს



თავი სიზმარში მეგონა, ვერ წარმომედგინა, რომ ყოველივე ეს მშვიდობიანად თუ დამთავრდებოდა...

საზეიმო მსვლელობის დროს აღმაშენებლის ქუჩაზე შეჩერებისას მანქანასთან ჩემი უმცროსი შვილიშვილი ოცნების შავმაისურში გამოწყობილი – თენგიზი მომიახლოვდა და დაუინებით დროშა მთხოვა, მეც თხოვნა დაუკმაყოფილე და ერთი დროშა გადავცი, იქვე მანქანაში დავინაზე ჩემი უფროსი ვაჟი – დავითი მის შვილთან – ნიკასთან ერთად, მათ არ ველოდი, რადგან ის ნაავარიები, რამოდენიმე ადგილას ფეხებ გადატეხილი გიბსში მყოფი სახლში მეგულებოდა...

მსვლელობასაც ლაშა ხელმძღვანელობდა, ყიფინით შემოვარეთ მთელი უბნები, ღმერთს მადლობა, რომ რაიმე შემთხვევას ადგილი არ ჰქონა. შემდგომ ჩვენ წევრებს, კერძოდ ცისკარ გოგიტიძეს, დავით სამნიძეს და ნოდარ ცინცაძეს შევეხმიანეთ. იქიდან მათთან ერთად უბნებზე დაფიქ-სირებული გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებით მთავარ ოფისში გამთენისას მივედით და იქ მყოფთ გამარჯვება მივულოცეთ...

3 ოქტომბერს კი ვახტანგ ახვლედიანის საფლავი მოვინახულე მის მეგობრებთან: ასლანი კაკაბაძესთან, იზიკ გაგულაშვილთან და ედიბ აბაშიძესთან ერთად. მას ვამცნეთ გამარჯვების ამბავი და თითო ჭიქაც წაუქციეთ მის ხსოვნას... მეორე დღეს „სახალხო კრების“ წევრებმაც მიაგეს პატივი ბატონ ვახტანგის ხსოვნას, ჩვენ არც მახინჯაურელი, აწ გარდაცლილის „სახალხო კრების“ წევრის ნუგზარ ჯიჯავაძის საფლავი დაგვიტოვებია უფრადღებოდ.

მინდა მკითხველს შევახსენო ნაცმომრაობის დამარცხების გამომწვევი მიზეზები რაც თვალნათლივ ჩანს „აჭარა P.S.“ რედაქტორის ბ-ნ ჯემალ მეგრელიძის სტატიაში: „ნაცაფერისტული პოლიტიკის შედეგები ანუ ბეწვი სხვის თვალში“, აქეე აღნიშვნის ღირსია სარედაქციო ჯგუფის მუშაობა, რომლე-



ბიც თითქმის უხელფასოდ, შიშველ ენთუზიაზმზე მუშაობდნენ წელებზე ფეხს იდგამდნენ და მხოლოდ გაზეთის გამოსვლის დაფინანსებას ძლივს ახერხებდნენ, რათა რედაქციას არ შეეწყვიტა არსებობა. ყოველივე ეს კი მართალ სიტყვის სადა-რაჯოზე დგომას ნიშნავს.

სტატიაში ვკითხულობთ, რომ ოპოზიციაში გადავარდნილი „ნაციონალური მოძრაობა” იხტიბარს არ იტეხს და ქვეყნის წინსვლაზე „ზრუნვას” არჩევნებში გამარჯვებული ქართველი ხალხის გულგატეხილობის მცდელობით იწყებს, მომაკვდავი გველეშაბი ოპოზიციაში ჯერ კიდევ ფლობს მართვის სერიოზულ ბერკეტებს და ყველა საშუალებით ცდილობს ხელისუფლების დათმობის პირველივე ღლებიდანვე მოსახლეობაში შექმნას იმედგაცრუების განცდა, რომ მერე უთხრას ხალხს, ნახეთ, მატყუარა ბიძინა ივანიშვილმა როგორ „გადაგაგდოთ” და ჩვენ რა „მართლები” ვიყავითო...

გამორიცხული არ არის, ამ გველვეშაბმა კუდიც მოიქნიოს, მაგრამ ქართველი ხალხი უკვე მაგათ საკენკს აღარ შეჭამს.

ბიძინა ივანიშვილის მედიასთან შეხვედრა ბევრისთვის კიდევ ერთი გულახდილობის დემონსტრირება იყო, „ნაცები-სთვის” – „დემოკრატიისთვის საგანგაშო სიგნალი”, ან კიდევ „ქართული ოცნების” სხვა მითების დამსხვრევის პრელუდიაც.

ფაქტი ერთია, რომ ბიძინა ივანიშვილმა, სააკამპილის მსგავსად, ცრუ დაპირებები არ გასცა და პრობლემებიც არ შეალაშხა. პირდაპირ თქაა, რომ გაზისა და კლებტროენერგიის ტარიფების განახევრება არ გამოვა და, როგორც ჩანს, ამის დაპირება გადაჭარბებული იყო. ისიც არ დაუმალავს, რომ იმედგაცრუებულია, რაღაც სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის მიუხედავად, მოსკოვს საპასუხო ნაბიჯი არ გადაუდგამს...

მედიასთან შეხვედრისას იმასაც მოეფინა ნათელი, რომ, როცა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტის გადადგომა მოითხო-

ვა, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს ძალიან ცუდი რეაქცია პქონდათ. პრემიერ-მინისტრს მათი ესმის და ადასტურებს, რომ მისი პარტიის მხრიდან იმპიჩენტის საკითხის დაყენება არ მოხდება. თუმცა იმასაც კარგად ხდავს, რომ პროცესები მიმდინარეობს და არავის უნდა გაუკვირდეს, თუ პრეზიდენტის იმპიჩენტის საკითხი მაინც დადგება.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ყოველდღიურად მოითხოვო დანაპირების შესრულება ხელისუფლებისაგან, რომელიც სულ რაღაც ერთი თვის მოსულია სათავეში და რომელსაც წინამორბედისაგან ისეთი რთული მექვიდრეობა ერგო, ალბათ ერთი წელი სიტუაციის გასარჩევადაც არ ეყოფა. სირთულისთვის მარტო ისიც კმარა, რომ ქვეყნაში „ნაციონალების“ კონსტიტუციის წყალობით ორხელისუფლებიანობის პრობლემა და პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის სიმბოლო უნდა იყოს, საკუთარ ხალხს ოპოზიციისაში ჩაუდგა... საუბედუროდ, „ნაციონალების“ მთელი საქართველო ერთი მუჭა ბრძო ჰგონიათ და ფიქრობენ, ნაცადი მოქმედებებით ფონს ისევ გავლენა, თუმცა, მურტალოს მეთოდები კარგახანია დაუძეველდა... საზოგადოება დღეს მარტო იმითაა ბენდიერი, რომ თავისუფლად სუნთქვას, თავისუფლება კი 1 ოქტომბრის არჩევნების ყველაზე დიდი მონაპოვარია...

ბიძინა ივნიშვილის კანონმორჩილება რომ არა, ქართველ ხალხს იმდენად აქვს მობეზრებული „ნაციონალთა“ უსინდისობა, პირველი შანსის გამოჩენის შემთხვევაშივე სათოთაოდ კინწისკვრით გაყრიდა თითოეულ მათგანს და ამის ნიშნები საქართველოს არაერთ რეგიონში, მათ შორის აჭარაშიც გამოიკვეთა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ უვანის, ბუტა რობაქიძის, სანდორ გირგვლიანის, გურამ შარაძის, ბადრი პატარკაციშვილის და სხვათა მკვლელობების, სვანეთის, ლოპოტას თუ კიდევ მრავალი ხმაურიანი ოპერაციის, „ნულოვანი ტოლერანტობის“, 7 ნოემბრის, 9 აპრილის, 26 მაისის სასაკ-



## გიგანტები

ლაოს შემოქმედ ხელისუფლებას და მის შეარდამჭერებს არავითარი მორალური უფლება არ აქვთ იღაბარაკონ ქართველი ხალხის სახელით, იმ ხალხის სახელით რომელთა 80 პროცენტზე მეტმა პირველ ოქტომბერს უარი უთხრა სააკაშვილის დემაგოგიას და სამუდამოდ პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა. ვფიქრობთ, გამაღიზიანებელი მათი იხტიბარგაუტებელი სახეების ხილვა უფროა, ვიდრე ახალი ხელისუფლების გულწრფელობა (ყოველ შემთხვევაში ეს ჯერ ჯერობით ასე ჩანს).

თვალი გადავავლოთ წარსულს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ რამდენჯერ და რამდენით მოატყუა „ნაციონალურმა მოძრაობაში” საკუთარი ხალხი მმართველობის 9 წლის განმავლობაში და ვაღიაროთ, აქვს თუ არა მას მორალური უფლება დღეს საერთოდ რაიმეზე ჰქონდეს პრეტენზია:

ალიანსმა „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” 2003 წლიდან დღემდე ჩატარებულ არჩევნებზე წარმოდგენილი პოლიტიკური ძალების პროგრამები და მათი შესრულების ხარისხი შეისწავლა. აქცენტი, ბუნებრივია, მმართველ ძალაზე გაკეთდა, ვინაიდან სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებს თავიანთი პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნდათ და მათი დაპირებები ხშირად ცარიელი ბელეტრისტიკა იყო.

„ალიანსი” აღნიშნული პროგრამების უსაფუძვლობის და უპასუხისმგებლობის საიდუსტრაციოდ გთავაზობთ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პროგრამის მონიტორინგს. პროგრამას, რომელიც სამ ძირითად პრინციპს – უსაფრთხოება, ინიციატივა, ერთობა – ეყრდნობოდა, მმართველმა ძალამ „საქმე ლაპარაკის ნაცვლად” უწოდა და ამომრჩევლებს პროგრამის 50 თვეში (4 წ.) განხორციელებას დაპირდა.

ალიანსის მიერ წარმოდგენილ ანალიზში და შეფასებებში შესწავლითა წინასაარჩევნო დაპირებების და პროგრ-



ამების არამარტო ეკონომიკური ასპექტები, არამედ სოციალური, სამართლებრივი, ტერიტორიული მთლიანობის და სხვა საკითხები.

**უსაფრთხოება,** რომელიც პროგრამის – „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო, გულისხმობდა „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დაბრუნებით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. თუმცა, არჩევნებიდან 3 თვეც არ იყო გასული, რაც ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკის შედეგად მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიების გარკვეული ნაწილის დაკარგვა.

არანაკლებ ბუტაფორიულია პროგრამის ეკონომიკური ასპექტები. „ყველას შევუქმნით საშუალებას გამოიჩინოს ინიციატივა, თითოეულ ადამიანს მიეცემა საშუალება იმუშაოს, დაიწყოს ბიზნესი, დაძლიოს სიღარიბე საკუთარ ოჯახში, რადგან ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე იწყება თითოეული ოჯახის კეთილდღეობიდან. ასე ვაქცევთ ჩვენ რეალობად საქართველოს სიღარიბის გარეშე“, – ეს გახლავთ მონაკვეთი „ნაციონალური მოძრაობის“ აღნიშნული საარჩევნო პროგრამიდან. ამ დაპირების მიუხედავად, საზოგადოებას ახსოვს არაერთი მაგალითი, როდესაც ადგილი ჰქონდა ბიზნესის შევიწოდებას, ბიზნესმენების დევნას, ქონების უპანონო ჩამორთმევას და ა.შ.

იმავე პროგრამით, „ნაციონალები“ ხალხს მდგრადი ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებას და კრედიტების გათავებას ჰქირდებოდნენ, რითაც ახალი საწარმოების გახსნის სტიმულირება მოხდებოდა. უამრავი დრო გავიდა, მაგრამ რეალობა დღეს იგივეა. კრედიტების სიძვირით საქართველო მსოფლიოში მე-8 ადგილზეა, ბიზნესის დასაწყები სესხის, ეწ. „სტარტაპის“ ცნებაც კი, პრაქტიკულად, ქვეყანაში არ არსებობს.



„გავაგრძელებთ გადასახადების შემცირებას, რაც დასაქმებას, დაგროვებას და ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს: საშემოსავლო გადასახადს 15%-მდე შევამცირებთ და ეს საშუალებას მოვცემს შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი”, – ასეთია მორიგი ამონარიდი პროგრამიდან „საქმე ლაპარაკის ნაცლად”. როგორც ვხედავთ, 2008 წელს „ნაციონალები” გვპირდებოდნენ იმგვარი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობდა დანაზოგების ზრდას, თუმცა საქართველო დღემდე მსოფლიოში ერთ-ერთი ბოლოა დანაზოგების მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართების მიხედვით. მშპ-ს მიმართ მთლიანი ეროვნული დანაზოგი 5%-ის დონეზეა, როცა ეს მაჩვენებელი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში 30%-დან 50%-მდე მერყეობს. საშემოსავლო გადასახადის შემცირებაც, ყველას კარგად მოეხსენება, არ მომხდარა.

**„ნაციონალური მოძრაობა”** ამომრჩევლებს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების პირობას აძლევდა, რაც ინვესტიციების შემოდინებას შეუწყობდა ხელს. თუმცა, მომდევნო სამ წელი-წადში უმნიშვნელოდ მეტი ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე მხოლოდ 2007 წელს. სამი წლის განმავლობაში შემოსული ინვესტიციების მოცულობამ ჯამში 2,4 მილიარდი ლოდარი შეადგინა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საკუთრების უფლების დაცულობა, დამოუკიდებელი სასამართლო, კონტრაქტების აღსრულების ხარისხი, ინვესტორთა დაცვის დონე, გასაღების ბაზები და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, კვლავ მოუწესრიგებელია.

**„საქმე ლაპარაკის ნაცლად”** მოიცავდა ფოთის ინდუსტრიული ზონის სრული სიმძლავრით ამოქმედებას, რაც 35 ათასზე მეტი ადამიანის დასაქმებას გულისხმობდა. დღეს კი, ყველა ერთხმად, და მათ შორის პრეზიდენტიც, აღიარებს, რომ

ეს პროექტი ჩავარდა. გარდა ამისა, დაპირებებში შედიოდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა აფხაზეთსა და ეწ. „სამხრეთ ოსეთში”.

დაპირებების ნუსხაში შედიოდა სტუდენტებისთვის სწავლის ხელმისაწვდომობა და საუკეთესო პირობების შეთავაზება. დღეს კი, სტუდენტური სესხის ცნება, ფაქტობრივად აღარ არსებობს, მძიმე სოციალური ფონის გამო უმაღლესი განათლების მიღება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა და ასობით სტუდენტი იძულებულია სწავლას თავი დაანებოს.

გარდა ამისა, საინტერესოა რამდენიმე მაკროპარამეტრის განხილვა. უმუშევრობის დონე, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2005 წლის 13,8%-იანი დონიდან 2011 წლისთვის 15,1%-მდე გაიზარდა. 2003 წელთან შედარებით ლარის მსყიდველობითი უნარი თითქმის 2-ჯერ შემცირდა. უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობამ 1,6 მილიონი ადამიანი შეადგინა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 36%-ია.

ნათელია, რომ დაპირებების უმეტესობა დღემდე შეუსრულებელია. ამას, ისიც ცხადყოფს, რომ 2008 წლის დაპირებების ნაწილი, „ნაციონალური მომრაობის” ახალ პროგრამაშიც იყო გაწერილი, მაგალითად: **100 დოლარიანი პენსია, საყოველთაო დაზღვევა და ა.შ.**

ფაქტი ერთია, ყოფილი ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ აქამდე ხდებოდა სხვა პრობლემების მოგვარება, რომელთა გარეშეც სიღარიბესთან ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა აქამდე ჩატარებულ ყველა არჩევნებზე „ნაციონალების“ მთავარი პრიორიტეტი სიღარიბის დაძლევა იყო. რეალობა კი უცვლელია, დაპირებების მიუხედავად, დღეისათვის სიღარიბე არანაკლები სიმწვავის პრობლემაა, ვიდრე 10 წლის წინ.

გარდა ხსენებული პროგრამისა, ერთ-ერთი პროგრამა, რომლიც მთავრობამ 2008-2012 წლების სამოქმედო გეგმად



## პიგდიონთვა

დაისახა, იყო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. პროგრამის ძირითად მიზნებს მოსახლეობის კეთილდღეობა – საქართველო სიღარიბის გარეშე, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სრული ტერიტორიული და სამოქალაქო რეინტეგრაცია წარმოადგენდა.

უფრო კონკრეტულად გეგმა მოიცავდა შემდეგ პუნქტებს: მომდევნო 5 წლის მანძილზე ქვეყანა წარმატებით დაასრულებს ნატოში გაწევრიანების ყველა ეტაპს, დააკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. 5 წელი, ფაქტობრივად, უკვე გავიდა და შედეგს საზოგადოება კარგად ხედავს. რუსეთის ფედერაციასთან მიღწევა ურთიერთობების ნორმალიზება - რუსეთის ფედერაციასთან დღემდე დაძაბულია ურთიერთობა და უფრო მეტიც, ვინც ცდილობდა ჩრდილოელ მეზობელთან რაიმე ურთიერთობის დაჭრას, ის ავტომატურად ქვეყნის ინტერესების მოღალატედ ითვლებოდა;

გავრძელდება ეკონომიკის სწრაფი ზრდა – მომდევნო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკა წლიურად საშუალოდ 8%-ით გაიზრდება. საქართველო მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით „საშუალო-მაღალ შემთხვევაში“ გადაინაცვლებს. 2008 წლიდან დღემდე ქვეყნის ეკონომიკა წლიწადში საშუალოდ 3%-ით იზრდებოდა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობით საქართველო კვლავ დაბალ-შემოსავლიან ქვეყნებს შორისაა;

შემცირდება სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში – ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 29-დან 22%-მდე შემცირდება.

უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების და კერძო სექტორის მიერ მოზიდული დაფინანსების მოცუ-

ლობა 5 წელიწადში გაიზრდება – ინვესტიციები ყოველწლიურად მშპ-სს 10%-ზე მეტი იქნება და ჯამურად 10 მლრდ. დოლარს მიაღწევს. 2008 წლიდან დღემდე საქართველოში სულ 3,9 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, მშპ-ს მიმართ ინვესტიციების მოცულობა კი 4%-ს არ ასცილებია.


გარანტირებული საკუთრების უფლება – საკონსტიტუციო, საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების შედეგად გაიზრდება კერძო საკუთრების ხელ-შეუხებლობის ხარისხი. საკუთრების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ საკანონმდებლო, ასევე იმპლემენტაციის და აღქმის დონეზე.

მზარდი ეკონომიკური აქტივობის შედეგად გაიზრდება დასაქმება 10 მილიარდამდე მოცულობის უცხოური ინვესტიცია უზრუნველყოფს ახალი 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას. შედეგი ბოლო 7-8 წლის განმავლობაში უმუშევრობა 12%-დან 16%-მდე გაიზარდა.

საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე – 5 წელიწადში სოციალური პროგრამების ბენეფიციართა 50% მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო გამოვა ბენეფიციართა სიებიდან. მიუხედავად ამ დაპირებისა, 1.6 მილიონი ადამიანი ისევ სოციალურად დაუცველია;

გატარებული საპენსიო რეფორმის შედეგად გაიზრდება სოციალური პენსიის პაკეტის მოცულობა და ხარისხი – საპენსიო პაკეტი 100 დოლარს მიაღწევს და იქნება სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. ეს მორიგი უსაფუძვლო და შეუსრულებელი დაპირებაა სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან;

უძრავი ქონების ბაზარი დინამიურად განვითარდება მშენებლობის მოცულობა შემდეგ 5 წელიწადში გაორმავდება და მოხდება სამშენებლო პროდუქტის დივერსიფიკაცია. უძ-



რავი ქონების ბაზარი დღემდე კრიზისშია და 2008 წლის დონესაც კი ვერ დაუბრუნდა. მიუხედავად მრავალი პროგრამისა, რომლითაც დეველოპერების ხელშეწყობა ხდებოდა, ვერ მოხდა პრობლემების დაძლევა;

გაიზრდება ენერგოსისტემის მდგრადობა – მოხმარებული ენერგორესურსების 70% კვლავაც იმპორტირებულია;

სასოფლო-სამეურნეო სექტორში საშუალო ფერმერული მეურნეობის წილი გაიზრდება. მომავალი 5 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი მთლიანი ექსპორტის 25%-ს გაუტოლდება. დღევანდელი რეალობა კი ისაა, რომ ექსპორტის სტრუქტურაში პირველ ათეულში მხოლოდ თხილი და ლინო გახვდება, რომელთა საერთო წილი ექსპორტში 7-8 პროცენტია.

საკაშვილის ხელისუფლების დაპირებები წლების მანძილზე ერთი და იგივე გახლდათ. პროგრამები, რეალურად, მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდებოდა და პრობლემები არჩევნებიდან არჩევნებამდე მივიწყებული იყო.

საზოგადოებას კარგად ახსოვს მთავრობის „50 დღი-ანი პროგრამა“. იგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა ფოთში, სპეციალური არასაბიუჯეტო ფონდების შექმნა, საქართველოს მთავრობის საგადასახადო ინიციატივები, საქართველოს საფინანსო ცენტრად გადაქცევის პერსპექტივა, მთავრობის ახალი ფისკალური მაკროეკონომიკური სტაბილურობა, სუვერენული ეკონომიკური განვითარების საფეხურო ემისია, იაფი სესხის პროგრამა, 100 აგროსაწარმო, საპენსიო რეფორმა და ჰიდრორესურსები – ჰესების მშენებლობაში ინვესტორთა მოზიდვა.

ამ საკითხებიდან ხელისუფლებამ ყველაზე „წარმატებით“ ევრობლიგაციების ემისია განახორციელა, ყველა სხვა დანარჩენი საკითხები ჩავარდა.



## გიბლიშვილი

ნაც. ხელისუფლებას ჰქონდა ისეთი პროგრამებიც, რომლებიც საერთოდ დავიწყებას მიეცა. მაგალითად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის 10 პუნქტიანი გეგმა, რომელიც სურვილების ჩამონათვალს უფრო ჰგავდა, ვინაიდან მასში ძალიან ზოგადი მიზნები იყო წარმოდგენილი, რომელთა მიღწევის კონკრეტული ღონისძიებები არსად ეწერა და არც არავის უმსჯელია მასზე. მოგეხსენებათ, სააკაშვილის ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ ახალი პროგრამა „მეტი სარგებელი ხალხს“ წარადგინა და მოსახლეობას საქართველოსთან ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა. მსგავსი ხელშეკრულება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2002 წელსაც დადო თბილისთან, რომელში ჩამოთვლილი საკითხების აბსოლუტური უმრავლესობა არ შესრულდა. ამდენად, ნაც. ხელისუფლების დაპირებები თითქმის ყველა არჩევნებზე უცვლელი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ შესწევდა ძალა გადაეჭრა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები, ან ამის პოლიტიკური ნება არ გააჩნდა.

დღახ, ეს არის „ნაცმოძრაობის“ რეალური სახე, რომელ-მაც მთელი 9 წლის განმავლობაში ყველა სახელისუფლებო ბერკეტის ფლობის მიუხედავად მხოლოდ დაპირებებით კვება საკუთარი ხალხი და დღეს ქრთი თვის მოსული ხელისუფლებისგან ითხოვს დაპირებათა მყისიერ შესრულებას.

როგორც ჩანს, „ომი დამთავრდა, მაგრამ მშვიდობის უნდა გვეშინოდეს“, რადგან სააკაშვილის სიურპრიზები მანამ არ დამთავრდება, სანამ თავისი ნარჩენების უკანასკნელი მოპიკანებიც კი სავარძლებში ისხდებიან და ძალიან „მართალი“ თუ „ჭკვიანი“ სახეებით სხვის თვალში ბეწვის არსებობაზე მოგვიყვებიან, ხოლო საკუთარში დირესაც კი ვერ შეამჩნევენ...“

ამჯერად ნაც.მოძრაობის დაპირებების ერთ-ერთ მაგალითით შემოვიფარგლები და ისიც „აჭარა P.S.“-ს დავ-



## გიბლიოთის

ესესხები გამოქვეყნებული სტატიით „ბარამიძე – შერვაშიძის მიერ მოტყუებული ნონა ბოლქვაძე გარდაიცვალა“: „24 ოქტომბრის დილას ლეიკემიით დაავადებული, 27 წლის ქედელი ნონა ბოლქვაძე მმიმე შეტევებით გარდაიცვალა. ეს ის ნონა ბოლქვაძეა, რომლის ოჯახსაც წინასაარჩევნო პერიოდში ე.წ. ნაცები 2500 ხმის სანაცვლოდ უცხოეთ-ში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას დაპირდნენ. ოუმცა, არჩევნების შემდეგ დანაპირები (ისე, როგორც ყველა მათი დაპირება), საპნის ბუშტივით გასკდა და ოჯახს დახმარებაზე კატეგორიული უარი განუცხადეს. ბოლო წუთამდე ბოლქვაძეების ოჯახი მუხლმოდრეკით ითხოვდა: „ბავშვის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, თუ რაღაც ნამუსის ნატამალი შეგრჩენიათ, იქნებ მოგვეზმაროთ“, მაგრამ შეიძლება მათ სინდისსა და მორალზე ესაუბრო?

გვინდა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ირაკლი ბარამიძეს და საქართველოს პარლამენტის ქედის მაჟორიტარ დეპუტატს – იაშა შერვაშიძეს ვკითხოთ რა ნამუსით უნდა ისაუბრონ მათ საკუთარი ერის წინაშე მაღალი ტრიბუნებიდან, რა პრობლემები უნდა მოუგვარონ საკუთარ ამომრჩევლებს ყალბი ხმების სანაცვლოდ? ვინ იცის, კიდევ რამდენი გაუხმაურებელი მოპარული ხმებით მოიპოვეს მათ დეპუტატის მანდატები, რამდენი ამომრჩეველი ნანობს თავის საქციელს? რადგან ერთი შედეგი უკვე სახეზე გვაქვს. „ნაცმომრაობის“ ამ ორ დეპუტატს ელემენტარული გულისხმიერება რომ გამოეჩინა და პაციენტი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაეგზავნა, ვინ იცის, დღეს იქნებ ნონა ბოლქვაძე გადარჩენილიყო. ამიტომაც ჩნდება კითხვები – კერძოდ რომელი კანონპროექტის შემუშავების მორალური უფლება აქვთ იაშა შერვაშიძეს და ირაკლი ბარამიძეს, ან როგორ აპირებენ საკუთარი კუთხის ოჯახს



## გიგანტისა

სამძიმარი გამოუცხადონ, თუმცა მათგან არაფერია გასაკვირი, შესაძლოა პანაშვიდზეც კი ვიხილოთ „დეპუტატები“ დამწუხებული სახეებით, ვითომდა ჩვენ რა შეუაში ვართო... არადა გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ მახუცეტში, წინასაარჩევნო შეხვედრის დროს, ნონა ბოლქვაძის დედას – ლევან ვარშალომიძემაც მისცა პირობა და უთხრა: – ქალბატონო ნაზი, ყველაფერი კარგად იქნებაო... ამის დამნახავი ადამიანები არსად წასულან, ფაქტებს რომ გაექცეთ, ცოდვას სად მიუხვალოთ „ნაცებო“?! ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა თქვენ პირდაპირ თუ ირიბად ანადგურებთ საკუთარ ხალხს, შეურაცხყოფთ მათ ღირსებას, პატივს, თავმოყვარებას. სამაგიეროდ ბოლო წუთამდე თქვენი დიდი ბელადის - მიშას სურათის ცქერით ტკბებოდით საკუთარ კაბინეტებში.

ღმერთმა ქნას ეს იყოს უკანასკნელი უსინდისობა „ნაცების“ მიერ საკუთარ ხალხთან მიმართებაში. თუმცა, ნონა ბოლქვაძეს სიცოცხლეს ვედარ დავუბრუნებთ, მაგრამ ვერც ვერაფრით ვანუგეშებთ მის ოჯახს გარდა მძისა, რომ ამ ამორალური საქციელის ავტორები ღვთისგან თუ კანონისგან აუცილებლად დაისჯებიან!“

არჩევნების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს და ბოლო ხანს განვითარებულ მოვლენებს მინდა გამოვეხმაურო, რომელიც რელიგიას და დაპატიმრებებს შეეხება და მაგალითისათვის მოვიყვან გაზრეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ურნალისტ რუსლან რუსის სტატიას, სადაც საუბარია ბოლო პერიოდის მოვლენებზე, სადაც ის სრულყოფილად აშუქებს და პასუხსაც სცემს, მე ვიტყოდი ამომწურავადაც კი... მივიჩნიე რომ სტატიაში უმრავლესობის გულის ნადებია გადმოცემული.

კომუნისტების ზეობისას ის გვიშლიდა ნერვებს, „უფროსი ძმები“ მენტორული ტონით რომ გვესაუბრებოდნენ, ერთთავად ჭკუას გვარიგებდნენ და კაცთმოყვარეობის თაობაზე ლამის



ლექციებს გვიკითხავდნენ. – ჩვენ, ვეფუნისა და მოყმის ხალხური ბალადის მქონე ხალხს, ვინ უნდა გვასწავლიდეს კაცო-მოყვარეობასა და ლამის მტრის გასაჭირის გაზიარებასაც!

ისე ნურვინ გამიგებს, თითქოს ჯეროვნად ვერ ვაფასებდე იმ უდიდეს დახმარებასა და მხარდაჭერას, რაც ჩვენმა მეგობარმა სახელმწიფოებმა თავის დროზე, უკიდურესი გაჭირვებისას გაუწიეს საქართველოს და ახლაც გვიწევენ, მაგრამ, უკაცრავად და, სწორედ მეტისმეტმა დაყვედრება-ჭრუის სწავლებამაც ათქმევინა გამწარებულ კაცს – არ მინდა არაფერი, კვლავ იმ ჭაში ჩამაგდეთ, საიდანაც ამომიყვანეთო.

რად ვამბობ ამას.

გუშინ აშშ-ის ელჩი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში იყო – ქართველ მუსულმანებს ჩაგრავენ და ლოცვას არ ანებებენო!

მადლობა მას ზრუნვისთვის, მაგრამ ღმერთი არ არის? – რელიგიურ შეუწყნარებლობას – გვაძრალებენ ჩვენ, ქართველებს, რომელთა დედაქალაქის ლამის ერთ გოჯ მიწაზე ოთხი ერის სალოცავი დგას გვერდიგვერდ, და რომელთა უპირველესი მეფე ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ სცემდა პატივს ეთნოუმცირესობათა რელიგიებს, დადიოდა მათ სალოცავებში.

ნუთუ ვერ ამჩნევს ბატონი ელჩი, რომ ქართველების რომლის კეთილგანწყობაში ეჭვის შეტანის საბაბი ნამდვილად არა გვაქვს (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც), რომ წინწყაროს თუ ნიგვზიანის „რელიგიური ექსცესები“ მავანთა წაქეზება-ხელშეწყობით არის პროვო-ცირებული. მოიანი აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ხომ გუშინ არ დასახლებულან ამ სოფლებში. და თუ აქამდე არ დაპირისპირებიან ისინი ადგილობრივებს, ახლა რა ხდება.



## გიგანტისა

ვაცალოთ სასამართლოს, ბატონებო! იქნებ ერთობ სამართლიან-საფუძვლიანად დანაყრდეს სამართალი და ამაო აღმოჩნდეს თქვენი ასეთი წინასწარი აჟიოტაჟი. თანაც, არ მიწყინოთ, მაგრამ იქნებ მაშინ უფრო იყო საჭირო ასეთი „მეურვეობა”, როცა „ბავშვებს” ჩაუგდეთ ხელში „ასანთი” და ლამის ცხრა წელიწადი ათამაშეთ „სახელმწფობანა-მმართველობანა”.

ასე რომ მოქცეულიყავით მაშინ, ახლა ხომ არ გვეყოლებოდა ამდენი დასაჭერი.

და ერთი საკითხიც (თუმცა მინდა დაგამშვიდოთ: საქართველოში არც ეთნიკურ და არც რელიგიურ უმცირესობებს ნაღდად არ გუქრებათ არანაირი საფრთხე): - ამას წინათ, როდესაც შვეიცარიაში რეფერენდუმი დანიშნეს იმის გას-არკვევად, დაერთოთ თუ არა მუსულმანთათვის იქ მეჩეთის აშენების ნება, ამ სახალხო გამოკითხვამ გამოკვეთა იქაურთა კატეგორიული ნება – არა ხოლო ინგლისში, საერთოდ ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე აკრძალეს ანალოგიური რელიგიური ნაგებობის აშენება, თანამედროვე ამერიკელ თუ ევროპელ „დემოკრატიაგანი” რატომ არავინ ატენა განვაში. იქნებ, იმ ქვეყნებში არ არის დემოკრატია?

პატივმოყვარეობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ არ გაგიგიათ, ერთი გრამი ბაჯაღლო ასგზის მმიმე უანგიან ლითონზე ძვირად ფასობსო?..

და კიდევ გიმეორებთ: რომ გაპკივით, პოლიტიკური ნიშნით იჭერენ ხალხსო, გვაცალეთ, ბატონებო! უფრო სწორად, ჩვენ კი არა, სასამართლოს აცალეთ!

ჯერ ხომ არც ერთი დაკავებულის ორთვანი წინასწარი პატიმრობის ვადაც არ გასულა, რა დროის განმავლობაშიც გამოძიებამ საქმარისი უტყუარი სამხილები უნდა დადოს?!

ესეც არ იყოს, რობერტ კენედის მკვლელობიდან ლამის



ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ფაქტი ხომ ჯერაც არ არის საბოლოოდ და დამაჯერებლად გამოძიებული.

ჰოდა, ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურებისგან, რომელთა რიგებში, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერაც საქმაოზე მეტად არიან სააკაშვილის რეჟიმის მხარ-დამჭერნი, თვენახევარში რად ელით სასწაულებს?!

ამიტომაც გვაცალეთ, ბატონებო“...

რელიგიურ თემასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ერთი თვალსაჩინო მაგალითი: დიდი სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლის – შერიფ ხიმშიაშვილისა, რომელმაც 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, სადაც თურქები დამ-არცხდნენ და საქართველომ ოსმალოს ცეცხლითა და მახ-ვილით წარმეული ქრისტიანობა დაიბრუნა, შერიფი პეტერ-ბურგში რუსეთის იმპერატორმა – ალექსანდრემ მონათლა, მოინათლა ასევე მისი ორი ვაჟიშვილიც. შერიფმა კარგად იცოდა, რომ ეს მისი არჩევანი ერთად-ერთი სამართლიანი და სწორი გზა იყო!

ამ რელიგიულ თემას მინდა ჩემი პატარა ლექსით უპა-სუხო:

### რად განუდექი წინაპართ?!..

მტერი ვერაგი როცა ჯვარს  
არბევდა ქუთხე აჭარას,  
აჭარელ ნენემ იმ რთულ უამს  
ჩუმად ის გულით ატარა.

კერიას პირას ბუხართან  
ის ჯვრიან ჭადსაც აკრავდა,  
და პირმშოს შობილს თავისას  
ქართული ენით ნათლავდა.



## პირადულობები

საქართველოში პირველად  
ჯვარმა – აჭარა მონათლა,  
შენ კი რა ღმერთი გაგიწყრა,  
აზრები ვინ მოგიწამლა?!

მამა-პაპათა ძირველ კვალს  
ნუ შეურყიე ადათი,  
გონის მოღი, უკვდავ დიდ ნენეს  
ნუ დაუკარგე ამაგი!

ფრიად არანაკლებ მნიშვნელობისა გახლავთ ამავე გაზე-  
თის უურნალისტ ზურაბ აბრალავას სტატია: „მომაკვდავი  
ყვარყვარიზმი – 1 ოქტომბერი გამოცხადდეს ერთს, რწმენის  
და ღირსების გადარჩენის დღედ! – ახალ ხელისუფლებას  
აქვს მაგალითი, როგორი არ უნდა იყოს პრეზიდენტი, პარლა-  
მენტი, მთავრობა, სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია და  
ა.შ. ახლა ჯერი ახლებზეა, სწორი გზით წაიყვანეთ ქვეყანა!

20 წელი სულ შეცდომებით ვიარეთ. ეს არის გზა, უკან  
მოხედვის რომ გეშინია კაცს: რევოლუციები, ხელისუფლებაში  
ქუჩიდან დროშის ფრიალით მოსული ადამიანები, ჩამოგდე-  
ბული და ჩამოსაგდები პრეზიდენტები, ყველაფერი ეს იმაზე  
მიგვანიშნებს, რომ ჩენში პოლიტიკური და სახელმწიფო  
მმართველობის კულტურა თითქმის არ არსებობს. მხოლოდ  
უკიდურესად ცუდი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაა  
რევოლუციური აღტკინების დეტონატორი, რომელიც არ  
იძლევა ნორმალური არჩევანის საშუალებას.

ვითარება, რომელიც ბოლო დროს ქვეყანაში შეიქმნა,  
შეიძლება ერთი წინადადებით შეფასდეს – მან დაკარგა  
ადამიანი, ყველაფერმა მიიღო ფასადური სახე – დემოკრატია,  
ეკონომიკა, კულტურა. გზები, რესტორნები, კაზინოები, სასტ-  
უმროები და შადრევნები მდიდრული ცხოვრების მხოლოდ



## პირადობის

იმიტაციას ქმნიდა, ადამიანებს კი უკიდურესად უჭირდათ უქონელი კაცი ვერ იქნება ლაღი და თავისუფალი, მაგრამ ეს კიდევ მოსათმენია იმასთან შედარებით, რაც ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში ჩამოყალიბდა – შიში, ტერორი, დაჭერები, ქონების წარმევა. ხელისუფლება ხალხს უყურებდა, როგორც ჩაგვრის ობიექტს. დაიწყო შეტევა ეკლესიაზე, რწმენაზე, ქვეყანამ დაკარგა ღირსება, თითქოს, ეკლესიებს აშენებდნენ, მაგრამ პარალელურად, გარევნილების პროპაგანდით ანგრევდნენ რწმენას, წაგებულ ომზე მიღიონებად ღირებულ ფილმს იღებდნენ და თავს გამარჯვებულად წარმოაჩენდნენ... მოკლედ, დაუმსახურებელი ბედნიერებით ტკბებოდნენ ხელისუფალნი და მათი ქვეშვრიდომნი. საქართველოს მოსახლეობა რამდენიმე პარამეტრით საფრთხის წინაშე დადგა – უკიდურესი სიღარიბე, ფიზიკური განადგურება, დემოგრაფიული საშიშროება, მონის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება, რწმენის – ღმერთის დაკარგვა. ერთ ზოგადად სტრესის ქვეშ აღმოჩნდა. უიმედობამ და შიშმა მოიცვა ადამიანები. ამ ვითარებაში ხელისუფლებას და ფსევდოპოპულარიზაციას დემოკრატიულ და ეროვნულ პრინციპებზე სახელმწიფო მშენებლობა არ აინტერესებდა. არ წყდებოდა ტყუილის ნაკადი - პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობით, ეკონომიკური ზრდის ტემპებით, დემოკრატიით და ა.შ. ტელევიზიები ვირტუალურ, არარეალურ სამყაროს ქმნიდნენ – „ცხოვრება საამურია“. ამ დროს ქართველობა, განსაკუთრებით ქალები, რომელთაც ვერ მოვუარეთ, გარბოდნენ თურქეთსა თუ საბერძნეთში მოსამსახურებ, ქვეყანაში ისეთი ატმოსფერო შეიქმნა „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!“

მე სოციალიზმის ნოსტალგია არა მაქს, არც მაშინ ვყოფილვარ დიდად დაღხენილი, მაგრამ კაცობა და დანდობა

მაინც იყო. ახლა ჭკვიანი და განათლებული კაცი შშიერი დარჩა და ვიღაც ჯიპებით იწონებს თავს, რაღაცას იღეჭება თუ იცოხნება და გულს გირევს მისი ვითომ მედიდური სახე – აი, შენი ფულით გაყეყეჩებული ქართველები. თუ ფულს არ მოერიე, დაგიმონებს და ადამიანურ სახეს დაგაკარგვინებს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიმდიდრის წინააღმდეგი ვარ. დიდი ვაჟა იტყოდა: „ჩვენი უბედურება ის არის, ცოტანი გვყვანან მდიდრებით”, აქ მეცენატებს, სახელმწიფო კაცებს გულისხმობდა, იგი იმას იტყოდა „ბედნიერი ვარ მაშინა, როცა ვიტანჯვი სხვისთვინა”. სად ნახავთ ახლა ასეთ კაცს?! პირიქით, ესენი ხალხის უბედურებით ტკბებიან, ღარიბები ხომ უფრო იოლი სამართავია.

სამწუხაროდ, ერის ფიზიკური თუ სულიერი მკვლელი ისევ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება გამოდგა და ეს დაადასტურა ბოლო მოვლენებმა, როცა არჩევნების შეძლება ბევრი გაიქცა ქვეყნიდან, ბევრს კი ისეთი ბრალდებები წაუყენეს, სინანული გეუფლება შენი არჩევანის გამო. ამ არჩევნებს მარტო ეს ხელისუფლება არ დაუმარცხებია, მისი ლობისტებიც დამარცხდნენ და წუხან, რომ ვერ გააგრძელებენ საქართველოს ეკონომიკური და სულიერი გაღატაკების პროცესს (გზები და რესტორნები, კაზინოები და ა.შ. არ ნიშნავს, რომ კარგად ცხოვრობს ქართველი ხალხი, რომელსაც უკელაფერი წაართვეს, კერძო თუ სახელმწიფო ქონების სახით). უცხოელებს მიაჩნიათ, რომ ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ, არადა აშშ-ის ისტორიის მქონე ასაკის ხე გვიღვას ეზოში.

უბედურებაა, როცა ვიღაც ოკეანისგაღმელი იხედება შენს ოჯახში...

ეს არჩევნები არ ყოფილა მარტო სოციალური პროტესტი, ეს ქვეყნის გადარჩენის დიდგორი იყო!



...და მაინც, რას გადაურჩა ქვეყნა.

ქვეყანას მოსცილდა მოდელირებული მჩაგვრელი ხელისუფლება – ახალი ბატონები, რომლის მსგავსი საქართველოს, ალბათ, არ ჰყოლია და მსგავსი რამ არც არასოდეს შემობრუნდება. შეწყდა სულიერი ინკვიზიცია, თავმოყვარეობა, ღირსება გადარჩა. რაც მთავარია, ჩვენი ერი არ იქნება ვიღაცის მოსამსახურე ერი. არც სხვის ქვეყნებში დავდგებით მოსამსახურედ, არ მოგვიწყობენ 7 ნოემბერს და 26 მაისს, არ გვცემენ, არ გაგვწირავენ სასიკვდილოდ განსხვავებული აზრისათვის, ციხეში არ გვაწამებენ და არ შეურაცხვყოფენ თანამემამულებს, არ მოგვისპობენ გენოფონდს, ყვარყვარესავით არ გადაავსებენ ციხეებს ნულოვანი ტოლერანტობის საბაბით ახალგაზრდებს ქუჩაში არ ჩახოცავენ, სასამართლო და პროკურატურა აღარ იქნება შურისძიების ორგანოები, ხელისუფლების დაკვეთის აღმსრულებელი რამდენიმე კაცის ხელში არ იქნება ქვეყნის ქონება, აღარ გაგრძელდება უაზრო მშენებლობები, აღარ ჩაიყრება მილიონები კონცერტებში, როცა ხალხს შია და წყურია, ფრთები შეეგვეცება პრეზიდენტის ფრენას ყველა პარამეტრით, აღარ გაიმართება მთავრობის სხდომები ზღვის, ტბის და ზვრების ფონზე, არ იქნება საჩვენებელი ტრაქტორები, იმიტაციური ხენა-თესვა, საწარმოების გახსნა და ა.შ. აღარ დაანგრევენ ეკლესიებს, ვერავინ გაბედავს ზეწოლას პატრიარქზე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საარჩევნო პროცესების მშვიდობანად დასრულებისათვის.

აღდგება საწარმოები, აღორძინდება სოფელი და აღარ იქნება კითხვა – გადავრჩებით? გვეყოლება ქართველი მათხოვრები, არ ჩარეცხავენ 40 წელს გადაცილებულებს, ქართველი ხალხი არ იქნება გამოყენებული საექსპერიმენტოდ უაზრო რეფორმებში... გადარჩა რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი – ჩვენი სულიერების ნაწილი.



## გიგანტები

პარლამენტში აღარ გვეყოლებიან კანონიერი ქურდება რაზეც ასე აპელირებდნენ თავად, რომ მოსპეს დამნაშავეთა სამყარო, მაშინ, როდესაც ამდენი სისხლის სამართლის საქმეა მთავრობის წევრებზე აღძრული. რას მოუტანდა ქვეყანას ამათი მმართველობის გაგრძელება?!

ქვეყანაში დიდი მოლოდინია გარდატეხის და ახალი სახელმწიფოს მშენებლობის. ჩნდება სამართლიანობის განცდა, ბიზნესი განთავისუფლდება რეკეტისგან, ადამიანებს სჯერათ, რომ სულ სხვა მთავრობა მოვიდა, უფრო ადამიანური, თანამგრძნობი... აღარ იქნება შეური, მტრობა, ზიზღი, არ იქნება უაზრო დაპირისპირება, რამეთუ სამშობლო ერთია!

აი, რას გადაურჩა ქვეყანა და რისი მოლოდინი აქვს ხალხს, მაგრამ ხომ უნდა დაისაჯოს ისინი ვინც ამ დღემდე მიგვიყვნა და გვაწამა?! ხომ უნდა იცოდეს ქვეყანამ, ვინ რას აკეთებდა, როგორ ანადგურებდა და ტანჯავდა ხალხს. პოლიტიკური დევნის საბასს ამოფარებულები ცდილობენ დაფარონ დანაშაული. ამათ პოლიტიკური დევნა კი არა, სახალხო დევნა უნდა გამოუცხადო, მათ უკან უნდა დააბრუნებინო ის მილიონები და მილიარდები, რაც ხალხს წაართვეს. რომ არა შიში და გაყალბება, არჩევნებში იმ ხმასაც ვერ მიიღებდნენ ნაციონალები, რაც ვითომ მიიღეს. დავიჯერო, ისე გაბრიყვდა სამეცნიერო, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერ კაცს – ირაკლი ალასანიას პროკურორი ახალია არჩია და მხარი დაუჭირა იმ უბედურებას, რომელშიც იმყოფებიან?

ფაქტი ერთია, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ამ ბრძოლას ჩვენ ვერ მოვიგებდით. რამდენი რამ აქვს გაკეთებული ქვეყნისათვის, ვიდრე პოლიტიკაში მოვიდოდა – 3 მილიარდის ქველმოქმედება! მსგავსი რამ, ალბათ, იშვიათია მსოფლიოში. იგი ახლაც მზადაა ქვეყნის გადასარჩენად თავისი ფინანსური სახსრები გაიღოს. მას აქეთ მოაქვს, ამათ კი იქთ მიჰქონ-



დათ მუდამ და კიდევ არ ისვენებენ – ოპოზიცია ვართო პოლიტიკური ოპონენტები ვართო, სადაა დაპირებული განახევრებული ტარიფებიო და ა.შ. ძალზე ძნელია ამათ მიერ წლების მანძილზე დაქცეულ ქვეყანას და გაუკეთებელ საქმეებს, ამდენ დაგროვილ პრობლემებს ერთ თვეში ან გინდა, ერთ წელიწადში უშველო. ბიძინა ივანიშვილს შეეძლო განზე გამდგარიყო, მაგრამ საბედნიეროდ, ქართველებს გაჭირვების უამს ღმერთი ყოველთვის მოუკლენდა ხოლმე მხსნელს! ამჯერადაც გადაგვარჩინა!

საქართველოს მოსახლეობას აწუხებს კითხვები: რა გზას დაადგება ქვეყანა, რა მიზანს დაუსახავს ერს ახალი ზელისუფლება, განთავისუფლდება თუ არა ყელაფერი იმისგან, რამაც ეკონომიკური და სულიერი მდგომარეობის სტაგნაციამდე მიგვიყვანა, იქნება თუ არა პრიორიტეტული დემოკრატიულ და ეროვნულ პრინციპებზე სახელმწიფოს მშენებლობა და ა.შ.

მინდა დავიჯერო, რომ ეს კითხვები მაღლე აღარ იარსებებს. ჩვენ იმედით კუხოვრობთ, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იგი, თორემ ოცნებადაკარგული ხალხი ქვეყანას ვერ აშენებს!“

გაზეთების სტატიები და სხვადასხვა რესპონდენტები იმიტომ მოვიყენე, რათა გამომქატა საქართველოს მოსახლეობის მაჯისცემა და გულის ტკივილი, და კიდევ იმიტომ რომ, გაჭირვებულ ხალხს ხელი არ მიუწვდებოდათ უკრნალგაზეთების შესაძენად, და თანაც ჩემი სუბიექტური აზრის გარდა სხვებიც ამოვიყენე გვერდით, რომელმაც ჩემი აზრით ნაშრომი უფრო დამაჯერებელი გახადა, როგორც ზემოთ ავღნიშნე, გაზეთი რამდენიმე დღეს ცხოვრობს, ხოლო წიგნს თაროზე შემოდის და ის მუდამ შენთანაა...

ვაგრძელებ რა სტატიების მოწოდებას, გთავაზობთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მორიგ სტატიას: „კართაგენი

## გიგანტები

უნდა დაინგრეს!“ შეკითხვა მთავარ პროკურორს ვრცელდა კომენტარით.

უამრავი საჩივარი შედის პროკურატურაში, ცხადია, ზღვა სამუშაო აქვთ გამომძიებლებს, ბატონი არჩილ კბილაშვილი და მოკლე დროში დიდი პატივისცემის მომზვეჭი ქალბატონი თეა წულუკიანი მაქსიმალურად ცდილობენ, ისე წარმართონ პროცესები სამართლებრივ ჩარჩოებში, რომ ჩასაფრებული ნაცებიდან არავის არ მიეცეს შემოდავების საბაბი. მიუხედავად ამისა, მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც უკმაყოფილოა პროკურატურის მუშაობის ნელი ტემპით, ნაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურების დაკავებით და შედარებით მსუბუქი ბრალდებების წაყენებით, გაოცებულია მთავარი დამნაშავეების (ხალხის თვალში!) გარეთ, თავისუფლებაზე ყოფნით (ხელისუფლების ხელში აღებიდან ერთი თვის თავზე!), და განსაკუთრებით აღშფოთებულია ბევრი მათგანის ამორალურ-ცინიკური განცხადებებით, რაც კიდევ უფრო მწვავედ აყენებს დღის წესრიგში მათთვის დროულად თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნას.

ცხრა წლის მანძილზე უფლებებგათელილი მოსახლეობის სურვილი მართლმსაჯულების სწრაფი აღსრულებისა, ერის და სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის დამნაშავეების ხმის ჩაგდებისა და მათი გისოსებს მიღმა ხილვისა, გასაგებია, თუმცა, ჩვენი მომთმენი ერი, იმავდროულად, იმასაც აცნობიერებს, რომ ძველი ხელისუფლების გამოძიების მეთოდები არ უნდა იქნეს გამოყენებული და წაყენებული ბრალდებები უტყუარ სამხილებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ამავე დროს, არსებობს ზოგიერთი ისეთი დანაშაული, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არც გამოძიება სჭირდება, არც მოწმე, არც სამხილი, და არც – პროკურატურაში სარჩელის შეტანა, საქმის დაუყოვნებლივ აღძვრა თავად პროკურატურის პრეროგატივა.



## გიგანტები

ის, რაც საქართველოში მოხდა 1 ოქტომბრის აღჩევნების(!) შემდეგ, მსგავსი დეზერტირობის პრეცედენტი – თითქმის ერთდღოული გაქცევა თავდაცვის მინისტრის და მისი მოადგილისა, იუსტიციის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის და მთავარი პროკურორისა (წვრილფეხობას ვინდა თვლის), მსოფლიომ არ იცის! მართალია, ეს ნაცეპტის ხელისუფლების სირცხვილია დიდწილად, მაგრამ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმების ოპერატორულად არაღძვრა უკვე ახალი ხელისუფლების სირცხვილია (ოპერატორულობას ვინ ჩივის, საერთოდ არაა აღძრული!).

კონკრეტულად, მე მხოლოდ ერთ შემთხვევაზე შევჩერდები. ყველამ, სამხედრომაც და არასამხედრომაც, კარგად ვიცით, რომ თუ ჯარისკაცი მისთვის მინდობილ პოსტს თვითნებურად მიატოვებს, იგი მკაცრად დაისჯება, ომის დროს კი - დაიხვრიტება, ხშირად ადგილზეც, ყოველგვარი სამხედრო ტრიბუნალის გარეშე. თუკი თავდაცვის მინისტრი ან მისი მოადგილე, ან ორივენი ერთად მიატოვებებ!(!) მათთვის მინდობილ უაღრესად საპასუხისმგებლო 1 პოსტს, რასაც ქვეყნის უსაფრთხოება ჰქვია და, რისი შედარებაც(!) კი არ შეიძლება ჯარისკაცის პოსტთან, ასეთ შემთხვევაში, პროკურატურა ვალდებულია(!), დაუყოვნებლივ აღძრას საქმე დეზერტირობის მუხლით. რატომ არ არის გამოცხადებული ინტერპოლის ხაზით შაშქინ-ახალაიას (დათა) ძებნა (ახლახან ახალაიასთვის წაყენებული ბრალდება აბსოლუტურად სხვა კატეგორიისაა)!? ძებნაც რა საჭიროა, როცა შაშქინის ზუსტი ადგილ-სამყოფელი ცნობილია, უურნალისტმა ხომ ინტერვიუც აიღო, ამერიკის შტატი და მისამართიც გვამცნო და საცხოვრებელი შენობის ფოტოც მოგვაწოდა! იმიტომ, რომ ამერიკამ შეიფარა. იქნებ, მხოლოდ მათი ნებაყოფლობით ჩამოსვლის შემთხვევაში (ბაზო ახალაიას ანალოგიურად), მიიღებს ზომებს პროკურატურა. ისე, ჯერ კიდევ საკითხავია, იყო კი გასული საქართ-

## პილიტიკა

ველოდან ბაჩო, თუ სამეცნიეროში იმაღლებოდა თავის მმასთან ერთად. რატომ არაფერს გვეუბნებიან, თუ სად იყო იგი და საიდან შემოვიდა (თუ შემოვიდა, საერთოდ!) საქართველოში. დავიჯეროთ, გასვლა-შემოსვლის შტამპი არსად არ ჩაურტყეს პასპორტში, არც სარფში და არც – სხვაგან. იქნებ, დათაც სამეცნიეროშია და არც ინტერპოლია საჭირო. ინფორმაციას ძმების ადგილსამყოფელის თაობაზე ხომ კარგა ხნის წინათ გვაწვდიდა კახა მიქაია ზუგდიდიდან?! ამ ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ დათას გარჩევა ბაჩოსგან ჩვენ გვიჭირს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოეთში ბაჩოს საძებნელად ამხედრებულ ჩეჩენ-ქისტ-ქართველებს როგორ გაუმნელდებათ მისი ამოცნობა, სულ ადვილადაა შესაძლებელი ბაჩოს ნაცვლად დათა გამოასალმონ სიცოცხლეს და, როგორ გვონიათ, მშები ახალაიერი ამ საშიშროებას ვერ აცნობიერებენ?! ნუ ჩავთვლით მათ მთლად უტვინოებად!

სულ ფრთხიანი აზგელოზები რომ იყვნენ შაშქინი და ახალაია (დათა) და არავითარი დანაშაული არ ჰქონდეთ ჩადენილი (რომ არ ჰქონდეთ, არც გაიქცეოდნენ!), დეზერტირობა მათ არაფრით არ ეპატიებათ! მარტო ამისთვის უნდა დაისაჯონ ისინი უმკაცრესად! შაშქინის უსუსური თავის მართლება - ოჯახს ემუქრებოდნენ და იმიტომ წავედიო, 100-პროცენტიანი სიმართლეც რომ იყოს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ დავუშვებთ (თეორიულად, ცხადია!) რომ ოჯახის დაცვა მართლაც არ ხერხდებოდა არასგზით, ბოლო-ბოლო, ცოლ-შვილი გაეწვა ამერიკაში, თორებ სად გაგონილა ამ „მიზეზით“ რომელიმე თავდაცვის მინისტრი პოსტს ტოვებდეს და უკანმოუხედავად, „ღლონტის ღორივით“ გარბოდეს ქვეყნიდან. იმდენი ჰქუაც არა აქვს ყოფილ განათლების(!) მინისტრს, რომ საერთოდ გაჩუმდეს და სისულელები არ წამოროშოს!

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას შეფარებული პყავს დეზერტირი(!) თავდაცვის მინისტრი, ის უხერხულობას კი



არ გრძნობს, პირიქით, აქეთ გვამუნათებს „ნატოს” პირით-კეთილი ინებეთ და მორჩით მინისტრების დაჭრებსო, თუ არ გინდათ პოლიტიკური ოპონენტების დევნაში ჩაგითვალოთო! „ნატოს” გენერალური მდივნის – რასმუსენის, ევროპარლამენტის ამჟამინდელი პრეზიდენტის – შელცის, „ნატოს” საპარლამენტო ასამბლეის და სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ფილიპ გორდონის კრიტიკულ გამონათქვამებს – ჩვენს საშინაო საქმეებში დიპლომატიური ენით ჩარევას, უამრავი საპასუხო გამოხმაურება მოჰყვა ფეისბუქზე თუ ჩვენს პრესატელევიზიაში, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდები, სათქმელი ითქვა და შესატყვისი შედარებებიც გაკეთდა (ნიურნბერგის პროცესთან, უოტერგეიტთან).

მე შევჩერდები მხოლოდ **გორდონის** სიტყვებზე, რადგანაც ჩემი პასუხი საკმაოდ განსხვავებულია ხელისუფლების მიერ გაკეთებული პასუხისაგან, როცა „შერჩევითი სამართლის” დაუშვებლობაზე გვმოძლვრავს გორდონი, რას გულისხმობს იმას, რომ არ უნდა მოხდეს პოლიტიკური ნიშნით შერჩევა, თუმცა, ცხადია(!), სხვა სიტყვებით იმასაც გასაგებად გვეუბნება, რომ არ უნდა მოხდეს დამარცხებული ნაცმოძრაობის ლიდერების დაპატიმრება-გასამართლება. ახალი ხელისუფლების აუდილვებელი პასუხი, ანუ ამერიკა-, „ნატო”-ევროპარლამენტისთვის მიცემული პირობა იმის თაობაზე, რომ შერჩევითი სამართალი არ იქნება, ერთი შეხედვით, სავსებით კორექტული და მისაღებია ყველას-თვის, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი დაზუსტებას მოითხოვს. ამერიკა-ევროპას არავინ არ ეუბნება პირდაპირ, რომ ეს შეუძლებელია, რომ დღევანდელ საქართველოში სწორედ შერჩევითი სამართალი იქნება კარგა ხანს, ეს გარდაუვალია! რატომ?! ახლავე მოგახსენებთ!

ყველამ, ვინც კი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალს ვაღევნებთ უკანასკნელი ხუთი წელი მაინც, კარ-



## პირადულობები

გად ვიცით (და ეს არანაკლებად, თუ უკეთესად არა, იციან ამერიკა-ევროპაშიც!), რომ აბსოლუტურად(!) ყველა თანამდებობა საქართველოში, პრეზიდენტიდან დაწყებული სოფლის გამგებლამდე, მხოლოდ და მხოლოდ ნაცმოძრაობის წევრებს, აქტივისტებს და მის აშკარა მხარდამჭერებს ეკავათ (და დღესაც უკავიათ ბევრ რაიონში, მერიაში, სასამართლოებში). ოპოზიციურად მოაზროვნებს არათუ თანამდებობებზე არ ნიშნავდნენ, არამედ 100-200-ლარიანი სამსახურებიდანაც ათავისუფლებდნენ, თუკი ისინი ნაცების პოლიტიკის მიმართ თავიანთ უქმბაყოფილებას ხმამაღლა გამოოქვამდნენ, ან სულაც, თუ ოპოზიციის მიტინგზე დალანდავდნენ მათ! განსაკუთრებით აქტიურებს კი, სამსახურის დაკარგვას ვინ დაეძებს, თავისუფლებასაც აკარგვინებდნენ იარაღ-ნარკოტიკების ჩადებით ან მოგონილი „პოლიციისთვის გაწეული წინააღმდეგობის” ბრალდებით.

რაც შეეხება დადასტურებულად ჩადენილ დანაშაულს, ამისთვისაც, როგორც წესი, ძირითადად ისჯებოდნენ ოპოზიციაში მყოფნი და არა – ნაცების მხარდამჭერნი და, რაღა თქმა უნდა, არავინ არ ისჯებოდა ნაცების ელიტიდან. მათი რიგებიდან მხოლოდ მაშინ უსწორდებოდნენ ვინმეს, თუ იგი ოპოზიციაში გადავიდოდა. ერთი სიტყვით, ნაცებიდან ციხეებში არავინ არ ხვდებოდა და, თუ ხვდებოდა (ასეთი სულ რამდენიმე კაცი იყო ამ ცხრა წლის მანძილზე, ძალიან გახმაურებულ მკვლელობებში მონაწილენი), სამუდამო პატიმრობის ნაცვლად რამდენიმე წელს უსჯიდნენ, თანაც არა „პარაშას-თან”, არამედ – რესტორნის მენიუს ქვენე სპეციამერებში.

რაც კი რამ გამოუძიებელ-დაუსჯელი(!) დანაშაულია ჩადენილი საქართველოში, ყველა ჩადენილია ნაცმოძრაობაში გაერთიანებული პირების მიერ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სწორედ ამ დამნაშავე ნაცმოძრაობის საქმეები უნდა იქნას გამომზეურებული, სხვა, ფაქტობრივად, არც არსებობს!



## გიბლითება

არ არსებობს უბრალო მიზეზის გამო – ყველა სხვა დამნაშავე გასამართლებული და უმკაცრესად დასჯილია. ამაზე მეტყველებს პატიმართა გაუგონარი რაოდენობაც ჩვენს ციხებში და ასევე უზარმაზარი არმია იმ პირებისა, რომლებმაც საპროცესო გარიგებებით დააღწიეს თავი საპყრობილებში არსებულ ჯოჯოხეთურ პირობებს. იქ, სადაც პირველივე(!) დანაშაულზე – ერთი ფიცრის, ქვაბის, მობილურის, საბურავის, ძეხვის, პურის, 15 ლარის ნიგვზის ან 40 ლარის ჯართის მოპარვისთვის რამდენიმე წლიდან 11 წლამდე უსჯიდნენ, როგორ გგონიათ, იქ დაუსჯელი ვინმე დარჩებოდა?! ცხადია, არავინ! თანამდებობებზე თბილად მოკალათებული ნაცების გარდა!

ასე რომ, გვინდა თუ არ გვინდა (ძალიანაც გვინდა!), გამოსაძიებელი მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავე ნაცების მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონია“! უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევა რომ არ დამწამონ „კანონმორჩილმა“ ნაცებმა, ამიტომ ზოგადი მნიშვნელობის სიტყვის – „დამნაშავის“ ნაცვლად, ზუსტ შესატყვის და ფაქტებით დადასტურებულ სახელებს ვიხმარ. ნაცები, თითქმის ყველანი, უნდა გასამართლდნენ როგორც: მკვლელები – გასამართლების გარეშე ასობით ადამიანის ჩახოცვისთვის და მოწამვლისთვის (ქუჩებში, ოჯახებში, პოლიციაში, ციხეებში), საღისტები – ათასობით ადამიანის წამებისთვის (პოლიცია-ციხეებში მათთვის ჭრილობების, დამწვრობების, მოტეხილობების მიყენების და დაუნდობელი ცემისთვის; დადასტურებული მოწმეების ჩვენებით, სხეულზე დარჩენილი წამების წარუშლელი კვალით და დოკუმენტური ვიდეოკადრებით), ყაჩაღები – ათასობით ადამიანის ქონების მიმტაცებლები (ძალით, „ჩუქების“ გზით მიწების, ბიზნესის წამგლევები, საპროცესო გარიგებების და უკანონო ჯარიმების გზით მილიონების გამომძალველები; დოკუმენტურად დადასტურებულია და აღმრული საქმეების



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

რაოდენობით), ხაზინის ქურდები (ბიუჯეტის, გაღატაკებული ხალხის გადასახადების ხარჯზე მოგზაურობებისთვის, კაზი-ნო-სტრიპტიზ-კლუბებში მოგრიალენი; რაც დოკუმენტურად დადასტურებული), სახელმწიფოს და ხალხის მოღალატენი (საომარი მოქმედებების ზონაში ჩატოვებული მშვიდობიანი მოსახლეობის სასიკვდილოდ გაწირვისთვის, ჯარისკაცების – ცოცხალის და დაღუპულის მიტოვებისთვის, ორდღიან ომში უამრავი ამოუცნობი ცხედრისთვის, 20 (ტერიტორიის და-კარგვისთვის, პატიოსანი სამხედრო ოუ სამოქალაქო პირების დასაპატიმრებლად შეთითხნილი ბინძური სცენარებისთვის – ამბოხის, შეთქმულების, ჯაშუშობის, დივერსიული და ტერ-ორისტული აქტების დაბრალებისთვის?!), სახელმწიფო ტერ-ორისთვის (მშვიდობიანი მომიტინგების, მოშიმშილე ვეტერ-ანების უპრეცედენტო სისხლიანი დარბევებისთვის, ქართული „უოტერგეიტებისთვის“, ტოტალური თვალთვალ-მოსმენებისთ-ვის და მოსახლეობაში საყოველთაო შიშის დათესვისთვის!). ყველაფერი ამის ჩამდენი ნაცმოძრაობის ზუსტი სახელია დამნაშავე(!), სასამართლომ მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე უნდა განსაზღვროს, თანაც არა მარტო ბრძანების გამცე-მი პირველი პირების (უპირველესად!) და შემსრულებლების, არამედ – ნაცმოძრაობისა საერთოდ! დამნაშავეა ყველა – როგორც ნაცმოძრაობის აქტიური ნაწილი, ისე მისი პასი-ური ფრთაც. ლამის დამლაგებლები დაადანაშაულეს ციხის კადრების შემდეგ, ხმას რატომ არ იღებდნენო და, ნაცმოძრაო-ბის გატრუნული მინისტრ-დეპუტატები, აქოდა, ჩვენ არაფერ-ში არ ვართ გასვრილი, უდანაშაულონი არიან. პასუხი მა-თაც უნდა აგონ დანაშაულის დაფარვისთვის!

აი, ყოველივე ზემოთქმულის გამო, ერთი დიდი, ნაცობრაობად წოდებული ორგანიზაციის მიერ ჩადენილი ათასობით(!) დანაშაულის გამო იქნება სამართალი შერჩევით, და არა რამე სხვა მიზეზის გამო!



მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში განსაკუთრებულ ზიზღს იწვევს ნაცეპის „მოლაპარაკე სახეების“ გამომწვევი ქცევა და უტიფარი გამოსვლები. რისი იმედი აქვთ ასე დიდგულზე რომ არიან. მათი გათვლა, ჩემი აზრით, მარტივია: ნაცეპი ფიქრობენ და, არცთუ უსაფუძლოდ(!), რომ ათასობით(!) დანაშაულის გამოძიების ანალოგი პრეცედენტი მსოფლიოში არ ყოფილა და, რომ ამერიკის გამოზრდილ-შერჩეული პრეზიდენტ-მინისტრების და სხვა მაღალჩინოსნების დაპატიმრებას თავად ამერიკა არ დაუშვებს, არ დაუშვებს არსად მსოფლიოში და, მით უფრო, მის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ, რეგიონში) და ყველაზე გაპიარებული პრეზიდენტის ქვეყანაში, ეს ხომ მისი სირცევილიც იქნება! დიდი-დიდი, რამდენიმე მაღალჩინოსანი და რამდენიმე ათეული დაბალჩინოსანი გასწირონ.

გამორიცხულია მოვლენების ასეთნაირი განვითარება?! სრულებითაც არა! ყველა დამნაშავის დაპატიმრება კი არა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ოპერატიულად გამოეხმაურნენ და რა „გენიალური“ ფრაზით („ჩვენთან მინისტრებს არ იჭერენ“, 1 დამნაშავე-შეშსრულებლის – ბაჩო ახალაიას დაკავებას, ეს ძალიანაც ადვილი დასაშვებია!

ბევრისთვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ უფრო მეტს ბუნებრივი კითხვა ებადება: რატომ იცავს ასე თავგამოდებით დასავლეთი სააკაშვილს და მის ხელისუფლებას. „ვარდების რევოლუციიდან“ დაწყებული არჩევნების ბოლო წუთამდე(!), ხაშურის ცნობილ ინციდენტამდე (ანუ სანამ მთელმა მსოფლიომ არ იხილა შეიარაღებული ნიღბოსნების და პოლიციელების მიერ საარჩევნო ბიულეტენების გატაცება!), ამერიკა აშკარად აფარებდა ხელს მათ. ეს არც იყო დამალული – მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველოში გამეფებული უსამართლობის, სისხლიანი დარბევების, წამება-მკვლელობების და პოლიტიკური დევნის მიუხედავად, მხოლოდ ცარიელი

## პირადულობები

სიტყვები – „შეშფოთებები“ გვესმოდა კანტი-კუნტად, მეტი არაფერი!

მოუხედავად იმისა, რომ სწორედ ამერიკამ გადაგვარჩინა ხაშურის სცენარის გავრცელებისა და კიდევ უფრო საშიში დაპირისპირებისაგან, ხელის დაფარება დღესაც იგრძნობა, სამართლიანობის აღდგენის ნიშნების გამოჩენისთანავე ყველამ ერთად დაგვიწყო რჩევა-მითითებების მოცემა. ცხრა წელი კრიმინალზე ხუჭავდნენ თვალს და ახლა სამუდამო პატიმრობის ღირსი დამნაშავეების დაკავებას რამდენიმე დღეში ეხმაურებიან დიპლომატიური თითოს ქნევით! უცნაურია! ვინც ამერიკის გლობალურ ინტერესებს იცნობს, მისთვის არც არაფერია უცნაური! უცნაური უფრო ის უნდა იყოს, თუ რატომ არ უჭერს ამერიკა აშკარად მხარს ახალ ხელისუფლებას, როგორც ძველს – ნაცებისას. ახალი ხელისუფლება, რომელიც არჩევნებით მოვიდა, საგარეო პოლიტიკას ხომ იოტის ოდენადაც არ ცვლის(!), იგი ხომ მხოლოდ იმით განსხვავდება ძველი ხელისუფლებისაგან, რომ ქვეყნაში სამართლის დამყარება შეჭირვებული ხალხისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა სურს!

ძაღლის თავი და ყველაფერზე პასუხიც აქ არის დამარხული! ამერიკას სწორედ ეს არ აძლევს ხელს, მან შესანიშნავად იცის, რომ წელგამართული და სამართალს შეჩვეული ხალხის სახელმწიფოს (ხელისუფლების!) მართვა თავის ჭკუაზე მას გაცილებით გაუმნელდება, ვიდრე – დაბეჩავებულ-დაშინებული ხალხისა. თუმცა, არსებობს მეორე მიზეზიც ამერიკა-ევროპის მხრიდან ნაცების დაცვისა. ძალზე ძნელია მათი მხრიდან იმის აღიარება, რომ საქართველოს, თურმე, წლების მანძილზე მართავდა არა „კორუფციის აღმომფხვრელი“ ხელისუფლება, არა-ამედ – კრიმინალური ბანდა! ეს მართალია მნიშვნელოვანი არგუმენტია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც პირველი. ამას შედარებით ადვილად მოუძებნიდნენ ახსნას სურვილის შემთხვევაში.



იტყოდნენ, რომ სააკაშვილი და მისი წელისუფლება დასაწყისი ისში, კარგები იყვნენ, ისინი ძალაუფლებამ გარყვნაო! მაგრამ ეს უსუსური თავის მართლება იქნებოდა, რაღაც არც ბოლო წლებში შეწყვეტილა პოლიტიკურ-ფინანსური მხარდაჭერა სააკაშვილის ხელისუფლებისა, მაგრამ გულუბრყვილო ხალხს (და ასეთია უმრავლესობა!) მაინც დააჯერებდნენ. რომ აწყობდეთ, ასეც მოიქცეოდნენ და, მაშინ ახალი ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს – სამართლიანობის აღდგენის მცდელობას, მიესალმებოდნენ, ისე კი, ვერ გამიგია და ვერც ვერასოდეს გავიგებ აღბათ, რა ინტერესი უნდა გქონდეს ან რა მზე და მთვარე უნდა ამოვდიოდეს პრეზიდენტზე ისეთი, რომ მას და იმ წელისუფლებას დაუჭირო მხარი, რომლის სამი უპირველესი მნიშვნელობის მინისტრი (თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის) და მთავარი პროკურორი ქვეყნიდან გაქცეულია(!), გაქცეულია არა რევოლუციის, არა სამოქალაქო ომის პირობებში, არამედ – არჩევნების შემდეგ!

ჩვენ რა უნდა ვიღონოთ, როცა ძალა აღმართს ხნავს. თუკი დეზერტირი(!) მინისტრის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ ვერ ვიღებთ ხმას, რომ იგი ამერიკას ჰყავს შეფარუბული, თუ დამნაშავეზე დამნაშავეს ვერ ვიტყვით და ვერ გავტედავთ გასამართლებას „პოლიტიკური ოპონენტის“ დევნის იარღიყის მოკერების შიშით და, ერთი სიტყვით, თუ თავის დაღუნვაა მხოლოდ „გამოსავალი“, მაშინ რაღა შორეულ ამერიკას, ბარემ ერთმორწმუნე მეზობელ რუსეთს დავუღუნოთ, თავის დახრაც ნაკლებად დაგვჭირდება და – კისრის წაგრძელებაც, თან ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი – „შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველსო“.

რუსებთან ურთიერთობაში საკუთარი ინტერესების დაცვის მეთოდებიც საკმაოდ დაგხვეწეო 200 წლის მანძილზე (ეს არ გახლავთ ხელწამოსაკრავი არგუმენტი!), ენასაც უფრო ადვილად შევინარჩუნებთ და, ცხადია, რწმენასაც;



## გილეკიონი

მამულს, მის გამთლიანებას კი შხოლოდ და შხოლოდ(!) რუსეთან ურთიერთობის ნორმალიზებით თუ მივაღწევთ, შორეულ პერსექტივაში მაინც, და ვერასოდეს – რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯებით!

ფაქტია, რუსეთის 200-წლოვანი ბატონობის მანძილზე, მაინც შევინარჩუნეთ სახელმწიფო და ქართული სული. მართალია დღეს სულგაყიდული ხელისუფლების და სოკოებივით მომრავლებული ე.წ. არასამთავრობობის, ანუ ფინანსურად (უცხო!) მთავრობებზე დამოკიდებული ორგანიზაციების ხელით გვმართავენ, მაგრამ დროა გონის მოვიდეთ, თორებ ხომ ვხედავთ როგორ აფასებენ მოვლენებს – ტირანიაზე გვეუბნებიან – დემოკრატიას, ურცხვად გაყალბებულ არჩევნებზე (თანაც, ყველაზე!) – სანიმუშოს, დამნაშავეზე – პატიოსანს, სადისტზე და მკვლელზე – პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულს და, მეტი „უკეთესი“, ჩვენი გამოსაფხილებელი(!) რაღა უნდა გვითხრან.

ჩემი ვრცელი კომენტარის რაღაც ნაწილი, შესაძლოა, თემიდან გადახვევად მოეჩვენოს ზოგიერთს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის, ვინაიდან წერილის დასაწყისში თავდაცვის მინისტრის დექერტირობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაში და ამერიკა-ევროპის მაღალჩინოსნების მიერ პრაღა-ბრიუსელ-თბილისში ნოემბრის შუა რიცხვებში გაკეთებულ განცხადებებში კარგად ჩანს, თუ რა პრობლემების წინაშე ვდგავართ. ისიც ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, რომ დღეს უკან დახევა საქართველოს და ქართველი ხალხის დალატის ტოლფასი იქნება. თუ გამოცხადებული სამართლის დამყარების კურსიდან უკან დაგვახვინეს, არავითარი ეკონომიკური წარმატება არ გვიშველის. სამართალმა ყველას გულებში და ოჯახებში უნდა იზეიმოს! რევანშიზმი მაშინაა მიუღებელი, როცა ის უკანონო გზებით ხორციელდება, არჩევნებით რევანში და კანონით განხორციელებული სამარ-



თლიანი(!) ანგარიშით მისასალმებელია და აუცილებელიც (ყველაფერი ხომ ანგარიშითაა?! თუ სამართალმა პური არ ჭამა, ხვალ ისევ წამოყოფენ თავს ნაცები და, დიდი ალბათობით, უფრო მეტი სისასტიკით მოგვექცევიან.

ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საზოგადოების მეტი აქტიურობა, ბიძინა ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების არჩეული კურსის (სამართლებრივი კუთხით) მხარდაჭერა საჯაროდ და ხმამაღლა, რათა ყველამ - შინ და გარეთ დაინახოს და შეიგნოს, რომ უსამართლობას აღარ შევეგუებით!

ახალი ხელისუფლება, რომელსაც ძალაუფლება ჯერ კიდევ არა აქვს სრულად აღებული ხელში, ამ ეტაპზე ჩვენს განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებს იმათ მოსაგერიებლად, ვინც ნაცების დამნაშავე ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას ცდილობს, ვინც სააკაშვილს და ივანიშვილს ერთ სიბრტყეში განიხილავს, და „დიპლომატიურად“ ერევა ჩვენ საშინაო საქმეებში!

უნდა მოვითხოვოთ პროკურატურაში შესული აბსოლუტურად ყველა საჩივრის განხილვა, თუნდაც ამას წლები დასჭირდეს, და დამნაშავების კანონის ძალით დასჯა, ვინაც რა უნდა თქვას ოკეანის გაღმა თუ გამოღმა!

სამართალი და მხოლოდ სამართალი! სხვა ყველაფერი, სამართალს მოაქვს!

კართაგენი კი, კართაგენი (ნაცმოძრაობა) უნდა დაინგრეს!“

ასეულ ათასობით ქართველი პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს! 19 დეკემბერს სააკაშვილის ქუთაისში გამოჩენა ხარისხვის წითელი ნაჭრის აფრიალებას ჰგავდა. ქუთაისი პროტესტით დახვდა მიხეილ სააკაშვილს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის ოფისთან საპარლამენტო უმცირესობის წევრებს ხვდებოდა. ამის პარალელურად კი გარეთ ხალხმრავალი აქცია მიმდინარეობდა.



## გეოგრაფია

რიგითი ქუთაისლებისთვის იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა პრეზიდენტის ჩასვლა საპარლამენტო დედაქალაქში, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან შეკრებილმა ქუთაისლებმა შენობის შესასვლელები გადაკეტეს და პრეზიდენტს გარეთ გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. პრეზიდენტი შენობიდან გაძლიერებული დაცვის ქვეშ გაიყვანეს. დაცვამ შენობის მთავარ შესასვლელთან, პირდაპირ ქვაფენილზე მიაყენა პრეზიდენტის ავტომობილი და პრეზიდენტი ჩასვა, თუმცა, რამდენიმე წუთის განმავლობაში აქციის მონაწილეებმა არც პრეზიდენტის ავტომობილს მისცეს გადაადგილების საშუალება.

მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ტერიტორია დატოვა, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის წინ შეკრებილი ხალხი უმცირესობის წარმომადგენლებს დაუპირისპირდა.

იმერეთის ყოფილი გუბერნატორი და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნის აქციის მონაწილე თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ მათი აქცია ქუთაისში მართლაც გაიმართა, მაგრამ ეს მოხდა პარლამენტის შენობასთან, ინციდენტი კი მოხდა ქუთაისის მერიასთან.

„მე არ ვიცი, ინციდენტისას რა მოხდა, მაგრამ პრეზიდენტს, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ქვეყანას და გუშინ კიდევ განცხადება გააკეთა ბრიუსელში, არცერთ ქუჩაზე გავლის უფლება არ უნდა მიეცეს. მან თქვა, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის დროს ყველაზე ჩამორჩენილი და კორუმპირებული ქვეყანა იყო. ამიტომ, ის როგორც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი კი არა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეც აღარ არის. მან შეურაცხყოფა მოგვაყენა, როცა აგვისტოს ომში მიწაზე ფორთხავდა“, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს საერთოდ ქუჩაში არ გამოესვლება და მისი საკუთარ ხალხთან დატოვება საშიშია, რადგან თავისი მმართ-



ველობის ცხრა წლის განმავლობაში თუ რამე უსინდისობის ჩადენა შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთა ამისათვის და ბევრი რამ დაუშავა საკუთარ ხალხს.

ჯონდი ბადათურიას თქმით, პრეზიდენტი ახლაც ვერ აცნობიერებს საკუთარ მდგომარეობას და ნაცვლად იმისა, რომ ნანობდეს ჩადენილ დანაშაულს და საზოგადოებას ბოლიშს უხდიდეს, კვლავ გამაღიზიანებლად მოქმედებს და სისულე-ლეებს როშავს!

როგორც კინორეჟისორმა – გოგა ზაინდრავაშ აღნიშნა, სააკაშვილი არათუ უნდა დაიკითხოს „არამედ გასამართლდეს კიდეც... მინდა დავამშვიდო მსოფლიო საზოგადოება და გავახსენო, რომ სამხრეთ კორეის სამი პრეზიდენტი იხდის უვადო პატიმრობას ამ წუთში. შეიძლება, რომელიმე კიდეც გარდაიცვალა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე: **ზაზა ზატიაშვილი** კი აცხადებს, რომ „მივმართავ კბილაშვილს, მოძალადე პოლიციელები და პროკურორები დასაჯოს! თუ პოლიციის რიგები არ გაიწმინდა მოძალადე პოლიციელებისაგან და თუ საქართველოში დარჩნენ პროკურორები, რომლებიც აკონონებდნენ უკანონობას, ამ ქვეყანას მოძავალი არ გააჩნია!

როგორც იტყვიან კუზიანს სამარე გაასწორებს და, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლდნენ კონკრეტული მოსამართლეები, რომელთაც უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანაში მიუძღვით ბრალი.

ყველა ნორმალური დემოკრატიული ქვეყნის საფუძველი არის სამართალი. ხალხის დაჭერა უსამართლოდ დანაშაულია. თუ 9 წლის მანძილზე წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონობა არ აღმოიფხვრება და კრიმინალები არ დაისჯებიან, არ გვექნება სამართლიანი ქვეყნის აშენების საფუძველი.



## პირადობები

ყოველივე ამის ფონზე თითქმის მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ხელმოწერით ითხოვს, რომ ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ გადადგეს პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც აშკარად ხელისშემლელად იქცა საქართველოს სახელმწიფო ობრიობის დემოკრატიული განვითარების გზაზე.

ხელმომწერთა მარათონში აქტიურად ჩაერთო და დიდი როლი შეასრულა ჩემმა მეგობარმა და თანამოაზრებმ — ზებურჯაბნიძემ.

თუ ნაციონალები მართლა ქვეყანაზე და ხალხზე ფიქრობენ, რასაც ყოველდღიურად ყურისწამლებად გაჰყვირიან, მაშინ თავი უნდა დაანებონ ყოველგვარ საბოტაჟსა და პროვოკაციულ რიტორიკას და ნამდვილად ითანაარსებონ გამარჯვებულ „ქართულ ოცნებასთან”.

კოპაბიტაცია, ანუ თანაარსებობა ორმხრივი მოძრაობაა, რაც უწინარეს ყოვლისა არჩევნებში დამარცხებულ და გამარჯვებულ პარტიებს შორის ხალხის საკეთილდღეო ურთიერთობას გულისხმობს და სულაც არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში სამართლიანობისა და კანონიერების აუცილებელ აღდგენას.

ხალხის ჭეშმარიტი კეთილდღეობა სწორედაც ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულ სამართლიანობასა და კანონიერებაზე უნდა დაფუძნდეს!..

პრეზიდენტმა ყურად უნდა იღოს ხალხის ხმა, ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა!

P.S. ეჭვი არ მეპარება, ხალხი არ შეწყვეტს ბრძოლას და ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანს!

პ.პ.ს. დღეისათვის, საერთო ჯამში, 12 500-მდე საჩივარია შესული: პროკურატურაში (5 500-მდე), პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში (3 000-მდე), თავდაცვის სამინისტროში (2 200-ზე მეტი), განათლების სამინისტროში (1 000-მდე) და სტრასბურგის სასამართლოში (700-მდე).



საჩივრების ადრესატები უმაღლესი თანამდებობის პირები: მინისტრები, გუბერნატორები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, გენერლები, გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარები და, რასაკვირველია, მოსამართლეები არიან. როგორც წესი, თითოეულ მათგანს რამდენიმე ათეული ადამიანი უჩივის.

### ულტიმატუმი

**პრეზიდენტ სააკაშვილისადმი საქართველოს ხალხის უნდობლობის საფუძვლები:**

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებისას, მიხეილ სააკაშვილმა, ნაცვლად იმისა, რომ ემოქმედნა ქართველი ერისა და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, კეთილსინდისიერად აღესრულებინა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობა და ყველაფერი ეღონა საქართველოს კონსტიტუციის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადამიანის უფლებების დასაცავად, თავისი კონსტიტუციური ფიცის გატეხით შერყვნა პრეზიდენტის სამსახურის ღირსება და ძირი გამოუთხარა მისდამი ხალხის ნდობას, რაც გამოიხატება შემდეგით:

1. ან მოახდინა სახელმწიფოს ხელისუფლების მონოპოლიზაცია, თავის ხელში მოაქცია განუზომელი ძალაუფლება, დაამყარა ავტოკრატიული და ავტორიტატული რეჟიმი, უგულვებელჰყო საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, ხელისუფლების განშტოებათა კონტროლისა და ბალანსის სისტემა, რითაც საფუძველი გამოაცალა კონსტიტუციურ, რესპუბლიკურ მმართველობას საქართველოში.
2. მან დაამცრო და დააკნინა სასამართლო ხელისუფლება, არარად აქცია სასამართლოს დამოუკიდებლობის კონ-



## პირადობები

- სტიტუციური გარანტიები, რომელთა საფუძველზეც სა-  
სამართლო ხელისუფლების განმტკიცება და გაძლიერე-  
ბა და სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრების  
ტენდენცია შეუქცევადად მიგვაჩნდა. იმის მაგივრად, რომ  
ყოველივე ეღონა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და  
მიუკერძობლობის უზრუნველსაყოფად, მან დააკანონა  
მოსამართლეთა დევნის, დაშინების, ტერორის, მოსყიდვის,  
სხვა ხილული თუ უხილავი მეთოდები და გაბატონებუ-  
ლი პოლიტიკური ელიტის მაამებელ გადაწყვეტილებათა  
მორჩილ აღმსრულებლად გადააქცია: ჩაკლა დამოუკიდე-  
ბლობის ყოველგვარი განცდა და მოთხოვნილება, რით-  
აც ნიადაგი გამოაცალა საქართველოში სამართლიან  
მართლმსაჯულებას.
3. მან შექმნა ხელისუფლების კორუფციული სისტემა,  
რომელშიც საზღვარი არ ააქვს განუკითხაობასა და  
ჩინოვნიკების თვითნებობას, სადაც ყველაფერს განსაზ-  
ღვრავს მმართველი პარტიის ეგოისტური მისწრაფებანი.
- იდევნება ქართული, ეროვნული ცნობიერება და სუ-  
ლიერბა, სადაც არასოდეს ხდება ხელისუფლებისაგან გან-  
სხვავებული და მითუმეტეს, უმცირესობის აზრის გათ-  
ვალისწინება, საზოგადოების განსხვავებული ფენების  
ინტერესთა ჯგუფების, მოსაზრებების, ინტერესებისა და  
სამართლიანი მოთხოვნების თანაზომიერი გათვალისწინება,  
რის გარეშეც შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების  
არსებობა, ქვეყანაში მშვიდობის, ჰარმონიისა და თანხმობის  
დამკვიდრება;
4. მან, მის მიერ დანერგილი მართვის მანკიური სისტემით  
და ფორმებით შეძლალა ადამიანის ღირსების უფლე-  
ბა, ადამიანთა თანასწორობა, დაამკვიდრა ნეპოტიზმი და



## პირადობები

- დისკრიმინაციული გარემო პოლიტიკური შეხედულებების, ასაკობირივი ცხოვრების თითქმის ყველა სხვა სფეროში; საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სამშობლოსათვის, ჩამოაშორა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას და უმოწყალოდ მოისროლა სანაგვეზე, „უსარგებლობისა“ და „ჩარეცხილების“ მორალურად დამთრგუნველი სტატუსით, რითაც წაართვა მას ღირსეული ცხოვრების უფლება, პიროვნების განვითარების შესაძლებლობათა რეალიზაციის, ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება და გასაქანი;
5. მან, თავისი მოქმედებითა და უმოქმედობით ფეხქვეშ გათელა ადამიანის ძირითადი უფლებები – სიცოცხლის, საკუთრების, თავისუფალი არჩევნების, აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვა. მის მიერ მართვადი მედია საშუალებები გამოიყენა თავის პოლიტიკური მოწინააღმდეგეთა დევნის, შევიწროვებისა და ანგარიშსწორებისათვის, დეზინფორმაციის მეშვეობით საზოგადოების დატერორებისათვის და თავისი არაგონივრულ თუ უკანონო ქმედებათა გასამართლებლად. მან შექმნა უკანონობისა და განუკითხაობის ატმოსფერო, სადაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების და ხელისუფლების გადამეტებით, ადამიანის უფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევები, მათ შორის – ადამიანთა მკლელობები, მათი ფიზიკური, თუ სულიერი დასახიჩრება, უკანონო პატიმრობა, ტუსაღთა წამება, უდანაშაულობის პრეზუმუციის დარღვევა, მშვიდობიანი მიტინგებისა და მანიფესტაციების დაუზოგავი დარბევა, ადამიანთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენება, ტელეკომპანიების დარბევა, მედიის საშუალებებზე პოლიტიკური



## პირადობები

ცენტურა და კონტროლი, საკუთრების თვითნებური ჩამორთმევა, ადამიანთა დაშინება, შანტაჟი, მუქარა, პროვოკაცია და სხვა ათასგვარი დანაშაული, შენიღბული თუ შეუნიღბავი უკანონობა. არარად აქცია პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა, კანონი და სმართალი, აბუჩად აიგდო საკუთარი ქვეყანა და ხალხი;

6. შექმნა სახელმწიფო ორგანიზაციის კორუფციული სქემა, არაკონკურენტული გარემო, ნიადაგი გამოაცალა თავისუფალ მეწარმეობას, გაასხვისა ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები. გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და სიცოცხლისუნარისნობას, დააბრკოლა მისი აღმავლობა და განვითარება.
7. მან, ხელისუფლებას ხარბად დაწაფებულმა, არაერთგზის, უკანონოდ და არამიზნობრივად გამოიყენა სახელმწიფოებრივი სახსრები და იგი მოახმარა თავისი ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას, მმართველი ოლიგარქის ინტერესებს, გარეგნულ ეფექტებსა და არაჯანსაღ სახელისუფლებო ამბიციებს ძვირად დირებულ საპრეზიდენტო რეზიდენციებს, პირად კეთილდღეობას. ხელისუფლებით ტკობასა და განცხრომას.
8. თავისი უპასუხისმგებლო და უგუნური მოქმედებით შეგნებულად აჰყვა რუსეთის გარკვეული წრეების პროვოკაციას და საქართველო ჩააბა უაზრო, დამღუპველ ომში, რასაც შედეგად მოყვა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება, ათასობით ადამიანის სიკვდილი, უზარმაზარი მატერიალრი და აუნაზღაურებელი ეკოლოგიური ზიანი.



## გიბლიონი

მიხეილ სააკაშვილმა გაართულა საქართველოს ტერ-იტორიული მთლიანობის მშვიდობიანი მოლაპარაკებებით, პოლიტიკური საშუალებებით აღდგენის პროცესები და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე საქართველო წარმოაჩინა არასერიოზულ და არასაიმედო პარტნიორად, დააბრკოლა საქართველოს ინტეგრაცია ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემებში.

პრეზიდენტმა უდალატა პრეზიდენტისადმი გამოხატულ ნდობას, იმოქმედა საქართველოს კონსტიტუციის, სამართლის უზენაესობისა და სამართლიანობის საწინააღმდეგოდ, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოსათვის საზიანოდ.

1 ოქტომბრის შემდგომ სამწუხაროდ მან საბოლოოდ დაკარგა რეალობის შეგრძნება, დაუპირისპირდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას, თავი გამოაცხადა ოპოზიციის ლიდერად, მაშინ, როცა დღემდე, კონსტიტუციის თანახმად დღემდე, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია. პრეზიდენტის უკანასკნელი პერიოდის ყველა ქმედება ადასტურებს, რომ ის სრულიად უუნაროა ქვეყნის მართვაში. თავისი „საახალწლო მილოცვით“ კი საერთოდ გავიდა საკონსტიტუციო სივრციდან, გაემიჯნა ქართველ ხალხს და თავადვე დაადასტურა, რომ იგი ამ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი აღარ არის!

სააკაშვილის მიზანია ბრძოლა სავარძლისათვის და არა ქვეყნისათვის, რისთვისაც საქართველოს მოსახლეობა სრულ უნდობლობას უცხადებს მას.

ქართველმა ხალხმა გამოხატა რა თავისი უდრეკი ნება, არჩევნებით გადაწყვიტა თავის შემდგომი პოლიტიკური ბედი, რათა ერთხელ და სამუდამოდ, მყარად და



საიმედოდ დაამტკიდროს თავისუფლება, თანასწორობა და  
სამართლიანობა საქართველოში.

თუ სააკაშვილი იგნორირებას გაუკეთებს ხალხის ნებას,  
და საქართველოს კონსტიტუციას, არ მიიღებს ქვეყნისათ-  
ვის აუცილებელ გადაწყვეტილებას და, 2013 წლის 20  
ინავარს, მისი არჩევიდან 5 წლის ვადის გასვლისთანავე, არ  
გადადგება, იგი ვერ მოახერხებს ხელისუფლების ძალადო-  
ბით მიტაცებას!

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მიხეილ საა-  
კაშვილი 2013 წლის 21 იანვრიდან საქართველოს პრე-  
ზიდენტი აღარ არის, რაც სრულ თანხვედრაშია საქართ-  
ველოს მოქალაქეთა ნებასთან და დადასტურებულია უმ-  
რავლესობის ხელმოწერით.

რას ვაპირებთ 20 იანვრის შემდეგ?!

ყველას გვახსოვს, პრემიერ-მინისტრად გახდომისთანავე,  
პირველივე დღეებში, ივანიშვილმა თავაზიანად ურჩია საა-  
კაშვილს გადადგომა, რასაც მწვავე და მყისიერი გამოხმაუ-  
რება მოყვა დასავლეთში. ამერიკიდან კი პირდაპირ „გვირ-  
ჩიეს“ – სააკაშვილს ოქტომბრამდე ხელს ნუ ახლებთო.  
ამ „მეგობრული“ დირექტივის შემდეგ ცხადი გახდა, რომ  
სამართლიანობის აღდგნის დაპირებით მოსულ „ქართულ  
ოცნებას“ გაუჭირდებოდა მისი მთავარი დაპირების შეს-  
რულება. ეს აზრი კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც  
შედარებით დაბალჩინოსნების დაკავება ლამის პოლიტიკურ  
დევნად და შერჩევით სამართლად მონათლეს „ნატო“ –  
ევროკავშირმა.

მართლაცდა, რომელ ჭეშმარიტ სამართალზე შეიძლება  
ლაპარაკი, როცა აგერ უკვე სამი თვის მოსულია ახალი  
ხელისუფლება და დედაბუღიანად დამნაშავე „ნაცებიდან“  
შხოლოდ ერთი მაღალჩინოსანი – ბაჩო ახალაიაა დაკა-



## გიგანტების

ვებული, და მასაც ბრალდებად არა უშუალოდ მის მიერ ჩადენილი უამრავი უმძიმესი დანაშაული აქვს წაყენებული, არამედ – მეორეხარისხოვანი, შედარებით, ნაკლებად მძიმე! ეს ერთი მხარეა სამართლისა, მეორე კი ისაა, რომ მტკუან-მართალს დღესაც ის მოსამართლები არჩევენ, რომლებიც იურიდიულად „აპრავებდნენ“ „ნაცების“ უკანონო ქმედებებს მთელი ცხრა წლის მანძილზე, რომელთა განაჩენებმაც გააუბე-დურა ათეულ ათასობით ადამიანი!

დიპლომატიური ზეწოლა ახალ ხელისუფლებაზე, ეტყობა, იმდენად დიდია, რომ პრემიერ-მინისტრი იძულებული იყო განეცხადებია, რომ ჩვენს დასავლელ მეგობრებს ძალიან უჭირთ ჩვენი მოთხოვების გაგება პრეზიდენტის იმპიჩენტის თაობაზე და თავი უნდა შევიკავოთ. ამის შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ და „ნაცების“ გასახარად, პარლამენტმა ხმა გაკ-მინდა, უფრო მეტიც, დაიწყო ჩინოვნიკებისთვის განკუთვნილი, შერჩევითი ამნისტიების(!) შეთავაზება. ყველას გასაგონად უნდა ითქვას „ძველ ხელისუფლებაში“ წარსულის ხელისუ-ფლება არსადაც არ წასულა, იგი ამჟამად არსებული ხელისუ-ფლების მეორე ნახევარს, „ნაცებისგან“ შემდგარ მეორე შტოს წარმოადგენს, რომელსაც, ბევრი ექსპერტის აზრით, არანაკ-ლები ბერებები უპყრია ხელთ, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. იგულისხმება პრეზიდენტის, სასამართლოების, ადგილობრივი თვითმმართველობების, დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს, „ნაცების“ მიერ შერჩეული კადრების ძალაუფლება.

საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობა, საკმაოდ კარ-გადაა ჩახედული პოლიტიკაში, არა მარტო ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებში, არამედ – მსოფლიო მასშტაბითაც. სწორედ ამიტომ საკაშვილის პრეზიდენტობიდან კონსტი-ტუციურ ვადებში გადადგომის მოთხოვნით, ხელოვნების და საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით 2012 წლის ნოემბრის



## პიგურობება

მეორე დეკადაში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მთელ საქართველოში. დღეისათვის შეგროვებულია უპრეცედენტო რაოდენობა ხელმოწერებისა – 800 ათასზე მეტი!

ხელმოწერებს, მხოლოდ მორალური ზეგავლენის ფუნქცია აკისრია, მაგრამ პრობლემა დღემდე მაინც გადაუჭრელია. ამის მიზეზად კონსტიტუციის 70-ე მუხლის ურთიერთგამომრიცხავ ორ პუნქტს – პირველს და მეცხრეს ასახელებენ. სააკაშვილის გადადგომის, ანუ პრეზიდენტობის კონსტიტუციურ ვადებში დასრულების მომხრენი პირველ პუნქტს იშველიებენ და ამტკიცებენ, რომ ხალხის მიერ 2008 წლის 5 იანვარს ხუთი წლით არჩეულ პრეზიდენტს პრეზიდენტობის ვადა გასდის 2013 წლის 20 იანვარს, რომელიც მას ეწურება 2008 წლის 20 იანვარს ინაუგურაციაზე დადებული ფიცის შემდეგ პრეზიდენტობის ვადის გაგრძელების მომხრენი კი იშველიებენ მეცხრე პუნქტს და ამტკიცებენ, რომ ვინაიდან არჩევნები პარლამენტის მიერ 2006 წელს მიღებული საკონსტიტუციო შესწორების თანახმად ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, ამიტომ სააკაშვილს ამ არჩევნებამდე ავტომატურად უნდა შეინარჩუნოს პრეზიდენტობა.

აი, ეს, უკვე ყველასთვის კარგად ცნობილი ორი პუნქტი 70-ე მუხლისა:

პუნქტი 1. „საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით“.

პუნქტი 9. „პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ კალენდარული წლის ოქტომბერში“ (27.12. 2006, 4133), რადგანაც პრეზიდენტი ხალხის მიერაა არჩეული ხუთი წლით და მისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების უფლებაც მხოლოდ მას აქვს და სხვას – არავის!



- აქვს თუ არა პარლამენტს უფლება შეცვალოს  
არჩევნების ჩატარების დრო (თვე).  
– აქვს.

ერთადერთი აპრობირებული, კანონიერი გზა პრო-ტესტისა არის ხალხის არაძალადობრივი ზეწოლა, რა-საც, ჩვენდა გასაოცრად 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ არადემოკრატიულად მიიჩნევს დემოკრატიულობით თვამომ-წონე დასავლეთი (ვგულისხმობ ადგილობრივი თვითმმართ-ველობის ორგანოებზე ხალხის ზეწოლასთან დაკავშირე-ბით დასავლეთში გაკეთებულ განცხადებებს), თუმცა მას კარგად მოეხსენება, რომ „დემოკრატია“ სიტყვა-სიტყვით „ხალხის ძალაუფლებას“ ნიშნავს. და რახან ასეა, მაშა-სადამე, ხალხის მოთხოვნა უსიტყვოდ უნდა შესრულდეს, მით უფრო მაშინ, თუ ხალხი რაიმე უკანონოს კი არ ითხოვს, არამედ, პირიქით, იქეთ ითხოვს პრეზიდენტისგან და საკონსტიტუციო სასამართლოსგან უზენაესი კანონის, კონსტიტუციის დაცვას! ხალხის მშვიდობიანი კეთილგან-წყობა ყველამ უნდა დაინახოს და დააფასოს, მათ შორის, დასავლეთმაც, რადგანაც ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის, პოლიტიკურ ორიენტაციასაც!

პრეზიდენტისაგან კონსტიტუციის დაცვას, ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში, არა ხალხი, არამედ პარლამენტი ითხოვს (თუკი, ამის საჭიროება შეიქნა), მაგრამ ჩვენ ხომ სხვისი პროტექტორატის ქვეშ მყოფ განვითარებად (მაგრამ, დამოუკიდებელ!) სახელმწიფოდ ვითვლებით და, ამიტომაც, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის საკუთარ თარგზე გამოჭრა შეუმჩნეველი რჩება ყველას და ყველაფრის არბი-ტრს – დასავლეთს. უცნაური აქ არაფერია, იგი მარტივად აიხსნება ამ დასავლეთის მიერ მსოფლიოში დამკვიდრე-ბული ორმაგი სტანდარტით – სტანდარტი საკუთარი, ანუ

განვითარებული ქვეყნებისთვის და სტანდარტი ჩვენისთანა ანუ განვითარებადი სახელმწიფოებისთვის. თუმცა, დასავ-ლეთს ორი ქვესტანდარტი აქვს მოფიქრებული და მათ იმისდა მიხედვით იყენებს, თუ ვინაა ხელისუფლების სა-თავეში – „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოწროობილი, მსოფლიოზე მაფიქრალი, ყველაფერზე ხელისმომწერი, მის მიერ შერჩეული გლობალისტ-ლიბერასტები, თუ ეროვნულ მოძრაობაში გამოწროობილი, ეთნიკური თვითმყოფადობის – მამული, ენა, სარწმუნოების შენარჩუნებაზე მაფიქრალი პატრიოტები!

სად არის გამოსავალი. დღეს, როდესაც ხელისუფლება ჩვენ ხელშია, უნდა მივმართოთ მხოლოდა მხოლოდ მშ-ვიდობიანი ბრძოლის გზას – პიკეტირებას. სააკაშვილის, როგორც ყავლგასული პრეზიდენტის, როგორც „ხელისუ-ფლების უკანონოდ მიმთვისებელი“ (მუხლი 5, პუნქტი 3) ჩვეულებრივი მოქალაქის, პიკეტირებას! პიკეტირებას, დილი-დან საღამომდე! არა ბლოკირებას, არამედ – პიკეტირებას გადაადგილების შეუზღუდავად. პიკეტირება მთელი ქვეყ-ნის მასშტაბით! მას ისეთი ატმოსფერო უნდა შევუქმნათ, რომ საქართველოში არ დაეფგომებოდეს! პიკეტირება უნდა გაგრძელდეს უცხოეთშიც იქ მაცხოვრებელი ქართველების მიერ! დასავლეთმა უნდა დაინახოს, რომ სამართალია საქა-რთველოს მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა, რომ ხალხი არ დაცხრება მანამ, სანამ ქართული მიწების და სიმდიდრეების გამნიავებელი, ქართველი ხალხის სულში ჩამფურთხებელი ადამიანი არ გაქრება ქართველი კაცის თვალსაწიერიდან!

არ შეიძლება შეჩერება და პარლამენტის უმოქმედობას-თან შეგუება, არ შეიძლება საკუთარ სინდისთან უკანდახ-ევა და მილიონამდე ხელმომწერის გაწილება, საჭიროა და აუცილებელია ჩვენი მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით



დასავლეთს და, პირველ რიგში, პარლამენტს დავანახოთ, რომ  
მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული ღიძი პატივისცემისა, გან-  
საკუთრებით, ცალკეული წარმომადგენლების მიმართ, ქართველ  
ხალხს მათზე არა აქვს ჯვარი დაწერილი და პარლამენტის  
მიღმა არის კიდევ რამდენიმე პარტია, რომლებიც უკეთესად  
და გაცილებით მეტი თავგამოდებით (თავდადებითაც!) იბრ-  
ძოლებენ ეროვნული ინტერესების დასაცავად!

თუ დროზე, კონსტიტუციურ ვადებში(!) არ მოვიცილეთ,  
დამნაშავე და „ნაცებთან“ ერთად მოვისურვეთ სახელმწი-  
ფოს მართვა, მაშინ ჩვენც თანამონაწილენი გავხდებით ყვე-  
ლა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, უნდა გვახსოვდეს  
ვაჟას სიტყვები: „ბიღლწო არ შავეკვრათ ზავითა“, მაგრამ  
თუ დავივიწყეთ, მეტის ღირსნიც ვიქნებით!

საქართველოში ახალი ორგანიზაცია „სრულიად საქა-  
რთველოს სახალხო დარბაზი“ დაფუძნდა. დარბაზის გამ-  
გეობის წევრებმა ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ  
განცხადება ეროვნულ ბიბლიოთეკაში გააკეთეს. ასევე, გამ-  
გეობის წევრებმა ქვეყანაში მომხდარი მოვლენები შეაფასეს  
და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია  
მეორისა და პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილისადმი  
მიმართვები წაიკითხეს.

მიმართვებში აღნიშნული იყო, რომ „ნაციონალურმა  
მოძრაობამ“ დროებით, ქამელეონივით ფერი იცვალა, რევან-  
შისთვის ემზადება და საზოგადოების ბრძოლა დასრულე-  
ბული არ არის.

„ქართველმა ერმა 1-ელ ოქტომბერს დააფიქსირა თა-  
ვისი ნება, იცხოვროს თავისუფალ, ღირსეულ, ღვთისმოსავ  
ქვეყანაში. ეს გამარჯვება უნდა დაიცვას და ბოლომდე  
მიიყვანოს გამარჯვება“, – განაცხადა გამგეობის წევრმა  
ავთანდილ იოსელიანმა.



## პირდღითავა

მისივე თქმით, საქართველოს უმეტეს რეგიონებში უკვე დააფუძნეს წარმომადგენლობები.

„სახალხო დარბაზის“ თავმჯდომარე კინორეჟისორი რეზო ჩხეიძეა. დარბაზის გამგეობა შედგება 8 წევრისგან.

„სახალხო დარბაზი“ გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნებას ითხოვს.

„სახალხო დარბაზი“ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვს.

„სახალხო დარბაზი“ გიგი უგულავას გადადგომას მოითხოვს.

25 დეკემბერს ბათუმშიც დაარსდა „სახალხო დარბაზი“, რომლის ხელმძღვანელად საზოგადოებამ ერთხმად აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე აირჩია, ამ ღონისძიებაზე „სახალხო კრების“ წევრები საგანგებოდ ვიყავით მიწვეულნი. საღამომ დიდი აღმავლობით და სულისკვეთებით ჩაიარა, მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ესწრებოდნენ ღვაწლმოსილი სტუმრები და საზოგადო მოღვაწეები. სიტყვაში გამომსვლელთაგან იყო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სახეები: აჭარის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე ქალბატონი – ნათელა დუმბაძე, (რომელიც აჭარის დარბაზის დაფუძნების ღონისძიებას უძღვებოდა), ხიხაძირის ხეობის, სხალთის მკვიდრი ქალბატონი – იზო სურმანიძე, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თელორაძე, მწერლები: ანზორ კულბა, ემინ დავითაძე, თბილისიდან ჩამოსული სტუმარი – ერეკლე საღლიანი. გამომსვლელთაგან სიტყვით ძალზედ ემოციურად და ამაღლვებლად მწერალი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, მემედ აბაშიძისა და გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურეატი – შოთა ზოიძე გამოვიდა. ბოლოს კი



სიტყვა მიეცა აჭარის „სახალხო დარბაზის“ ახლად არჩეულ თავმჯდომარეს, აკადემიკოს ბატონ – ვანო პაპუნიძეს, რომელმაც ისაუბრა დარბაზის სამომავლო გეგმებზე და მის მნიშვნელოვან ჩართულობაზე სახელმწიფო ობრივ ცხოვრებაში.

უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს იღია მეორეს, 2013 წლის 4 იანვარს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება, ხოლო 25 დეკემბერს აღსაყდრებიდან 35 წელი შეუსრულდა. ამის აღსანიშნავად ქალბატონმა ნათელა დუმბაძემ მისალოცი მიმართვის სიგელი წაიკითხა. საქართველოს სულიერი მამის საპატივცემულოთ აჭარის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მომღერალთა ვოკალურმა ჯგუფმა მისადმი მიძღვნილი სიმღერა შეასრულა. პატრიარქის საპატივცემულოთ დარბაზში სანთლები აინთო.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მომღერალთა შორის იმყოფებოდა სისხლიანი 26 მაისის ერთ-ერთი მონაწილე – ირაკლი გოგიატიძე. აქ დარბაზში ბევრი ისეთიც ისხდა, რომელთაც 1 ოქტომბრის არჩევნებამდე რეჟიმის წინააღმდეგ ხმას არ იღებდა, ახლა კი თამამად ეჭირათ თავი და გაბედული გახდნენ, საუბრობდნენ თავისუფლად...

საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტი განაგრძობს რა მუშაობას, ხალხი საგრძნობ ცვლილებების მოლოდინშია, ხოლო ხალხის ოპოზიციაში მყიფი პრეზიდენტი თავის სტიქიაში განაგრძობს „მოღვაწეობას“, იგი თავისი აკვიატებული აზრებით დაკავებულია საზოგადოების ტვინის გამორეცხვით. მე ის მიკვირს, რომ პოლიტიკურად გაკოტრებული და თავის ტყულებში ჩაფლული სააკაშვილი 2007 წელს ერთხელ ხომ გადადგა „თავისი ნებით“, ახლაც იგივეს რატომ არ იმეორებს?! თუ ელოდება იგივეს, რაც ქუთაისში გადახდა?..



## პირულითავა

26 მაისის სისხლიან ღამეს „სახალხო კრების“ წევრების მედგრად დგომამ ფარდა ახადა ტირანიას, რასაც სამწუხაროდ არაერთი ღირსეული მამულიშვილის სიკვდილი მოყვა. მედია-კავშირი ობიექტივის გმირულმა თავგამოდება – ბატონ დავით-თარხან მოურავის თავკაცობით ერთ მუშტად შეკრა მთელი საქართველო საერთო გამარჯვების მისაღწევად, რაშიც ძალზე დიდი იყო ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, მერწმუნეთ, რომ არა ბატონი ბიძინა, დღეს ბევრი პარლამენტათაგანი არ იქნებოდა დეპუტატის სავარძელში.

აյ ერთი გულის ტკივილიც მინდა გაგიზიაროთ, დღეს როდესაც, ზოგი ვაი პოლიტიკოსი რომ გაიძახის 26 მაის იმიტომ არ მივეღით „სახალხო კრებასთან“, რომ იქ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე იმყოფებოდაო, უბრალოთ თავის მართლებაა და მეტი არაფერი. მინდა შევახსენო მათ, რომ ჩვენ ქალბატონ ნინოსთან არ მივსულვართ, ის თავად შეგვიერთდა ოჯახთან ერთად და უფრო მეტიც, იქ იმიტომ ვიდექთ, რომ საქართველო და ჩვენი ღირსება დაგვეცვა.

აქვე მინდა დავძინო, რომ საქართველოში აუცილებლად უნდა ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რათა გარეთ დარჩენილმა ქვეყნის პატრიოტებმა დაიკავონ ქვეყნის პარლამენტში საპატიო დეპუტატის აღვილი, რათა გულით და სულით ემსახურონ ქართველ ერს და საქართველოს!

უნდა ჩატარდეს თუნდაც იმის გამო, რომ მან ხალხის ნება არ გაითვალისწინა და გაუგრძელა უკანონო უფლება-მოსილება პრეზიდენტს, რომელსაც მითვისებულუ აქვს ხელისუფლება ოქტომბრამდე. გეგითხებით – ეს მოქალაქე ოქტომბრამდე უნდა ითმინოს ქართველმა ხალხმა?! ღმერთმა უწყის კიდევ რამდენ მავნებლურ განცხადებას გააკეთებს ქვეყნის წინააღმდეგ.



## გიგანტები

**რაც მთავარია, ხალხი უკეთესი ცხოვრების მოლოდინ-შია, შიშმა უკან დაიხია, ერთმანეთში საუბარი აღარ ეშინ-იათ, მათ სახეებზე ღიმილმა დაისადგურა და სჯერათ, რომ სამართლიანობა ადსდევება, ოღონდ ამას დრო სჭირდება...**

მინდა მივმართო ჩემს ქართველებს:

**პოლიტიკას ნუ აჰყვებით,  
ხომ ხედავთ რომ აკიშალეთ,  
დრო მოვიდა მოვეგოთ გონს  
თორებ სულ მთლად დავიშალეთ!**

ბოლოს მინდა მოგახსენოთ, რომ არ მრცხვენია იმ სასტიკი მოქცევის გამო რაც ათასობით საქართველოს მოქალაქესთან ერთად გადავიტანე 26 მაისის სისხლიან დღეს, მთავარი ის გახლდათ, რომ ღირსება და სულიერება ვერ შეარყიეს ჩვენში და ჩვენი იქ დგომით ვამხილეთ უსასტიკესი ტირანია და ფარლა ავხადეთ სააკაშვილის რეჟიმს, რომელიც უნდა გასამართლდეს!

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დავიწყე ფიქრი და მიზნად დავისახე 2011 წლის 21–26 მაისის მოვლენებზე და ამასთან აჭარის ორგანიზაციის „სახალხო კრების“ გმირ წევრებზე დოკუმენტური ფილმის გადაღება. ამ იდეის განხორციელებისათვის დახმარება ვთხოვე ხელოვანსა და რეჟისორს, პატრიოტ ქალბატონ – ნინო დავითაშვილს. მან აღმითქვა რა დახმარება, თავისთავზე აიღო ამ საქმის მოგვარება. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის დახმარებით დაიწყო დოკუმენტური ფილმის გადაღება. ქალბატონი ნინო ამ უნივერსიტეტის პედაგოგია. ამ იდეას მხარი დაუჭირა ასევე ამავე უნივერსიტეტის დოქტორებმა: მამუკა ჯორბენაძემ და ვაჟა ბიბილეიშვილმა. მათი თანადგომით დაიწყო ფილმზე

მუშაობა. ფილმის გადაღებაში მონაწილეობდნენ ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები: სუზანა (სუზი) ვოლოდიანი და ქეთინო ტაკიძე, უანგარო და არნახული დახმარება გაგვიწია ფილმის დამონტაჟებაში ბატონმა – ილია ჩუთლაშვილმა, რისთვისაც, ჩემი თანამებრძოლების სახელით უღრმეს მადლობას ვუხდი მათ. ისინი უანგაროდ და დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ამ მეტად რთულ საქმეს. ფილმი ეძღვნება მწერლის, საზოგადო მოღვაწის – ვახტანგ ახვლედიანისა და სამშობლოსადმი თავდაღებულ ღირსეულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებიდან ნახევარი წლის შემდეგ ბევრი ჩემი თანამებრძოლი, რომლებიც სისხლიან დამეს თავიანთი სიცოცხლის ფასად მედგრად იღვნენ პარლამენტის შენობასთან უყურადღებოდ დარჩნენ, თითქოსდა ისინი არც კი არსებობდნენ ამ ქვეყნად, რისთვისაც გადავწყვიტე დამეფუძნებინა საზოგადოებრივი მოძრაობა. ეს აზრი გავუჩიარე ჩემს თანამებრძოლებს: ცისკარ გოგიტიძეს, ლაშა მსხილაძეს და რომან ჩხაიძეს, რომლებმაც მოიწონეს და მათივე დახმარებითა და თავკაცობით 2013 წლის 15 აპრილს, 26 მაისის სისხლიანი დამის მონაწილენი შევიკრიბეთ ილია ჭავჭავაძის ძეგლთან და დავაფუძნეთ საზოგადოებრივი მოძრაობა „**2011 წლის 26 მაისი**“ „**მამული, ენა, სარწმუნოება**“, რომლის თავმჯდომარეთ თქვენი მონა მორჩილი დავსახელდი და აქვე შეკრებაზე, დიდი სიამაყის გრძნობით კვლავ ავაფრიალეთ „**სახალხო კრების**“ დროშები.

საზოგადოების მიზანია აწარმოოს სამართლებრივი ბრძოლა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და სამართლიანობის აღდგენისათვის. დაიცვას საქართველოს ეროვნულ-



## პიგადობისა

სახელმწიფო იურიდიკის ინტერესები. თავისი საქმიანობა წარმართოს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმატიული აქტებისა და წესდების შესაბამისად.

კონსტიტუციის ფარგლებში დაიცვას პიროვნება (ადამიანი) ყოველგვარი დისკრიმინაციისგან, სადაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი რეალურად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას.

საზოგადოებრივი მოძრაობა „2011 წლის 26 მაისი“ „მამული, ენა, სარწმუნოება“ წარმოადგენს რა ქვეყნის ნათელი მომავლის მიზანს, ყველა ადამიანი უფლებამოსილია გახდეს მოძრაობის წევრი.

მოძრაობის დამფუძნებლები მივიჩნევთ, რომ ჩვენი ბრძოლა ზნეობრივია, სამართლიანი და სამშობლოს სიყვარულითაა გაჯერებული.

„სახალხო კრების“, უფლისა და ჩვენი ხალხის წინაშე ფიცი მაქვს დადებული, რომ დავიცავ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებს.

**ამ ფიცის ერთგული ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე!**

26.10.2013 წელი.



პირველ რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): ვახტანგ ზოიძე, ირაკლი დარჩია,  
ნიაზ ბოლქვაძე, ბიჭიკო ბოლქვაძე ციისკარ გოგოლიძე, თენგიზ ცეცხლაშვილი,  
ლაშა მსხილაძე, ციალა სურმანიძე, დარეჯან ლასამიძე, იოსებ დავითაძე  
და რომან ფუტკარაძე.

მეორე რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): ომარ აბულაძე, ემზარ სურმანიძე,  
ააშა გვიანიძე, თემურ ბასლაძე, ნოდარ მიქელაძე, რომან ჩხაიძე  
და ბორის მემარიაშვილი.

მესამე რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): ჯუმბერ შაინიძე, ნუგზარ საჯიშვილი, თენგიზ  
ურუშაძე, ირაკლი ფალაგა, გერონტი ფუტკარაძე, ააშა ზოსიძე  
და თამაზ მაკარაძე.

მეოთხე რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): ლავით ხარაზი, ლავით (ხუსო) თურმანიძე,  
ნუგზარ ქორდანია, შოთა ტუღუში და ნუგზარ ქეჩელიძე.

მეხუთე რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): სიმონ ფუტკარაძე, ნოდარ ცინცაძე და  
თენგიზ ართილავა.




პირველი რიგი: სიმონ მახარაძე, გურამ (ელდარ) გურგენაძე, თამაზ ქადიძე,  
ნოდარ ჩავლეიშვილი, ნუგზარ მგელაძე და თენგიზ კახიძე.  
მეორე რიგი: ნანული დუმბაძე, თამაზ დანელია, როლანდ თურმანიძე  
და არჩილ ცინცაძე.



ზელვაჩაურის რაიონის „სახალხო კრების“ წევრები.  
მარცხნიდან მარჯვნივ: ვაჟა სურმაიძე, ნოდარ იაკობაძე, იაშა გვიანიძე  
და თამაზ ხალვაში.



დემოკრატის ჩართულობის ცენტრი. საზოგადოებრივი მოძრაობა  
„2011 წლის 26 მაისი“, „მამული, ენა, სარწმუნოება“-ს პრეზენტაცია.  
მაყვალა ცენტერაძე, თენგიზ ცეცხლაშვილი და რომან ჩხაიძე.  
22 აპრილი 2013 წელი. ბათუმი.



## გიგანტის თენიზ ცეცხლაშვილი

პედაგოგი, თადარიგის უფროსი ოფიცერი, მიღებული აქვს სხვადასხვა სამხედრო ჯილდოები. სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა 2002 წელს. მან ზედიზედ გამოისცა ისტორიულ-ჰეროიკული პოემები: „გვირგვინოსანნი”, „ჩემი ლელე-ლურდანი” და „უმეფობის უამს”.

თენიზ ცეცხლაშვილის პოემები ლალი ენითაა დაწერილი, რომელიც მთლიანბაში საინტერესოდ იკითხება. მიგვაჩნაა, რომ იგი დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გახსრებასა და შესწავლაში.

ზემოხსენებული პოემების მკითხველის სამჯავროზე გატანას სათანადოდ აშ-უქებდნენ ქვეყნის მასმედიის საშუალებები. უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოებები ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის სკოლებს უსახსოვრა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ის ამავე დროს საქართველოს ჩემპიონის - საკალათბურთო გუნდის „ბასკო”-ს და საბავშვო ფესტივალის „ცისკრის ვარსკლავის” ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა. მისი ლექსებით დაინტერესდა მოსკოვის ქალთა ვოკალური ჯგუფი „ვენა”.

მას შესრულებული კრებული კრებული - იგორ კრეიდენტი - იგორ კრეიდენტი.

თენიზ ცეცხლაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე: „მამულო ჩემო საუნჯევ”, „ჩემი სიმღიდოე”, „ჩმა”, ორ წიგნად გამოცემული „ჩვენი დროის დეკამერონი”, „მამულისათვის თავდადებული”, „ქართული ცირკი”, „გულის ნადები”, „სიყვარულის ძალა”, „სასიკვდილოდ გამტებულნი”, „26 მაისის სისხლიანი კალო”, „სისხლიანი მაისის ექი”, „ვარდების რევოლუციის ანატომია”, „ჩემი საქართველო”, „კალმის უკვდავი რაინდი”, „ბათუმის კოლორიტი”, „ერისკაცი”, გაცრუებული იმედები”, „აჭარა რეჟიმის წინააღმდეგ” და „გულანთებული აჭარა”, ხოლო „ეს არ უნდა განმეორდეს!” მისი 25-ე ნაშრომია.

ჯემალ ხოვარია,

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი



რედაქტორი ოთარ გოგოლიშვილი  
პროგრამისტი ანაილა ავეტისიან  
ოპერატორი სოფო ჩოხარაძე



ქაღალდის ზომა 60X84  
ფიზიკური თაბახი 21 1/4  
ტირაჟი 100